9. Панкратова А.А. Эмоциональный интеллект:о возможности усовершенствования модели и теста Мэйера-Сэловея-Карузо. Вестн. Моск. ун-та, сер. 14, психология. 2010, №3, с. 55
10. Гордеева Т.О., Шепелева Е.А. «Внутренняя и внешняя учебная мотивация академически успешных школьников», Вестн. Моск. УН-ТА. сер. 14. Психология. 2011. №3 с. 35-36

მართლმადიდებლობა და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა

*აბესაძე ნოდარ, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე პოლიტიკური ტრანსფორმაციები ეროვნული და რელიგიური იდენტობის აღმავლობით გამოირჩევა. ეროვნული და რელიგიური კუთვნილება გახდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მისი ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირების მნიშვნელოვანი გარანტი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცე ინსტიტუციურად სუსტი და პოლარიზებულია, რაც ზეგავლენას ახდენს ეროვნული იდენტობის ფორმირებაზე. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებს. მისი როლი საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებაში გამოკვეთილია. ეკლესია პოლიტიკური ტრანზიციის ღირებულებითი პრიორიტეტებისა და სოციალიზაციის პროცესების ერთ-ერთი განსაზღვრელი აქტორია. პოლიტიკურ სისტემაში საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობა პოლიტიკური და ინსტიტუციური სტაბილურობისა და კონსოლიდირების მყარ გარანტიებს ქმნის. მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** ავტორიტეტი და რეიტინგი საზოგადოებაში ძალიან მაღალია; იგი აქტიურად მონაწილეობს საჯარო პოლიტიკის პრობლემების შეფასებასა და პოლიტიკური ტრანზიციის პრიორიტეტების რაციონალურ და პრაგმატულ გააზრებაში.

საკვანძო სიტყვები: მართლმადიდებლობა, ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური ტრანზიცია, პოლიტიკური აქტორები, ეროვნული იდეა

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების შედეგად ეროვნული იდენტობის ფორმირების

პრობლემა ძალზე აქტუალური გახდა, რაც ერი-სახელმწიფოების თვითდამკვიდრების უმნიშვნელოვანეს პარადიგმად გადაიქცა; ქართული ეროვნული იდენტობის გარდაქმნა ახალი სიტუაციის შესაბამისად ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რაც ირაციონალური პროცესების გარეშე არ მიმდინარეობს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შეიმჩნევა ეროვნული იდენტობის გარკვეული კრიზისი, რომელიც პოლიტიკური ტრანზიციის სიძნელებით არის გამოწვეული. პოლიტიკური სისტემის ტრანზიციამ რეალურად ვერ შეძლო პოლიტიკური ინსტიტუტების მოღვაწეობის რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკის გატარება, რომელიც ეროვნულ იდენტობას პრიორიტეტად გამოაცხადებდა.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ეროვნული იდენტობის“ კონცეპტუალური გაგებისა და მისი ფორმირების აქტორების ახლებური გააზრება აქტუალური თემა გახდა. თანამედროვე საოციალურ მეცნიერებებში დიდი ხანი არ არის, რაც „ეროვნული იდენტობის“ ცნების გამოყენება დაიწყეს, რაც მსოფლიოში მიმდინარე ეროვნული თვითცნობიერების ზრდის ტენდენციებს ასახავს; მსოფლიო ახალი წესრიგი ახლებურ ეროვნულ აზროვნებას მოითხოვს, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური იდენტობისა და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების პროცესებს. ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობა თვითგადარჩენის ტოლფასია და თანამედროვე გლობალურ სივრცეში განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობით სარგებლობს. გლობალური მასშტაბით მკვეთრად გაიზარდა ეროვნული და პოლიტიკური ნაციონალიზმი, რომელსაც ეროვნულ იდენტობის პროცესის აღმავლობა და რელიგიური რენესანსი მოჰყვა.

პოლიტიკური სივრცის ტრანზიციის თავისებურებებიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის მკვეთრად გამოხატული ორი ირაციონალური ტენდენცია გამოიკვეთა: **პირველი**, მკვეთრად იცვლება მსოფლიო წესრიგი, რომელსაც თანახლავს გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები და პოლიტიკურ ძალთა ახალი ბალანსის ფორმირება; ტრანსფორმირდება მეზობელ სახელმწიფოთა საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები

და სახელმწიფოებრივი იდენტობის კრიტერიუმები, რომელიც ზოგჯერ მკვეთრად გამოხატულ აგრესიულ ფორმებს იძენს; საგარეოპოლიტიკური ექსტრემალური სიტუაცია ქართული სახელმწიფოს წინაშე ახალ გამოწვევებსა და რისკებს წარმოშობს, რომლის გადასაწყვეტად პოლიტიკური აქტორები მზად არ აღმოჩნდნენ; გლობალურმა სიტუაციამ ეროვნული იდენტობის ახლებური გაგება მოითხოვა, რაც მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ-პატრიოტულ და ინტელექტუალურ აქტორებს დაემყარება. **მეორე**, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მენტალურად რთული აღმოჩნდა, რომელმაც ეროვნული იდენტობის პროცესის პოლიტიკური ინტეგრაცია ვერ შეძლო; პოლიტიკური სივრცე ღრმა ინსტიტუციურ და ღირებულებით კრიზისში მოექცა, რამაც პოლიტიკური პოლარიზების ფორმები მიიღო; მოიმატა ეროვნული და სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებმა, რომლებმაც ეროვნული იდეის ერთგვარი დათრგუნვაც კი გამოიწვია. პოლიტიკური ტრანზიციის ეს ორი ირაციონალური ტენდენცია ეროვნული იდენტობის მკვეთრ რეკონსტრუქციას მოითხოვს, რომლითვისაც გარკვეული პოლიტიკური აქტორები მზად არ არის.

ილია ჭავჭავაძის ქართული ეროვნული იდენტობის კონცეფცია - „მამული, ენა, სარწმუნოება“, „...ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს...“ კვლავაც პრიორიტეტულ ორიენტაციად რჩება, რომელსაც თანამედროვეობა ახალ განზომილებას ანიჭებს. ილია ჭავჭავაძე ერეკლე II-ის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში - „ასი წლის წინათ“⁴¹ შედარებითი ანალიზის საფუძველზე ეროვნული იდენტობის ისტორიულ-მეხსიერებით კრიტერიუმებს განიხილავს. ეს წერილი მნიშვნელოვანია თანამედროვე პოლიტიკური პროცესის გასააზრებლად და გარკვეულ სიტუაციებში ეროვნულ-პრაგმატული გადაწყვეტილებების მისაღებად. ქართულ ეროვნულ იდენტობას ისტორიულ-მემკვიდრეობითი ელემენტები ასულდგმულებდა, რომლებიც გარკვეულ სივრცესა და დროში რაციონალურად გამოვლინდებოდა.

თანამედროვე პოლიტიკური სივრცე და დრო ახალ განზომილებასა და მოთხოვნებს უყენებს ეროვნულ იდენტობასა და მისი ფორმირების აქტორებს. ქართული პოლიტიკური აზროვნება თავისი

1 ილია ჭავჭავაძე. ასი წლის წინათ. თბზ., ხუთ ტომად. ტ. 4, თბ., 1987, გვ.178-187

პრაგმატულ-ისტორიული მეხსიერებით ყოველთვის სარგებლობდა და კრიზისულ სიტუაციებში რაციონალურობით გამოირჩეოდა. 90-იანი წლებიდან, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა, პოლიტიკურმა სპექტრმა ვერ მოახერხა პოლარიზების გარეშე პოლიტიკური პროცესის რაციონალიზება და ეროვნულ იდეაზე გადასვლა. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალური წესრიგის განმსაზღვრელი ფაქტორი ინსტიტუციური ვაკუუმი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ შეძლო ლეგიტიმური წესრიგის დამყარება და ერის ღირებულებითი და კულტურულ-იდეოლოგიური კონსოლიდაცია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** აღნიშნავს, რომ „... წარმატებით მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები ვითარდებოდნენ, რომლებიც ალღოს უღებდნენ დროის მოთხოვნებს. სამოციანელთა მოღვაწეობით ქართველმა ხალხმა ღირსეული პასუხი გასცა თავისი რთული ეპოქის გამოწვევებს და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ სულიერადაც მოემზადა დამოუკიდებლობისათვის“.¹

თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში ინსტიტუციურმა ვაკუუმმა და პოლიტიკური ტრანზიის აქტორების პოლარიზებამ, წინა პლანზე წამოსწია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და ინსტიტუციურ-აქტორული ფუნქციები; მისი დანიშნულება და პოლიტიკურ-ფუნქციური როლი ისტორიულად ცვლილებების პერიოდებში ყოველთვის გამოკვეთილი და პრინციპული იყო. მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული იდენტობის გამოხატვის ერთგვარ იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიდა და პოლიტიკური ერთსულოვნების გარანტიებს იძლეოდა; მან შეინარჩუნა ქართველი ადამიანის ტრადიციული ცხოვრების წესი და კულტურულ-ღირებულებითი სივრცე, რომლითაც ეროვნული იდენტობის გარკვეული მოდელი შეიქმნა. უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** აღნიშნავს, რომ „მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც“.²

² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საადდგომო ეპისტოლე. 2006 <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomom2006.htm>

³ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2006. <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2006.htm>

თანამედროვე პოლიტიკური პოლარიზებისა და ირაციონალურობის პირობებში მართლმადიდებელი ეკლესია თავისი გამოკვეთილი შემრიგებლური პოზიციით გამოირჩევა და ეროვნული იდენტობის ფორმირების უპირველეს აქტორად გვევლინება. ეროვნული და რელიგიური კუთვნილება გახდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემის ფორმირების გარანტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავს, რომ „ეროვნულობა ქრისტიანობაში ნიშნავს ზრუნვას შენი ხალხის იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, რაც მის ცხოვრებას თან სდევს; ნიშნავს ზრუნვას მისი სულიერი და ზნეობრივი განვითარებისათვის, ნიშნავს ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დაცვას, რაც მის თავისთავადობას, მეობას განაპირობებს და ყველაფერი ეს ამავე დროს სხვა ხალხებისა და ქვეყნებისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას გულისხმობს. ...თუ გვსურს ვიყოთ თავისთავადნი და არა უფორმო, უსახო, საზოგადო მასის წარმომადგენელნი, უნდა ვიყოთ ეროვნული სულის ღირსეული მატარებელნი“.¹

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება და მისი ახალ სიტუაციაში რეკონსტრუქცია გარკვეულ ირაციონალურ ტენდენციებს აწყდება ტრანსპლატაციური მიდგომებით შეპყრობილი გარკვეული პოლიტიკური აქტორების მიერ. უნიფიცირებული ფორმით ყველაფრის მიღება ზიანს აყენებს ტრანსფორმაციულ პროცესებს, რომელიც ზოგიერთი ექსტრემისტულ-ლიბერალური ჯგუფებისგან მომდინარეობს და ქართული გენეტიკური და მენტალური სივრცის დეგრადირებას მიზანმიმართულად ახდენს. გარკვეული ძალების ანტიეროვნულ და ირაციონალურ ტენდენციებს, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია უპირისპირდება და გამოკვეთილ შეფასებებსა და პრინციპულ პოზიციას გამოხატავს ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დასაცავად. უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, რომ „ყველგან თვალში საცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია, დიდია მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ

4 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2000 <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2000.htm>

მდგომარეობად გამოცხადებისა“.¹

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება გამოვკვეთოთ: **პირველი** - პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში მართლმადიდებელი ეკლესია, პოლიტიკურ აქტორებთან შედარებით, ერის პოლიტიკურ კონსოლიდირებას ახდენს, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. **მეორე** - ქართული ეკლესიის პოზიცია მკვეთრად გამოიკვეთა ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვის მიმართულებით; იგი გახდა თანამედროვე ქართული ღირებულებითი სივრცისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი აქტიური შემოქმედებითი და ფუნქციურად მდგრადი ინსტიტუტი. **მესამე** - მართლმადიდებლობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავისი დომინანტური და სტაბილური სიტუაციის შექმნით ტოლერანტული და ოპტიმისტური გაწყობილების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტულ ღირებულებას წარმოადგენს. **მეოთხე** - პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში პოლიტიკური სოციალიზაციის თემატიკა ძალიან აქტუალური გახდა; ქართული ეკლესია მტკიცედ აფიქსირებს თავის პოზიციას ოჯახის, დემოგრაფიული სიტუაციისა და განათლების სფეროში არსებული პრობლემების მიმართულებით; ეს სფეროები დემოკრატიული ტრანზიციისა და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში პრიორიტეტული გახდა და ახალ მიდგომებს მოითხოვს. **მეხუთე** - მართლმადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** საჯარო პოლიტიკურ სივრცეში გამორჩეული რეიტინგითა და ავტორიტეტით სარგებლობს; ქართული ეკლესია სამოქალაქო სივრცის ყველაზე აქტიური და მდგრადი ინსტიტუტია, რომელსაც პოლიტიკური ტრანზიციის შედეგად წამოჭრილი პრობლემების მიმართ გამოკვეთილი კონსენსუალური მიდგომები აქვს და ადვილად ახერხებს დიალოგზე აგებული სიტუაციის შექმნას. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** მიუთითებს, რომ „ფაქტია ყველას

⁵ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. თბ., 2018. გვ.5

გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვექონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტერებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს“.¹

დასკვნა

თანამედროვე პოლიტიკური ტრანზიცია და ეროვნული იდენტობის ფორმირება ერთიან პროცესს წარმოადგენს, რომელიც თავისი რაციონალური და ირაციონალური ტენდენციებით ხასიათდება. ეროვნული იდენტობის ფორმირება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა, რომლის ფორმირების პროცესში პოლიტიკური სივრცის ყველა აქტორი უნდა მონაწილეობდეს; ეროვნული იდენტობის ფორმირებაში თავისი აქტიურობითა და პოზიციით მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა, რომელიც სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გამოკვეთილი აქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. ასი წლის წინათ. თბზ., ხუთ ტომად. ტ. 4, თბ., 1987, გვ.178-187
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2019 <http://patriarchate.ge/geo/patriarqi/ilia-ii/epistoleebi-illia-ii/>
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე.თბ., 2018
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. თბ.,2014
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საადდგომო ეპისტოლე. 2006 <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgoto2006.htm>

⁶ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საადდგომო ეპისტოლე. თბ., 2018, გვ.21-22

6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2006. <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2006.htm>
7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2000 <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2000.htm>
8. ნ. აბესაძე. მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნული-პოლიტიკური იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული XXIV/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2020, გვ. 237-249
9. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნული იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული XXIII /. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2019, გვ.229-235
10. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. /მთავარი მკვლევარია. გეგეშიძე, მკვლევარები: ე. მეტრეველი, ქ. ემუხვარი, ნ. სუმბაძე, თ. გეგეჭკორი, თ. კუხალაშვილი/ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბ., 2017
11. ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. „ნეკერი“, თბ., 2016

Orthodoxy and modern Georgian national identity

*Nodar Abesadze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Modernity is marked by the rise of national and political identities. The Orthodox Church plays an important role in shaping modern Georgian national-political identity. The Church of Georgia has great authority in the political space. Its role in the formation of political society and state self-government is prominent. The Church is one of the actors of modern political socialization. Its main task is to shape national and political identities. The work of the Church of Georgia is the foundation of political and institutional stability. The modern Georgian political space is institutionally weak, and society is polarized. These processes influence the formulation of national identity. The role of the Georgian Orthodox Church was especially emphasized in the process of formation of national identity. The authority and rating of the Georgian Church is very high in society. He is actively involved in solving public policy problems.

კულტურისა და ტრადიციების როლი ლიდერობაში

*ანთია არკადი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი მსოფლიო მიილტვის გლობალიზაციისკენ. გლობალიზაცია წარმოადგენს ერებს შორის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ყველაზე მეტად შესამჩნევი გახდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მერე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაიზარდა თითქმის ყველა სფეროში, როგორც სამოქალაქო ასევე სამხედროში. ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ გლობალიზაციამ შესაძლოა კულტურული განსხვავებების წაშლამდეც, თვითმყოფადობის განადგურებამდეც მიგვიყვანოს, განსაკუთრებით ჩვენნაირი მცირე ერები (თუმცა ამას დღეს სხვა კონტექსტიდან შევხედავთ). თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში მიმდინარეობს დაკვირვება და შესწავლა მზარდი კულტურათაშორისო ასპექტების. მეტად აქტუალური პრობლემა ხდება ფსიქოლოგიური თანხვედრა და ეთნოკულტურულ საზოგადოებებს შორის სხვაობები. სოციალური ფსიქოლოგიის მთავარი დავალება არის, ადამიანებს გააცნოს და შეასწავლოს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან სწორი ურთიერთობა. მსგავსი ცნობიერებების განვითარება ქმნის ადაპტაციის გაიოლების პირობას ახალ კულტურაში (აკულტურირებას). იგი აყალიბებს მექანიზმს ახალი ქცევების და წესების, პირობების, თვისობრივი ნორმების, ფასეულობების, ცხოვრების უჩვეულო გარემოებების შესახებ. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნული თუ არჩეული სუბიექტებისთვის, რომლებიც ლიდერებად უნდა მოგვევლინონ, ფლობდნენ იმ აუცილებელ ცოდნას და უნარებს, რაც მათ დაეხმარებათ განსხვავებული ეროვნების, რელიგიის, რასის და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებთან დაამყარონ საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ტრადიცია, სოციალური ფსიქოლოგია, აკულტურირება.

შესავალი

ლიდერობის განხილვის პრობლემას მივყავართ შორეულ წარსულში. მას შეიძლება შევხვდეთ პლუტარქეს, სენეკის, პლატონის, კონფუციუსის, მაკიაველისა და სხვათა მოსაზრებებში. ისინი აანალიზებდნენ ხელმძღვანელებისა და დაქვემდებარებულების ურთიერთობებს სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ლიდერის ფსიქოლოგიურ ხასიათს, უნარებს და კომპეტენციებს. ეს იყო ის, რაც ამ პიროვნებებს განასხვავებდა დანარჩენებისაგან.

ლიდერობას განსაზღვრავენ, როგორც ხალხზე ზემოქმედების საშუალებას, რომელსაც შეუძლია გამოანთავისუფლოს ადამიანების ენერჯია ჯგუფში დასახული მიზნის მისაღწევად. მეორე მხრივ ლიდერობას მიიჩნევენ ჯგუფური დინამიკის ფენომენად, რომელიც ავლენს კოლექტივის სურვილს ლიდერის ხელმძღვანელობის ქვეშ ინდივიდუალურად და ეფექტურად გამოავლინონ ჯგუფში კრეატიული შესაძლებლობები და გააერთიანონ საშუალებები საერთო შედეგების მისაღწევად. ზოგიერთებიც ლიდერობას მიიჩნევენ გაერთიანების, მობილიზების, შთაგონების ხელოვნებად, რათა საერთო ძალისხმევით ისწრაფონ და მხარი დაუჭირონ გუნდის ერთიან ღირებულებებს. ლიდერობა არ გვევლინება, როგორც გარედან შემოტანილი და თავს მოხვეული, არამედ ის წარმოიშობა ადამიანებს შორის და იქმნება მათთვის.

ლიდერის ფორმირებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის არის კულტურისა და ტრადიციების ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის ადეკვატური გამოყენება ემპირიულ მოღვაწეობაში. დღევანდელი გლობალური პროცესებიდან გამომდინარე ეს ფაქტორები მნიშვნელოვან განხილვებს საჭიროებს, რადგან „მსოფლიო დაპატარავდა“ რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ორგანიზაცია მისწრაფის საზღვრების გარღვევისკენ, ინტერესების გაფართოებისკენ. ეს თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების შესწავლას, მათ პატივისცემას და იმის გათვალისწინებას თუ რა არის მისაღები მათთვის და რა არა. შემეცნებითი პროცესების შესწავლამ მეცნიერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ჯგუფთაშორისო და კულტურათაშორისო ურთიერთქმედებებს, მის თანმდებ სოციალური სამყაროს დალაგებას, ადამიანები იწყებენ დიქტომურ საფუძვლებზე დაყრდნობით.

ჩემი პროფესიული პრაქტიკიდან გამომდინარე (გახლავართ

თავდაცვის ძალების მოქმედი ოფიცერი), ხშირად მიწევს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობების დამყარება, სადაც აშკარად შესამჩნევია მათ შორის კომუნიკაციის განსხვავებული ფორმის შერჩევის აუცილებლობა. ეს გვაიძულებს ადამიანებს, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობებზე, გავეცნოთ და შევისწავლოთ სხვადასხვა კულტურას შორის არსებული ძირითადი დიფერენციები, შედეგად შეძენილი ცოდნა და უნარები გამოვიყენოთ საჭირო დროს ჩვენთვის საჭირო კომუნიკაციის დასამყარებლად.

ძირითადი ნაწილი

კულტურის ცნება თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. იგი იმ ძალებისა და ფაქტორების კომპლექსია, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებსა და პროცესებს განსაზღვრავენ. ამ მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად სოციოლოგიამ სპეციალური ხედევა, მიდგომა გამოიმუშავა, რომელიც კულტურული ხედვის სახელითაა ცნობილი. თავად კულტურა სოციალური ფენომენია. კულტურისადმი მსგავსი მიდგომა მისი სოციალური ბუნებიდან მომდინარეობს. ზოგადი აზრით, კულტურის ცნება ხომ ყველაფერ იმას გულისხმობს, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი.

კულტურის შესახებ ოთხასზე მეტი განსაზღვრებაა ცნობილი, მაგრამ შეიძლება გამოვყოთ მისი ძირითადი დეფინიციები:

კულტურა გამოხატავს საზოგადოების სულიერი განვითარების დონეს, მის იდეალებს, ადამიანებთან კონტაქტში შესვლის უნარს;

კულტურა არის ის, რასაც სწავლობენ. ამ აზრით იგი არ წარმოადგენს ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლენას. კულტურა სოციალიზაციის პროცესში შექმნილი და შეძენილი ნორმების ერთობლიობაა;

კულტურა ადამიანის ცხოვრების ორგანიზებას ახდენს. მის ცხოვრებაში იგი იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც ცხოველთა სამყაროში გენეტიკურად დაპროგრამებული ქცევა ახორციელებს.

სხვადასხვა სააზროვნო ფენომენი კულტურის ცნებაში სხვადასხვა შინაარსს დებდა. განმანათლებლებმა მასში განათლების მომენტი შეიტანეს; კანტმა - ზნეობრიობა; ჰეგელმა - გონის განვი-

თარება; ნეოკანტიანელებმა - ღირებულების ცნება, სტრუქტურული ფუნქციონალისტური სკოლის წარმომადგენლებმა - ღირებულებათა სისტემა.

კულტურის უპირველესი შინაგანი მახასიათებელი არის შემოქმედება. იგი ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ნიადაგზე იქმნება და ძირითადად მის მიზნებზე და ინტერესებზეა დამოკიდებული. ის ადამიანის გააზრებული მოქმედებაა. კულტურის მეორე უმთავრესი მახასიათებელი თავისუფლებაა. ნებისმიერი ღირებულებების შექმნის პროცესში ადამიანს შესაძლებლობა აქვს, რომ ის ფორმა და შინაარსი მისცეს ამა თუ იმ ობიექტს, აზრს, იდეას, განცდას, როგორც მას სურს.

ყველა კულტურას გააჩნია როგორც გასხვავებული ასევე საერთო ნიშნები. მისი საერთო ძირითადი ნიშნებია: ენა - ნებისმიერი ადამიანური კულტურა წარმოუდგენელია ენის გარეშე; ესთეტიკური დამოკიდებულება - არც ერთი კულტურა არ განიცდის ესთეტიკის გამოხატვის და მისით სიამოვნების მიღწევის დეფიციტს; დაბადება-გარდაცვალებაზე შეხედულება - თვითოეულ კულტურას აქვს სტანდარტიზებული მიდგომები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა დაბადება და სიკვდილი; ბიოლოგიური მოთხოვნილებები - ყველა კულტურა უზრუნველყოფს თავისი ჯგუფის წევრების ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მათი ცხოვრების წესების დაცვას.

მთავარი კულტურათაშორისო განსხვავებები აღწერილია ეთნოცენტრიზმში, აბსოლუტიზმში, უნივერსალიზმსა და რელატივიზმში. ანთროპოლოგები და ფსიქოლოგები, რომლებიც იკვლევენ კულტურას, სულ უფრო მეტ ახალ ფაქტს პოულობენ იმის შესახებ, რომ ადამიანების შინაგანი, მორალური, და ეთიკური განზომილებები მსგავსია და განსხვავება მარტო გარეგან გამოვლინებებშია.

თანამედროვე კვლევებით დასტურდება, რომ არსებობს რამდენიმე გზა, რათა მოვამზადოთ ადამიანი კულტურათაშორისო ინტერაქციისათვის. ესენია:

განათლება - სხვადასხვა ეთნიკური საზოგადოების წარმომადგენელთა განსხვავებული კულტურის, ცხოვრებისა და ადათების შესახებ ცოდნის შექმნა;

ორიენტაცია - ახალი გარემოს, ძირითადი ნორმების, ღირებულებების, რწმენის მქონე პირის სწრაფი გაცნობა;

ბრიფინგი - გაფრთხილება შესაძლო პრობლემების შესახებ და ახალ გარემოში ადაპტაციის გარკვეულ ასპექტებზე ფოკუსირება;

კულტურული ასიმილაციის - პიროვნებას ასწავლის სიტუაციების ანალიზს და მეთოდებს უცხო კულტურის წევრების თვალსაზრისით მათი კულტურათაშორისო გრძნობის გაზრდაზე. კულტურული ასიმილაციის შედეგად ცხოვრებისეული სიტუაციების აღწერილობიდან, რომელშიც ურთიერთკავშირი ხდება ორი კულტურის წარმომადგენელი პერსონაჟების მონაწილეობით.

როგორც გარკვეული კვლევები ადასტურებენ აქტიური შეგრძნებები კულტურებს შორის ინტერაქციის დროს განსხვავებულია. ამ ფაქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს არასწორი აღქმა და გაგება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ქცევების ინტერპრეტაციაში. მსგავსი ემოციური მდგომარეობის ზუსტი გაგებისთვის გამოიყენება ე.წ. „FISA“-ს ტექნიკა. ეს ტექნიკა მოიცავს საფეხურეობრივ განმარტებებს საკუთარი და სხვის მიერ განცდილ ემოციებს შორის სხვაობებზე. „FISA“ არის სპეციალურად შემუშავებული კულტურათაშორისო ურთიერთგაგების ტექნიკა სადაც F - არის ფაქტების დაკვირვება, I - არის იდეების შემუშავება და მისი ინტერპრეტაცია, S - არის გრძნობების შესახებ ანგარიში და A - არის საკუთარი სიტყვებისა და ქცევების დაფასება სხვა კულტურასთან მიმართებაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავებული კულტურის გაგება და ახლოს მიტანა, მათთან სწორი კომუნიკაცია იწყება ზუსტად საკუთარი თავის სწორი შეფასებით.

მულტინაციონალური ორგანიზაციების შექმნამ, რაც მრავალფეროვანი სამუშაო ჯგუფების მართვას გულისხმობს, წარმოშვა საჭიროება ისეთი ლიდერების, ვინც უნდა ერკვეოდნენ სხვადასხვა ჯგუფების კულტურასა და ტრადიციებში და შეეძლოთ მათი პატივისცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიდერებს მოეთხოვებათ კულტურათაშორისი ურთიერთობების შესახებ ინფორმირებულობა და პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული საჭირო კომპეტენციები. Adler და Bartholomew ამტკიცებდნენ, რომ გლობალიზაციის პირობებში ლიდერებს სჭირდებათ შემდეგი ხუთი კულტურათაშორისო კომპეტენციის გამომუშავება: პირველი ლიდერები უნდა ერკვეოდნენ მსოფლიოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში; მეორე, მათ უნდა შეისწავლონ მრავალი

კულტურული შეხედულებები, მიდრეკილებები, გემოვნება, ტენდენციები და ტექნოლოგიები; მესამე, მათ უნდა შეეძლოთ განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანებთან მუშაობა; მეოთხე, ლიდერებს უნდა შეეძლოთ განსხვავებულ კულტურაში და კომუნიკაციასთან ადაპტირება; მეხუთე, მათ უნდა ისწავლონ სხვა კულტურის წარმომადგენლებთან თანასწორობის პოზიციიდან ურთიერთობა.

კულტურის მახასიათებლების კვლევას, რომელიც შემდეგ ერთ-ერთი მაგორმირებელი ფაქტორი ხდება ლიდერობაში, რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. მაგალითად, Hall-ი (1976) აღნიშნავდა, რომ კულტურის უმთავრეს მახასიათებელს ინდივიდუალობაზე ან ჯგუფურობაზე ფოკუსირების ხარისხი წარმოადგენს. სულ სხვა მიდგომა აირჩია Trompenaars-მა (1994), რომლის კვლევაში 47 ქვეყნის 15 ათასამდე მცხოვრები ღებულობდა მონაწილეობას. მისი დასკვნის მიხედვით, კულტურა შეიძლება ეფექტურად იქნეს კლასიფიცირებული ორ უმთავრეს განზომილებაში: ეგალიტარული (თანასწორობითი), ან იერარქიული, და პიროვნებაზე ან ამოცანაზე ორიენტირებული. ეგალიტარულ-იერარქიული განზომილება კულტურის მიერ ძალაუფლების გადანაწილების ან იერარქიული ძალაუფლების გამოხატვას უკავშირდება. პიროვნებაზე-ამოცანაზე ორიენტირებულობა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურისათვის პიროვნული ურთიერთობები, ან ამოცანებისა და დავალებების შესრულება.

კულტურაზე მიძღვნილი კვლევებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვანს Hofstede-ს (1980-2001) კვლევა წარმოადგენს. ამ კვლევის ფარგლებში 50-ზე მეტი ქვეყნის 100 ათასზე მეტი რესპოდენტი ღებულობდა მონაწილეობას. შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგად Hofstede-მ კულტურული განსხვავებების 5 ძირითადი განზომილება გამოკვეთა. ესენია: ძალაუფლების უთანასწორობა, გაურკვევლობის არიდება, ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი, მასკულიზურობა-ფემინურობა, გრძელვადიანი-მოკლევადიანი ორიენტაცია.

კულტურისა და ლიდერობის სფეროში შემდეგი ავტორების House, Hanges, Javidan, Dorfman და Gupta-ს (2004) შრომები, რომლებიც 800 გვერდიან წიგნშია გამოქვეყნებული: Culture, Leadership and Organizations: The GLOBE study of 62 Societies, დღეისთვის ყველაზე

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვამლევს აღნიშნულ თემასთან მიმართებაში. ამ ნაშრომებს The GLOBE study- ის უწოდებენ, რომლის სახელწოდება The Global Leadership and Organizational Behavior Effectiveness (გლობალური ლიდერობა და ორგანიზაციული ქცევების ეფექტურობა) კვლევის პროგრამიდან მომდინარეობს. ეს ნაშრომები ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს კულტურისა და ლიდერობის სფეროში.

GLOBE-ის პროექტის უმთავრეს მიზანს იმის განსაზღვრა წარმოადგენდა, თუ როგორი შეხედულება აქვს ლიდერობაზე განსხვავებულ კულტურებს. მათ მიერ განისაზღვრა ლიდერული ქცევის 6 ძირითადი ტიპი: ქარიზმატული, გუნდზე ორიენტირებული, მონაწილეობითი, ადამიანზე ორიენტირებული, ავტონომიური და თავდაცვითი. ამათ ანალიზზე დაყრდნობით მკვლევარებმა თითოეული კლასტერისთვის, ლიდერობის მახასიათებლების იენტიფიცირება შეძლეს. თვითოეული მახასიათებლების ერთობლობა აღწერს იმ მნიშვნელოვან ასპექტებს და სასურველ ქმედებებს, რომლებსაც სხვადასხვა კულტურები მიაწერენ ლიდერულ ქცევას.

დასკვნა

საქართველოში დღეს არსებულ კულტურაზე და ტრადიციებზე გაკეთებულ მეცნიერულ კვლევებს, დაწერილ პუბლიკაციებს და წიგნებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ცნობიერებაზე, თვითმყოფადობაზე, ნაციონალურ და რელიგიურ სიჭრელეზე იყოს ორიენტირებული და ასახვდეს რეგიონებს შორის ქცევებში, ნორმებში არსებულ განსხვავებას, მოქმედებების ნაირსახეობას და ტრადიციების სიმრავლეს, ფაქტიურად არ არსებობს. მიუხედავად GLOBE- ის მამუტაბური კვლევებისა, თუნდაც იმ კლასტერებიდან, რომლებიც კულტურული განზომილებებიდან გამომდინარე, რამდენიმე ქვეყანას აერთიანებს, უფრო საფუძვლიანი, სიღრმისეული კვლევების ჩატარების დროს აშკარა და ნათელი იქნება მათ შორის აღმოჩენილი განსხვავებებიც. საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ამ პატარა ქვეყანაშიც თვითოეულ თავის რეგიონს აქვს საკუთარი კულტურული მახასიათებლები, რომლითაც ის განსხვავდება დანარჩენი რეგიონებისგან და ხშირ შემთხვევაში ამ სხვაობების არცოდნამ და გაუთვალისწინებლობამ შეიძლება

გარკვეული პრობლემები წარმოშვას ადამიანებთან ურთიერთობების საკითხებში. ამიტომაც უნდა იყოს შესწავლილი და კვლევების საფუძველზე დადგენილი ის კულტურული მახასიათებლები, რომლის გათვალისწინება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროგრამებში ჩადება აუცილებელია ისეთი კურსებისთვის, რომლებიც მომავალ, პოტენციურ ლიდერებს ამზადებენ. ჩვენს მიერ წარმოებულ დაკვირვებებზე და გამოკითხვებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში გარკვეული პრობლემები აღინიშნება.

კულტურული თავისებურებების შესწავლა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გათვალისწინება არა მარტო მართვის პროცესშია აუცილებელი, არამედ უბრალო პოზიტიური, მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლადაც გამოდგება. დღევანდელ საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს იმისი პრობლემა კონტაქტი დაამყაროს და გაუგოს თუნდაც უცხო კულტურის წარმომადგენლებს, რადგან, როგორც თავიდან ავლნიშნეთ მიმდინარე გლობალიზაციის ტენდენცია შეუქცევადია, მსოფლიო ხდება ერთი ხელის გულივით და ადამიანები ერთმანეთზე დამოკიდებული.

ლიტერატურა:

1. ქეცბაია ვ. „სოციოლოგიის შესავალი“ თბ 2011;
2. კვარაცხელია ნ. „ადამიანი და მსოფხედველობა თბ 2001;
3. გ. ბანძელაძე „ადამიანის შინაგანი და გარეგანი კულტურა“ თბ 1978;
4. ჩარკვიანი დ. „ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“ თბ 2001;
5. ნორთჰაუსი პიტერ გ. „ლიდერობა. თეორია და პრაქტიკა“ მეხუთე გამოცემა, 2010.
6. Peter G. Northouse „LEADERSHIP” SIX EDITION 2014;
7. MARIAM P. SHEBAYA „LEADERSHIP DEVELOPMENT” ASTON UNIVERSITY 2011;
8. Фантаз Сергей „Национальные особенности систем управления персоналом: Япония, США, Россия, Украина;
9. <https://awarejune.com/typy-liderstva-i-funkcii-lidera/> Понятие лидерства и характеристика ситуационного лидерства.

The role of culture and traditions in leadership

*Arkadi Antia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

We know that today's world is moving towards globalization. Globalization is a growing interdependence between nations that has become most noticeable since the end of World War II. Over the past decades, these relationships have grown significantly in almost every field, both civilian and military. Many scholars point out that globalization may even lead to the erasure of cultural differences and the destruction of identity, especially in small nations like ours (but we look at this from a different context today). In Modern social psychology there it is observing and studying the growing intercultural aspects. The most topical problem is psychological coherence and differences between ethnocultural societies. The main task of social psychology is to introduce people and teach them the right relationship with people from different cultures. The development of such consciousnesses creates the condition for easier adaptation to a new culture (acculturation). It forms the mechanism for new behaviors and rules, conditions, qualitative norms, unusual circumstances of life of values. Therefore, it is especially important for the appointed or elected subjects to be leaders, to have the necessary knowledge and skills that will help them to establish business or friendly relations with people of different nationalities, religions, races and ethnicities.

კაცობრიობა ახალი გამოწვევების წინაშე

*გიორგობიანი ქეთევან, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დათუკიშვილი მანანა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმ გლობალური პრობლემების შესახებ, რომელსაც ჩვენი ცივილიზაცია შეეჯახა 21-ე საუკუნის დამდეგს და რომელიც გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვს. პრობლემები მრავალგვარია და ყოფიერების განსხვავებულ სფეროებს მოიცავს. გლობალიზაცია აკანონებს ახალი სახის თანამშრომლობას, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყანაა ჩართული; უნივერსალურს ხდის ღირებულებებს და ფასეულობებს; გარკვეული კუთხით ზრდის საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობას, მაგრამ აჩენს ახალ საფიქრალს და ქმნის ახალ პრობლემებს. ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ბუნებაზე მანვე ზემოქმედების შედეგებზე, ბაზრის გლობალიზაციის პროცესზე, მსოფლიოს გეოპოლიტიკური კურსის რყევებსა და ცვლილებებზე, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დონის განსხვავებულობაზე, ეკონომიკურ წინააღმდეგობაზე ცენტრსა და რეგიონებს შორის, უმუშევრობასა და არასაკმარის სამუშაო ადგილებზე, მიგრაციაზე, ცვლილებებზე მედიის სფეროში. აღნიშნულია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა, როგორც მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, ასევე დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ხაზგასმულია პერსპექტივაზე გათვლით ქმედების, საკუთარი და სხვისი გამოცდილების და არსებული რესურსების ბოლომდე გამოყენების აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების ჰუმანიზაციის და გლობალური პასუხისმგებლობის განცდის მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ახალი გამოწვევები; ახლებური ურთიერთდამოკიდებულება; განვითარების ახალი მოდელი; ახალი ცნებები; რეგულაციები და სტანდარტები; საზოგადოების ჰუმანიზაცია; გლობალური პასუხისმგებლობის განცდა.

შესავალი

21-ე საუკუნის დამდეგს ჩვენი ცივილიზაცია მორიგი დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, შეეჯახა მთელ რიგ გლობალურ პრობლემებს, რომლებიც გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვს. პრობლემები მრავალგვარია და ყოფიერების განსხვავებულ სფეროებს მოიცავს. რეალობა და მოცემულობა მარტივად ვერ შეიცვლება, მხოლოდ მასთან ადაპტაციით და სწორი, ზუსტად გათვლილი ქმედებებით არის შესაძლებელი პრობლემების გადაჭრასთან მიახლოვება, ყველაზე ოპტიმალური გზების მონახვა, რაც მაქსიმალური სარგებლის მიღების შანსებსაც გააჩენს და მსოფლიო საზოგადოების ინტერესების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებასაც შესაძლებელს გახდის. საყოველთაო კეთილდღეობისკენ სწრაფვა სრულიად გასაგები და ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იქმნება იმის საშიშროება, რომ ცალკეულმა, განსაკუთრებით პატარა ერებმა დაკარგონ საუკუნეების განმავლობაში შემონახული და დღემდე მოღწეული იდენტობა და აითქვიფონ უზარმაზარ მასაში.

ძირითადი ნაწილი

მოსახლეობის რაოდენობა მთელ მსოფლიოში მუდმივად მზარდია. სარწმუნო პროგნოზების თანახმად, თუკი არ მოხდა რაღაც განსაკუთრებული და საბედისწერო, რომელთანაც გამკლავება ადამიანთა ძალებს აღემატება, მაგ. ბუნებრივი კატაკლიზმები, მიწისძვრები, ტროპიკული წვიმები, გლობალური დათბობა, ომები, ეპიდემიები და ა.შ. კლიმატის ცვლილება ყველგან არაპროგნოზირებად სიტუაციას იწვევს და კატასტროფების რისკს ზრდის. 2025 წლისთვის პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 9 მილიარდს მიაღწევს. ექსპერტები ხმამაღლა აცხადებენ, რომ დედამიწას ამდენი ადამიანის გამოკვება და შენახვა გაუჭირდება. მით უმეტეს, რომ კაცობრიობამ ბუნებას უკვე მიაყენა უდიდესი, ზოგ შემთხვევაში კი გამოუსწორებელი ზიანი, განსაკუთრებით ე.წ. „ინდუსტრიული რევოლუციების“ პერიოდში. ადამიანის ბუნებაზე მანვე ზემოქმედების შედეგი და სავალალო რეზულტატი სახეზეა - ნიადაგის გამოფიტვა, კლიმატის ცვლილებები, ჰაერის დაბინძურება, ტყის მასივების შემცირება და ა. შ. საფრთხის მასშტაბების გათვალისწინება ადამიანებს სწრაფი და დაუყოვნებელი საპასუხო

ქმედებისკენ უბიძგებს; რეაქცია ზუსტი და შესაბამისი უნდა იყოს, თორემ განვითარების ახალ საფეხურზე გადანაცვლება, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს.

განვითარების ახალ რელსებზე გადასვლა, ცხადია, ვერ მოხერხდება მშვიდად და უკონფლიქტოდ. სახელმწიფოები მსოფლიოში ღირსეული ადგილის დაკავებას ლამობენ და იმაშიც რწმუნდებიან, რომ ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთკავშირი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური თუ პოლიტიკური განვითარების მიმართულებით უალტერნატივოა. ამ სისტემების ორგანიზაცია თანდათან რთულდება. კაცობრიობა ცივილიზაციის განვითარების იმ ეტაპზე აღმოჩნდა, როცა დეზინტეგრაციის და დეგრადაციის პროცესებმა აშკარად იჩინა თავი და საფრთხე შეუქმნა პერსპექტივაში დასახულ სასიკეთო ცვლილებებს.

გლობალიზაციამ და ახლებურმა ურთიერთდამოკიდებულებამ კაცობრიობას უნდა შესთავაზოს განვითარების პრინციპულად ახალი მოდელი. გლობალიზაცია აკანონებს ახალი სახის თანამშრომლობას, რომელშიც მრავალი ქვეყანა ჩართული, ასევე მსოფლიოს ახალ მოწყობას, გარკვეული კუთხით ზრდის საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობას, მაგრამ ასევე აჩენს საფიქრალს და ქმნის ახალ პრობლემებს. ამასთანავე ხდება ახალი ტექნოლოგიების, ეკონომიკების და კულტურების ურთიერთგანაწილება, შესაბამისად ჩნდება „მსოფლიო მოქალაქის“ ცნება, უნივერსალური ხდება ღირებულებები და ფასეულობები.

დღესაც კი, 21-ე საუკუნეში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ადამიანთა ცხოვრების დონე მკვეთრად განსხვავებულია და ეს განსხვავება კი არ იკლებს, ზოგიერთი ასპექტით მზარდიც კია. დადგენილია, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის წილად საერთო პროდუქტის მხოლოდ ერთი მესამედი მოდის, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის სამი მეოთხედი ცხოვრობს. ბუნებრივი რესურსების მთავარი მომხმარებელი, რა თქმა უნდა, განვითარებული ქვეყნებია. კვლევების თანახმად, ასეთ ქვეყნებში მცხოვრები თითოეული ადამიანი, თავისი სიცოცხლის განმავლობაში, გამოიყენებს პლანეტაზე არსებულ 20-30-ჯერ მეტ რესურსს, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების ბინადარნი, რომლებსაც „ეკონომიკური რევოლუცია“ ნაკლებად შეეხოთ.

დღეს ბევრს მსჯელობენ მსოფლიო მართვაზე, იქმნება ახალი ცნება ახლებური გაგებით - „მსოფლიო ცივილიზაცია“, თუმცა

მოსაზრებები მფვეთრად განსხვავებულია; ნაწილი დადებით ტენდენციად მიიჩნევს საზღვრების გახსნას, კომუნიკაციების განვითარებას, პრობლემებთან საბრძოლველად მსოფლიოს შეკავშირებას, რასაც მნიშვნელოვნად თვლიან პოზიტიური და პროგრესული ძვრებისთვის და პლანეტაზე მშვიდობის შესანარჩუნებლად. მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებენ, რომ უთანასწორობის ზრდის პარალელურად მწვავედება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები; შიშობენ, რომ კონკურენციის შედეგი ერთსახოვნება იქნება და არა მრავალფეროვნება.

ინტენსიურად მიმდინარეობს ბაზრის გლობალიზაციის პროცესი. ეჭვს არ იწვევს საბაზრო უსაფრთხოების დარეგულირებული სისტემის მნიშვნელოვანი როლი გონივრული და დროული ინიციატივების გამოვლენასა და დამცავი მექანიზმების შექმნაში, თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ ბაზრის გახსნა გამოიწვევს საზღვრების გახსნასაც და ეს, თავის მხრივ, შექმნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს იმ ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო ინფრასტრუქტურა სუსტია და თავდაცვის საშუალებებიც, ფაქტობრივად, არ არსებობს. მსოფლიო ვაჭრობის დღევანდელ მდგომარეობას ექსპერტთა ნაწილი განიხილავს „ზედაპირულ ინტეგრაციად“, როდესაც არსებობს განსაზღვრული დამცავი ბარიერები ტარიფების, კვოტების და ა. შ. სახით; მწარმოებლებს აქვთ იმის შესაძლებლობა, შეინარჩუნონ სუვერენიტეტი და გარვეული კუთხით დამოუკიდებლობა, მაგრამ ბაზრის გლობალიზაციის ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ მსოფლიო გადავიდეს „ღრმა ინტეგრაციაში“, როდესაც პროდუქციის წარმოების უნიფიცირებულ სტანდარტებზე გადასვლა ხდება და ნაციონალური ბარიერებს საერთაშორისო ნორმები და წესები ცვლის. თუმცა არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ არსებობს ექსპანსიის ახალი ფორმების გაჩენის საშიშროება, ზოგიერთი ქვეყნის მისწრაფება და მცდელობა თავს მოახვიოს სხვებს თავისი რეგულაციები და სტანდარტები, რაც, დიდი ალბათობით, ნეგატიურ საპასუხო რეაქციას გამოიწვევს. ამიტომ პოლიტოლოგთა ნაწილი მიზანშეწონილად თვლის პირველ ეტაპზე უნიფიცირებული ნორმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ნაციონალური მრავალფეროვნების არსებობის საჭიროება.

ბაზრის გლობალიზაციის ტენდენციას მხარს უჭერენ საერთაშორისო კორპორაციები და ეს, ალბათ, გასაკვირი სულაც არ არის. შეინიშნება კიდევ ერთი ფაქტორი - პროდუქციის ეროვნული

კუთვნილების ცნება თანდათან უფასურდება და აზრს კარგავს. ბუნებრივი ხდება სიტუაცია, როცა, ვთქვათ, ნედლეული მოიპოვება ერთ ქვეყანაში, პირველადი გადამამუშავება ხორციელდება მეორე ქვეყანაში, პროდუქტი საბოლოო სახეს იღებს - მესამეში; ხდება წარმოების ინტერნაციონალიზაცია, რასაც სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციის დიდი ნაწილი ხმარდება. უაღრესად მნიშვნელოვანია ნაციონალური და საერთაშორისო კორპორაციების ინტერესების ერთგვარად შერწყმა და შესაბამისობაში მოყვანა. ამის მიღწევა კი დიალოგით და მოლაპარაკებებით არის შესაძლებელი, ბევრი რამ არის დამოკიდებული ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შემდგომში აისახება საერთაშორისო შეთანხმებებში.

კონკურენციული ბრძოლა წარმოებს იმ მიმართულებითაც, რომ ტექნოლოგიების განვითარება, წარმოების გაზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება მოხერხდეს რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, ამიტომ მსხვილი კორპორაციები ცდილობენ გადიტანონ წარმოება იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც შრომის ანაზღაურება დაბალია, სადაც არის შესაძლებლობა იაფად მომზადდეს შესაბამისი კადრები. ასეთ ქვეყნებად ძირითადად აზიურ და ლათინოამერიკულ ქვეყნებს მოიაზრებენ.

მსოფლიოს გარკვეულ ქვეყნებში იზრდება ეკონომიკური წინააღმდეგობა ცენტრსა და რეგიონებს შორის, რაც იწვევს დაპირისპირებას ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებას შორის, თუ ამას ნაციონალური ფაქტორიც დაემატა, შესაძლოა ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეექმნას და კონფლიქტი სახელმწიფოს გახლეჩით დამთავრდეს.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის არასაკმარისი სამუშაო ადგილები. გაზრდილი უმუშევრობის პირობებში მრავალი ქვეყანა ადგილობრივი მცხოვრებლების მაქსიმალურად დაკმაყოფილების ნაცვლად ცდილობს სხვა ქვეყნებიდან მოიზიდოს იაფი მუშახელი. არ არის გადაწყვეტილი მიგრაციის პრობლემა. ყოველწლიურად იზრდება ემიგრანტთა რიცხვი, რომელთა დიდი უმრავლესობა, ბუნებრივია, განვითარებულ ქვეყნებში მოხვედრას ცდილობს. არსებობს ასეთი ვარაუდიც, რომ 2025 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა მიაღწევს 5 მილიარდს და აქედან 230 მილიონი ემიგრანტი იქნება. მათ მიერ ხორციელდება ფულადი გადარიცხვები საკუთარ ქვეყნებში, რაც ამ სახელმწიფოებისთვის ფინანსური თვალსაზრისით არცთუ

უმნიშვნელოა, არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს თანხები, ზოგჯერ ერთადერთი საშუალებაა ემიგრანტთა ოჯახების ფიზიკური გადარჩენისთვის.

გასათვალისწინებელი ფაქტორია მსოფლიოს გეოპოლიტიკური კურსის რყევები და ცვლილებები. ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტილოგი ფიქრობს, რომ მომავალში მსოფლიო მრავალპოლუსიანი გახდება. ძირითადად აქცენტი კეთდება რამდენიმე სახელმწიფოზე: აშშ, გაერთიანებული ევროპა, ჩინეთი, რუსეთი, იაპონია და ისლამური ქვეყნების კავშირი. მიიჩნევენ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან შეიქმნება მსოფლიოს მოწყობის უფრო ორგანიზებული და დაბალანსებული სტრუქტურა.

ბოლოდროინდელმა ვითარებამ ნათლად აჩვენა, რომ გლობალური პრობლემების გადაჭრას ცალკეული ქვეყნები ვერ მოახერხებენ. მაგალითად გამოდგება საყოველთაო პანდემია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო საწარმო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, არამედ შეცვალა ადამიანური და კონტინენტაშორისი ურთიერთობებიც. მთელი მსოფლიო ერთობლივად უმკლავდება ამ საშინელ სენს, კოვიდთან ბრძოლის მსგავს მეთოდებს იყენებენ და მსგავს რეკომენდაციებს გასცემენ, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ერთობლივად ახერხებენ რესურსების მობილიზებას, ერთად სწავლობენ კორონავირუსთან თანაცხოვრებას. ჩვენი ექიმებიც წარმატებით არიან ჩაბმული ამ ბრძოლაში და მაქსიმუმს აკეთებენ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად.

ცვლილებები, რა თქმა უნდა, შეეხო მედიის სფეროსაც. არსებობს ცნება „გლობალური მედია“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დიდი ნაკადის უსაზღვრო გავრცელებას. მისი მასშტაბები უფრო და უფრო გლობალური ხდება. ციფრული მეთოდების ინტენსიურმა გამოყენებამ ინფორმაციის წარმოების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა მოხმარებისთვის ბევრი რამ შეცვალა, უპირველესად კი მოხერხდა ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების თავმოყრა და მედიის ფუნქციონირების გამართივება. ელექტრონულმა მედიამ შეძლო სივრცისა და დროის რეორგანიზება და სხვა მნიშვნელოვან პროცესებთან ერთად შეცვალა თანამედროვე სამყარო და ჩვენი რეალობა.

საქართველოც, რომელიც მსოფლიოს შემადგენელი ნაწილია, ბუნებრივია, ასეთივე გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორის უმთავრესია ევროპის საბაზისო ეკონომიკასთან, ქვეყნის

უსაფრთხოებისთვის ნატოს სტანდარტებთან მიახლოება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, წარმოების, სოფლის მეურნეობის, განვითარება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ადამიანთა უფლებების სრულფასოვნად დაცვა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ბოლომდე გათავისება. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითშეგნების გაღრმავება და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება. საქართველოშიც უაღრესად აქტუალური და სწრაფად გადასაწყვეტია დასაქმების პრობლემა. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები იდგმება, რაც საკმარისი ნამდვილად არ არის, მაგრამ იმედისმომცემია. მისასალმებელია ახალი პროფესიული სასწავლებლების გახსნა და მათი პოპულარიზაცია. პროფესიულ სასწავლებლებში მომზადებული კადრების დასაქმების მაჩვენებელი 60 %-ია, რაც იმას ნიშნავს, ისინი უმაღლესდამთავრებულებზე უკეთ საქმედებიან. ზოგადად, უმუშევრობის კოეფიციენტის შესამცირებლად ქმედითი ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო, მათ შორის პრიორიტეტულია ეკონომიკის ამუშავება და ჩვენს და საერთაშორისო ბაზარზე ეროვნული პროდუქციის წილის განუხრელი ზრდა. მოსახლეობას მშვიდობიანი განვითარება სურს, თუმცა ბევრი რამ გლობალურ პროცესებზე არის დამოკიდებული. პოლიტიკური ტენდენციები, როგორც წესი, დემოკრატიის ფლაგმან სახელმწიფოებში ყალიბდება. ამ ტენდენციებს კი გარდატეხა შეაქვთ საზოგადოებაში. პანდემია, უმუშევრობა, შემოსავლების შემცირება, ეროვნული ვალუტის მერყეობა, საგარეო და საშინაო პოლიტიკა - ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჭაჯული, მაგრამ მთავარია სიტუაციის რეალურად შეფასება, მოქმედება პერსპექტივაზე გათვლით, საკუთარი და სხვების გამოცდილებისა და არსებული რესურსების ბოლომდე გამოყენება.

დასკვნა

მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, წარმოების ეკოლოგიზაცია, ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება და დემოკრატიზაცია არ არის საკმარისი საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისთვის; მნიშვნელოვანია საზოგადოების ჰუმანიზაცია, მორალისა და ეთიკური ნორმების არსებობის აუცილებლობის გათავისება. გლობალური ცვლილებების პერიოდში გლობალური პასუხისმგებლობის გრძნობის განცდა. მხოლოდ სულიერად ჯანსაღი

საზოგადოება შეძლებს უამრავ გამოწვევასთან გამკლავებას. მაღალი სულიერი კულტურის გარეშე სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, სავაჭრო და ა. შ. ურთიერთობები არ იქნება მყარი და საიმედო; ასევე უაღრესად საჭირო და აუცილებელია აქტიური პარტნიორობა სახელმწიფოებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს შორის.

ლიტერატურა:

1. Коптюг В. Будущее цивилизации и проблемы развития. 1994.
2. //plato.stanford.edu. Globalization. Substantive revision 2018.

Mankind Faces New Challenges

*Katie Giorgobiani, associate professor
Georgian Technical University*

*Manana Datukishvili, associate professor
Georgian Technical University*

Summary

The paper talks about the global problems that our civilization faced at the beginning of the 21st century and which require a global solution. The problems are many and involve different areas of existence. Globalization is legitimizing a new kind of cooperation in which many countries of the world are involved; makes values universal; in some ways it increases the responsibility of the international community, but it brings new thinking and creates new problems. The focus is on the consequences of the impact on human nature, the process of market globalization, fluctuations and changes in the world geopolitical course, differences in living standards in developing countries, economic resistance between the center and regions, unemployment, inadequate jobs and migration changes in media. It is also mentioned that our country, as an integral part of the world, also faces great challenges. Emphasis is placed on the importance of humanizing society and a sense of global responsibility.

Keywords: globalization; new challenges; new interdependence; new model of development; new concepts; regulations and standards; humanization of society; a sense of global responsibility.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდის გამოყენება მედიაციის სწავლებისთვის

*სანიკიძე ლია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია განიხილავს მედიატორთა პროფესიული მომზადების სპეციფიკას. ყურადღება გამახვილებულია მომავალი და აქტიური მედიატორებისთვის შესაბამისი კომპეტენციების შემუშავებაზე. ავტორი აღწერს, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხების შესწავლა და მედიაციის პროცესის წარმართვის პრაქტიკული უნარების განვითარება. სტატიაში განხილულია ინტერაქტიული სწავლების ტექნიკის გამოყენების მნიშვნელობა მედიატორების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. იგი ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტორებს, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული შედეგების გასაუმჯობესებლად და რამდენადაა პროფესიონალური ტრენინგი აუმჯობესებს მედიატორის მუშაობას.

საკვანძო სიტყვები: ინტერაქციული ტრენინგი, მედიატორების სწავლება, კომპეტენციები, სოციალურ-ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევები.

შესავალი

წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს მომავალ მედიატორთა სწავლების, განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების პროფესიული ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგიის სპეციფიკას. თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში მედიაცია დანერგვისა და განვითარების პროცესშია. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ თემის გარშემო საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა და ზოგადად ამ კუთხით ცნობიერების გაზრდა. პროფესია მედიატორი დღეს საქართველოშიც ნაცნობი ფორმულირებაა. მედიაციის შესახებ მიღებულმა კანონმა ეს მოცემულობა შექმნა ქვეყანაში. ჩამოყალიბებულია საქართველოს მედიატორთა ასოციაცია და განსაზღვრულია მედიატორთა მომზადების რეკომენდაციები და სტრატეგია. სხვადასხვა

დარგის პროფესიონალებისათვის გაჩნდა რეალური შესაძლებლობა ამ მიმართულებითაც განვითარდნენ თუ თვლიან, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი უნარები, სურვილი და რაც მთავარია შინაგანი რწმენა და ღირებულებები დაეხმარონ ადამიანებს დავების მოგვარებაში.

ძირითადი ტექსტი

მედიატორები კონფლიქტში მყოფ მხარეებს ეხმარებიან მეტად ჰუმანური გზით, მოლაპარაკებითა და ურთიერთმისაღები შეთანხმებით მიაღწიონ სასურველ შედეგს. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული - ADR (Alternative Dispute Resolution)- მეთოდია. მედიატორი მედიაციის პროცესს უძღვება. იგი ქმნის კონფიდენციალურ, თავისუფალ და არაფორმალურ გარემოს. მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს ეხმარება შეთანხმებას მიაღწიონ უფრო სწრაფად და ნაკლებ დროში. ვიდრე ისინი შეძლებდნენ დამოუკიდებლად. მედიატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღწევაში. ამასთანავე, მედიატორებს შეუძლიათ იქცნენ არა მარტო დავის მომგვარებლებად, არამედ „ახალი გარიგების“ ხელშემწყობებად (ე.წ. deal maker). მიუხედავად მედიატორის მუშაობის სტილის, პიროვნული შეხედულებებისა თუ საქმეში არსებული გარემოებებისა მათ შეუძლიათ განაპირობონ ემოციური რესურსის დაზოგვაც. მედიაციის პროცესის სრულფასოვანი ჩატარებისათვის აუცილებელია, მედიატორი ცდილობდეს კონფლიქტის გადაწყვეტას მხარეთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების (მატერიალური, ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი) დაკმაყოფილებით. მედიაცია უნდა იყოს ინტერესებზე და არა – უფლებებზე დამყარებული პროცესი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მედიატორისთვის უმნიშვნელოვანესია გააჩნდეს მაღალი ხარისხის სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის და უნარ-ჩვევების კომპეტენცია. პროფესიული ტრენინგების ჩატარების მეთოდოლოგია უნდა უზრუნველყოფდეს ამ კომპეტენციის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით უმჯობესია ინტერაქციული სწავლების ტექნიკების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც ხდება როგორც ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა. სწავლების შედეგად

ადამიანს უყალიბდება თეორიული და კონცეპტუალური სისტემა, რაც სტიმულს აძლევს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ინტერაქტიური მეცადინეობები: როლური თამაშები, სიმულაციები, პრაქტიკული დავალებების შესრულება, დისკუსიები ხელს უწყობს და მნიშვნელოვანია სოციალურ-ფსიქოლოგიური უნარების გამოსამუშავებლად. პრაქტიკული დავალებად მიცემა შეაფასონ სიმულაციურ სიტუაციაში სხვადასხვა პირები და მათ მიერ წარმართული განსხვავებული პროცესები ასევე ძალიან ეფექტურია მომავალი მედიატორების პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით. პრაქტიკული სავარჯიშოები სასურველია ისე შეირჩეს, რომ ტრენინგის მონაწილეებმა შეძლონ მუშაობა როგორც ინდივიდუალურად ასევე წყვილებში („კო-მედიაციის“ სიმულაცია).

მედიატორთა ტრენინგების შინაარსობრივი, თეორიული ნაწილიც მნიშვნელოვნად უნდა მოიცავდეს სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნას. მედიატორებს უწევთ ურთიერთობა დავაში ჩართულ მხარეებთან და სჭირდებათ მათ სრულიად განსხვავებულ რეაქციებთან, ქცევებთან და ემოციებთან შეხება და ურთიერთობა. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი ემოციებთან, განცდებთან გამკლავება და ქცევის კონტროლი. მედიაციის პროცესი რთული პროცესია და მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. აქაც, ხაზი უნდა გაესვას, რომ იგი განსხვავდება ჩვეულებრივი მოლაპარაკების პროცესისგან. მედიაციაში მეტი აქცენტი კეთდება მოდავე მხარეების საჭიროებებსა და ინტერესებზე. მედიატორის ყველა ქმედება მიმართულია მხარეების ხელშეწყობაზე გაიაზრონ ეს საჭიროებები და ინტერესები, და არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა მხარისაც და შემდგომ მათი შეჯერებით მივიდნენ ურთიერთმისაღებ და ურთიერთმომგებიან შეთანხმებამდე. ამასთანავე, პროცესის დროს გასათვალისწინებელია ემოციური მდგომარეობა, ხშირად მეტად დამაბული და ნეგატივით გაჟღენთილი, რასთანაც გამკლავება ასევე მედიატორის კომპეტენციაა. კონფლიქტი ადამიანური ურთიერთობის შემადგენელი პროცესია. იგი საყოველთაო მოვლენაა და მასთან ურთიერთობაც ჩვეულებრივი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამოყენებით უნდა მოხდეს. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა, რომ ისინი პირად და საქმიან ურთიერთობებს ერთმანეთში არ ურევენ, რამდენიც არ უნდა

ეცადონ ამის რეალურად მიღწევას, ეს ამგვარადაა და მედიატორის კომპეტენციაც სწორედ მხარეებისთვის ისეთი სიტუაციის შექმნას წარმოადგენს, სადაც ეს ადამიანური, კომუნიკაციური პრობლემები შედეგზე ვერ მოახდენს ნეგატიურ გავლენას. მედიატორი კომუნიკაციური კომპეტენციები: პარტნიორზე ორიენტირებულობა, ეფექტიანი მოსმენის ტექნიკა, კითხვების დასმის ტექნიკა, ასერტიული ქცევა, ემოციებთან მუშაობა, კონსტრუქციული უკუკავშირი, კონფლიქტის მართვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარმართვა, მოლაპარაკებისათვის კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა განაპირობებს შედეგზე ორიენტირებული და გონივრული შეთანხმების მიღწევის პროცესს.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის პროცესი იძლევა შემჭიდროებულ დროში მედიაციის პროცესში წარმოშობილი რთული სიტუაციების მოდელირების საშუალებას. მონაწილეებს უნვითარებს განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებს. შესაძლებლობას აძლევს მრავალმხრივ, სხადასხვა რაკურსით აღიქვან სიტუაციები და ივარჯიშონ სხვა ადამიანების ემოციების თანაგანცდაში, გაიაზრონ უკუკავშირით მიღებული ინფორმაცია საკუთარ თავზე. სასწავლო თეორიული საკითხების პარალელურად ამგვარი ინტერაქციული პროცესის დროს მიღებული ინტენსიური გამოცდილება მონაწილეებს მნიშვნელოვნად განუვითარებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ უნარ-ჩვევებს და ასევე, მისცემს საშუალებას თვითონვე განსაზღვრონ თუ რა მიმართულებით აქვთ მეტი სამუშაო საკუთარი კომპეტენციის ასამაღლებლად.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის საშუალებით შესაძლებელია შესწავლილ იქნას ყველა იმ შინაარსის თემები და შესაბამისად მოხდეს მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რაც მთლიანობაში აღწერს მედიატორის სამუშაო კომპეტენციებს.

გავარჯიშდნენ იმ უნარ - ჩვევებში, რომლებიც მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში დაეხმარება მათ. აგრეთვე, სხვადასხვა კონტექსტში და სიტუაციებში განაზოგადონ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. თავისი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე რეალურ სიტუაციას მოარგონ მიღებული ინფორმაცია.

დასკვნა

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზების – მედიაციის ეფექტიანი მოდელის დანერგვა და განვითარება გულისხმობს მედიატორთა შესაბამის სწავლებასა და სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპეტენციებით აღჭურვას. ჩვენ გთავაზობთ ინტერაქციული მეთოდებით სწავლების ფართოდ გამოყენებას ამ მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს, პროფესიის უკეთ დახვეწას, რაც თავის მხრივ წაადგება მართლმსაჯულების მოდერნიზებასა და რეფორმირებას. მედიაციის ძირითადი ღირებულებების დანერგვა კი განაპირობებს სოციალური მშვიდობისა და მოქალაქეთა ჰარმონიული თანაცხოვრების ხელშეწყობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცერცვაძე, გიორგი. მედიაცია. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2010.
2. წულაძე, ალექსანდრე. ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი. „იურისტების სამყარო“. თბ., 2017
3. ასოც. პროფესორი გიორგი ცერცვაძე. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში (კვლევა). დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი. 2013 წ.
4. საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები, კონფლიქტების მოგვარება (მოლაპარაკება, ფასილიტაცია, მედიაცია), წიგნი1 თბილისი 2015წ. ავტორთა ჯგუფი.
5. В.Н. Дружинин, «Психология общих способностей, питер», Санкт-Петербург, 2000
6. Д. Майерс, «Социальная психология интенсивный курс», Москва, 2000, 2010
7. Д. Кори, «теория и практика группового консультирования, Москва, 2003
8. Р. Сакварелидзе, «Интерактивное обучение и его психологические основы», Тбилиси, 2004
9. Techniques of Training – Leslie Rae; 2001, BVM

10. Аронсон Э., Уилсон Т., Эйкерт Р. Социальная психология. Психологические законы поведения человека в социуме. М., 1986. 2004.2014
11. Зейгарник Б.В. Теория личности Курта Левина. М, 1981.2015
12. Изард К. Психология эмоций. М., 2000.2011

Using interactive training method for learning mediation techniques

*Sanikindze Lia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The presented article reviews the specifics of conducting professional training for the Mediators. Emphasis is placed on the development of relevant competencies for the future and active Mediators. Author describes how to ensure the study of socio-psychological issues and the development of practical skills to guide the mediation process. The article discusses the importance of using interactive training techniques in order to improve the professional qualifications of mediators. It also highlights the factors that should be taken into account to improve the results and the extent at which professional training improves the mediator's performance.

Keywords: Staff Training, Management, Competency, Social-Psychological Skills

ერეკლე მეორის საგანმანათლებლო მოღვაწეობის პარადიგმები

*სურმაგა მარინე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

წიგნი განსაკუთრებული ანდამატია, ერთგვარი დროის მანქანაა, სადაც სულ სხვა ეპოქიდან, სულ სხვა გარემოში უნდა იმოგზაურო. თან ისე, რომ იმ სამყაროს პრინციპები არ დაარღვიო და უკან დაბრუნებისას ყველაფერი ხელუხლებლად დატოვო. წიგნი ერთი დიდი სახელმწიფოა, სადაც ცუდი განზრახვით ვერ შეაღწევ, ვერაფერს დაანგრევ. ის საკუთარ წესებს გთავაზობს, თვალსაწიერს გიფართოებს და უამრავ საკითხზე იწყებ ფიქრს. ქართულ ხელნაწერ წიგნს, ძველი ნაბეჭდი წიგნი უწევდა კონკურენციას, ეს ტექსტის უცვლელად შენარჩუნების გარანტი იყო. ხელნაწერ წიგნში კი, დროთა განმავლობაში ტექსტი იკარგებოდა და მკითხველამდე პირვანდელი სახით ვერ აღწევდა.

საკვანძო სიტყვები: წიგნი, დროის მანქანა, სტამბა, სამეფო პალატა.

შესავალი

წიგნი განსაკუთრებული ანდამატია, ერთგვარი დროის მანქანაა, სადაც სულ სხვა ეპოქიდან, სულ სხვა გარემოში უნდა იმოგზაურო. თან ისე, რომ იმ სამყაროს პრინციპები არ დაარღვიო და უკან დაბრუნებისას ყველაფერი ხელუხლებლად დატოვო. წიგნი ერთი დიდი სახელმწიფოა, სადაც ცუდი განზრახვით ვერ შეაღწევ, ვერაფერს დაანგრევ. ის საკუთარ წესებს გთავაზობს, თვალსაწიერს გიფართოებს და უამრავ საკითხზე იწყებ ფიქრს. ქართულ ხელნაწერ წიგნს, ძველი ნაბეჭდი წიგნი უწევდა კონკურენციას, ეს ტექსტის უცვლელად შენარჩუნების გარანტი იყო. ხელნაწერ წიგნში კი, დროთა განმავლობაში ტექსტი იკარგებოდა და მკითხველამდე პირვანდელი სახით ვერ აღწევდა.

ძირითადი ტექსტი

პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი 1629 წელს რომში გამო-

ვიდა. მეთვრამეტე საუკუნეში თბილისშიც მოეწყო სტამბა მეფე ვახტანგ მეექვსემ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სპეციალურად აგებულ შენობაში 1708-1709 წლებში გახსნა სტამბა. სტამბაში ძირითადად სასულიერო ხასიათის წიგნები იბეჭდებოდა, ერთადერთი საერო ხასიათის წიგნი, რომელიც 1712 წელს დაიბეჭდა პოემა "ვეფხისტყაოსანი" იყო- „ვახტანგისეული სტამბის წიგნები გამორჩეულია თავისი სპეციფიკით. ბეჭდვა მიმდინარეობდა ორ ფერში- შავი და წითელი, რაც იმ დროისათვის ძალიან დიდი ფუფუნება იყო. წიგნში გამოყენებულია, როგორც ნუსხური ასევე მხედრული დამწერლობის შრიფტი. თითქმის ყველა წიგნში ჩართულია ვახტანგის პორტრეტი და ბაგრატიონთა გერბი. ტექსტის ბოლოებს განსაკუთრებული თავსამკაულები აქვს. ძალიან ხშირად ხვდება მესტამბეებისა და ტექსტის გამავრცელებლების მიმართვები“. ვახტანგ მეექვსის ვალახეთიდან (რუმინეთიდან) ჩამოტანილი სტამბა განადგურდა 1748 წელს მას შემდეგ რაც ერეკლე მეორემ თბილისი სპარსელებისაგან გაანთავისუფლა, ქვეყანაში კულტურულ საგანმანათლებლო პროცესები გაგრძელდა. ერეკლე მეფის სახელს უკავშირდება თბილისში სტამბის აღდგენა. ერეკლეს სტამბაში პირველ ეტაპზე გამოცემული წიგნები შედარებით მდარე ხარისხისაა სხვადასხვა ფურცლებზე ბეჭდავდნენ, მელანიც ცუდი იყო, არც შრიფტი იყო საგანგებოდ ჩამოსხმული. მესტამბეები ხშირად ებოდიშებოდნენ მკითხველს იმის გამო რომ ვერ თავაზობდნენ მაღალი ხარისხის წიგნებს, რადგან ამას მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ახლდა თან. XVIII საუკუნის 80-იან წლებში, ერეკლე მეორე კონსტანტინოპოლიდან იწვევს მესტამბეს და იმ პერიოდიდან იზრდება სტამბის წიგნების ხარისხი. მესტამბე ქრისტეფორე გურამიშვილის ინიციატივით, წიგნებს ბოლოში კალენდრის სახით ურთავდნენ ინფორმაციას გარკვეული თარიღებისა და ისტორიული ფაქტების შესახებ, რაც ზრდიდა მკითხველის დაინტერესებას და წიგნის ტირაჟს.

ერეკლე მეორის სტამბა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად განადგურდა, მაგრამ ქართულმა სტამბამ ახლა თავი დასავლეთ საქართველოში იჩინა. 1800 წლიდან სტამბა იმერეთში, სამ სხვადასხვა ადგილას იწყებს ფუნქციონირებას. განახლებული სტამბა 1749-1802 წლებში საპატრიარქოს სასახლეში განთავსეს,

ხოლო შემდგომ სამეფო პალატაში, ანუ როგორც ზოგჯერ მას უწოდებდნენ - სამეფო ეზოში. 1800 წელს ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის ნარკვევი ანუ მსოფლიო ისტორია. როგორც ირკვევა წიგნების ტირაჟი 400-1000 ეგზემპლარი იყო „მეფე ერეკლეს სტამბის წიგნებში ძალიან ხშირად შეეხვდებით მინაწერებს, რომლებიც მისი საგმირო საქმეების შესახებ მოგვითხრობს, ზოგჯერ ხალხური ლექსიც აქვთ მიძღვნილი. ამით უფრო მეტად ცოცხლდება წიგნი და თითქოს იმ ეპოქასა და დღევანდებლობას შორის წყვეტა აღარ არსებობს“. 1784 წლიდან სტამბას სათავეში ერეკლე მეორის კარის ეკლესიის მოძღვარი, მარტყოფელი მღვდელი ქრისტეფორე კეყერაშვილი, რომელმაც იჯარით აიღო სტამბა. არსებითი ცვლილებები შეიტანა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში, გაზარდა ტირაჟი, ზრუნავდა წიგნების სწრაფი რეალიზაციისათვის. გაიზარდა წიგნების ოდენობა დასახელების მიხედვით. საერთოდ სტამბაში დაიბეჭდა 28 დასახელების წიგნი:

„დავითიანი“, „სახარება“, „სამოციქულო“, „კონდაკი“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“ და სხვა. ფილოსოფიური და ისტორიული ხასიათის წიგნები:

„კიტაის სიბრძნე“, დ. ბაგრატიონის „ნარკვევი“ და სხვა. ძველი ქართული ნაბეჭდი ორიგინალური ლიტერატურის უმეტესი ნაწილი გამოცემულია ერეკლე მეორის სტამბაში. ანტონ პირველ კათალიკოსის „ქადაგება“, „შესხმა პირველი ახალისა ამისა წიგნი-საბეჭდისა“ და სხვა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, ერეკლე მეორის მეფობის ხანაა, პოლიტიკური გაერთიანებისადმი მისწრაფებითა და ევროპული ტიპის კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობით ხასიათდება. ერეკლეს მიერ სტამბის განახლება თბილისში, თელავსა და თბილისის სემინარიების გახსნა, ქართული თეატრის დაარსება, სახელმძღვანელო წიგნების თარგმნა რუსული და ევროპული ენებიდან, ახალგაზრდების გაგზავნა რუსეთში სწავლა-განათლების მისაღებად და სხვა ღონისძიებები ცვლიდა საზოგადოებრივ ატმოსფეროს. ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს ქართული ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის განვითარების, საზოგადოებაში თავისუფალი აზროვნებისა და რაციონალური აზროვნების დანერგვისათვის.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე, რუსეთსა და ევროპის

ქალაქებში გზავნიდა ახალგაზრდებს განათლების მისაღებად, ცნობილია ერთი ასეთი ჯგუფი რომელიც ორმოცი ახალგაზრდისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ: დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, იოანე ბატონიშვილის შემადგენლობით. ისინი ეცნობიან რუსულ თეატრს სავარაუდოა რომ კავშირი ჰქონდათ იმ დროისათვის ცნობილ დრამატურგთან, ზანდუკოვთან. თეატრალურ ხელოვნებას ეუფლებოდა ცნობილი მწერალი და დიპლომატი გიორგი ავალიშვილი რომელიც 1791 წელს დაბრუნდა თბილისში და დაიწყო წარმოდგენების გამართვა. ერეკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს არჩევდა და საკუთარი სახსრებით მათ ნაწილს ევროპის სამეფოების კარზე, ნაწილს კი სხვადასხვა აკადემიებში განათლების მისაღებად აგზავნიდა. იმისათვის, რომ ადამიანთა წარჩინება მხოლოდ წარმომავლობით არ დაფასებულიყო, მან სამი წოდება შემოიღო: ერთი დაბადების, მეორე დამსახურების, მესამე კი სიმამაცისა და სამხედრო ხელოვნების.

ეროვნული არქივის ძველი საბუთების დედნების კოლექციაში ინახება 1300 დოკუმენტი, ამ კოლექციაში ინახება ერეკლე მეფის წერილები. საინტერესოდ გვეჩვენება ერეკლე მეორის დამოკიდებულება თავის ქალიშვილ თეკლასთან, რომელიც მეფის უმცროსი ქალიშვილია. 16 წლამდე თეკლა ვაჟურად ჩაცმული და შეიარაღებული ხშირად ახლდა სახელოვან მამას ბრძოლებში, გამოირჩეოდა თავისი გულითა და სათნოებით, ამიტომაც ჯერ კიდევ ოთხი წლის გოგოს მამას სახუმარო სიგელით „თეკლა ბიჭი“ უწოდებია. თეკლა დედის დარეჯან დედოფლის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. თავმომწონე მამა ხშირად ამბობდა: „თეკლა რომ ვაჟი ყოფილიყო, არავის შველა არ დამჭირდებოდა“. თეკლა ბატონიშვილი ყველას აოცებდა გონების გამჭრიახობით, ცხენოსნობით, მშვილდისრითა და თოფის ხმარებით. სწორედ თეკლუნას წერდა ერეკლე მეფე 1781 წლის დეკემბრის ბოლოს ლაშქრობიდან: „თეკლუნავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისაგანაც ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ როგორც მიაძებოდა და მამებდა, მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა, უფრო რომ არაბულ ხელს გემსგავსებინა, მეტის სიღრმისაგან ვერა აღმოვიკითხე და ვერც არა შევიტყვეთ. შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემ მაგიერად დედაშენმა გაკოცოს.

ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია, ხვალ ღვთით კიდევ ბევრს შაქრის ყინულს და ნულს და შაქარს გამოგიგზავნი და თუ ღვთის ნება იქნება, ჩვენც წამოვალთ“.

წერილები მაღალი ხარისხის აღმოსავლურ ქალაქზე ყავისფერი მელნითაა დაწერილი. 1781 წელს დათარიღებული. წერილი იმითაცაა მნიშვნელოვანი რომ სავარაუდოდ, შვილის გასახალისებლად ერეკლე მეფეს მასზე აღებეჭდა ყველა სახელმწიფო ბეჭედი. ბეჭდები ხუთ ენაზეა: ქართული, სომხური, ბერძნული, ლათინური და სპარსული. აქვეა წარწერა „ერეკლე“. მეფე ერეკლეს ხელითაა დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ მეფეებს ჰყავდათ მდივან-მწიგნობრები და სწორედ ისინი წერდნენ მეფის სახელით წერილებსა და დოკუმენტებს და თუ რომელ ლაშქრობიდან წერს წერილს ქალიშვილს ამის შესახებ ეროვნულ არქივში ცნობები არ არის დაცული.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ, რომ ერეკლე მეორის შესახებ ინფორმაცია იბეჭდებოდა არა მხოლოდ საქართველოში არამედ ბრიტანული პრესის ფურცლებზე. ქართლ-კახეთის მეფეზე ბრიტანული პრესა პირველ გვერდზე აქვეყნებდა ინფორმაციებს. ისიც უნდა ითქვას რომ ცნობები, რომლებიც ბრიტანულ პრესაში ქვეყნდება, ხანდახან დაუჯერებელიც კია. ასე მაგალითად 1766 წელს „ლონდონ მაგაზინი“ „London Magazine“ სტატიაში სათაურით „ანგარიში საქართველოს პრინცის ჰერკულესის შესახებ“, ვრცელ წერილს ერეკლეს ევროპულ თავგადასავალს. რომ ერეკლე მეორე ვულვიჩის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, თუმცა მისმა ფინანსურმა მდგომარეობამ სწავლის გაგრძელების საშუალება არ მისცა და იგი იძულებული გახდა აკადემია მიეტოვებინა „ პრინც ერეკლეს“, ევროპაში „აშვებული ლომის“ სახელით ცნობილს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის., 1914.-გვ., 113
2. ასათიანი ლ.-ძველი საქართველოს პოეტი ქალები.-თბ.,1978.-გვ.,255-256

3. ორბელიანი ალ.-მოგონება მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ.-თბ.,1914.-გვ.,13
4. კალანდია გ.-ინტერვიუ.-რადიო თავისუფლება

Educational activities of Erekle II Paradigms

*Marine Surmava, associate professor
Georgian Technival University*

Summery

The book is a special Andamata, a kind of time machine, where you have to travel from a completely different era, in a completely different environment. So as not to violate the principles of that world and leave everything intact when you return. The book is one big state where you can not penetrate with bad intentions, you can not destroy anything. It offers its own rules, widens your horizons and you start thinking about a lot of issues. Georgian manuscripts competed with old printed books, which was a guarantee of keeping the text intact. In the manuscript, however, the text was lost over time and could not reach the reader in its original form.

გიორგი წერეთელი აკაკი წერეთლის ინტერესთა არეალში

*ქაჯაია მანანა, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლისა და სხვათა შემოქმედების ირგვლივ.

ახალმა თაობამ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და ა.შ.) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის შექმნაში. პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები სამომავლოდ ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ. ფაქტია, რომ სტუდენტი-ახალგაზრდობა თავის მომავალ მოღვაწეობას ხალხის სამსახურში ხედავდა და ეს მსახურება საზოგადოების ლიტერატურაში ესახებოდა.

აღსანიშნავია გიორგი წერეთლის მოღვაწეობა და ღვაწლი. გიორგი წერეთელმა მრავალფეროვანი ტალანტი გამოამჟღავნა. მწერლის შემოქმედება ერთვის ჩვენი იმდროინდელი მწერლობის მძლავრსა და მოწინავე ნაკადს, თუმცა არასდროს არ კარგავს თავის მკვეთრ შემოქმედების ინდივიდუალობასაც.

ნაშრომი ზოგადად წარმოადგენს თუ რა მნიშვნელობა აქვს გიორგი წერეთელს ქართული ლიტერატურისთვის, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს მას ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მწერლის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, მისი დროის ხელოვანებთან, ინტელიგენციასთან, აუდიტორიასთან, და მეორე მხრივ, თუ როგორ აფასებს საზოგადოება მის ხელოვნებას, და რანაირად რეაგირებს პროფესიული ლიტერატურული კრიტიკა.

გიორგი წერეთლის შესახებ გამოთქმულა საკმაოდ ბევრი მოსაზრება, არა მხოლოდ ერთმანეთისგან განსხვავებული, არამედ ურთიერთსაპირისპირო, ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებებიც კი, რაც სავსებით რეალურ ვითარებად უნდა ჩაითვალოს.

აკაკი წერეთლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და შეფასებებს გიორგი წერეთლის შემოქმედების ირგვლივ მეტად მნიშვნელოვანი

ფუნქცია აკისრია. მათ შესანიშნავი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამ დიდმა პიროვნებამ ობიექტურად შეაფასა მწერალი.

საკვანძო სიტყვები: პროზაიკოსი, დრამატურგი, მკვლევართა კრიტიკოსი.

შესავალი

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე შეიძლება ერთ-ერთ ურთულეს პერიოდად მივიჩნიოთ. ამ საუკუნემ ევროპელი ხალხი ახალი დემოკრატიული აზროვნებისაკენ შემოაბრუნა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე დააყენა. სამწუხაროდ, ეს პერიოდი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აბსოლუტური მოსპობის ხანად იქცა. ამავე დროს, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში XIX საუკუნის 60-იანი წლები გარდატეხის პერიოდია როგორც სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, ასევე იდეოლოგიასა და კულტურაშიც. ამ დროისთვის უკვე გაჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც ახალი, ევროპული კულტურა რუსეთის გზით გაიცინეს, ახალი გავლენა განიცადეს, ახალი მისწრაფება ჩაესახათ. სტუდენტი-ახალგაზრდობა XIX საუკუნის 60-იან წლებში თავის მომავალ მოღვაწეობას ხალხის სამსახურში ხედავდა და ეს მსახურება საზოგადოების დემოკრატიზაციაში ესახებოდათ.

იმ დროს რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ახალმა თაობამ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და ა.შ) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის შექმნაში, აქ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ გიორგი წერეთლის მოღვაწეობა და ღვაწლი. იგი თავის მსოფლმხედველობის, შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების მიხედვით 60-იანი წლების, ე. ი. თერგდალეულთა გუნდს მიეკუთვნება. იგი აქტიურად ერეოდა სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ქართველ მამულიშვილთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს.

გიორგი წერეთლისთვის მწერლობა მხოლოდ ერთი დიდი

უბანი იყო მის საქმიანობაში. ამასთანავე, იგი იყო პედაგოგი, ფილოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, თეატრალური მოღვაწე, სოფლის მეურნეობის დიდი მოამაგე, ასევე მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში.

განსაკუთრებით მრავალმხრივია გიორგი წერეთლის მოღვაწეობა საკუთრივ მწერლობის სფეროშიც, იგი იყო პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურისა და თეატრალური კრიტიკოსი. გიორგი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, 60-იანი წლებიდან, ე.ი. ჭაბუკობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, იკისრა ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ხელოვანისა და, ამავე დროს, ერის მოძღვრისა.

გიორგი წერეთლის შემოქმედებისადმი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას იმთავითვე საკმაოდ დადებითი ემოციური განწყობილება ჰქონდა. კრიტიკოსთა უმეტესობა მწერლის მრავალმხრივ ნიჭს აღიარებდა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა აკაკი წერეთელი.

აკაკისა და გიორგი წერეთელს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. სიყრმის წლებიდან დაწყებული მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. უშუალო ურთიერთობანი, რომლებიც მათ შორის ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში დამყარდა, ამ ორ შესანიშნავ პიროვნებას ყოველთვის უადვილებდა გაუგებრობათა და დამაბულობათა დაძლევა. ამ ურთიერთობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი აკაკის ინტენსიურმა თანამშრომლობამ ჟურნალ „კვალში“, რომელიც გიორგი წერეთელმა 1893 წელს დააარსა. სწორედ „კვალში“ დაიბეჭდა აკაკის ზოგიერთი შესანიშნავი ლექსი „განთიადი“, „ჭადარა“ და სხვა, ასევე, ფელეტონები „ცხელ-ცხელი ამბების“ სათაურით და ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩემი თავგადასავალი“.

გიორგი წერეთლის შემოქმედების თაობაზე აკაკის არ გამოუქვეყნებია ვრცელი კრიტიკული წერილები, რომლებშიც ვრცლად იქნებოდა განხილული მწერლის შემოქმედება. მაგრამ ის, რაც აკაკის გიორგი წერეთლის შესახებ უთქვამს უაღრესად მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის დასახასიათებლად.

აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს გიორგი წერეთელს: „გიორგი წერეთელი იმდენად მშრომელი იყო, თავის დაღალვას ვერ

შეატყობდა ხოლმე, როგორც ოჯახში ხელმოკლე, რომ ველარავისა ხედავდა ჩვენში, ყველაფერს თვითონ ეპოტინებოდა. რედაქტორიც იყო, გამომცემელიც, სწერდა პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პროზებს, მოთხრობებს, რომანებსა და კომედია-დრამებს. იმავე დროს ეპოტინებოდა ისტორიკოსობას, არხეოლოგობას, ფილოლოგობას და ბოლოს კომერციასაც. ზემოთ ვთქვი: დაღალვას ვერ ტყობილობდამეთქი, სწორედ მით აიხსნება, რომ მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭის, ზოგს მოქანცვის, ბევრჯერ მიმხელია მისთვის, მაგრამ რას გავხდებოდი, ის თავისას არ იშლიდა და მეც, რომ მეტი გზა აღარ დამრჩა რა, დავცინე: ორთავა დავუძახე - ამით მე მისი არც წყენა მდომებია და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ მეტი შრომა მომეშლევინებინა, მაგრამ რა გამოვიდა? ის სიკვდილამდე ისევ იმ გიორგიდ დარჩა და ჩემზე კი სამუდამოდ გულნატკენი იყო.“ პოეტის აზრით, „იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ მერე გამოარჩიონ რამდენიმე ოქროს ძარღვალი. გიორგის თხზულებასაც, როცა გაიმტკიცება ბევრი ხელ-ხელ საგოგმანებელი გამოაჩნდება, რომელიც საბოლოოდ გასტანს, მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკოსობა იყო, რეალური სკოლის მამამთავრადაც ჩვენში ის უნდა ჩაითვალოს და არა სხვა ვინმე, რადგან ის სხვებზე ადრე იყო“. (ავ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული 7 ტომად, ტ. 4, თბ.; 1948, გვ.75).

ერთი სიტყვით, აკაკი სრულად გარკვეულად მიუთითებს, რომ გიორგი წერეთელი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, მისი ნაწერები არათანაბარია. იგი ბევრს წერს, მაგრამ ნიჭიერებით გამოირჩევა რამდენიმე მათგანი.

ვფიქრობთ, მიუხედავად მცირე მოცულობისა, საყურადღებოა აკაკის ერთი პატარა წერილი, რომელიც ჟურნალ „კვალის“ 1894 წლის N23-ში დაიბეჭდა. მასში აკაკი გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ანუ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ ერთ-ერთი მთავარი გმირის კუდაბზიკას საკმაოდ თავისებურ და ღრმა გააზრებას იძლევა.

აკაკი წერეთელი კუდაბზიკას დონკიხოტის მსგავს ზოგად ტიპად მიიჩნევს. იგი წერს, რომ „თუ დონკიხოტი დამველებული

რაინდის ტიპია, კუდაბზიკა უსუსური და სწორედ ვერგაგებული კულტურის ნაყოფია“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

აკაკის აზრით, კუდაბზიკას ხასიათში მოცემულია ძალიან დიდი ცვლილების დიდი უნარი. გარემოების შესაბამისად, კუდაბზიკას შეუძლია თავის გახრეკილ ცხენზე მჯდომარეს რაშზე მჯდომივით მოჰქონდეს თავი, მაგრამ, როგორც კი მისი ცხენი მუცლის ტკივილით გამწარებული მიწაზე კოტრიალს დაიწყებს „კუდაბზიკაც სასობდაკარგული დედამიწაში აპირებს ჩამვრომას“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

აკაკი წერეთელი, მიუხედავად იმისა, რომ კუდაბზიკას „მსოფლიო ტიპად“ თვლის, მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი „ნამდვილი ნაციონალური ტიპია დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

მწერალი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ XIX საუკუნის ბოლო მესამედში, სწორედ „დონკიხოტები“, „ვალსტაფები“ და „კუდაბზიკები“ მომრავლდნენ საქართველოში, განსაკუთრებით კი ლიტერატურაში, რომელიც „სულ ამგვარი რაინდებით არის ავსილი“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

მწერლის აზრით, თანამედროვე პუბლიცისტები იოლად იცვლიან აზრს და მიმართულებას, ხოლო ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავდაპირველად გამოდიან, „ისევე უკან მოექცევიან ხოლმე და თავს ანებებენ არა თუ მწერლობას, ქართველობასაც, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათი სათავმოყვარეო იმედები გაუცრუვდათ, რომ არ ჰგვანან ჩვენს კუდაბზიკას, ცხენის მუცლის ტკივილის გამო დედამიწასთან გასწორებულს“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3).

აკაკის თქმით, თვით მკითხველი საზოგადოებაც კი, ამ რაინდთა საქციელს იწონებს და დარწმუნებულია მისიანი სხვას სჯობია, იგივე „მემკრებლობითი კუდაბზიკაა“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

როგორც ვხედავთ, აკაკი გიორგი წერეთლის მიერ მართლაც ოსტატურად დახატული კუდაბზიკას სახით ღრმა და საინტერესო გააზრებას გვთავაზობს, რომელსაც სადღეისოდაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. როგორც ინდივიდუალური, ასევე „მემკრებ-

ლობითი კუდაბზიკობა“ ზოგჯერ ახლაც ძალიან მკვეთრად იჩენს თავს ქართულ სინამდვილეში.

ვფიქრობთ, რომ აკაკის გიორგი წერეთლისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთ ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს მისი პირადი წერილიც. აკაკი წერს: „მეხარბება შენი ჭაბუკური ენერგია, სული და გული, მაგრამ რომ მოხუცებულობის წინდახედულობას მოკლებულია, ეს მწყინს... მე კიდევ მაინც მიყვარს გიორგი წერეთელი და მისი შეურაცხყოფა ჩემს შეურაცხყოფად მიმაჩნია“. (აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894, გვ. 3)

აკაკის აზრით, გიორგი წერეთელი არის თანამედროვე თავადი - ამ სიტყვის უძველესი მნიშვნელობის მოთავის, წინამძღოლის გაგებით, რომელსაც ეს ტიტული მისი „სადღესო საქმეების“ ანუ იმ დროისთვის მნიშვნელოვანი სამსახურის გამო, თავად ხალხმა დაუმტკიცა.

მის თანამედროვე ბევრ საქმეს გიორგი წერეთელი მართლაც ჩინებულად ედგა სათავეში. თუნდაც მისი „დროებისა“ და „კრებულის“ რედაქტორობა ანუ პედაგოგიური მოღვაწეობა გავიხსენოთ.

დასკვნა

გიორგი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვას მრავალი სტატია-ნარკვევი მიემდგვნა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. აღსანიშნავია ასევე, თუ რა მხარეებს აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და რამდენად თანმიმდევრული და მართებული იყო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი მწერლის შემოქმედების ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის შესახებ.

გიორგი წერეთელმა თავისი შემოქმედებით თავისი სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაში და მოაქცია იმდროინდელი საზოგადოების ინტერესების სფეროში. ნამდვილი ვითარების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე დაუშვებელია ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკოსთა შეფასება. ზოგიერთის აკვიატებულ თვალსაზრისს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს კულტურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეს.

ნებისმიერი კრიტიკოსის ინტელექტუალური დონის მიუხედავად მწერლის შემოქმედების განხილვისას, მის ნააზრევში ყოველთვის რჩება ისეთი რამ, რაც ბოლომდე ვერ აიხსნება, რადგან

შემოქმედებითი პროცესი ერთგვარად დაკავშირებულია რთულ, ქვეცნობიერ იმპულსთანაც, ამ იმპულსებს კი სწორედ მწერალი გრძნობს სხვაზე უკეთ, ეს არის ერთ-ერთი პირობა მწერლის თანამედროვე თანამოკალმეთა მიერ გამოთქმული მოსაზრების დიდი ღირებულებისა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა კუთხით არის გამჟღავნებული გარკვეული მიმართება გიორგი წერეთლის შემოქმედების ირგვლივ. ის, რაც აკაკი წერეთელს უთქვამს, მოცულობით მცირეა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამ უკანასკნელის დასახასიათებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული 7 ტომად, ტ. 4, თბ.; 1948.
2. აკაკი წერეთელი „ჭრელი ფიქრები“, ჟურნ. „კვალი“, 1894.

Giorgi Tsereteli in the Area of Interests of Akaki Tsereteli

*Manana Kajaia, Assoc. Professor
Georgian Technical University*

Summary

The Georgian people have always shown great interest in the works of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Giorgi Tsereteli and others.

The new generation (I. Chavchavadze, A. Tsereteli, K. Tsereteli, etc.) played an important role in creating the history of the second half of the XIX century. Progressive-minded young people dreamed of establishing a European-type democratic society in the future. The fact is that the student-youth saw their future work in the service of the people, and this service was reflected in the literature of the society.

The work and merit of Giorgi Tsereteli are noteworthy. Giorgi Tsereteli showed diverse talent. The writer's creativity is attached to the powerful and

advanced flow of our writing of that time, though he never loses the sharpness of his sharp creativity.

The work is generally about the importance of Giorgi Tsereteli for Georgian literature, and what place it should have in the history of Georgian literature.

Of particular interest is the writer's attitude, on the one hand, towards the artists of his time, the intelligentsia, the audience, and, on the other hand, how society values his art, and how professional literary criticism responds.

Quite a lot of opinions have been expressed about Giorgi Tsereteli, not only different from each other, but also contradictory, mutually exclusive opinions, which should be considered as a completely real situation.

The opinions and assessments expressed by Akaki Tsereteli about the works of Giorgi Tsereteli have a very important function. They had a wonderful friendship with each other. This great personality objectively evaluated the writer.

Key words: prose writer, playwright, scholarly critic.

კრწანისის ბრძოლის გამოძახილი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ლევან გოთუა, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი)

*შაიშმელაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ლევან გოთუა, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი... კრწანისის ბრძოლის თემამ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ახალი დატვირთვა შეიძინა, თავისუფლებადაკარგული ერის ფორიაქი და სულისკვეთება კიდევ ერთხელ გააცოცხლა. ლევან გოთუას მოთხრობაში მეფე ერეკლე პატრიოტ, ბრძენ და შორსმჭვრეტელ მმართველად და წარმოსახული, რომელსაც უკეთესი მომავალი ეწადა, მაგრამ ღალატის გამოისობით ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლაში დამარცხდა და წელში გადატეხილი ერის ბედიც თავისდაუნებურად რუსეთს დაუკავშირდა. კრწანისის ბრძოლის წლისთავზე ლევან გოთუა ერეკლე მეფეს რუსეთის მოიმედედ არ წარმოსახავს, შორეული ბარაბანის ხმას იგი მდუმარედ ხვდება კრწანისზე ჩამოვარდნილ სევდასთან ერთად.

რევაზ ინანიშვილიც ერეკლე მეფეს დიდ მამულიშვილად და უებრო მეომრად ხატავს, რომელსაც ანგარებთანმა დიდებულებმა უღალატეს. მარცხიც გარდაუვალი გახდა. მწერალს უბრალო ხალხი ეიმედება. კომბალზე დაყრდნობილი სევდიანი უსინათლო მოხუცი - მზევარის ბიჭი სამი რუსული ძველი მედლით, თითქოს თავისუფლებადაკარგული საქართველოს სიმბოლოა, რომელიც ისევ ელოდება ახალ ბრძოლაში გაწვევას.

თემის თავისებური შეხმთანებაა გოდერძი ჩოხელის ნოველაც, რომლის გმირებსაც საბჭოთა ეპოქაში ისევ და ისევ მეფის დამახილი აფხიზლებთ. ნოველა მაშინდელი ცრუ ღირებულებებისა და ურწმუნოების წინააღმდეგ, ხალხის გამოსაფხიზლებლად დაიწერა.

საგულისხმოა, რომ სამივე ნაწარმოებს იმედი აერთიანებს... თუმცა კრწანისის ბრძოლა არ დასრულებულა, კრწანისი დღესაც გრძელდება და დღესაც უთრთოლებს სულის სიმებს ქართველ მწერლებს...

შესავალი

კრწანისის საბედისწერო ბრძოლის გამოძახილი XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ტკივილით და მომავლის იმედით აისახა. დიდი ეროვნული ტრაგედიის ნახმევი საუკუნეებს გადაჰყვავს... ვახტანგ ორბელიანის გოდება საქართველოს მწარე ბედზე თითქოს ქართულ ლიტერატურას ექოდ დაედო:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომიტხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...“

(ორბელიანი ვ., „იმედი“, 1949:15)

ბოლო სამი სტრიქონი ზუსტად გამოხატავს კრწანისის მარცხის შემდეგ დაუძლურებული საქართველოს სურათს. მის ბედობლაზე დაფიქრება ლევან გოთუას, რევაზ ინანიშვილის და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში თავისებური განცდით არის გადმოცემული. თუ ლევან გოთუა კრწანისის ველზე ჩამოვარდნილი სევდიანი დუმილით ასრულებს ნაწარმოებს, რევაზ ინანიშვილის ნოველაში ერეკლე მეფის დამძახებელს ელოდებიან ისევ საომრად, მეფის დამახილის თემას გოდერძი ჩოხელის პატარა ნოველაც ორიგინალურად ეხმიანება.

ძირითადი ნაწილი

„კრწანისის მიწის მადლს გაფიცებ, წვრილად მითხარ – ეს მარცხი როგორღა მოხდა?“ - ეკითხება მოხუცი ლომთათა კრწანისის ველზე, ომის წლისთავზე შემთხვევით შეხვედრილ უცნობს.

ორი მამის დიალოგზეა აგებული ლევან გოთუას „კრწანისის სევდა“. თავისი მებრძოლების მოსაგონებლად და სულის მოსახსენიებლად კრწანისის ჩასული ერეკლე მოულოდნელად ხვდება ასევე თავისი შვილებისა და თავდადებულ მებრძოლთა სულის მოსახსენიებლად მისულ უსინათლო მოხუცს, რომელიც „კრწანისში ბრმა თვალებითა და ნათელმხედველი გონებით მოსულიყო“ (ხუციშვილი ს., 2019:8).

ავტორმა ორი მოხუცი - „მამა ერისა და მამა თავისი შვილებისა

ერთმანეთს შეახვედრა“ (იქვე), თუმცა სამშვილდაკარგულ უსინათლო მამას არ დაუნახავს, ვის ესაუბრებოდა, ვის უხმო წუხილსა და ვარამს უგდებდა ყურს.

„- აქ რამ მოგიყვანა წლისთავზე, აქ რამ?“ - ეკითხება ლომთათა უცნობს.

- ჭრილობამ... - იყო როყიო პასუხი“ (გოთუა ლ., 1980:63).

ეს ჭრილობა ომის წლისთავზეც ღიაა, მთელი საქართველოს ნაჭრილობევიან. მეფე ამ გახსნილმა იარამ მიიყვანა კრწანისზე, ლომთათა კი „მოლიბრული თვალების“ ცეცებით „სიკვდილის ძმათა სასაფლაოზე“ ეძებს შვილების სამარეს, თუმცა ერეკლეს ლაშქრის ძველ მეომარს მხოლოდ პირადი ტკივილი კი არ აღელვებს, მეფესთან ერთად განიცდის ღალატით გამოწვეულ მარცხს.

„დამარცხდა შენი უძლეველი მეფე, მწარედ დამარცხდა! მტერმაც გაწირა და მოყვარემაც! გაოხრდა სამეფო! გადაიბუგა ტფილისი! შენ რა გიჭირს - ბრმა ხარ, ვერა ხედავ... მე კი როგორღა ვუყურო“?! - ერეკლეს გულის ამონაკვნესი ეფინება კრწანისს (იქვე, 64).

ლევან გოთუა მარცხის მიზეზებსაც ეძიებს და ერეკლეს ათქმევიანებს იმ ღალატზე, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ველი, „ვგონებ, მთელი საქართველოს ბედიც“ (იქვე, 68).

„ბედის სასწორი ქანაობდა“ და ქვეყნის ორგულებმა ღალატით გააპარეს ნარიყალიდან აღა-მაჰმად-ხანის ელჩი, რომელმაც, რა თქმა უნდა, ყველაფერი აუწყა გაქცეულ ხოჯას.

შინამტრებმა და მოშურნეებმა, მეფის გაურჩეული შვილების ჩათვლით, თავიანთი მოღალატეობრივი საქციელით, სხვა ათასმა ძირგამომთხრელმა აუგმა და ვერაგობამ, შეცვალეს ბრძოლის ბედი.

„- მერმე ერეკლემ რა თქვა“? - მრავალმნიშვნელოვნად იტყვის ამ ყველაფრის მოსმენისას ლომთათა. სინათლედაკარგულ მოხუც არაგველს „გუმანის თვალი“ კარნახობდა შემხვედრის ვინაობას, რომ მის წინ ერეკლე მეფე იდგა...

„- რას იტყოდა... თუ მე მიმტრობდნენ - მამულს რაღას ემართლებოდნენო“?! - უპასუხებს მეფე - თითქოსდა, მართლაც, უხილავი მსაჯულის პირისპირ დარჩენილი კრწანისზე (გოთუა ლ., 1980: 63).

ამ ნაწყვეტით პატრიოტი მეფის სახე და იმდროინდელი ვითარების ამსახველი სურათი იხატება გარდაუვალი მარცხისა,

რომლის წინაშეც თავად დიდი მეომარი მეფე უძლური აღმოჩნდა. ლევან გოთუა ერეკლე მეფეს ბედისწერით დალდასმულ სიტყვებს ათქმევინებს:

„– მე აქაც გადავრჩი, რაღაც წყევლა მსდევდა. სიკვდილს ვეძებდი და ვერ ვპოვე... ვეძებდი და ვერ ვპოვე! არ იყო სიკვდილი! არ იყო! – ხმა ამოუთავდა მთხრობელს“ (იქვე, 72), რომლის ძველთაძველ დიდ ბეჭედზე ქარაგმულად ამოტვიფრულიყო პატრონის სახელი და ყალყზე შემდგარი ორი ლომი.

ასზე მეტი ბრძოლის მომგები მოხუცი მეფე სიკვდილს ნატრობდა უსინათლო მოხუცი ლომთათას გვერდით, რომლის სამი შვილიც კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაეცა. მისი ტკივილი უფრო დიდი და მოურჩენელი, დალდასმული იყო. ამიტომაც „სიონის ზარივით გაზზარული“ ყრუ ხმით ეუბნება მეფე მლოცველ ლომთათას, შენ ბედნიერი ხარო.

ამ მოთხრობით მწერალმა „ორი მამის საერთო სამიძარი და საერთო ურვა გამოხატა“ (ხუციშვილი ს., 2019:8).

კრწანისის ბრძოლის წლისთავზე, მწუხრში, ორი ადამიანი, ორი მოხუცი გაერთიანებულიყო საერთო სატკივარით. „ერთი ვეება ტანისა და ორთავ თვალით ბრმა, მეორე კი მცირე ტანისა, მაგრამ შორსმჭვრეტელი და მით უფრო უბედური... და, იქნებ, მხოლოდ მის მახვილ ყურს ესმოდა ტფილისის მხრიდან, სიონის ზარის გარდა, ჩრდილო ქარს მოჰქონდა შორეული, მაგრამ რიხგაბმული ბარაბანის ხმა. მეფე დუმდა, ხოლო ირგვლივ გამეფებულიყო კრწანისის სევდა“ (გოთუა ლ., 1980:73).

საგულისხმოა „რიხგაბმული ბარაბანის ხმა“ და მეფის დუმილი. მეფე ერეკლე შორსმჭვრეტელი და უბედურია - კრწანისის ომმა ლაკმუსის როლი შეასრულა და მას მოიმედე რუსეთზე აუხილა თვალი. სწორედ კრწანისის ომის წლისთავზე გვიხატავს ლევან გოთუა მწარედ ჩაფიქრებულ და ბევრი რამის მიმხვედრ მეფეს, რომ კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩამოშვებული კრწანისის სევდის საბურველი მის სამშობლოზე...

კრწანისის ბრძოლის თემა გადმოცემულია რევაზ ინანიშვილის ნოველაში - „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“. ნოველაში სულისშემძვრელია დამარცხებული მეფის შეხვედრა 13-14 წლის მხევარის ბიჭთან, რომელიც ანანურელი ულამაზოების სახელით

ეახლა მეფეს. თითქოს ანანურში ჩამოწოლილი მარცხის მდუმარებას ამ პატარა ბიჭის ხმა და მეფესთან „ქვეყნისთვის საჭირო“ საქმეზე მისვლა გააცოცხლებს. ბიჭს სახელი არ ჰქვია, ის მზევარის შვილია. იგი განზოგადებული სახეა უბრალო ღარიბი ოჯახიდან გამოსული ახალგაზრდებისა, რომლებსაც ნაღდი გრძნობით ეწვოდათ გული კრწანისის მარცხით და მზად იყვნენ, მეფის ლაშქარში ჩაწერილიყვნენ საომრად და „თათრების“ განსადევნად.

„- თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფევ, თათრები ჩვენი მომრევეები არ არიან!“ (ინანიშვილი რ., 2003:278) - მზევარის ბიჭის ამ სიტყვებში უდიდესი სასიცოცხლო ძალა და სიმტკიცეა ჩაკირული. იგი მზადაა, თანატოლი ანანურელები გამოიყვანოს კომბლებით და ერეკლეს საომრად გაჰყვეს. ერთი შეხედვით, შეუძლებელია, კომბლებით ომის მოგება, მაგრამ მწერალი აქ სხვა შრეებს წამოსწევს წინ - კომბალი სიმბოლური სახეა ქართველი ერის დაუწოქებელი სულისა, რამაც საუკუნეების ქართველები გამოატარა მას და გადაარჩინა. მთავარი შინაგანი მზაობაა და არა რაიმე საბრძოლო იარაღი.

„აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს, პირიქით, მოგვიხდება კიდევ. გაგვიძეხი, მეფევ, ჩვენ გაგვიძეხი!“ (ინანიშვილი რ., 2003:278).

მზევარის ბიჭისა და ანანურელი ულამაზოების მხრებზე იდგა მუდამ საქართველო. ერის ანგარებიანი ნაწილი კი, - როგორც მწერალი მიგვანიშნებს - მდიდრები - არასოდეს იქნებიან ერის დასაყრდენნი, რადგან „ქონება და ძვირფასი რამეები“ ყოველთვის აუბამს მათ თვალს და აცდუნებს. „გაჭირვებაში გამოჩენქვილი“ ქვეყნის უსახელო დამცველები კი იმედს დაატარებენ და მრავალ განსაცდელს გაუძლებენ.

„ბიჭები უარესად დაიკოხნენ, შეტოკდნენ და ქვეშ-ქვეშ გამოიხედეს მეფისკენ. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარტყვიასავით ჩაეღვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები“ (იქვე, 279)...

სულისშემძვრელია ეს ადგილი, გამდნარ ტყვიასავით გულს ჩაღვენთილი სიმწარე. თითქოს სასოწარმკვეთიც, მაგრამ ამ სასოწარკვეთის მიღმა მიმალულა სიამაყისა და სიჩაუქის განცდა

- სული ერისა ცოცხალია, ერის სულიერი ენერჯია „დამძახებელს“ ელის.

„მეფის დამძახილი“ ჰქვია გოდერძი ჩოხელის ნოველასაც, და იქნებ არა შემთხვევით, და რევაზ ინანიშვილის ხსენებული მოთხრობის გამოძახილით დაიწერა?! სიუჟეტი საბჭოთა საქართველოში ვითარდება, გიჟი ფანტია ხალხს აგროვებს ერეკლეს ლაშქრისთვის, გუდამაყრის ყველა სოფლიდან თითო კაცი წაჰყვავ. ქალაქში ჩავიდნენ და მეფე ერეკლე იკითხეს, ამის გამო ყველანი სურამის საგიჟეთში წაიყვანეს. მათი სოფელი დაცარიელდა. მხოლოდ ერთი - არსენა დარჩა და გამუდმებით არბის და ჩარბის სოფლიდან არაგვამდე. არსენას სჯერა, რომ გუდამაყრელები მეფის დამძახილზე წავიდნენ ომში, რადგან საქართველოს უჭირს.

ვინ უთხრათ, რომ საქართველოს უჭირს? „- მეფის დამძახილი იყო, მეფის დამძახილი“! - ამბობს არსენა (ჩოხელი გ., 2017:155)

ნოველაში სათქმელი ორაზროვნადაა გადმოცემული. ერთი, რომ კრწანისი არ დამთავრებულა და ახალი ბრძოლების ჯავრი მეფემ სამარეში გაიყოლა, ის ტკივილი ახლდება ისევ, და მეორე, „დამძახებელმა“ კომუნისტის სიცრუეში მცხოვრებნი უნდა გამოაფხიზლოს და გადაგვარებამდე მისულ ერს შემოუძახოს. ამიტომ ათქმევიანებს მწერალი არსენას, საქართველო რომ გიყვარდეთ, არ ისხდებოდით, „ირბოლებდით მაინცა, ირბოლებდითო“... ანუ უმოქმედოდ ყოფნა ერისთვის სიკვდილია, თუ ხელი არ გაანძრიე, ისე ნანატრი გამარჯვება ვერ მოვა.

კრწანისის ბრძოლის თემას გოდერძი ჩოხელი საკუთარ ფილმშიც „აღდგომა“ უტრიალებს. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ ეს არის ზეციური საქართველოს ბრძოლა ჩვენი სამშობლოს გადარჩენისა და აღდგომისათვის.

„იმ ეპოქაში კიდევ სხვა დატვირთვა ჰქონდა ამ ფილმს. ისინი იბრძვიან კომუნისტური ბრჭყალებიდან, ურწმუნოების ეპოქიდან საქართველოს გამოსახსნელად. მე ვეკითხები მეფე ერეკლეს: რამდენი წლისა ბრძანდებოდით-მეთქი კრწანისის ომში? სამოცდათხუთმეტისაო. ახლა თუ ფიქრობთ ჩვენზე-მეთქი. მა, ვიზე ვფიქრობ, ბაღლო“ (ჩხარტიშვილი ლ., „ერთ-ერთი ინტერვიუ გოდერძი ჩოხელთან“).

მეფე ერეკლე ფილმში დანაწევით ამბობს, რომ კრწანისის ომში

ხუთი ათასი მეომარი ძლივს იშოვა და მის დასაფლავებაზე ოცი ათასი კაცი იყო მისული. ქართველების მარადიული ტკივილი საფლავში ჩაჰყვა მეფეს - ერთმანეთის გვერდით დგომისა და მამულისთვის გაერთიანების ნაცვლად დაუნდობლობისა და ორგულობის სენი რომ შეჰყრიათ.

„მეფე ერეკლეს განწირული ყივილი იყო კრწანისის ბრძოლა. ეს იყო მოხუცი მეფის განწირული ბრძოლა. ალბათ პირველად დამარცხდა, ისიც ღალატით“, - ამბობს გოდერძი ჩოხელი (იქვე).

უკვე 80 წელს მიღწეული, მაინც ვერგაუტეხელი მეფე ერეკლე, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, უფლისწულებისა და სახელმწიფო მოხელეების მზადყოფნას მოითხოვდა:

„ყველა სოფლებში ასე აცოდინე, - სწერდა ის ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს ქიზიყში იყო, - ყოველთვის მომზადებული იყვნენ ჯარში გამოსვლისთვის ცხენითა, იარაღითა და ფეხსაცმელითა და საგმლითა. იქნება ათს დღეზედ დაუძახოთ, იქნება ოც დღეში დაუძახოთ, ესეც იქნება ერთი თვის უკან დაუძახოთ, ასე გამზადებულნი იყვნენ, რომ ასე ყოველთვის მოელოდნენ დამახებას“ (ქიქოძე გ., 1942:231).

დასკვნა

მაგრამ ერეკლე - „მომგები ასი ომის“ ისე მიიცვალა, აღარ დასცალდა ქუდზე კაცის დამახება. კრწანისის ბრძოლის გამომძახილი კი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ლევან გოთუა, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი) დიდი ტკივილით და სევდით აისახა.

ლიტერატურა:

1. გოთუა ლ., თხზულებათა კრებული ექვს ტომად, ტ. IV. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.
2. ინანიშვილი რ., „ორტომეული“, ტ.1, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2003.
3. ორბელიანი ვ., „ლექსთა კრებული“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949.

4. ქიქოძე გ., „ერეკლე მეორე“, „სახელგამი“, თბილისი, 1942.
5. ჩხარტიშვილი ლ., „ერთ-ერთი ინტერვიუ გოდერძი ჩოხელთან“, <http://georoyal.ge/?m=1000&id=2626>,
6. ხუციშვილი ს., „გურია“, 2019, №31.
7. ჩოხელი გ., „პროზა, პოეზია, წერილები“, გამომცემლობა პალიტრა L, 2017.

Echoes of the Krtsanisi battle in the Georgian literature of the 20th century (Levan Gotua, Revaz Inanishvili, Goderdzi Chokheli)

*Tamar Shaishmelashvili
Georgian Technical University*

Summary

Levan Gotua, Revaz Inanishvili, Goderdzi Chokheli ... The theme of the Krtsanisi struggle found a new load in the Georgian literature of the twentieth century, revived the spirit of a nation deprived of freedom. In the story of Levan Gotua, King Heraclius is portrayed as a patriot, a wise and far-sighted ruler who want a better future for the nation, but was defeated in the most important battle due to betrayal, and the fate of the broken people was Involuntarily linked with Russia.

On the anniversary of the Battle of Krtsanisi, Levan Gotua does not imagine that King Heraclius hopes for Russia, he quietly greets the voice of a distant drum with sadness falling on Krtsanisi.

Revaz Inanishvili also portrays King Irakli as a great patriot and warrior who was betrayed by the Nobles. The writer relies on ordinary people. A sad, blind old man - a son of Mzevary with three old Russian medals, like a symbol of Georgia freedom lost, again awaiting a call to a new battle. A kind of echo of the theme is the story by Goderdzi Chokheli. The story was written to wake people in Soviet times against the false values and unbelief of the time.

All three stories are full and united by hope. The Krtsanisi battle is not over, Krtsanisi continues today and still hits the souls of Georgian writers.

ერეკლე II მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის სამსჯავროზე

*შარაბიძე თამარ, ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ნაშრომში ეძღვნება საკითხს, თუ როგორ გამოიხატება ერეკლე II-ის სახე მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; მეფის ცხოვრების რომელ მონაკვეთებზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას, მისი ნიჭისა და ბუნების რა ნიშნებს გამოჰყოფს, როგორ აფასებს მას ისტორიული მოვლენების განვითარების თვალთახედვით, რა ადგილს სთავაზობს ცნობილ მეფეთა და მთავარსარდალთა შორის.

ამ მიზნით ჩვენ განვიხილეთ ნაწარმოებები შემდეგი ქართველი მწერლებისა: ალ. ჭავჭავაძის, სოლომონ რაზმაძის, ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ რჩეულიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შვეითხვამ: ადანაშაულებს თუ არა რომელიმე მწერალი მეფე ირაკლის საქართველოს ბედის გადაწყვეტაში – მის მიერ რუსეთისაკენ ორიენტაციის აღებაში და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებში. ნაშრომში განვახსენებთ რომანტიკოსი და რეალისტი მწერლების მიერ აღქმულ სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ასახვის საგანი ერთია – მეფე ერეკლე, განსხვავებულია მათ მიერ გამოყენებული ასახვის თავისებურებანი.

რომანტიკულისაგან განსხვავებით, რეალისტურ მხატვრულ ტექსტში ერეკლეს ქებას მისი ადამიანად დახატვა ცვლის, იმ ნიშან-თვისებებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ნამდვილად ახასიათებდა მეფეს და რომელთა წყალობით ხალხის სიყვარულს იმსახურებდა. როგორც რომანტიკულ, ისე რეალისტურ ლიტერატურაში ქართველი მწერალი მოხიბლულია ერეკლეს პიროვნებით, ჭკუით, მხედართმთავრული ნიჭით, ღვთისმოყვარეობითა და ადამიანური, კეთილშობილი ბუნებით.

ქართველმა მწერლებმა იციან, რომ ერეკლეს მეფობასთან ერთად დასრულდა საქართველოს დიდება, მას ქვეყნის მფარველად მიიჩნევენ და არ დებენ ბრალს საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. ერეკლე მათთვის ის სანაქებო წარსულია, რომელმაც მომავალ თაობასაც უნდა აუხილოს თვალი.

საკვანძო სიტყვები: მეფე ერეკლე, მხატვრული სახე, ლიტერატურის სამსჯავრო.

ძირითადი ტექსტი

ერეკლეს სახე აჩრდილივით თან დასდევს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას. ამ ეპოქის მწერლებისთვის ის უახლოესი ადამიანია, გამორჩეული არა მარტო მთავარსარდლობის ნიჭითა და ვაჟკაცობით, არამედ ბევრი სხვა ადამიანური ღირსებით: თავმდაბლობით, ხალხის სიყვარულით, ერთგულებითა და სამართლიანობით. ერეკლე ასოცირდება საქართველოს ბედთან და, მიუხედავად აწმყოთი უკმაყოფილებისა, მე-19 საუკუნის მწერლები ერთხმად აღიარებენ ერეკლეს ნაბიჯის სისწორეს – რთულ პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთთან კავშირს საქართველოს გადასარჩენად.

ერეკლეს სახე პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში გაკვრით ჩნდება. ლექსში „ო, წარმავალნო გზასა ქალნო...“ ასახულია ჩივილი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო და სიამაყე ძველი დროით, **„როს ვიქადოდით ყოვლნი გვამნი/ პატრონის ყოლით,/ მის წინ ბრძოლით!“** (ჭავჭავაძე 1992 : 33). „პატრონში“ მე-19 საუკუნის კრიტიკოსები, და ინერციით შემდგომი დროისაც, ერეკლეს აღიქვამენ. თუმცა მისი სახელი ლექსში დაფიქსირებული არაა, მაგრამ ერთადერთ პატრონად, რომელიც საქართველოს ბედზე ზრუნავდა, ხალხი და მათ შორის – კრიტიკოსიც, ერეკლეს აღიქვამს.

ერეკლე II-ზე, როგორც ისტორიულ პირზე, წერს ალ. ჭავჭავაძე თავის „მოკლე ისტორიულ ნარკვევში“. ის ყოველმხრივ ცდილობს, იმპერატორი არ გაანაწყენოს და ამიტომ საუბრობს 1795 წლის შემდგომ რუსეთის მონარქების მიერ საქართველოსადმი გამოჩენილ სულგრძელობასა და გამოწოდებულ დახმარების ხელზე, აქებს რუსეთის ჯარის წარმატებით ლაშქრობას სპარსელებზე, რომელსაც ხელი შეუშალა მისი უდიდებულესობის – ეკატერინე

II-ის – გარდაცვალებამ. ნარკვევში არ წარმოჩნდება ერეკლეს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის დამყარებულ ურთიერთობაში, აქცენტი გიორგი XIII-ის საქმიანობაზე გადადის. ალ. ჭავჭავაძის მიზანი იმპერატორისადმი მიძღვნილ ნარკვევში ქართველ მეფეთა ქება კი არ არის, არამედ – რთული პოლიტიკური სიტუაციის აღწერა, რომელიც კიდეც უფრო მძიმედ წარმოჩნდა გიორგი XIII-ის მეფობის პერიოდში.

რომანტიკოსი სოლომონ რაზმაძე ლექსს უძღვნის ერეკლეს: „შენა გფერობს სპარსთა ქება მაღალიო“. პოეტი გულწრფელი თავმდაბლობით ამბობს: „მე ვით გავბედავ შესხმის თქმას, კაცი სოფლელიო“. ავტორის მიერ საკუთარი თავის დამდაბლებულად წარმოჩენა დამახასიათებელია სახოტბო პოეზიისთვის, რომელსაც ზემოთაღნიშნული ლექსიც მიეკუთვნება. მასში განსაკუთრებით ხაზგასმულია ერეკლეს საბრძოლო ხელოვნების განუმეორებლობა, მისი ვაჟკაცობა და ერთგულება თავისი ხალხისადმი, ერეკლეს მხედართმთავრული ნიჭის პოპულარობა მთელ აღმოსავლეთში. პოეტი მას გვიხატავს მსოფლიო დონის მთავარსარდლად, რაც გადაჭარბებული ნამდვილად არ არის და ისტორიული მასალითაც დასტურდება.

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ყველაზე სრულად ერეკლეს სახე გამოიკვეთა ალ. ორბელიანის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. პროზაულ ტექსტში „მოგონება“ ავტორი დაწვრილებით აღწერს ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს ქართველთა შინაურ აშლილობას, ხაზს უსვამს ერეკლეს პასუხისმგებლობას 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებებისადმი, რისი დასტურიცაა ალა მაჰმად ხანის წინადადების – რუსეთთან მეგობრობაზე ხელი აელო – უგულვებლყოფა, რასაც მოჰყვა კიდეც სპარსეთის გამძვინვარება.

ერეკლეს პიროვნული თვისებები ყველაზე ნათლად გამოიხატა ალ. ორბელიანის ოთხმოქმედებიან ისტორიულ დრამაში „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“. პიესაში ჩანს ჯერ კიდეც ყრმა, თხუთმეტი წლის, ირაკლის პატრიოტიზმი, მისი თავდადება სამშობლოსადმი, ტკივილი, გამოწვეული ქვეყნისა და ხალხის უმოქმედობით, მისი ორგანიზატორული ნიჭი – გონიერი და სანდო მხედართმთავრების

შემოკრება თავის გარშემო, ერთმანეთთან მტრად გადაკიდებული მამულიშვილების მორიგება საერთო საქმის გამო. ალ. ორბელიანი ძალიან ნათლად ხატავს იმ ვითარებას, რომ სწორედ მეფის თავდადებამ აღძრა იგივე გრძნობა ხალხში, ერთობამ განაპირობა ერეკლეს წარმატებანი, საქართველოს ყველა სოციალური ფენის ერთი მიზნისთვის ბრძოლამ კი ღვთის თანადგომა გამოიწვია. დრამაში იკვეთება უფლისწულის პიროვნული ღირსებები _ მონანიე დამნაშავეებისადმი მიტევების უნარი, მშობლებისადმი მორჩილება და პატივისცემა, დაღუპულებისადმი თანაგრძნობა, გულწრფელი დარდი მათი გარდაცვალების გამო, ახლობლების განცდათა თანაზიარობა, უბრალოება და უშუალოება.

დრამაში აღწერილი ვითარების შესახებ ალ. ორბელიანი თავის ერთ-ერთ წერილშიც გვიამბობს, სათაურით „დალისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“. მას ამ ომის მონაწილეთაგან გაგონილი სიტყვები მოაქვს: **„პატარა ბატონის ირაკლის ჩასვლა რომ გაუგონიათ ქიზიყში, დედაკაცებს კაცებისათვის აღარ დაუცლიათ, იმათ გამოუყვანიათ ცხენები და იარაღიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისთვის ამ სიტყვით: „წადით, დაიხოცენით მამულისათვის, დღეს თუ ხუალე სულ ერთია სიკვდილით, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის წინ დაანთხიეთ თქვენი ერთი მუჭა სისხლით“** (ალ. ორბელიანი 1999 :18). ამავე წერილში ალ. ორბელიანი საუბრობს ერეკლეს გონივრულ წინადადებაზე ჭარბელაქნელებისადმი. თავის მოხუცებულობაში, ალა მაჰმად ხანის შემოსავამდე ოთხი წლით ადრე, ერეკლეს სიღნაღში დაუბარებია მათი წარჩინებული ოჯახებიდან შუახნის კაცები და თხუთმეტამდე წლის ახალგაზრდები. ყველა გაუფრთხილებია, რომ, თუ არ გაერთიანდებოდნენ და ერთმანეთის მტრობას არ შეწყვეტდნენ, საშინელ დღეში ჩავარდებოდნენ. შუახნის კაცები იმისთვის მოუწვევია, რომ თავად იყვნენ შუღლის გამღვივებლები, ხოლო ყმაწვილკაცები იმისთვის _ რომ დაემახსოვრებინათ ეს ყოველივე და შემდგომ გაეხსენებინათ მისი სიტყვა, როცა წინასწარმეტყველება აღსრულდებოდა. მართლაც, 1863 წელს ჭარბელაქანში მომხდარი არეულობისას ერთ მოხუცებულ ლეკს მოჰგონებია ერეკლეს სიტყვები და მომხდარი ღვთის განგებად ჩაუთვლია მამა-პაპათა ცოდვებისთვის.

ალ. ორბელიანი ერეკლეს სამართლიანობაზეც ამახვილებს

ყურადღებას, რომელიც ერთნაირად შეეხებოდა როგორც სხვას, ასევე – მისი ოჯახის წევრებს. წერილში „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“ ის მოგვითხრობს ლევან ბატონიშვილის დიდ დამსახურებაზე ქვეყნის წინსვლის საქმეში. მის იდუმალეობით მოცულ სიკვდილსა და გავრცელებული ჭორებისადმი ერეკლეს პოზიციაზეც გვიამბობს, თავისიანებისგან გაგონილს. ხმა გაუვრცელებიათ: „ლევან ბატონიშვილზედ მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირამსო ლევან“. ერეკლეს უბრძანებია: **„თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით გაგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭემარიტებას ვფიცავ, სახალხოთ ვათრევინებო“** (ალ. ორბელიანი 1999 :13). ალ. ორბელიანს ამით იმის თქმა სურს, რომ ერეკლე არც საყვარელ, უკვე გარდაცვლილ, შვილს დაინდობდა ჩადენილი დანაშაულისათვის. მეფეს თავად შეუმოწმებია საგულდაგულოდ შვილის ცხედარი და მხოლოდ მას შემდეგ, როცა მის სხეულზე ნაჭრილობევი ვერ უპოვია, დაუწოქია და მოთქმით ატირებულა.

ალ. ორბელიანის მონათხრობ ისტორიულ ამბებში კარგად იკვეთება საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ერეკლეს ყველანაირი მცდელობა ქვეყნის ფეხზე დაყენებისა, წარმოჩნდება მეფის ხასიათიცა და მისი უბედობაც. **„ასე და ამ სახით ყოვლისფრით უბედური იყო მეფე ირაკლი“**, – უშუალოდით წერს ალ ორბელიანი, – **„ამდენს უბედურებაში ჩავარდნილი, იმდენს საიდუმლოს მტრების მახეში გაბმული და იმდენის მოსეულის მტრების დევნით მოუსუნებელს ცხოვრებაში იყო ჩალუპილი, ასე რომ ერთი ბეწო მცირედი მოცლა არა ჰქონდა, თავისი ქუეყანა გაემართა“** (ალ. ორბელიანი 1999 :29).

ალ. ორბელიანის წერილების უმრავლესობა ერეკლეს „თავს დასტრიალებს“. მწერალი ხან პლატონ იოსელიანს ემდურება თავის ისტორიულ თხზულებებში ერეკლეს როლის დამდაბლების გამო, ხან ფაქტის უზუსტობაში ადანაშაულებს მას, ხან დედოფალ დარეჯანის დისკრედიტაციას სწამებს. მან არც გრიგოლ რჩეულიშვილს აპატია „ქვრივის ლიმონებში“ ერეკლეზე შეთხზული მხატვრული ფანტაზია, ერეკლეს პერსონაჟის საუბარიც დაიწუნა, ფაქტების უზუსტობაც უსაყვედურა მწერალს და მთელი მოთხრობა ერეკლეზე თქმულ „საგებელ სიტყვად“ მიიჩნია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ალ. ორბელიანი ცდებოდა. ის არ განასხვავებდა მხატვრულ ტექსტს ისტორიულისაგან.

გრიგოლ ორბელიანმა, „მველისა და ახლის შემაერთებელმა ხიდმა“ (როგორც ილიამ მას უწოდა), მხოლოდ ერთხელ წარმოთქვა ერეკლეს ქება, მაგრამ ისე, რომ ყველა ქართველის გულში დაიდო ბინა: **„აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,/ თვისის დროისა გამშვენებელი,/ მამაცთა შორის საკვირველება,/ პატარა კახი, მეფე ირაკლი“** (გრ. ორბელიანი 1992 : 359). გრიგოლ ორბელიანი მეფის საბრძოლო ხელოვნების ნიჭზეც გვესაუბრება და ამავე დროს ერეკლეს გარეგნობის ერთ ნიუანსზეც ამახვილებს ყურადღებას. მას წარბმუქმუხნული სიარული უყვარდა, ალბათ, გამომდინარე იქიდან, რომ დროის უმთავრეს ნაწილს ბრძოლაში ატარებდა: **„წარბმუქმუხნული, ხმალ-ხელ მოწვედნით,/ ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა“** (იქვე). გრიგოლ ორბელიანი განიცდის, რომ ივერიის დიდება ერეკლესთან ერთად ჩაესვენა სამარეს.

უაღრესად საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ერეკლეს სოლომონ დოდაშვილმა, ქართული „ფილოსოფიური აზროვნების ვარსკვლავმა“, თავის ნარკვევში „ქართული ისტორია“. ის ხაზს უსვამს ერეკლეს მორჩილებასა და ერთგულებას მშობლებისადმი. ნადირ-შაჰს მოუთხოვია ისპაჰანში მოტყუებით წარგზავნილი თეიმურაზისგან თავისი ძის – ერეკლეს – სპარსეთში დაბარება და შაჰისათვის წარდგინება. მთელი ქართლ-კახეთი წინააღმდეგი შეიქმნა ერეკლეს გაშვებისა, მაგრამ უფლისწულმა არავის დაუგდო ყური, **„სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა და წარვიდა იგი სპარსეთს“** (დოდაშვილი 1992 :450). დოდაშვილი აღწერს ერეკლეს სიმტკიცეს, როცა მას სჯულის გამოცვლა მოსთხოვეს. ამ მონაკვეთს ნამდვილად მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა აქვს. „სამიშარი“ სახით დგას შაჰ-ნადირი და ეკითხება ქართველთა მეფეს: **„არ გასათარღები?“** **პასუხუყო: „სხეულისა ჩემისა სიკვდილი ძალგდით, ხოლო სულისა არა და არა ოდეს მივიღებ სჯულსა მაჰმადისასა“. შემდგომ შაჰ-ნადირ ბრძანა: „ნუ გეშინიან, მე არღა გაიძულებ“** (იქვე). ერეკლე წარმოჩნდება, როგორც მარტვილის ტიპი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სარწმუნოებისათვის წამება. სპარსეთის მბრძანებელმა თეიმურაზი საქართველოში გამოისტუმრა, ერეკლე კი ინდოეთის ომში წაიყვანა, ძალიან შეუყვარდა თავისი გონიერების გამო, შემწედ დაიყენა, აზრს ეკითხებოდა და მის რჩევებს ითვალისწინებდა. ერეკლეს მახვილგონიერებაზე ინდოეთის ბრძენი ხალხიც ალაპარაკდა. შაჰ-ნადირმა **„ნიშნად კეთილმოწიწებისა**

თვისისა ირაკლისადმი“ ერეკლე კახეთში გააგზავნა მამამისთან და აღუთქვა საქართველოს განთავისუფლება ლეკთა და სხვა კავკასიელ მთიელთა შემოსევებისაგან. ამ მონაკვეთით სოლომონ დოდაშვილს სურს წარმოაჩინოს ერეკლეს მრავალი ნიჭი, რომელთადმიც თვით უსასტიკესი მბრძანებელიც იჩენს მოწიწებას.

სოლომონ დოდაშვილი აღწერს ერეკლეს სხვადასხვა ომს თავდამსხმელებთან, მათ შორის – მეზობელი სომხების დახმარებას მის მიერ და მათთვის ბრძოლას. მწერალი დაწვრილებით გადმოსცემს ერევნის მახლობლად მეფის მიერ აზატ-ხანის დამარცხებას. ამ მონაკვეთში ჩანს ერეკლეს ლოგიკური განსჯის უნარი და უშიშრობა, ღვთის მორჩილება და მისი იმედი. აზატ-ხანის მოულოდნელი გამოჩენის გამო ერეკლე თავისი მცირე ჯარით გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა. მან მეზობლებს მიმართა: **„ეხლა არა არს დრო გაქცევისა. რაბამ ჰსცნობს მტერი სიმბდალესა ჩვენსა, იგი მიუცილებელად გვეწევა გზასა ზედა და არცა ერთსა ჩვენგანსა გაგვიტყუებს ცოცხალსა. ესეც რომ არ შეგვემთხვას, მე არ მინდა უომრად წასვლა“** (ს. დოდაშვილი 1992:456). ერეკლე სხვადასხვაგვარი შეგონებით განამტკიცებს ჯარს და ყოველი მისი მოწოდება პატრიოტულთან ერთად იმდენად ლოგიკურია, რომ ჯარს აძლიერებს. მოქმედება იძაბება, როდესაც სპარსი დიდებული ერეკლეს საბრძოლველად გამოითხოვს და თუმცა სოლომონ დოდაშვილს მხოლოდ ისტორიული ფაქტის გადმოცემა სურს, ტექსტი მხატვრულ ფუნქციებსაც ითავსებს. სპარს დიდებულსა და მეფეს შორის დიალოგი იმართება. სპარსი მქუხარე ხმით ქართულ ჯარს მიმართავს: **„ანი ირაკლი ხან (სად არის მეფე ირაკლი?)“ ირაკლი მცისვე გამოვიდა და სპარსულის ენით პასუსუგო: „უკეთუ შენ ეძიებ ირაკლისა, აჰა შემოჰხედე მას, იგი ჰსდგას წინაშე შენსა“**(ს. დოდაშვილი 1992 : 456). თავად ბრძოლაზე კი დოდაშვილის კომენტარი შემდეგია: **„იხილეს რა ქართველთა მხნეობა და ღვაწლი მეფისა თვისისა, თვითცა გამხნევდნენ...“** ომი ერეკლეს დიდი გამარჯვებით დასრულდა. ეს ის ბრძოლაა, რომელმაც შთააგონა გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოს“ წერისას, რაც პოემის ვრცელ სათაურშიც აისახა: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“. თუ ვინმეს აქვს ეჭვი, რომ ორბელიანები და ბარათაშვილი ერეკლეს განადიდებენ თავიანთი ახლო ნათესაური კავშირის გამო, სოლომონ დოდაშვილზე, სულით მეცნიერსა და დაბალი წარმომავლობის კაცზე, ამას ვერავინ იტყვის, იგი ობიექტურად აფასებს მოვლენებს და მოხიბლულია ერეკლეს

პიროვნებითა და მისი მრავალმხრივი ნიჭიერებით.

ვახტანგ ორბელიანმა, ნიჭიერმა და რელიგიურად ღრმად მოაზროვნე პოეტმა, ორი ლექსი მიუძღვნა თავის დიდ პაპას – „ირაკლი და იმისი დრო“ და „ირაკლი და კოხტა ბელადი“. ორივე ნაწარმოებში ირაკლი რჯულისათვის მებრძოლ გმირად არის წარმოჩენილი. ის ზეცამ მოუვლინა ქართველებს ქრისტიანების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის ხმალით უმღერის ქრისტიანობას, მისი ვალია წმინდა ტაძართა დაცვა უწმინდურთაგან. პოეტი ირაკლის „მინაურ ტრაგედიასაც“ აღიარებს – რომ მეფეს არავინ ეგულებოდა თავისი შემცველი – და ამით ხსნის მის პოლიტიკურ არჩევანს (ალ. ორბელიანი 1992 : 536). ალ. ორბელიანი უკმაყოფილოა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით. მთელ თავის შემოქმედებაში პოეტი ძველი საქართველოს მომღერალია, მაგრამ ერეკლეს ნაბიჯი – რუსეთისაკენ ორიენტაციის აღება და მის მიერ დადებული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი – პოეტისათვის მისაღებია, რადგან ამ ნაბიჯითაც ერეკლემ დაიცვა ქრისტიანობა და „გადაგვარჩინა“, მისი ღვაწლი სამშობლოსაგან ძველის დადგმის ღირსია.

ლექსში „ირაკლი და კოხტა ბელადი“ ალ. ორბელიანი აღწერს ერეკლეს გარეგნობას არა ზოგადი ფრაზებით, არამედ თანამედროვეთა და ახლობლების ზუსტი გადმოცემით და მათში ერეკლეს ხასიათის ნიშნებსაც გამოჰყოფს: **„ტანი დაბალი,/ შუბლი მაღალი,/ თვალი გამჭვრეტი, ვით არწივისა,/ მოშაო ფერით,/ ჭადარა წვერით,/ მოსული მკერდი, ბეჭი გმირისა!“** (ალ. ორბელიანი 1992 : 543). პოეტი არც მოწინააღმდეგის – კოხტა ბელადის – სანდომიან გარეგნობასა და ვაჟკაცურ ბუნებას უგულუბელყოფს, ხოლო ერეკლესა და კოხტას ბრძოლას ლომ-ვეფხვის ჭიდილს ადარებს, რომლის გადმოცემაც მხოლოდ ძლიერ მუზასა და „მგრგვინავ“ ლექსს ძალუძს.

ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფი, დიდი ილია ჭავჭავაძე, პოეტის უსაზღვრო სიყვარულს თავისი ქვეყნის მიმართ მისი დედის, თეკლა ბატონიშვილის, იმ დიდებული მეფის უსაყვარლესი ასულის, დამსახურებად თვლის, **„რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს, და მაშინ ხომ უფრო ცხოველი იქნებოდაო“** (ი. ჭავჭავაძე 1991 : 566).

მიუხედავად ზემოთ დასახელებული მწერლების მიერ მეფე ერეკლეს ღვაწლის სხვადასხვაგვარად წარმოჩენისა, მისი სახე ყველაზე მეტად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ შემოგვინახა. ბარათაშვილმა მრავალგზის დაგვაფიქრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზე, ერეკლეს როლზე ამ საქმეში

და მკვლევართა მრავალრიცხოვან ინტერპრეტაციებს გაუხსნა გზა. „ბედი ქართლისაში“ ერეკლეს პიროვნებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ საუკუნის პრობლემას, რომელზედაც მსჯელობა დღემდე არ განელეგებულა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საუკუნის გამორჩეულპოეტს, ნიკოლოზბარათაშვილს, „ქართლის“ ბედი აწუხებს და ობიექტურად წარმოაჩენს ამ საკითხზე თავისი თანამედროვე საზოგადოების ორი ნაწილის, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, აზრს. ეს ორი აზრი ასე შეიძლება გამოიხატოს – თავისუფლებაზე უფრო დიდი ღირებულება არ არსებობს, ერმა ყოველთვის უნდა იბრძოდეს დამოუკიდებლობისათვის, ერეკლეს ნაბიჯი კი გამოუვალა მდგომარეობით აიხსნება, საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად ისახება. თუ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები ერეკლეს გადაწყვეტილების მხოლოდ რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, ბარათაშვილი ყველას ჩამოთვლის და მათ შორის ისეთ მიზეზზეც ჩერდება, რომელსაც ისტორიკოსის შორსმჭვრეტელობა თუ დაინახავდა: დღეს თუ არა ხვალ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთი მაინც დაიცავს საქართველოს, ეს საქართველოს ბედისწერაა. ერეკლეს ღვაწლის აღიარებად უნდა მოვიჩნიოთ ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“.

მიუხედავად ეპოქალურ თემაზე მსჯელობისა, პოეტი მეფის პიროვნული სახის ჩვენებასაც ახერხებს. ერეკლეს ბუნება განსაკუთრებით სოლომონთან დიალოგში წარმოჩნდება. ის არ ფიქრობს პირად კეთილდღეობაზე; სურს ქვეყნის ბედის თავის სიცოცხლეშივე გადაწყვეტა ისევე, როგორც მშობელს საკუთარი შვილის პატრონისათვის ჩაბარება და მისი ბედნიერების ყურება; ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად ერეკლე ზარალდება, კარგავს მეფობის უფლებას, მაგრამ ეს ნაკლებად ადარდება. მისი მზრუნველობა ხალხისადმი და ხალხისაგანაც საპასუხო სიყვარული ნათლად იკვეთება ბრძოლის დროს – **„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,/ ოღონდ შენ იყავ მეფე, დღეგრძელი“**, – მიმართავს ჯარი მხედართმთავარს. ეს სიყვარული და ზრუნვა ხალხისა კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდება სოფიოს სიტყვებში. ის ქმარს უპირველესად მეფის მდგომარეობის შესახებ ეკითხება. ერეკლემ ქვეყნისადმი თავდადებითა და ღვაწლით დაიმკვიდრა სახელი, ხოლო ბარათაშვილმა თავისი პოემით უკვდავყო მისი სახე, როგორც პირად ინტერესებზე უარის მთქმელი მეფისა და შორსმჭვრეტელი მოაზროვნისა.

ერეკლეს სახის წარმოჩენის თვალსაზრისით არ შეიძლება არ აღინიშნოს გრიგოლ რჩეულიშვილის დამსახურებაც. თავის მოთხრობაში „ქვრივის ლიმონები“ მან დახატა ერეკლეს, როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანის, პორტრეტი. მეფეს აწუხებს ყოფითი პრობლემებიც, ინტერესდება თავისი მეგობრის შვილის, ქვრივი კეკეს, ბედით და თავად აკითხავს მას სახლში; მასთან ერთად იზიარებს მის პრობლემას, თუ რომელ თაყვანისმცემელს გაჰყვეს ცოლად და სიყვარულის გამოსაცდელად არჩევანის წინაშე აყენებს ხელის მთხოვნელებს. მეფე საკუთარ სატკივარზეც მოუთხრობს პოლიტიკისაგან ძალზე შორს მდგარ ადამიანს, კეკეს და, მიუხედავად იმისა, რომ მისგან რჩევას არ მოელის, გულწრფელად უყვება თავის გადაწყვეტილებაზე, რუსეთს დაუკავშიროს საქართველოს ბედი. გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობაში წარმოჩნდა, თუ რამდენად აქტუალური იყო მე-19 საუკუნის საზოგადოებისთვის რუსეთთან შეერთების საკითხი და ერეკლეს როლი ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არცერთი რომანტიკოსი არ ადანაშაულებს ერეკლეს. პირიქით, მის ნაბიჯს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიჩნევენ, ამისთვის მაღლობას უხდებიან და ეთაყვანებიან მეფეს.

რომანტიზმის ეპოქას ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის ხანა მოსდევს. სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან 60-იანელები – ქართული ლიტერატურის კლასიკოსები – ილია, აკაკი და ვაჟა. ილიას ერეკლესათვის საგანგებო ნაწარმოები არ მიუძღვნია, მაგრამ მის ერთ-ერთ მოთხრობაში – „ამზად გაგონილი“ – ერეკლე პერსონაჟია, რომელიც ხალხის მოსწრებულ გამონათქვამებს აფასებს და გაწყრომის ნაცვლად ასაჩუქრებს მას; ერეკლე წარმოჩნდება არა როგორც ისტორიული პირი, არამედ უბრალო ხალხის ქომაგი მეფე. მაგალითად, ერეკლეს შეურცხვენია საგლახაკოდ გამოსული, შვიდი შვილის პატრონი დედა. ქალს კი მოსწრებულად უთქვამს მისთვის: **„ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანაო“**. ხალხური სიბრძნის, გერგილიანი თქმის წარმოჩენასთან ერთად ილიას მიზანი ერეკლეს ადამიანური სახის ჩვენებაცაა. ილია ხშირად მოიხსენიებს ერეკლეს საისტორიო ხასიათის წერილებში და მას „სახელოვან მეფეს“ უწოდებს.

აკაკიმ ერეკლეს მიუძღვნა ლექსი „ირაკლის საფლავზე“, რომელიც პოეტის მოვალეობასა და პოეზიის ქმნადობის პროცესზეა. პოეტი წუნონს ქვეყანას და იერემიას ქუდს ადარებს მას. იერემიამ

წინასწარ იგლოვა იერუსალიმის მომავალი და გააფრთხილა ხალხი, რომ მოცვრულად მოსული შეიძლება სასტიკი მტერი აღმოჩნდეს. აკაკის ახასიათებს სათქმელის ორაზროვნად თქმა და შემდგომ მისი ნაწილობრივი ახსნა. ის პარალელს ავლებს იერემიას მიერ იერიქონის საყვირით იერუსალიმის გამოფხიზლებასა და პოეტის მიერ სტვირით ქართველი ხალხის გაფრთხილებას შორის. მართალია, ამ ორ მოვლენას შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ ერთია ორივე სუბიექტის გლოვის საბაზი. იერემია იუდას საფლავს გლოვობს, აკაკი – ირაკლისას. ამ ლექსით პოეტმა ზოგადად საქართველო დაიტირა, რომელსაც მოცვრად მოსული მტრად მოევიდნა, პატარა კახი დაიტირა, „გმირთ-გმირი“ და მეუფის, ანუ ღვთის, „ქვეყნიური სახე“ უწოდა მას (ა. წერეთელი 2011 : 363). ერეკლეს სახე გაკვრით ფიგურირებს აკაკის მოთხრობებშიც: „სიკვილი“ და „ქართული ფულის თავგადასავალი“.

ერეკლეს პიროვნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც წარმოჩნდა სხვადასხვა კუთხით: როგორც მეფე გმირი და როგორც მეფე ადამიანი, შეხუმრებული თავის ხალხთან, ერეკლე, როგორც წინასწარმეტყველი, რომელიც გრძნობს თავისი ქვეყნის (მომავალში) დაცემას. ლექსში „ერეკლეს სიზმარი“ ჩამინებული მეფე ხედავს, რომ საქართველოს თავიდან ბოლომდე ცეცხლი უკიდია, იწვის სრა-სასახლეც და სამეფო ტახტიც, მტერი ფეხით თელავს ხალხს, აბჯარაყრილი ლაშქარი კი უძრავად დგას. არავის ესმის მეფის ძახილი, გაქვავებულნი თითქოს ტკბებიან ამ საშინელი სანახაობით. ერეკლე თავის სიზმარს მოუთხრობს ერთგულ ხევსურებს, როგორც ღვთის განჩინებას, რომელშიც ჩვენი ქვეყნის მომავალია ნაწინასწარმეტყველები. ასევე აღიქვამენ მეფის სიზმარს ხევსურნიც. ერეკლე თავის ქვეყანას უფალს აბარებს, განიცდის, რომ ხორციელმა ადამიანმა ერისა და რჯულის დაცვა მეტად ვერ მოახერხა. მართალია, იმდღევანდელი ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მეფეს ხვალინდელი დღე უფრო ადარდებს. ვაჟა შეფარვით მიგვანიშნებს, რომ მეფის სიზმარი ახდენილია, მამულიშვილები ქვეყანას ვედარ შველიან, წინაპართა ძახილი არავის ესმის და ჯარიც აბჯარაყრილია, უმოქმედოა, ხალხი კი უენო და დაყრუბული. იგივე თემა გრძელდება სხვა ლექსშიც „1795 წლის სახსოვრად“. პოეტი აღწერს ამ დროს მომხდარ ტრაგედიას და პატივს მიაგებს კრწანისის ომში დაღუპულ გმირებს. ერეკლეს აჩრდილი აკლდამიდან გადაჰყურებს თბილისს. მკლავზე სისხლშემხმარი და თვალცრემლიანი მეფე სულით არ ტყდება.

იწვება ქალაქი და მიშველება სწადიან, მეომრები კი აღარსად სჩანან, კრწანისის ველზე დაიღუპა ყველა. პოეტი მწუხარებით აღნიშნავს, რომ შთამომავლობას დაგვეხშო სმენა, რადგან სისხლის დაღვრის თანასწორად მიგვაჩნია „ქალაღდს ნათითხნი მელანი“ (ვაჟა-ფშაველა 1964:206). ვაჟას ლექსი თავისი შინაარსით მისტიკურ-ალეგორიულია. მოქმედება თითქოს რეალურად ხდება, მაგრამ ის წარსულშია სავარაუდებელი, რადგან ყველა დაღუპულია, მეფის აჩრდილია მოქმედი პერსონაჟი და არა ცოცხალი ერეკლე. ახალ დროსთან პარალელი გვიჩვენებს ფასეულობათა შეცვლას, სისხლისღვრის მაგივრად კალმით ბრძოლას. ვაჟას აზრით, მწერლობა ნამდვილი ომი არ არის, რაზეც მიგვანიშნებს სიტყვა „ნათითხნი“; ძველი დრო, ხმლით ბრძოლა, უფრო დასაფასებელია პოეტისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მკვეთრად იკვეთება ლიტერატურათმცოდნეთა პოზიცია, რომ თავისი მისტიკურ-ალეგორიული შინაარსის ნაწარმოებებით ვაჟა სცილდება რეალიზმის ფარგლებს და მოდერნისტულ ლიტერატურასთან ამჟღავნებს ნათესაობას.

ერეკლეს სახე ჩნდება ვაჟას პოემებშიც. თუ რომანტიკოსებთან ძირითადად ერეკლეს ხოტბაა წარმოჩენილი, 80-იანელი ვაჟა მას უბრალო ადამიანად გვიხატავს. პოემაში „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ მწერალი გვიამბობს ლეკებთან მეზრძოლ უშიშარ გმირზე, რომელიც თამამია თავის მეფესთან და მის კითხვებს გერგილიანად პასუხობს; მეფის გამოცდა, მისთვის იარაღის ჩამორთმევა კი, ხელს არ უშლის მას, კომბალით დახოცოს ორმოცი ლეკი, მკვდრებს იარაღები აჰყაროს და მეფის კარზე მიზიდოს: „აჰა, მეფევე, გიჭირს და მოიხმარე.“ გმირის სითამამე მეფესთან ერეკლეს დიდსულოვან ბუნებაზე, უბრალო ხალხისადმი მის პატივისცემასა და სიყვარულზე მეტყველებს და ფოლკლორიდან არის აღებული ვაჟას მიერ.

იგივე თემა გრელდება პოემაში „ძალლიკა ხიმიკაურში“, რომელშიც აღწერილია მეფის მიერ ხმაღჩამორთმეული ძალლიკას გმირობა ომში. აღმოჩნდება, რომ გმირს ხის ხმლით უბრძოლია. ერეკლე ჯერ ბრახდება მის საქციელზე, შემდეგ კი ღიმილი მოსდის სახეზე, მხლებლებს ხიმიკაურის ხმლის გამოტანას უბრძანებს და პატრონს ამ სიტყვებით უბრუნებს: **„ძალლიკავ, მაინც იძალდე/წაიდე, გერტყას... შენია/ვინაც წელზეით შემოგხსნას/ის ღმერთს ნუმც დაურჩენია!“** (ვაჟა-ფშაველა 1964 : 108). ძალლიკა ბედნიერია, ჰკოცნის მეფეს, ფეხებზე ეხვევა, არ იცის, რა ქნას სიხარულისგან.

„აღარ ეყოფა ძაღლიკას / მტრის ჯარი შესახვერებადა“ (იქვე), _ მტერზე სატირის ფოლკლორულ ხერხს მიმართავს ვაჟა გმირის შემართების საჩვენებლად. მეფემ იწინა თავისი საქციელი, ძაღლიკასათვის ხმლის ჩამორთმევა შეუძლებელ ცოდვად მიიჩნია, მოოქროვილი თოფიც აჩუქა და სხვადასხვა საბოძვრით აავსო. პოემაში ერეკლე წარმოჩნდება ადამიანად, რომელსაც შეცდომაც მოსდის, მაგრამ შეუძლია თავისი დანაშაულის დანახვა და გამოსწორება. ვაჟა მეფის გარეგნობას არ ხატვს; თუმცა მეტაფორულ თქმაში ერეკლეს გარეგნობაცა და ხასიათიც ერთად წარმოჩნდება: **„გამოჩნდა ლომი ქართლისა, / მზე-მთვარის მინაგვარია“** (ვაჟა-ფშაველა 1964 : 106).

ერეკლეს ცხოვრება და მოღვაწეობა საბავშვო მწერლობაშიც აისახა. იაკობ გოგებაშვილმა თავის „საგანძურში“ შეიტანა ისტორიული თხზულებანი, მათ შორის: „ერეკლე მეორე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „გლეხი ბოსტაშვილი“, „ასპინძის ომი“, „სამასი თავდადებული გლეხი“. ამ მოთხრობებში წარმოჩნდება როგორც ერეკლეს პიროვნული თვისებები, ასევე დაწვრილებითაა აღწერილი მის მიერ გადახდილი ომები, XVIII საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება და ერეკლეს მიერ გამოსავლის ძიება სხვადასხვა შემთხვევისა და ვითარების დროს. საქართველოს ისტორიაში იაკობ გოგებაშვილი ერეკლეს ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ უძებნის ადგილს. ისტორიულ მოთხრობაში „ერეკლე მეორე“ მწერალი აღნიშნავს, რომ ქართველთა მეფის ვაჟკაცობის ამბავი არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც იყო ცნობილი: **„პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, რომელიც გამარჯვებით ებრძოდა თითქმის მთელს ევროპასა, ეს სამხედრო გენოსიც კი ისეთს აღტაცებაში იყო ერეკლეს ვაჟკაცობით, რომ საქვეყნოდ ამბობდა: მე ვიმარჯვებ ევროპაში, ხოლო აზიაში იმარჯვებს უძლეველი მეფე ქართველთა ერეკლეო“** (ი. გოგებაშვილი 1982 : 380). მოთხრობაში „ასპინძის ომი“ მწერალი მოგვითხრობს ერეკლეს იმ ნიჭზე, რომელიც მხოლოდ პატარა და ღარიბი ქვეყნის შვილს შეიძლება ჰქონდეს: **„იგი ყოველთვის მოგებულს ომში ჰკარგავდა მხოლოდ მცირეოდენს ჯარსა, დიდს გამარჯვებას პატარა მსხვერპლით ახერხებდა, მრავალს მტერს მცირეოდენი ძალით ამარცხებდა, პატარა ღონისძიებით ბრწყინვალე წადილს ეწეოდა და სწორედ ამაში მდგომარეობს უზენაესი ღირსება**

სარდლისა. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო იმისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორც იყო და არის საქართველო“ (ი. გოგებაშვილი 1982 : 398). იაკობ გოგებაშვილი ერეკლეს შეცდომაზეც საუბრობს თამამად და ამად მიიჩნევს უკვე ძლიერ ავადმყოფი მეფის მიერ დარეჯან დედოფლის ძალდატანებით მემკვიდრეობის კანონის შეცვლას, უფროსი შვილის შემდეგ მემკვიდრეობის გადასვლას მის ძმაზე და არა შვილზე.

როგორც დავინახეთ, რეალისტურ მხატვრულ ტექსტში ერეკლეს ქებას მისი ადამიანად დახატვა ცვლის, იმ ნიშან-თვისებებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ნამდვილად ახასიათებდა მეფეს და რომელთა წყალობით ხალხის სიყვარულს იმსახურებდა. როგორც რომანტიკულ, ისე რეალისტურ ლიტერატურაში ქართველი მწერალი მოხიბლულია ერეკლეს პიროვნებით, ჭკუით, მხედართმთავრული ნიჭით, ღვთისმოყვარეობითა და ადამიანური, კეთილშობილი ბუნებით. ქართველმა მწერლებმა იციან, რომ ერეკლეს მეფობასთან ერთად დასრულდა საქართველოს დიდება, მას ქვეყნის მფარველად მიიჩნევენ და არ დებენ ბრალს საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. ერეკლე მათთვის ის სანაქებო წარსულია, რომელმაც მომავალ თაობასაც უნდა აუხილოს თვალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, „საგანძური“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1982.
2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.2, ტ.3, ტ.4, ტ.9, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.
3. „ქართული მწერლობა“, ტ. 9, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1992.
4. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1991.
5. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 2, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011.

Irakli II at the “trial” of Georgian literature of the 19th century

*Tamar Sharabidze, associate professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Summary

The article is dedicated to the question of how the portrait of Heraclius II is manifested in Georgian literature of the 19th century. What parts of the king's life does the writer focus on, How his talents and personality are described, How he was evaluated from the historical perspectives, what place was given to him among the great kings and commanders.

For this purpose, we have reviewed the works of the following Georgian writers: Alexander Chavchavadze, Solomon Razmadze, Alexander Orbeliani, Grigol Orbeliani, Vakhtang Orbeliani, Nikoloz Baratashvili, Solomon Dodashvili, Grigol Rcheulishvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela and Iakob Gogebashvili. Our special attention was drawn to the question: Does any writer accuse King Irakli for taking the matters into his own hands, In his political orientation towards Russia and the steps were taken in this direction?. In this article, we will consider separately the attitude of romantic and realist writers and the reality perceived by them. Although the subject of the reflection is the same_ king Heraclius peculiarities of the reflection used by them are different..

In contrast to the romantic poets, realists replace Heraclius's praise in a literary text with his portrayal of a human., they used to emphasize the qualities that truly characterized the king and made him worthy of the love of the people. In both romantic and realist literature, Georgian writers are fascinated by the king's personality, wiseness, military talent, godliness and with his humanity. Georgian writers knew that the glory of Georgia ended with the reign of Heraclius, He is considered as the protector of the country and for them, he is not the one to blame in the conquest of Georgia by the Russian Empire. For them Heraclius is considered with the praiseworthy past, and with the man with whom the young generation will look up to.

Key words: King Heraclius, Character, Literary Judgment.

სექცია II
ისტორია, სოციალური მეცნიერებები,
ფსიქოლოგია, ბიზნესი

მწვანე ნაგებობები, რეალობა და მოლოდინები

*ბარათაშვილი მერაბ, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მწვანე მშენებლობის განვითარების წინა პირობები, არსებული ტენდენციები, მოსალოდნელი კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებელი, მწვანე მშენებლობებით მიღებული სამშენებლო პროდუქტის სამომხმარებლო ფუნქციების ხარისხობრივი მაჩვენებლები. მწვანე მშენებლობის გაზრდილი თვითღირებულების მიუხედავად მიღებული საერთო სარგებელი, მათ შორის შენობის ექსპლუატაციის შემცირებული ფინანსური მაჩვენებლები. მწვანე ნაგებობის შენახვის პირდაპირი და ირიბი დანახარჯების შემცირების ტენდენციები და წინა პირობები. მწვანე მშენებლობის შედეგად მიღებული სამშენებლო პროდუქტის გარემოზე და ადამიანზე მავნე ზემოქმედების შემცირების შესაძლებლობები მწვანე ანუ ეკო მშენებლობის სასარგებლოდ არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები. მწვანე მშენებლობის არსებითი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, მწვანე მშენებლობის სასარგებლოდ არსებული ტენდენციები, აშშ-ში და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამჟამად არსებული მოთხოვნები და მოსალოდნელი გამოწვევები, მშენებლობის ამ მიმართულების არსებული სტანდარტები, მწვანე ნაგებობების უპირატესობები, გამოწვევები, მწვანე ნაგებობების სერტიფიცირების არსი, მწვანე ნაგებობებით ენერჯის ნულოვანი მოხმარების ეტალონური მაჩვენებელი. მწვანე ნაგებობების ფორმალური მაჩვენებლით ქულებით შფასების მიდგომები, მწვანე ნაგებობებში ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენების მრავალფაქტორიანი უპირატესობები. მწვანე მშენებლობის მიზნების რეალიზაციის შედეგად რეალიზაციით დამდგარი საზოგადოებრივი

სარგებელი. მწვანე მშენებლობის ქართული გამოცდილება, და ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ნაგებები, ეკო მშენებლობა, სერტიფიცირება, მწვანე მშენებლობის სტანდარტები, ენერგო ეფექტურობა, ეკოლოპიური მასალები, მწვანე მშენებლობის პოზიტიური გამოწვევები, შენობის სასიცოცხლო ციკლი. ენერჯის ნულოვანი მოხმარების ეტალონური მაჩვენებელი.

შესავალი

მწვანე ან როგორც მას სხვაგვარად ეკოლოგიურ მშენებლობად მოიხსენიებენ განვითარებული ქვეყნებში სამშენებლო სექტორის და ზოგადად საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აღნიშნული მიმართულებით, მშენებლობის მიმართ წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით და უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით აგებული ნაგებობის ექსპლუატაციისას მისი სასიცოცხლო ციკლის მთელი პერიოდის მანძილზე წარმოებს შესაბამისი რესურსების ეფექტური გამოყენება, ამასთან გაზრდილია შენობის, როგორც საცხოვრებელი სივრცის სამომხმარებლო ფუნქციების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ძირითადი ნაწილი

შენობის ექსპლუატაციის პერიოდში ძირითადად ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენება გულსიხმობს მათ შემცირებული მოცულობებით მოხმარებას და ცენტრალიზირებული წესით მოწოდებული ენერჯის მწვანე შენობა ნაგებობებზე არსებული განახლებადი ენერჯის წყაროებით გამომუშავებული ენერჯით ჩანაცვლებას, რაც იძლევა შენობის ექსპლუატაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტია 30-40%-ით უფრო ძვირადღირებული მწვანე სახლების აგების სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდასაჭერად. ეკო მშენებლობის საერთაშორისო საბჭოს მონაცემებით ამჟამად არსებული შენობა ნაგებობები მო-იხმარენ არსებული პირვალადი ენერჯის მარაგების 40%-ს, ელექტროენერჯის 67%-ს. სასმელი წყლის 14%-ს. შენებლობის

სექტორზე მიდის არსებული რესურსების ნახევარზე მეტი. ამასთან არსებული შენობა ნაგებობების ექსპლუატაციას წარმოიქმნება მყარი ბიო ნარჩენების 50% და ატმოსფეროში გატყორცნილი ნახშირორჟანგის 35%. Dodge Data & Analytics და United Technologies, კორპორაციების ბოლო მონაცემებით, მწვანე მშენებლობების მოცულობები ყოველ სამწელიწადში ორმაგდება. იცვლება მიდგომები და ასეთი წესით აგებული ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლები სულ უფრო უახლოვდება ენერჯის ნულოვანი მოხმარებით ნაგებობების ეტალონურ მაჩვენებლებს. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ატმოსფეროში გატყორცნილი ნახშირორჟანგით გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება მწვანე მშენებლობების კიდე ერთი მნიშვნელოვანი შედეგია. Dodge Data & Analytics-ის მონაცემებით მწვანე ნაგებობების ექსპლუატაცია, მშენებლობისას შესაბამისი ტექნოლოგიების მინიმალურად გათვალისწინებითაც კი, 14%-ით იაფია და ამ აქტივებზე ფასი 15%-ით მაღალია ტრადიციულ ნაგებობებთან შედარებით. მწვანე-ეკო მშენებლობასთან ერთად უსწრაფესად ვითარდება „გონიერი სახლების“ მშენებლობის ტექნოლოგიები. ამ ორი თანამედროვე მიმართულებით უკვე არსებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების ეფექტურად შეთანწყობით მიიღება სრულფასოვანი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამშენებლო პროდუქტი, რომელიც სრულფასოვნად პასუხობს სამ არსებით გამოწვევას;

მცირდება შენობა ნაგებობების ექსპლუატაციისას გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბები.

მცირდება შენობის ექსპლუატაციისათვის საჭირო რესურსების მნიშვნელობები.

შენობა სრულფასოვნად პასუხობს მის მიმართ წაყენებულ ყოფით მოთხოვნებს.

მწვანე მშენებლობის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა ახდენს სხვადასხვა მიმართულებებით ბიზნესის, ინოვაციური ტექნოლოგიების და ზოგადად ეკონომიკის სტიმულირებას, აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრების დონეს და გარემოს პირობებს. ურბანულ სივრცეებში და მეგაპოლისებში ადამიანები ცხოვრების 80%-ს დახურულ სივრცეებში ატარებენ, შენობებში ცხოვრების გამო გამოწვეულ დაავადებების პრევენციაზე და მკურ-

ნალობაზე ყოველწლიურად გაწეული დანახარჯები აშშ-ში 58 მილიარდი დოლარია. ეკო და მწვანე შენობა ნაგებობები პირდაპირ დანახარჯებთან ერთად იძლევა მსგავსი ტიპის ირიბი დანახარჯების შემცირებისა და ადამიანებისთვის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საშუალებას. ამჟამად არსებობს შენობების ენერგოეფექტურობის რეიტინგული შეფასების ორი ცნობილი, ბრიტანეთის Bre Global ინსტიტუტის მიერ შემუშავებული BREEAM და ამერიკის ეკოლოგიური მშენებლობის საბჭოს მიერ შემუშავებული LEED სისტემა. მოცემული სტანდარტების მეშვეობით წარმოებს შენობა ნაგებობების რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით შეფასება. რაც მეტია შენობისთვის მინიჭებული ქულა მით მაღალია მასზე გაცემული სერტიფიკატის დონე. სერტიფიკატი მესაკუთრეებს უდასტურებს შენობის მწვანე ნაგებობასთან შესაბამისობის ხარისხს, ხოლო სამშენებლო კომპანიებს უსაზღვრავს ადგილს სარეიტინგო ცხრილში. ზოგადად მწვანე ნაგებობები ისე უნდა იყოს დაპროექტებული რომ მათი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ მოხმარებული რესურსების მინიმუმადე დაყვანის პარალელურად არსებითად შემცირდეს ახალი ნაგებობის აგების გამო საცხოვრებელ სექტორში, გარემოზე და ადამიანზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორები, არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მიღწეული უნდა იქნას სათანადო შედეგები შემდეგი მიზნები რეალიზაციით: შენობის სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრა, ენერჯის ეფექტური ხარჯვა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, მშენებლობაში ენერგოეფექტური ეკოლოგიური მასალების გამოყენება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობის შემცირება, შენობის შიგნით ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება.

დასკვნა საქართველოში არსებობს ენერგოეფექტური შენობა ნაგებობების მშენებლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება, ამ სახის ნიშან თვისებები შეიმჩნევა ცხადად მთიან აჭარაში აგებულ სახოვრებელ სახლებზე, სვანური კომპლექსზე, დღევანდელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისქვეშა ნაგებობებზე, ენერგო ეფექტური ნიშან თვისებები ცხადადაა წარმოდგენილი გერმანული თემის მიერ ბოლნისში ასურეთში აგებულ საცხოვ-

რებელ საცხოვრებელ სახლებზე. შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, საწვავლო პროგრამები და დროულად მიღებული და მოქმედებაში მოყვანილი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა სათანადო შეტყობინება იქნება ქართული სამშენებლო ინდუსტრიისათვის, ეს შესაძლებელს გახდის დროულად იქნას გადაგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა ქვეყანა სამშენებლო სექტორი მნიშვნელოვანი რყევების გარეშე შეხვდეს ობიექტური მიზეზებით ენერგო მატარებლებზე ფასების ზრდას და გარემოს დაცვაზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მშებებლობის სექტორში არსებულ გამოწვევებზე გაკეთდება სწორი არჩევანი /;.მწვანე ნაგებობების სასარგებლოდ.

ლიტერატურა:

1. World Green Building Trends. Developing Markets Accelerate Global Green Growth 2017 // SmartMarket Report by Dodge Data & Analytics. – 2017. – C. 21.
2. Rinkesh K. What is a Green Building? // Business Feed Sunpower. URL: <http://businessfeed.sunpower.com/articles/written-what-is-a-green-building>.
3. International Conference on Applied Economics (ICOAE) 2013 Sustainability components affecting decisions for green building projects. K.I. Vatalisa, O. Manoliadisb, G. Charalampidesa, S. Platiasa, S. Savvidisa. <https://core.ac.uk/download/pdf/82000219>.

green building, reality and expectation

*Merab Baratashvili, Associate Professor
A. Tsereteli State University*

Summary

The article discusses the preconditions for the development of green construction, current trends, expected specific public benefits, qualitative indicators of consumer functions of the construction product obtained through green construction. Overall benefits received despite the increased cost of green construction, including reduced financial performance of the building. Trends and preconditions for reducing direct and indirect costs of maintaining a green building. Opportunities to reduce the environmental and human impact of the construction product obtained as a result of green construction Significant challenges in favor of green or eco construction. Essential goals and expected results of green construction, trends in favor of green construction, current requirements and expected challenges in the US and EU member states, existing standards in this area, advantages of green buildings, challenges, certification of green buildings, zero energy consumption of green buildings Reference rate. Approaches to scoring scores by the formal indicator of green buildings, the multifactorial advantages of using alternative energy sources in green buildings. Public benefit from the realization of the goals of green construction. Georgian experience in green construction, and current trends in the country in this direction.

Keywords: Green buildings, eco construction, certification, green building standards, energy efficiency, ecological materials, positive challenges of green construction, building life cycle. Zero energy consumption benchmark.

ერეკლე მეფე და კათოლიკე მისიონი

*გამეზარდაშვილი ზურაბ, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

XVII-XVIII საუკუნეებში, შიდა ერთიანობას მოკლებული საქართველო გამოიყურებოდა, როგორც ქრისტიანული სამყაროს კუნძული, რომელიც ყოველი მხრიდან გარემოცული იყო მტრულად განწყობილი მუსლიმური ქვეყნებით. ასეთ გარემოში საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან, კერძოდ, რომთან უწყვეტი რელიგიური და პოლიტიკური კავშირის შენარჩუნებას.

ვატიკანის არქივებში მოპოვებული მასალები გვაძლევენ პრაქტიკულ საშუალებას ვიკვლიოთ დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხები. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მეფე-მთავართა ოფიციალური მიმოწერები ევროპის მესვეურებთან თუ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან. ეს საშუალებას იძლევა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიის გარკვეული ეტაპის მახასიათებლები.

სწორედ ამის დადასტურებაა მეფე ერეკლე II წერილი იტალიელ მისიონერ პატრ ლეონარდო ვიტერბოელისადმი.

შესავალი

ევროპის, კერძოდ ვატიკანის არქივებსა და წიგნსაცავებში XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს შესახებ დაცული დღემდე უცნობი საისტორიო წყაროების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა ქართული ისტორიოგრაფის გადაუდებელი ამოცანაა. ამ წყაროებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ქართულმა საისტორიო წყაროებმა, რომლებიც აღნიშნულ საუკუნეებში განუწყვეტელი ომების შედეგად განადგურებას გადაურჩა, ვერ ასახა საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის მრავალფეროვანი თემები. ამ მასალათა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მეფე-მთავართა ოფიციალური მიმოწერები დასავლეთ ევროპის მონარქებთან, ქართველი საერო და სასულიერო

ელიტის წარმომადგენელთა მიერ წმინდა ტახტთან რელიგიური კავშირების გაგება და შეფასება, ეკლესიათა უნიის შესახებ გამართული მოლაპარაკებები, საქართველოში მოღვაწე კათოლიკურ მისიათა პრეფექტების „პროპაგანდა ფიდემი“ გაგზავნილი რელაციები, დიპლომატთა, მოგზაურთა და სხვა თვითმხილველთა ჩანაწერები, მათი მოგზაურობების აღწერები და ცენტრალური წარმომადგენლებისათვის გაგზავნილი ანგარიშები.

ჩვენი მიზანია XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თემებზე ვატიკანის არქივებში მიკვლეული დღემდე ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის უცნობი იტალიურ და ლათინურ ენებზე შესრულებული ხელნაწერი მასალების ამოკითხვა, ქართულ ენაზე თარგმნა, კრიტიკული შესწავლა, გაანალიზება, კომენტირება და გამოცემა.

ძირითადი ტექსტი

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში XIII-XVIII სს. საქართველოს შესახებ დაცული საისტორიო წყაროების გამოვლენასა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას ტრადიციულად ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. დღეს, როცა საქართველოს სწრაფვა ევროპული ინტეგრაციისაკენ პირველი რიგის ამოცანად აყენებს დასავლურ სამყაროსთან საქართველოს ძველი ურთიერთობების ისტორიის შესწავლასა და ხელახლა გააზრებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვატიკანის არქივებში დაცული ახალი მასალების გამოვლენას, მათ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას. სულიერი კულტურისა და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ხასიათის მატარებელი ეს წყაროები პასუხობენ ჩვენი ქვეყნის ევროპისკენ სწრაფვას და ხიდის როლს ასრულებენ დასავლეთთან ურთიერთობების განვითარებაში.

ვატიკანის არქივიდან აღებული მასალები გვამლევენ პრაქტიკულ საშუალებას ვიკვლიოთ დასავლეთ ევროპასთან საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური, დიპლომატიური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების თემები. უფრო მეტიც, თუ არა ვატიკანში დაცული მასალები, საერთოდ დღეს არანაირი წარმოდგენა არ გვექნებოდა XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებზე. ამ მასალათა

შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მეფე-მთავართა ოფიციალური მიმოწერები დასავლეთ ევროპის მესვეურებთან.

დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და გამოვლენილი დიდი ნაწილი იმ წყაროებისა, დოკუმენტებისა და ცნობებისა, რომლებიც ინახება დასავლეთ ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში. აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ისტორიის ევროპული წყაროების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით მ.თამარაშვილს, მ.თარხნიშვილს, გ. ფერაძეს, გ. ყაზბეგს, ზ. ჭიჭინაძეს, მ. პოლიექტოვს, ნ. ორლოვსკაიას, ბ. გიორგაძეს, ი. ტაბაღას, გ. ჟორდანაიას, ე. მამისთვალიშვილს, ჯ. ვათეიშვილს, მ. პაპაშვილს და სხვებს. თუმცა მათ მიერ ნაწილობრივ მოხმობილი წყაროების სრულად წარმოდგენა და ხელახლა თარგმნა, ასევე დღემდე უცნობი ახალი მასალების შემოტანა იმ ფუნდამენტს ქმნის, რომ დასახელებული პერიოდის საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის საკითხებმა სტაგნაცია არ განიცადოს და შემდგომი განვითარება ჰპოვოს. ამდენად, მათი მეცნიერული და ისტორიული ღირებულების გადაფასება შეუძლებელია.

საბჭოთა პერიოდში, ცნობილი მიზეზების გამო, ჩვენი მეცნიერებისათვის უცხოეთში მუშაობა შეზღუდული იყო. დღეს, ამ პრობლემის მოხსნის შემდეგ, არსებობს მეტი საშუალება, როგორც არქივებში მუშაობის, ასევე კვლევის თანამედროვე მეთოდების, უახლესი მეცნიერული ლიტერატურის გაცნობისა და გამოყენების. ეს წინაპირობაა იმისა, რომ სრულყოფილად იქნეს გამოვლენილი წყაროები და მოხდეს თანამედროვე დასავლური მიღწევების ცოდნის საფუძველზე მათი კვლევა.

ეს იძლევა საშუალებას ისტორიული პროცესის სრულყოფილად ახლებური დანახვისა და მისი რეინტერპრეტაციისა. მოპოვებული წყაროები თავისებურ სიახლეს შეიტანს საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან მრავალფეროვანი ურთიერთობის შესწავლის საქმეში. იგი ახალ სინათლეს მოჰფენს საქართველოს სამოქალაქო ისტორიას და ნათლად წარმოაჩენს ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლებს, ევროპული იდეის განვითარების სირთულეებს, კულტურათა დიალოგს, კათოლიკობისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების რაობას, რომის პაპის სახით „რომის იდეის“, როგორც მსოფლიო

სახელმწიფო იდეის, რომელიც უზრუნველყოფდა საყოველთაო მშვიდობასა და წესრიგს.

ამდენად, წარმოდგენილი პრობლემა უდავო სიახლის შემცვლელია. იგი გვაძლევს საშუალებას, თანამედროვე კვლევის მეთოდების საფუძველზე წარმოვადგინოთ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს მრავალფეროვანი კულტურა, გამოვავლინოთ სხვადასხვა რელიგიათა თანაარსებობის ტრადიცია, ევროპული და დასავლური კულტურის გავლენა და ურთიერთობა ქართულ კულტურასთან, ასევე განვსაზღვროთ საქართველოს როლი და ადგილი იმდროინდელ ევროპულ სამყაროში.

ამჯერად, ჩვენ შევჩერდებით იტალიელი მისიონერის, პატრი ლეონარდო ვიტერბოელის და მეფე ერეკლე II ურთიერთობაზე. საქართველოში ამ მისიონერის საქმიანობაზე მთამარაშვილის მიერ მოძიებულ და მოტანილ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ასეთი სურათის დახატვა: პატრი ლეონარდო ვიტერბოელი საქართველოში 1759-1766 წლებს შორის ჩანს. უდავოა, რომ კაპუჩინი ლეონარდო 1759 წელზე უფრო ადრეა საქართველოში ჩამოსული. ამის ძირეულ არგუმენტად მივიჩნევთ იმას, რომ ლეონარდო ჯიროლამო და ნორჩასთან ერთად ახლო ურთიერთობაში იყო ანტონ I კათალიკოსთან და 1755 წელს მცხეთაში გამართული საეკლესიო კრების დროს საქართველოში იმყოფებოდა.

პატრი ლეონარდო საექიმო საქმეებში დახელოვნებული პირი ჩანს, რომელსაც ქართლის სამეფო კარზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამის დასტურია ლეონარდოს 1760 წლის 18 აგვისტოს წერილი, რომელიც მან თბილისიდან რომში გააგზავნა. აი, ისიც: „ფრიად პატივცემულო და ღირსო მამაო... იმედი მაქვს, რომ ჩემს წერილს მიიღებდით. ამ წერილით გაუწყებდი, რომ ერეკლე საქართველოს მეფემ ორგზის მეტად ალერსიანი წერილით მიმიწვია. შემდგომ ერთი თავისი ნათესავი თავადი 60 ჯარისკაცით გამოგზავნა ჩემს წასაყვანად. ამ თვის 14-ს რა მივუახლოვდით ტფილისს, მისივე ბრძანებით, მოგვეგება ჯარი. როგორც წინეთ გაცნობე, აქ მომიწვიეს ვითარცა ექიმი, რადგან საქართველოს მეფის თეიმურაზის ასული, ერეკლეს დაი, ავად არის. ეს მგზავრობა ჩემთვის სასარგებლო იმ მხრივ არის, რომ თავისუფლად ვემსახურები სულიერად ამ კათოლიკე ერს. თვით მეფემაც სიყვარული გამომიცხადა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, იძულებული გახდა წასულიყო იქიდან იმერეთის მეფის მისაგებებლად, რადგან დადიანთან და ერისთავთან

ერთად მოდის თხუთმეტი ათასი ჯარისკაცითა. უნდა წავიდნენ განჯის ასაღებად. მაინც კი ერეკლე მეფემ ჯარიდან ერთი ცხენოსანის პირით შემომითვალა ბრძანება, რომ არავის შეეძლოს ჩემთვის დაშლა წირვის თქმისა და სხვა სულიერი სამსახურის შესრულება. ამიტომ აქაური კათოლიკე ერთი გამოუთქმელ ნუგუმის ცემაშია“. თბილისში იგი 1760 წლის 14 აგვისტოს ჩამოვიდა. მისი მოწვევა სრულიად გარკვეული მიზნით იყო ნაკარნახევი, კერძოდ, როგორც გამოცდილ ექიმს, ემკურნალა ერეკლე II-ის დისთვის. ამასთანავე, მას ერეკლეს მფარველობით სრული უფლება ეძლეოდა სასულიერო საქმიანობისათვის, რაც ქართველი კათოლიკეებისათვის დიდ ნუგუმს წარმოადგენდა. წერილის დედანს მ, თამარაშვილმა მაშინ ვერ მიაკვლია. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ეს წიგნი (ერეკლე II-ის წერილი ლეონარდოსადმი ზ.გ.) ვერ ვიპოვეთ, მარტო მისი იტალიანურად თარგმანი გვაქვს“. ჩვენს მიერ ვატიკანში მოკვლეული, დღემდე უცნობი წერილის დედანის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა ჩვენი მიზანია.

სანამ ამ წერილს მთლიანად მოვიტანდეთ, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი. ერეკლე მეფის წერილი ლეონარდოსადმი დაწერილია 1761 წლის 21 აპრილს. ჩანს, მისი თარგმანი იტალიურ ენაზე თავად ლეონარდომ შეასრულა, რადგან მან ქართული ენა კარგად იცოდა. ბუნებრივია, წერილის დედანი და თარგმანი ლეონარდომ პროპაგანდაში თავის უფროსებს გაუგზავნა, რადგან მ. თამარაშვილმა ერეკლეს წერილის დედანს ვერ მიაკვლია.

აი, ისიც: „ლეონარდოს

ქ: ჩვენ მაგვირად ჩვენს დიდს იმედს დიდათ იმედათ მისაჩენელს, მისახედავს და არაოდეს ჩვენგან არ დასავიწყარს ახალციხის თემის უფროსს და დიდებულის ეპისკოპოზის (იგულისხმება ახალციხის ვიკარიუსი. ზ.გ.) მაგიერს პატრი უფროსს.

მრავალი მათის ყოვლის სიბრძნე მეცნიერობით სრულის თავის საკადრი მოვითხვა და უმიზეზოდ ბრძანებს სიხარული მოეხსენოს ამხანაგად. თქვენი წიგნი მოგვივიდა, დიდათ გვეამა და რაც მოგეწერათ ყველა ვუწყით და მანამ ჩვენ კახეთიდან მოვიდოდით, თქვენ წასულიყავით. ახლა ამას გაუწყებთ. ცოტა ხანი არის, რომ ჩვენი სახლი შუძლოთ არის. არა ვიცით ხველა-სურდო არის თუ ისე სხვა ცხელება რომ არის. ჩვენი ეშიგალასი ბაში რევაზ გამოგვიგზავნია თქვენის სიკეთისა და ღ-თის მოყვარულობისაგან ამას მოგელით, რომ არ დაზარდეთ და ამას გამოყვეთ. ვიცით,

რომ მანდ ბევრი საქმეები გაქვს, მაგრამ ჩვენი ხათრისათვის მანდ ერთი ვინმე ან ვართაპეტი და ვინც იცოდეთ ხუცესი ცოტას ხანს მანდ თქვენ მაგიერად დააყენოთ და თქვენ წამოხვიდეთ. ვიცით, რომ ქრისტიანების მოყვარული ხართ და ქრისტეს გულისათვის არ დაზარდეთ ხვალვე ამგვარებს. ამიტომ შემოგიკვეთთ თუ ჩვენც გამოგველი რასმე და ან ჩვენი ხათრი და სიყვარული გაქვს ამას მოგელით, რომ მალე წამოხვიდეთ ღ-თის მოწყალებით მაგისტანა [სნეულება არ არის], მაგრამ თქვენი მოსვლა მუნასიბი ვნახეთ. ახლა ღმერთის შეწევნით მაგ გზაზე მშვიდობა არის და კარგად წამოხვალთ და როდესაც წასვლა გინოდესთ ღ-თით კარგად მშვიდობით გაგისტუმრებთ. ეს რევაზ ემიგაღას ბაში რომ გამოგვიგზავნია თუნდა ჩვენ მოვსულვართ მანდ. თუნდა ეს ასე უნდა დაიჭიროთ ღ-თსამაცა ნულარ დაზარდებით ამას გამოყვენით და ამას წინათ ჩვენ აქ არ ვიყავით და თქვენთვის ჯორი მოერთმევიანათ იმის ჯარიმათ ერთი ჯორი მოგვირთმევია კარგი და ერთიცა ცხენი მოგვირთმევია, რომ მანდედამვე ამავე ცხენით უნდა წამოხვიდეთ და ერთი სხვა ჯორიც გამოგვიგზავნია თქვენის ბარგის ასაკიდებლად და სამოცი ზარ მაჰმუდი ფლური მოგვირთმევია წამლიანა და რიგი ნახეთ რასაც დაემურებით წამოსვლას თქვენ იცით. აპრილს კა.ქეს.უმეი“. ერეკლეს ბეჭედი.

დასკვნა

როგორც მოტანილი წერილად ვხედავთ, მასში კონკრეტული საკითხია დასმული. კერძოდ, ერეკლე მეფე ახალციხის კათოლიკეთა ვიცე-პრეფექტს ლეონარდო ვიტერბოელს, როგორც ექიმს, იწვევდა თბილისში ოჯახის წევრთა სამკურნალოდ. ამასთანავე კარგად ჩანს ის პატივი და სათუთი დამოკიდებულება, რომელიც ერეკლეს ჰქონდა ლეონარდოსადმი. ურთიერთდამოკიდებულებისა და პატივისცემის ასეთი ფორმა მართლ ადნიშნული საჭიროებით არ იყო გამოწვეული. ერეკლეს შემწყნარებლობა კათოლიკობისადმი შემადგენელი ნაწილი იყო მისი დასავლური ორიენტაციის იმ კონკრეტული ამოცანისა, რომელიც 80-იანი წლებიდან გამოვლინდა. აქამდე კი ერეკლე ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლენითაც ხასიათდებოდა. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ზოგჯერ სარწმუნოებრივ საკითხებში დიპლომატიურად ლავირებას მოითხოვდა.

ლიტერატურა:

1. Archivio della SCPF, „Persia”, t.III, №7.
2. მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902.
3. მ.თამარაშვილი.ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ.,1995.
4. მ.პაპაშვილი. საქართველო-რომის ურთიერთობა. თბ.,1995.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.IV.თბ.,1973.
6. Г.Жордания. З.Гамезардашвили – Римско-католическая миссия и Грузия.1994г.

King Erekle and Catholic mission

*Zurab Gamezardashvili, professor
Georian Technical University*

Summary

Erekle II, the King of Kartli and Kakheti has always been tolerant to Catholic missionaries in Georgia. This was part of his westward orientation. He considered the cultural, educational, medical, engineering and other activities of the missionaries in Georgia as a progressive phenomenon for the country which experienced lack of it. At the same time, he saw it as a diplomatic channel that could connect Georgia with Western Europe and find allies with the help of the missionaries.

The history of European policy of Erekle II has undoubtedly proved this fact. Historical records contain many letters of Erekle II both, about missionaries in Georgia and to Western monarchs. The present article has studied and analysed one of the letters of Erekle II to a missionary in Akhaltsikhe (Southern Georgia) Leonardo Viterboeli (Da Viterbo), dated April 21, 1761. The original copy of this letter was unknown until now. It has been recently discovered in „Propaganda Fide” in Vatican by Z. Gamezardashvili and thus entered the scientific world of exploration since then. This letter is of high importance as the original source describing relations with Vatican and as a cultural heritage of Georgian People.

სუიციდი როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი

*გვილავა მარიამ
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

რეზიუმე

თვითმკვლელობა განიხილება როგორც მრავალგანზომილებიანი განსაზღვრული შედეგი, რაც ბიოლოგიური, გენეტიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა გარემო ფაქტორების რთული ურთიერთქმედების შედეგად დგება. თუმცა, ხშირად ყველა ეს ფაქტორი არც არსებობს და არც თანაბრად მონაწილეობს სუიციდის ცალკეულ აქტში.

ნებისმიერი თვითმკვლელობა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორების შედეგი, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სუიციდის სხვა შემთხვევებისგან. სუიციდი მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენია და იწვევს ძლიერ განცდებს გარშემომყოფებში, საზოგადოებაში. სუიციდის მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ საზოგადოებაში არსებობს უამრავი სტიგმა, რაც ხელს უშლის როგორც სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანებისთვის დახმარების პროცესს, ასევე, თვითმკვლელთა ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანახმად, თვითმკვლელობა გლობალურად სიკვდილიანობის ტოპ 10 მიზეზს შორის არის და მეორე ადგილზეა 15-29 წლის ასაკის ფარგლებში სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს შორის.

თვითმკვლელობის ნეგატიური ფსიქოლოგიური და სოციალური გავლენა ოჯახსა და საზოგადოებაზე განუზომელია. სამუალოდ, ერთი თვითმკვლელობა ფარულად მოქმედებს 7-10 სხვა ადამიანზე. თუ თვითმკვლელობა მოხდა სკოლაში ან სამუშაო ადგილზე, ამან შეიძლება უდიდესი ნეგატიური გავლენა მოახდინოს შემთხვევის ადგილზე ან მის მიმდებარედ მყოფებზე. ზოგიერთმა გახმაურებულმა თვითმკვლელობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მთელ საზოგადოებაზე და წახალისოს სუიციდი.

ძირითადი ნაწილი

თვითმკვლელობის ტვირთი შეიძლება შეფასდეს (DALY) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლის რეგულირებული წლების“ და ცხოვრების დაკარგული წლების, ნაადრევი სიკვდილიანობის, ან ცხოვრების დაკარგული პროდუქტიული წლების (YLL) მიხედვით.

სუიციდის საერთო ღირებულება, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების კომბინაციაა. პირდაპირი ხარჯების მაგალითებია სასწრაფო დახმარების, პოლიციის გამოძიების, საავადმყოფოს, ფიზიკოსის, გაკვეთის, დაკრძალვის, ან კრემაციის მომსახურება. თუ ეს თვითმკვლელობის მცდელობაა, მაგრამ არა დასრულებული, სხვა ხარჯებში შეიძლება შედიოდეს ფსიქოთერაპია, რეაბილიტაცია და წამლები.

არაპირდაპირი ხარჯები: არაპირდაპირ ხარჯებში შედის დაკარგული ეკონომიკური პროდუქტიულობა, რაც საზოგადოებამ უნდა გადაიტანოს დროთა განმავლობაში; ისინი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დაკლებული მომავალი შემოსავალი, პოტენციურად დაკარგული ცხოვრების წლების გამო. თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში, ხარჯები შეიძლება მოიცავდეს არაფორმალურ მომსახურებას, სოციალური უზრუნველყოფის, უსახლკარობის ან უმუშევრობის ხარჯებს.

თვითმკვლელობის რისკის შეფასება გულისხმობს, სპეციალისტის მიერ პაციენტის სუიციდის რისკის შეფასებას, რომელიც ხდება პაციენტთან კონტაქტის ყველა მომენტში. ეს შეფასება შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ხარისხის ინტენსივობით. შეფასების ხარისხი ემყარება კლინიკურ განსჯას, პაციენტის შესწავლას და პაციენტის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური გარემოებების ცოდნას. ეს შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც მიიღება უშუალოდ პაციენტისგან, ან ირიბი წყაროებიდან. პაციენტთან კლინიკური კონტაქტის განმავლობაში, სუიციდის რისკის ხარისხი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სპეციფიკური სიმპტომების გამოვლენა, როგორც არის სმენითი ჰალუცინაციები, რომლებიც ადამიანს უბრძანებენ სიცოცხლის მოსპობას, ან უიმედობის განცდა დეპრესიული ეპიზოდის ფონზე, კლინიკური მდგომარეობის გაუარესება, ან ნარკოტიკების მოხმარების გაზრდა

და ა.შ. ტრაგიკულმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმა (მაგალითად, ახლობლის დაკარგვა ან მეგობრის ან საყვარელი ადამიანის თვითმკვლელობა) და კლინიკური მომსახურების სიტუაციების ცვლილებებმა (მაგალითად, საავადმყოფოდან გამოწერა ან გადაუდებელი სასწრაფო დახმარების შემდგომი მოსვლა) შეიძლება გაზარდონ თვითმკვლელობის რისკი კლინიკური მომსახურების დროს. ამრიგად, თვითმკვლელობის რისკის შეფასება მუდმივი პროცესია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე კოორდინატორების არც კომპეტენციაა და არც ვალდებულება. თუმცა, მოცემული ინსტრუმენტის საშუალებით, შესაძლებელი გახდება მათი ჩართვა რისკების შეფასების პირველად პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ სუიციდის იდეაზე ან გეგმაზე შეკითხვის დასმა არ ზრდის სუიციდის საფრთხეს. არ არსებობს კონკრეტული მონაცემები იმაზე, ზრდის თუ არა სუიციდის რისკს მასზე ღია საუბარი სუიციდანტთან (კლინიკური გარემოს გარეთ).

ბოლტონისა და მისი კოლეგების მოსაზრების თანახმად (2015), შეფასებისთვის ბარიერია ზოგიერთი კლინიციის რწმენა, რომლის თანახმადაც სუიციდურ აზრებზე შეკითხვა პაციენტს ასეთ აზრებს აღუძრავს. ამ თემასთან დაკავშირებით 2014 წელს გამოქვეყნებულ არასისტემურ მიმოხილვაში, რომელშიც შესწავლილია 2001 და 2013 წლებში გამოსული 13 კვლევა, აღმოჩნდა, რომ არცერთ პაციენტს, რომლებსაც ჰკითხეს თვითმკვლელობის შესახებ, არ აღენიშნებოდა სუიციდური აზროვნების მნიშვნელოვანი ზრდა.

მკვლევარებს და კლინიციისტებს ცვალებადი ტერმინები აქვთ თვითმკვლელობასთან დაკავშირებული აზრებისა და ქცევების აღწერისას. თუმცა, არსებობს გარკვეული შეთანხმება, რომ ტერმინი არასუიციდური თვითდაზიანება (NSSI) გულისხმობს ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი თავის დაზიანებას განზრახ მკვლელობის მცდელობის გარეშე. ლიტერატურაში გამოყენებულია რამდენიმე ტერმინი, მათ შორის თვითდამაზიანებელი ქცევა, არასუიციდური თვითდაზიანება, თვითდასახიჩრება, დაჭრა, მიზანმიმართული თვითდაზიანება, დელიკატური თვითდაჭრა, საკუთარი თავის მიმართ ძალადობა, პარასუიციდი და ავტოაგრესია. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინებიდან ბევრი გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე NSSI.

NSSI¹ გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, შედარებით მსუბუქიდან დაწყებული, როგორც არის ნაკაწრები, თმის გლეჯა ან ჭრილობის შეხორცების შეფერხება, შედარებით მძიმე ფორმებით დამთავრებული, როგორც არის დაჭრა, დაწვა ან დარტყმა. არსებობს მოსაზრება, რომ სუიციდის მცდელობები და NSSI განსხვავდება. იცინი, ვინც NSSI-ს ეწევა, ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ დროებითი შვება აქვთ, ხოლო სუიციდური ქცევის ადამიანები კი სიკვდილს უყურებენ, როგორც მუდმივ შვებას. NSSI უფრო ხშირია ვიდრე დასრულებული სუიციდი და მცდელობები.

მიმოხილვაში, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 22 ემპირიულ გამოკვლევას, ეხებოდა NSSI-ს მოზარდებში და ვარაუდობენ, რომ NSSI-ს დაწყების ტიპური ასაკი 12 -14 წელზე მოდის.

ზოგიერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ NSSI უფრო ხშირად ხორციელდება ისეთი მიზეზების გამო, როგორც არის დაძაბულობის შემცირება, ემოციის რეგულირება, სიბრაზის გამოხატვა, თვითდასჯა და დისოციაციის შემცირება.

ლიტერატურაში გამოვლენილია NSSI-ს რამდენიმე ფსიქო-სოციალური კორელატი, მათ შორის, დეპრესია, შფოთვა, კვების დარღვევები, ალექსითიმია, მტრობა, ნეგატიური თვითშეფასება, ანტისოციალური ქცევა, რისხვა, მოწევა და ემოციური რეაქცია. სუიციდის იდეა პროგნოზირებს მოგვიანებით თვითმკვლელობის მცდელობებს, მაგრამ არა NSSI-ს.

ფსიქიკური აშლილობის დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა (DSM- 5), უწოდებს NSSI-ს ცალკე სუბიექტს, იმ დარღვევათა შორის, რომლებიც საჭიროებს შემდგომ კვლევას. DSM5-ისთვის შემოთავაზებული კრიტერიუმები მოიცავს შემდეგს: განზრახ თვითდაზიანება, რომელიც განხორციელდა ფიზიკური ზიანის მოლოდინით, მაგრამ სუიციდის განზრახვის გარეშე, გასული წლის 5 ან მეტ დღეს, და ქცევა ხორციელდება მინიმუმ ერთი შემდეგი მიზეზის გამო: უარყოფითი აზრების ან გრძნობების განმუხტვის მიზნით;

სუიციდის მცდელობები და NSSI კორელაციაშია ერთმანეთთან. მათ, ვინც NSSI-ს ეწევა, სუიციდის გაზრდილი რისკი აქვთ იმ პირებთან შედარებით, რომლებიც თვითდაზიანებას არ ახდენენ. აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობით გარდაცვლილი პაციენტების

¹ non-suicidal self-injury - არასუიციდური თვითდაზიანება;

დაახლოებით ნახევარი მაინც ეცადა თვითმკვლელობას მინიმუმ ერთხელ.

NSSI-ში ჩართულობა ძალზე ხშირია მოზრდილებში, რომელთაც მოსაზღვრეპიროვნული აშლილობასჭირთ (BPD) (Goodman et al. 2012). BPD- ს დიაგნოზის ერთ – ერთი კრიტერიუმია თვითდაზიანების ქცევა ან მუქარა, მათ შორის თვითმკვლელობის მცდელობები და თვითდასახიჩრება (APA 2013).

რისკის ფაქტორი არის ის, რაც ზრდის კონკრეტული შედეგის ალბათობას. რისკის ფაქტორები, როგორც წესი, არ არის მიზეზობრივი, არც ცვალებადია და არც ყველა ერთნაირია ალბათობის განსაზღვრისთვის. მიუხედავად ამისა, მათ შეუძლიათ დაეხმარონ კლინიცისტს განსაზღვროს შედეგის ალბათობა - თვითმკვლელობით სიკვდილი. რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება კლინიცისტს ეხმარება რისკის დადგენაში.

რისკის ფაქტორების დადგენა შესაძლებელია პაციენტისგან მიღებული ინფორმაციისა და არაპირდაპირი წყაროებიდან (როგორცაა ოჯახი, მეგობრები, პოლიცია, ჯანმრთელობის სხვა პროვაიდერები, სამედიცინო ჩანაწერები და ა.შ.). ინფორმაციის ეს წყაროები უნდა იქნას გამოყენებული სუიციდის რისკის შეფასებისას.

დასკვნა

თვითმკვლელობა განიხილება როგორც მრავალგანზომილებიანი განსაზღვრული შედეგი, რაც ბიოლოგიური, გენეტიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა გარემო ფაქტორების რთული ურთიერთქმედების შედეგად დგება. თუმცა, ხშირად ყველა ეს ფაქტორი არც არსებობს და არც თანაბრად მონაწილეობს სუიციდის ცალკეულ აქტში.

ნებისმიერი თვითმკვლელობა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორების შედეგი, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სუიციდის სხვა შემთხვევებისგან. სუიციდი მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენია და იწვევს ძლიერ განცდებს გარემომოყვებში, საზოგადოებაში. სუიციდის მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ საზოგადოებაში არსებობს უამრავი სტიგმა, რაც ხელს უშლის როგორც სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანებისთვის დახმარების პროცესს, ასევე, თვითმკვლელთა ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Turecki G, Brent DA. Suicide and suicidal behaviour. Lancet. 2016;
2. Kinchin and Doran. 2018;
3. Bolton JM, Gunnell D, Turecki G. Suicide risk assessment and intervention in people with mental illness. BMJ. 2015;
4. Choi NG, DiNitto DM, Marti CN, Segal SP. Adverse childhood experiences and suicide attempts among those with mental and substance use disorders. Child Abuse Negl. 2017;
5. Fowler JC. Suicide risk assessment in clinical practice: Pragmatic guidelines for imperfect assessments. Psychotherapy. 2012;
6. Fowler JC, Piers C, Hilsenroth MJ, Holdwick DJ, Padawer JR. The Rorschach suicide constellation: assessing various degrees of lethality. J Pers Assess. 2001;
7. Nock MK, Prinstein MJ. Contextual features and behavioral functions of self-mutilation among adolescents. J Abnorm Psychol. 2005;
8. Simon RI, Hales RE. Textbook of suicide assessment and management. 2nd ed. Arlington, VA: American Psychiatric Publishing;

Suicide as a social-psychological phenomenon

Mariam Gvilava
Doctor of Social Sciences

Summary

Suicide is viewed as a multidimensional determined outcome, which results from a complex interaction of biological, genetic, psychological, sociological and environmental factors. Not all of these factors are present nor are they equally weighted in all suicides. Thus, the outcome of any one suicide may be the result of factors or weighting of factors that can be different from those related to any other suicide.

Suicide is a highly emotional topic, and while suicide is a rare event, the experience of suicide can touch almost every person, family, and community. There exists a stigma related to suicide, and this stigma may be a barrier to help-seeking for individuals who are contemplating suicide.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II თანამედროვეთა თვალით

*გომართელი ნინო, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

კაცობრიობის საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და იღვწოდა მეფე ერეკლე, „განმანათლებლობის ეპოქის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ამ იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელს ევროპულ კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამან განაპირობა ის აღმატებული შეფასებები, რომლებითაც ამკობდნენ უცხოელები და მისი თანამედროვე მემკვიდრეები „პატარა კახს“.

საკვანძო სიტყვები: მეფე ერეკლე, სპარსეთი, საფრანგეთი, მამულიშვილი, სამშობლო.

შესავალი

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი ისეთი დიდებული ადამიანის სახელი ამშვენებს, რომლის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა სამშობლოს შემდგომი სვებედი. წარსულის მაგალითები თვალნათლივ მოწმობენ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ყოველი ეპოქა თავისი საკვანძო, საჭირობო პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად თვითვე წარმოშობდა ხოლმე გმირებს, პროგრესულად მოაზროვნე იმდაგვარ პიროვნებებს, რომელთაც ქვეყნის, ერისა და ბერის მსახურებისათვის, თითქოსდა, განგებისაგან ჰქონდათ მომადლებული ხალასი ნიჭი, გონიერება და ისტორიული პროცესების საღად განჭვრეტისა და გააზრების უნარი. ქართველი ხალხის სულიერი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „...დიდ არიან საქმენი წარსულისა, იმიტომ რომ იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულიშვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულ-ატკივებულნი“ (7, 239).

ძირითადი ნაწილი

სწორედ ამიტომ, „...ისტორიას არ უნდა დაუპარგოთ იმისთანა სახელოვანი კაცების სახელები, რომელნიც ახალს მიმართულების პიონერები არიან“ (8, 418), რამეთუ „ბევრს ტანჯვას და ვაი-ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრ რისხვას და შეჩვენებას განიცდის, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას“ (9, 233-234). დიდ ილიას ღრმად სწამდა, რომ: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცთა და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ (8, 66). შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ასეთი ჩინებული კაცი და იმდროინდელი ეპოქის ჭეშმარიტი შვილი უცილებლად იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798), რომელმაც თავგანწირული ბრძოლით შეძლო დაეცვა ქვეყნის სარწმუნოებრივი და ეროვნული ინტერესები. ერეკლე მეფე იყო ნამდვილი რაინდი, მხნე მეომარი, ნიჭიერი სახელგანთქმული სარდალი, ბუნებით დიდი დიპლომატიური ნიჭის მქონე პიროვნება. ქართველთათვის ის წარმოადგენდა რაინდობისა და სამშობლოსათვის თავდადების ცოცხალ მაგალითს. მაღლიერმა ქართველმა ხალხმა „იგი უძლეველ გმირად მიიჩნია, დაადარა მთელს კახეთს და „პატარა კახი“ უწოდა“ (6, 6).

ერეკლეს გმირობას განცვიფრებაში მოჰყავდა ევროპელი ლიდერები. მისმა საოცარმა ვაჟკაცობამ და სამხედრო ხელოვნებამ აღტაცებაში მოიყვანა ევროპის უდიდესი სარდალი პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, რომელიც უპირისპირდებოდა თითქმის მთელ ევროპას. ეს სამხედრო გენიოსი სიამაყით აღნიშნავდა: „მე ვიმარჯვებ ევროპაში, ხოლო აზიაში იმარჯვებს უძლეველი მეფე ქართველთა – ერეკლე“. მას ფრიდრიხ დიდი „ასპინძის გმირად“ იხსენიებს (3, 78). დიდი გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე წერდა: „...გამორჩეულ ადამიანთა საფლავის ქვეშ დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორია“. 1753 წელს პარიზში გამოიცა საფრანგეთის ყირიმელი ელჩის პეისონელის ნაშრომი „სპარსეთისა და საქართველოს ეხლანდელ არეულობათა შესახებ“. ავტორი დაინტერესებული იყო ქართლ-კახეთის სამეფო გამოეყენებინა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის გზის გასაკაფავად სპარსეთისა და აღმოსავლეთის

ბაზრებისაკენ, რიც გამოც უდიდესი პატივისცემითა და სიმპათიით მოიხსენიებდა მერე ერეკლე II-ს, რომელსაც მიიჩნევდა ევროპელთა, კერძოდ, ფრანგთა მომხრედ და მასზე ამყარებდა დიდ იმედებს სპარსეთში საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის გასაძლიერებლად (6, 19). იქვე, პეისონელი ქება-დიდებას არ იშურებდა ერეკლე მეფის დასახასიათებლად. მკვლევარი სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ ევროპაში იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი ერეკლეს პიროვნებით, რომ წიგნი გამოცემისთანავე ფრანგულიდან ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე. გერმანელი დრამატურგი და კრიტიკოსი გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი თხზულებაში, „მინა ფონ ბარნჰელმი“ ერეკლეს გვიხასიათებს მამაც ვაჟკაცად, რომელმაც „მოდრიკა სპარსეთი და დღეს თუ არა ხვალ, თურქთა კარიბჭეში შეიჭრება“. გერმანელი მხედრები, რომლებიც სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდნენ, საქართველოში გამოპარვას აპირებდნენ, რათა მისი უმაღლესობის პრინც ერეკლეს წინამძღოლობით ერთი-ორჯერ მაინც გაელაშქრათ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ“. თელავის სემინარიის რექტორმა ფრიად განსწავლულმა დეკანოზმა გაიოზმა სათაყვანებელ მეფეს ასე მიმართა: „ბერძნები ამაცობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელები – იულიუს ცეზარით, რუსები – პეტრე დიდით, ჩვენ შეგვიძლია ვიამპარტავნოთ ჩვენი სასიქადულო მეფით, რომელიც ჭემმარიტად შემკობილია ზემოხსენებულ გმირთა ღირსებით“. მისი თანამედროვე ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ერეკლე მეფეს „აზიის ლომს“ უწოდებს. რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი აღნიშნავდა: „ერეკლე მეფემ თავისი წარჩინებული გონებით... უშიშრობითა და სიმამაცით... ისეთ მნიშვნელოვან სიმალეზე აიყვანა საქართველო, რომ ეს ქვეყანა ცნობილი გახდა მეზობელ სახელმწიფოებისათვის“. იგი ერეკლეს დახასიათებისას აღნიშნავდა: „მეფე ერეკლეს თავის ხანგრძლივ მეფობაში ახასიათებდა დიდი ჭკუა, სულიერი სიმხნევე, მამაცობა და გმირობა“. ერეკლე მეფის დახასიათებებისას ქება-დიდების სიტყვებს არ იშურებს რუსეთის მთავრობის საგანგებო რწმუნებული იაზიკოვი და მას „ნიჭიერ სარდლად, წარჩინებულ ვაჟკაცად“ იხსენიებს. გენერალი პავლე პოტიომკინი ერეკლე მეორეზე წერდა, რომ იგი ძალას და ენერგიას არ იშურებს და „...ცდილობს თავისი ერი ევროპულად მოაწყოს...“ (2, 49-50). პატარა კახის გმირობამ გრიგოლ ორბელიანს აღტაცებით ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „მამაცთა

შორის საკვირველება, პატარა კახი, მეფე ირაკლი“. ერეკლეს ეპოქის თანამედროვე პაპუნა ორბელიანი წერდა: „ერეკლე გაუძღვა ჯარსა ვითარცა ლომი, ეგრე მიესივა, გაერივა. ხმალ-და-ხმალ უომრად გაიქცა მტერი...“.

ისტორიკოსი მარი ბროსეს ინფორმაციით: „1782 წლის 18 ოქტომბერს ვენეციის რესპუბლიკისადმი გაგზავნილ ბარათში ერეკლე II წერდა: „...ჩვენის სათხოვარის ჰაზრი ის არის, რომ ერთი პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოდოს და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ რომ სცნობს, ვერასდროს ჩვენს მტრობას ვედარ გაბედავს. ასეთივე შინაარსის იყო ერეკლეს წერილი (საფრანგეთის მეფის) ლუდოვიკო XVI-ისადმი“.

გმირს წარმოშობს გმირული ეპოქა, მაშინ, როდესაც ერს უხდება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების წარმოება ყოფნა-არყოფნისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ასეთი განსაცდელის ჟამს სამშობლო თავისი შვილებისაგან მოითხოვს თავდადებასა და გმირობას. სწორედ ასეთმა მღელვარე ეპოქამ წარმოშვა ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ერეკლე II, რომელმაც თავდადებული ბრძოლებით შეძლო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა.

კაცობრიობის საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და იღვწოდა მეფე ერეკლე, „განმანათლებლობის ეპოქის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ამ იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელს ევროპულ კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამან განაპირობა ის აღმატებული შეფასებები, რომლებითაც ამკობდნენ უცხოელები და მისი თანამედროვე მემკვიდრეები „პატარა კახს“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშმაძე ვ. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1984, „თსუ გამ-ბა“.
2. გელეიშვილი პ. XVIII საუკუნის პოლიტიკური აზროვნებიდან, თბ., 1936, „სახელგამი“.
3. გოგებაშვილი ი. თხზულებანი ათ ტომად, ტ. VI, თბ., 1989.

4. ლაშქაძე დ. ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977, „საბჭოთა საქართველო“.
5. ლომსაძე შ. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1979, „მეცნიერება“.
6. მაკალათია ს. ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება, თბ., 1942.
7. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1985.
8. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1982.
9. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1987.

King of Kartli-Kakheti Erakli II through contemporaries' eyes

*Nino Gomarteli, professor
Georgian Technical University*

Summary

The hero was born in a heroic era, and the people have to die for their presence or absence, for the preservation of state independence. In such a difficult time, the Motherland demands devotion and heroism from its children. It was such an exciting era that gave birth to the famous king of Kartli-Kakheti, Erakli II, who was able to defend the national interests of the Georgian people through a selfless struggle.

The era in the history of social, political and legal thought of mankind, in which King Heraclius lived and worked, was defined as the “Age of Enlightenment”. These ideas have become widespread on the European continent and beyond. This led to exaggerated assessments by foreigners and his contemporary chroniclers of “Little Kakhi.”

გართობა-თამაშობანი, ანუ ზნენი სამამაცონი ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში

დანელია ვაჟა
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ლიტერატურული წყაროებით, ისტორიული, არქეოლოგიური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებით, ჩვენი თუ უცხოელ მემატთანეთა ცნობებით, მათი კვლევა-ანალიზით დასტურდება, რომ ქართველურ ტომებს, საუცხოო მეომრებს, შინ თუ გარეთ ასპარეზობებში არაერთხელ გამოუჩენიათ თავი. მაგალითის მიმცემი მეფე და მეფისწულეები ყოფილან. ცნობილი ქართველი მეცნიერის - ივანე ჯავახიშვილი თქმით, ფარსმან მეფის (იგულისხმება იბერიის მეფე ფარსმან პირველი - ვ.დ.) თვალად და ტანად ვაჟ რადამისტს (უეჭველია, როდამს) არა მარტო სამშობლოში, არამედ მეზობლებშიც დიდი სახელი ჰქონია მოხვეჭილი“ [1, გვ.170]. მასზე ვრცლად მოგვითხრობს რომელი ისტორიკოსი კორნელი ტაციტი. მისი თანამემამულე დიონ კასიოსი იბერიის მეფე ფარსმან ქველის (116-140) მხედრულ მამაცობაზე მოგვითხრობს. ფარსმანი, XI საუკუნის ქართველი მემატთანე ლეონტი მროველის დახასიათებით, „უშიში ვითარცა უხორცო და ყველაფრით უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“, კეისარ პიუსის თხოვნით, რომს სწვევია და ცხენოსნობაში ბადალი არ ჰყოლია. მისი სიჩაუქით აღტაცებული იმპერატორის ბრძანებით მარსის მოედანზე იბერთა მეფის ცხენიანი ქანდაკება აღუმართავთ.[2].

ისტორიამ საინტერესო მასალები შემოგვინახა ერეკლე მეფის პერიოდის გართობა-თამაშობებზეც. ყველაზე მიღებული ყოფილა ყაბახი, ჯირითი, ცხენბურთი, მიზანში ტყვიის სროლა, ჭადრაკი. ბრძენთა თამაშის პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1766 წელს ძვირფასი ჭადრაკი „თევზის კბილისა“ და ფრანგული ნაკეთობის კუს „ძვლის“ დაფით ელისაბედ ბატონიშვილისთვის გაუტანებიათ მზითევში. სამაგიეროდ, სათაკილოდ მიიჩნეოდა ნარდი, განჯაფა, ბანქო, რომლებსაც ფულზე თამაშობდნენ. თუმცა საარქივო მასალებიდან ისიც ჩანს, რომ დედაქალაქელები აზარტსაც

ვერ დალატობდნენ. მაგალითად, 1782 წელს მანუჩარ თუმანიშვილს ხარჯებში აღნიშნული აქვს: „ქალაქის თამასში მივე“... მდიდრები და უცხოელები ხშირი სტუმრები ყოფილან სამორინეებისა. სულხან-საბა ორბელიანი თქმით, ეს არის „სახლი მენარდეთა, სადა ნარდთა და მისთანათა იმღერიან“ [3, 40], მღერა კი „მორინეთ თამაშობა“ [4, 535].

ამ პერიოდში უბრალო ხალხის თამაშები ყოფილა სალა, საბას მიხედვით, „ბრტყელი ქვა სამღერელი; ბრტყელი ქვა მცირე“ [3, 35], რიკი - „სამღერელი ჯოხია, ერთი მუჭა; სამღერელი ჯოხი მუჭედი [3, 11], ვეგი - „კოჭი, კოჭაობა“ [4, 260] და სხვ. ბავშვებსაც თავიანთი სათამაშოები ჰქონიათ.

საკვანძო სიტყვები: ფარსმან ქველი, ერეკლე მეორე, ფარიკაობა, ხმალი, ჭადრაკი, ჭიდაობა, გართობა-თამაშობანი.

შესავალი

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ თავში („ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“) ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს, ქართული თამაშობანი და ასპარეზობანი (როგორც ცნობილია, ძველ დროში ასპარეზობის ესა თუ ის სახეობა საქართველოში ზნეს ნიშნავდა) დროთა განმავლობაში წეს-ჩვეულებად როგორ იქცა: „ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ჯორცთათა აღიქსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა, და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვეცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყონ სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა“ [5, გვ. 30].

უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ყაბახსა და ბურთობაზე ვახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონი: „შემდგომად გავიდიან ასპარეზსა მეფე და წარჩინებულნი და მრავალნი ერნი. დასვიან ყაბახსა ზედა ოქროსა ანუ ვერცხლისა ჭურჭელი რაიმე და უწყიან ჩინებულთა და უფროს ჭაბუკთა ისართა სროლა ესე გვარად, ცხენსა ისხდებოდენ კარგად დაკაზმულსა... კიდევ იბურთიან ესრედ: მოიყვანიან სამნი ანუ ოთხნი კარგნი მობურთალები. გაუგდიან ამათ ადგილსა ზედა ბურთი და უნდა მათგანსა ვისმე ცხენის მალ შეტევივით აელო ადგილიდამ ჩოგნით და შაეგდო მალლა და ოდეს მალლიდამ ძირს იქნებოდა

ბურთი, უნდა მიხდომოდა ფეხად და ოდეს ძირს დაცემული ბურთი შეხტებოდა, შემოეჭრა ჩოგანი და განეტყორცნა შორს“... [6, გვ. 9-10].

მსგავს გართობა-თამაშობებში იწრთობოდნენ და საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებოდნენ ქართველი მეფე-მეფისწულები. დასტურად ერეკლე მეორის ცხოვრებაც გამოდგება. ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორი შტოს დამაკავშირებელმა, ვახტანგ VI-ის ასულ თამარისა და თეიმურაზ II-ის ვაჟმა მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. ინდოეთზე გალაშქრებისას სპარსეთის მბრძანებელი ნადირ-შაჰი ახალგაზრდა ერეკლეს გმირობას გაუოცებია.

ეს არ ყოფილა შემთხვევითი. ქართველი მეცნიერისა და მწერლის - გერონტი ქიქოძის თქმით, თურქებისა და ლეკების ძალმომრეობის გამო კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული გამხდარა, ფშავში გახიზნულიყო; პატარა უფლისწულს - ოთხი-ხუთი წლის ერეკლეს მამა-ბიძა და იქ მცხოვრები გლეხები ასწავლიდნენ საბრძოლო ხელოვნებას. პატარა კახის ამაღლაში 200-მდე ყმაწვილი ყოფილა, მათ შორის - გლეხის ბიჭებიც, რომლებთანაც „პატარა უფლისწული ფარიკაობდა“ [7].

ძირითადი ნაწილი

ერეკლე მეფეზე ხალხს უამრავი ლეგენდა და 140-ზე მეტი ლექსი შეუთხზავს. მათგან ყურადღებას ერთზე გავამახვილებთ, რომელშიც ნათლად ჩანს პატარა კახის პიროვნული თვისებები - გამბედაობა და ქვეყნისთვის თავდადება. ლეგენდის მიხედვით, მეფის ავადმყოფობისას ერთ ყეენს კახეთზე თავდასხმა განუზრახავს. ერეკლეს მისთვის შეუთვლია, უდანაშაულო ხალხს რას ვერჩით, მოდი დავეჭიდოთ და ვინც ძლევს, გამარჯვებულებს ის იყოსო. ყეენი დათანხმებულა. ხალხური ლექსი ასე გადმოგვცემს ჭიდაობის სცენას:

„გამოვიდა ყეენი მედიდურის სახითა,
უსარტყელო უქამრო, მარტო ახალუხითა,
აქ ირაკლიმ ყეენსა ხელი სტაცა ქამარში,
წელში ისე მოდრიკა, როგორც დანა სახსარში“.

მართალია, ამ სტროფში შეცდომაა დაშვებული - ყეენი თუკი „უსარტყელო უქამრო“ იყო, ერეკლე ხელს როგორღა სტაცებდა ქამარში, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხალხს საყვარელი მეფე, თანაც ავადმყოფი, ბეჭდაუდებ ფალავნად ჰყავს წარმოდგენილი.

თანამედროვეთა გადმოცემით, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ერთობ პოპულარულ გართობა-თამაშობათა მთავე ხშირად პატარა კახი ყოფილა. ცნობილია, რომ იგი ასპარეზობებს აწყობდა ყაბახში, ჩოგნით ბურთაობაში, მიზანში სროლაში, ფარიკაობასა თუ სხვა სახეობაში, თან, უპირველესად, თავად მონაწილეობდა მათში. შეჯიბრებებისთვის თურმე თბილისში დღევანდელი ალექსანდროვის ბაღის ტერიტორიას, ქართლში ტირიფონას ველსა და თელავთან ახლო მინდორს ირჩევდა.

ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობაზე ერეკლე მეორის შვილიშვილი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი მოგვითხრობს, რომ „მეფე ირაკლის უცხო დარახტული და საუცხოო ცხენით რამდენიმე ასეული კაცი უკან გამოჰყვა. ამათ თვითეულად მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაჭრელებული... მეფე ირაკლიმ ოქროსფერი მოვარაყებული ჩოგნით წითელი სამოგვის ბურთი აიღო და ჩოგანში თამაშობით ცხენი გაიგდო... ჯერ კარგახანი ასე ათამაშა სხვადასხვა ნავარდობით, მას უკან პირველ რაზმს შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა“ [8]...

ჯამბაკურ-ორბელიანისავე გადმოცემით, 1790 წელს მეფე ერეკლეს ორი ათასამდე მხედრიონით გორის ახლოს ტირიფონას ველზე სროლაში შეჯიბრება გაუმართავს. აბა, თოფი ესროლეთ და ტყვია მიზანს მოახვედრეთ, მაგრამ, თუ დააცილებთ, ჩემი რიგი მოვა და მე უეჭველად გაჯობებთო, - უთქვამს მეფეს. ჭაბუკობიდანვე სისტემატურ ვარჯიშს, ბრძოლებსა და ასპარეზობებში ხშირ მონაწილეობას ერეკლე მეორისთვის სულიერი სიმხნევე და ფიზიკური სიმტკიცე შეუწარჩუნებია. „მეფე ირაკლი თუმცა მოხუცებული იყო (70 წლის - ვ.დ.), მაგრამ თვალი არ აკლდა, არც ყურთასმენა, არც გონებას და არც ენას უჩიოდა, - წერს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. - თუმცა ყმაწვილობის ღონე აღარ ჰქონდა, მაგრამ ჯირითიანობას დამდევრობას კარგად სძლეოდა“ [8].

ტირიფონას ველზე მიზანს რომ ყველამ ააცილა, ჩემი რიგიაო, უთქვამს მეფეს და დარახტული ცხენი მიუგვრიათ მისთვის. „მოხუცებულმა ტანით მომცრო კაცმა, ხელი სტაცა უნაგირის ტახტას და ფრინველივით მოაფრინდა და უზანგში ფეხი არ გაჰყო“... სწრაფად მოიმარჯვა თოფი და ტყვიამ ნიშანი გახვრიტა. ამის შემხედვარე ხალხმა თურმე ერთხმად წამოიძახა: „ცოდო არ არის, შენ საქართველოს მოუკვდეო“ [8]...

მეცნიერთა გამოკვლევით, ერეკლე მეფე ომებში მხოლოდ ორჯერ

დამარცხებულა. ერთხელ, როდესაც მას, მოკავშირეთა ღალატის გამო, ჰაჯი-ჩალაბმა სძლია და მეორედ, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი თბილისს 70.000 მეომრით შემოესია.

1751 წლის 15 თებერვალს თეიმურაზი და ერეკლე ნუხის სახანოს აგრი-ჩაისთან ჰაჯი-ჩალაბის ჩასაფრებულ ლაშქართან დამარცხდნენ. უკუქცევისას ერეკლე მეფის ცხენი შლამში ჩავლულა. სიკვდილი არ ასცდებოდა, მაგრამ მდევარს პაპა ბებურიშვილ-ვაჩნაძე გადაეღობა თურმე, ხოლო მეფისთვის მაჩხაანელ გლეხ დათუნა ბოსტაშვილს თავისი ცხენი მიუგვრია და გადაურჩენია.

ამ მარცხის შემდეგ თეიმურაზმა და ერეკლემ სახელმწიფო მართვის ფუნქციები გადაინაწილეს: ერეკლეს, როგორც ახალგაზრდასა და გულად მეომარს, ომების წარმოება და ქვეყნის საშინაო პრობლემების მოგვარება ხვდა წილად.

1751 წლის ივლისში თავრიზის მმართველის - ირანის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანის თვრამეტათასკაციანი ლაშქარი ერეკლემ ერევნის მახლობლად ყირბულახის ბრძოლაში დაამარცხა, თუმცა ჰაჯი-ჩალაბთან წაგებული ბრძოლის გამო რეგიონში ქართველების ავტორიტეტი მაინც შელახული იყო. ამას ისიც დაერთო, რომ 1752 აპრილში ქართველები ლეკებთან ვერაფერს გახდნენ, რამაც ჰაჯი-ჩალაბი გაადიდგულა. მრავალათასიანი ჯარით ის თბილისს 60 კილომეტრზე მოუახლოვდა. ალბათ, არც ერეკლე მეფე იჯდა გულხელდაკრეფილი - რევანშისთვის ემზადებოდა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ამ პერიოდის ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი, კერძოდ, 1752 წლის პირველი აგვისტოთი დათარიღებული ერეკლე II-ის წერილი ანტონ პირველი კათალიკოსისადმი (ფ. 1448, #193).¹ მეფე მამიდაშვილს უბოდიშებს წერილის დაგვიანებისთვის და წუხს, რომ ამზავი არაფერი იცის, თუმცა იმედოვნებს მის მალე ნახვას. თან ატყობინებს, თუ როგორ დაამარცხა ჭადრაკში თავადი ნიკოლოზ აბაშიძე.¹

ისტორიული ფაქტებით დგინდება, რომ ჭადრაკი ერეკლე მეო-

¹ეს წერილი [დედანი, (ფ. 1448, #193) გამოქვეყნებულია: ა. მიხეილ ქავთარიას წიგნში - XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გამომცემლობა „განათლება“, 1977, 284 გვ., გვ. 191-192; ბ. მამისა ბერძნიშვილის „ქართულ ეპისტოლურ წყაროებში“ (XV ს. - 1762 წ.). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 192; დაბეჭდ. 96-ე გვ.; გ. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736 - 1797), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი, 2008, გვ. 23;

რის დროსაც პოპულარული იყო საქართველოში. მეფეც გატაცებული ყოფილა, რადგან, ეტყობა, მოსწონდა მასში ჩაქსოვილი საბრძოლო ხელოვნების სიბრძნე - ომის იმიტაცია. როგორც ამბობენ, პატარა კახს ჭადრაკი სპეციალურად ინდოეთიდან ჩამოუტანეს, რომლის სილამაზესაც დიდხანს იხსენებდნენ თანამედროვენი.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ანტონისთვის გაგზავნილ ბარათს, დედანი ყვითელ ქაღალდზეა დაწერილი შავი მელნით ერეკლეს ხელით:

„კათალიკოსს ანტონის

ქ. თქვენს ჭირს შევეყარო, ჩემო. რა ვიცი თუ რად საფიქროვ ბატონისშვილო ძმამო პატრიარხო. შენ ჩემს მრჩობლად სასიცოცხლოდ სასოს წმინდას მარჯვენას სურვილით ამბორს გაგიბედავ. ამდონი ხანი არის თქვენი სუფევის ამბავი აღარა გვსმენია რა, მაგრამ ღვთის მოწყალეობისაგან იმედი გვაქვს, რომ უჭირველად ბძანდებით. ჩვენი ამბავი რაღა მოგახსენოთ, ზოგს აბაშიძე ნიკოლა მოგახსენებსთ და ჩვენც ღვთისაგან იმედი გვაქვს, რომ ამ ერთს კვირას თქვენი თაყვანისცემა გვეღირსოს და მაშინაც კიდემ მოგხსენდებათ. **ნიკოლაოზმა ბევრის ჭადრაკის ჯობნას ვეღარ გაუძლო და გამოგვეცალა.** კახური ამბავი აღარა ვიცირა. დიად ვწუხვარ, თქვენს კარგად ბრძანების ამბავის წყალობას ვითხოვთ, ვინც წამოვიდეს. თქვენი ერეკლე.

ავგისტოს ა ქრისტეს აქეთ **ჩღნზ**“ [9].

წერილში მოხსენიებული ნიკოლაოზ აბაშიძე, სავარაუდოდ, ის მდივანბეგია, რომლის შვილზეც ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემა „ბედი ქართლისაში“ ამბობს:

„ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენისენტ მოურავის ძე,
და იოანნე, კახთ აბაშიძე“ [10].

თამაზ, ენისენტ მოურავის ძე, გახლავთ თამაზ ჯორჯაძე, ენისელის მოურავ დიმიტრი ჯორჯაძის ვაჟი, რომელმაც თავი ისახელა კრწანისის ბრძოლაში, ხოლო თავადი იოანე, კახთ აბაშიძე, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, „ძე ნიკოლოზ დიამბეგისა, რომელიცა იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოით“ [11]. იგი 1795 წელს აღა მაჰმად-ხანის შემოსევისას გმირულად დაიღუპა.

ჩვეულებრივ, ეპისტოლე ანუ წერილი ნათლად გვიჩვენებს ავტორის პიროვნებას, მის ინტერესებს, გატაცებასა თუ შეხედულებებს, ცხოვრებისეულ ამბებს. ის, როგორც საისტორიო წყარო, დოკუმენტურ მასალას ემსგავსება. ამიტომაც ერეკლე მეფის ზემოაღნიშნულ წერილში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ჭადრაკის თამაშის ეპიზოდი სწორედ მაშინ, როცა მტრის ჯარი ზედ თბილისთან იდგა. მავანმა, შესაძლოა, თქვას, მეფეს ასეთ დროს რა ეჭადრაკებოდაო.

აქ საინტერესოა ერთი მომენტი - 1752 წლის პირველ აგვისტოს ერეკლე მეორის მდივანბეგთან საჭადრაკო პაექრობა მხოლოდ განტვირთვა იყო თუ სხვა მიზანსაც ემსახურებოდა?!

ცნობილია, რომ ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშია, ის ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის განვითარებას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას. თავიდან ჭადრაკი აღმოცენდა, როგორც სამხედრო თამაში. უძველესი ინდური „ჩატურანგა“ („ჩატურ“-ოთხი, „ანგა“ - რაზმი ან ჯარის ნაწილი) ოთხი სახეობის ჯარის ბრძოლის იმიტაციას წარმოადგენდა. წლების განმავლობაში სამხედრო დოქტრინებისა და სტრატეგიების შეცვლასთან ერთად ბრძენთა თამაშის საბოლოო მიზანიც იცვლებოდა. ზოგი მოსაზრებით, ძველ ინდოეთში ჭადრაკი მეთაურთა საწვრთნელადაც გამოიყენებოდა. [12]. ამიტომაც გახდა ჭადრაკი დიდი მხედართმთავრების საყვარელი თამაში. დასტურად საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს და შვედეთის მეფე კარლოს მეთორმეტის ჭადრაკით გატაცება გამოდგება. საგულისხმოა, რომ არც ერთი მათგანი როქს არ აკეთებდა - მეფის დამალვა მიუღებლად მიაჩნდათ. [13].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერეკლე მეორე ნიკოლოზ აბაშიძესთან პაექრობისას, სწორედ, საჭადრაკო დაფასთან ლეკებთან მომავალი ბრძოლის სტრატეგიასაც აანალიზებდა.

ანტონ პირველისადმი გაგზავნილი წერილიდან ზუსტად ერთი თვის თავზე ერეკლე მეფემ ქართლ-კახელთა ჯარს დაქირავებული ჩერქეზებისა და მცირე რაოდენობის ოსების ჯარი მიაშველა და 1752 წლის პირველ სექტემბერს თბილისიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდგარ ჰაჯი-ჩალაბის მოკავშირე ლეკთა დიდი ლაშქარი გაანადგურა, 5 სექტემბერს კი ქართველებმა საყვარელი მეფის მეთაურობით ყაზახ-შამშადილის საზღვარზე თულქითაფას

ბრძოლაში ჰაჯი-ჩალაბის ჯარი, რომელსაც მისი ვაჟი ალა-ქიში სარდლობდა, თითქმის მთლიანად გაჟლიტეს.

ალბათ, ეს წარმატება თუ იყო ერთ-ერთი საბაზი იმისა, რომ ირანის მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა ერეკლე მეორეს საჩუქრად ხმალი გამოუგზავნა საყოველთაოდ ცნობილი წარწერით: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“. ოქროს დამლით ირკვევა, რომ ხმალი „გააკეთა ქალბ-ალიმ, ასუდულა ისპაჰანელის შვილმა“. ჰოლანდიაში მცხოვრებ ქართველ მხატვარ-რესტავრატორსა და მესაჭურველ გოჩა ლადიმეს ერეკლეს ხმალი გულდასმით შეუსწავლია და მისი ზუსტი ასლიც დაუმზადებია.

ქართველთა მეფეს ნადირ-შაჰისგან სხვა დროსაც მიუღია მსგავსი საჩუქარი. სპარსეთის მბრძანებელმა ინდოეთში ლაშქრობიდან (1737-1739 წ.წ.) ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები წამოიღო, მათ შორის - თვალ-მარგალიტით მოჭკვილი ხმალი, რომელიც მან ერეკლეს უსახსოვრა. ხელოვნების სასახლის დირექტორ გიორგი კალანდიას მოსაზრებით, „ეს ხმალი, ჩანს, მემკვიდრეობით ერგო ალექსანდრე ბატონიშვილს“, რომელიც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღდგენას ხელმძღვანელობდა, რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომისას თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა; 1812 წლის შემოდგომაზე კახეთის აჯანყებას ედგა სათავეში. მისი დამარცხების მერე ჯერ დაღესტანში, იქიდან კი ირანში გაქცეულმა 1820 წლის მაისში ერევნის მელიქის - სააკ (ისაკ) ადამალიანის 14 წლის ასულ მარიაშუე. ერმიადინის ტაძარში დაიწერა ჯვარი. სპარსეთში იგი სომხებითა და ასურელებით დასახლებულ სოფელ ხოსროვში ცხოვრობდა. ალექსანდრე ბატონიშვილი თეირანში გარდაიცვალა და იქვე სომხური ეკლესიის ეზოშია დაკრძალული [14].

ნადირ-შაჰის ნაჩუქარი ხმალი, გიორგი კალანდიას თქმით, 1971 წელს ირანში აუქციონზე გაიყიდა. საქართველომ ინიციატივა არ გამოიჩინა და ის პორტუგალიელ ბერებს შეუძენიათ - „დღეს, როგორც გავიგე, ლისაბონის მუზეუმში ინახება, როგორც უძვირფასესი რელიკვია“ [15].

დასკვნა

საისტორიო წყაროები თუ საარქივო მასალები გვარწმუნებს, რომ

ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში გართობა-თამაშობანი, კერძოდ - ყაბახი, ჯირითი, ცხენბურთი, მიზანში სროლა, ფარიკაობა, ანუ ზნენი სამამაცონი ერთობ პოპულარული და მასობრივი ყოფილა. რაც ფრიად მნიშვნელოვანია, ხშირ შემთხვევაში ასპარეზობათა სულისჩამდგმელად და მაგალითის მიმცემად თვით პატარა კახი გვევლინება. ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან ზემოაღნიშნული გართობა-თამაშობანი მეზრძოლთა წრეთობას, საზრძოლო ხელოვნების დაუფლებასა და სულის ზეობას უწყობდა ხელს.

ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1, თბ., 1960;
2. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ (საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, ძველი რომის ისტორია), თბ.: „მეცნიერება“, 1966, 175 გვ.;
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, „მერანი“, თბ., 1993;
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, „მერანი“, თბ., 1991;
5. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება (აღწერა სამეფოსა საქართველოსა), ტომი IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1973;
6. ვახტანგ ბაგრატიონი, ისტორიებრი აღწერა (სარგის კაკაბაძის გამოცემა), თბ., 1914;
7. გერონტი ქიქოძე, ერეკლე II, თბ., 2011;
8. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, ჩოგნაობა ანუ ბურთაობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1650;
9. დედანი; საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448/193;
10. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., მეცნიერება, 1983;
11. https://ka.wikibooks.org/wiki/ჭადრაკის_წარმოშობის_ისტორია; გამოყენებული ლიტერატურა - ედუარდ გუფელდი, ჭადრაკში დახელოვნების სკოლა;

12. <https://sputnik-georgia.com/columnists/20171204/238419485/chadrakis-istoria.html>;
13. https://ka.wikipedia.org/wiki/ალექსანდრე_ბატონიშვილი;
14. გიორგი კალანდია, ჟურნალი “ისტორიანი”, #96.
15. მიხეილქავთარიას, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 1977, (284 გვ), გვ. 191-192;
16. ქართული ეპისტოლური წყაროები (XV ს. – 1762 წ.); შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1989, (192 გვ.); გვ. 96;
17. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736 – 1797), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი, თბ., 2008, (50 გვ.), გვ. 23;

Fun-games, or martial arts During the reign of Erekle II

Vaja Danelia

Academic Doctor of Social Sciences

Summary

Literary sources, historical, archeological and folklore-ethnographic materials, information of our or foreign historians, their research-analysis confirms that the Kartvelian tribes, excellent warriors, have repeatedly appeared in competitions at home or abroad. There were exemplary kings and princes. The Roman historian Dion Cassius recounts the military prowess of Parsman Qveli (116-140), king of Iberia. At the request of Caesar Pius, Parsman II visited Rome and had no qualms in equestrianism. Admiring his majesty, the emperor erected a statue of the king of the Iberians on Mars Square.

In one of the chapters of “Kartlis Tskhovrebi” (“Zneni and customs of Georgians”) Vakhushthi Batonishvili describes how Georgian games and competitions (as it is known, in ancient times this or that type of competition meant morality in Georgia) became a rule over time.

History has provided us with interesting materials about the heroic deeds of King Erekle, as well as the fun games of his period. The most accepted were zucchini, jirita, horse racing, target shooting, chess. According to contempo-

raries, in the second half of the 18th century, the head of popular fun-games in Georgia was often a small Kakhi. At the same time, he himself participated in them.

Aleksander Jambakur-Orbeliani, the grandson of Erekle II, tells us that in 1790 King Erekle held a shooting competition with two thousand soldiers in the Tirifona field near Gori. The 70-year-old king competed and won over the youth, which clearly proves that from his youth he regularly maintained systematic training, battles and competitions, maintaining spiritual courage and physical strength for Erekle II.

The Central Historical Archive of Georgia preserves the letter of Erekle II to the First Catholicos dated August 1, 1752. King informs his cousin how he defeated Prince Nikoloz Abashidze in chess.

Not only Georgian historical sources, but also the English and Irish press provide interesting information about King Erekle's military successes. It is known that on September 1, 1752, the Georgians under the leadership of King Erekle destroyed a large army of Leks, an ally of Haji-Chalab, located 20 kilometers from Tbilisi, and on September 5, the army of Haji-Chalab, commanded by his son Agha-Kish, was almost completely defeated. After this success, Nadir Shah, the ruler of Iran, sent a sword to Erekle II with the well-known inscription: "I am Avi Musaif Kakht Mr. Irakli".

The Georgian king received a similar gift from Nadir Shah at another time. The ruler of Persia from the expedition to India (1737-1739) took the most valuable works of art, including the eye-pearl sword that he owed to Erekle. It seems that he inherited it from Alexander Batonishvili, who died in Tehran and is buried there. Nadir Shah's gifted sword was sold at auction in Iran in 1971. It was purchased by Portuguese monks and is now housed in one of the museums in Lisbon as a precious relic.

Other historical sources and archival materials assure us that during the reign of Erekle II, fun-games, or Zneni samatson, were popular and mass. This was no accident, as the above-mentioned fun-games contributed to the temper of the warriors, the mastery of the martial arts, and the supremacy of the soul.

Keywords: Parsman Kveli, Erekle II, fencing, sword, chess, wrestling, fun-games.

სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში არსებული მედია-გარემო

*ერისთავი რატი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

რეზიუმე

შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიური მედია-გარემო სწრაფად იცვლება. ციფრული თემატიკის თანამედროვე ეპოქაში მოქმედი ადგილობრივი ორგანიზაციები ინოვაციური ტიპის ახალი პლატფორმების ჩამოყალიბებას ცდილობენ, ხოლო არსებული ბიზნეს-მოდელები და კომპანიები აუდიტორიის მოზიდვა-შენარჩუნების მიზნით აქტიურად მუშაობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ორ სახელმწიფოში - სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული მედია-გარემოს განზოგადება და ამ კუთხით საერთო სურათის დანახვა მაინც რთულია, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ამ სახელმწიფოს მედია-ლანდშაფტი უნიკალურია და ცალკე განხილვას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: სომხეთი, აზერბაიჯანი, სამხრეთ კავკასია, მედია-გარემო, მედია-ლანდშაფტი, ჟურნალისტიკა.

შესავალი

სომხეთის რესპუბლიკის მედია-ლანდშაფტი.

დღესდღეობით სომხეთის რესპუბლიკაში ე.წ. ონლაინ-მედიის განვითარების პროცესი მიმდინარეობს.

ინტერნეტ-სერვისებზე ფასების შემცირებამ „ონლაინ-ჟურნალისტიკის“ ზრდას შეუწყო ხელი, რომელიც ქვეყნის მთავარ საინფორმაციო დღისწესრიგს აქტიურად აყალიბებს, განსაკუთრებით არსებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფონზე.

სომხეთის რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოა, რომელსაც საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი ესაზღვრება. ქვეყნის დედაქალაქი ერევანია. სხვადასხვა მონაცემებით, რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მლნ-მდეა, ხოლო იმ ეთნიკურად სომეხთა რიცხვი, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ 7 მლნ-ზე მეტია.

ძირითადი ნაწილი

მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის ჩამოყალიბებაზე გავლენა ისტორიულმა (ოსმალეთის იმპერიაში 1915 წელს განხორციელებული სომეხთა მასობრივი ხოცვა) და სოციალურ-ეკონომიკურმა (სსრკ-ის დაშლის შემდეგ წარმოშობილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა, მთიანი ყარაბაღის რეგიონის კონფლიქტი, თურქეთის რესპუბლიკასთან არსებული სასაზღვრო ბლოკადა) ფაქტორებმა მოახდინეს.

საზღვარგარეთ არსებული დიასპორა ყოველთვის ახლო კონტაქტს ინარჩუნებს სომხეთის რესპუბლიკასთან და როგორც წესი მნიშვნელოვან კულტურულ, ისტორიულ და ეკონომიკურ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკა საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები (მომუშავე) ეთნიკური სომეხების მიერ გაწეულ დახმარებასა და განხორციელებულ ფულად გზავნილებზე დიდწილად არის დამოკიდებული.

2018 წელს, სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება მშვიდობიანი რევოლუციის გზით შეიცვალა, რასაც შიდა პოლიტიკაში მკვეთრი ცვლილებები მოჰყვა. თანამდებობა დატოვა იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა და მანამდე ორი ვადით (2008-2018 წწ.) არჩეულმა ყოფილმა პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა. მისი ადგილი კი საპროტესტო მოძრაობის ლიდერმა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ნიკოლ ფაშინიანმა დაიკავა და მა მერე სომხეთის რესპუბლიკაში სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ სომხური მედია-ლანდშაფტის ფორმირების ისტორია ორ ეტაპად იყოფა: საბჭოთა კავშირის შექმნიდან მის დაშლამდე 1920-1991 წლებში და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ანუ 1991 წლიდან დღემდე.

სწორედ პირველ ეტაპზე შეიქმნა და ტექნოლოგიურად აღიჭურვა სტანდარტული სომხური მედია-სისტემების ძირითადი სეგმენტები. 1926 წელს სომხეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი რადიო, ხოლო 1957 წელს სომხეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი დაარსდა. როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, იმდროინდელი სომხური მედიაც რა თქმა უნდა არ იყო დამოუკიდებელი და იცავდა

იმ ერთგვაროვან იდეოლოგიურ დოქტრინას, რომელიც სრულად კომუნისტურ იდეებს ავრცელებდა.

უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში დაიწყო სომხური მედია-სისტემების გარდაქმნა სახელმწიფო მმართველობის ყველა საკვანძო დონეზე, რომელთა შორის მოიაზრება სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური სფერო.

პირველ სამ სფეროში გარდაქმნების პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო და ისინი ქვეყნის დამოუკიდებლობის რეალობების (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მრავალპარტიული სისტემა, სარეკლამო ბიზნესის გაჩენა) შესაბამისად განისაზღვრა, ხოლო ტექნოლოგიური სექტორის გარდაქმნა კი უპირველეს ყოვლისა ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გლობალური ფაქტორებით არის განპირობებული.

საკმაოდ შეძლებული და გავლენიანი სომხური დიასპორის კუთვნილი მედია არანაირ გავლენას ახდენს რესპუბლიკის შიგნით არსებულ მედია-სისტემაზე, რომელიც ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის შექმნის უმთავრესი წყაროა. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სწორედ რესპუბლიკის შიგნით არსებული მედია ქმნის დიასპორისთვის საინფორმაციო დღისწესრიგს.

როგორც წესი, სომხური დიასპორული მედია ასრულებს საზღვარგარეთ მცხოვრები სომხების იდენტობის და ისტორიული სამშობლოს მიმართ ნოსტალგიის შენარჩუნების ფუნქციებს და ასევე ავრცელებს ინფორმაციას სომხეთის რესპუბლიკის შიდა პოლიტიკური ვითარების თაობაზე.

ზოგადად სომხური დიასპორული მედია ამავე დიასპორის წარმომადგენლების ინფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა ძირითადი და სტრატეგიული პან-სომხური საკითხების თაობაზე და ასევე იმისთვის, რომ მათ მსოფლიო საზოგადოებას გააცნონ ოსმალეთის იმპერიაში 1915 წელს მომხდარი მოვლენები, რომელიც ხელს შეუწყობს გენოციდის შემდგომ აღიარებას.

ბეჭდური მედიის ფუნქციონირების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის მედია-ბაზარი ამ მხრივ გაჩერებულია.

Regional Research Center Organization-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2019 წლიდან ინფორმაციის მიღების საკვანძო წყაროებს შორის პირველ ადგილს ინტერნეტი იკავებს 58,9%-ით;

მეორე ადგილზე არის ტელევიზია - 35,7%-ით, მესამე ადგილზე არის ინფორმაციის მიღება ახლობლებისგან და ოჯახის წევრებისგან - 4%-ით და რადიოდან - 1%-ით. ბეჭდურ მედიას მხოლოდ 0,3% აქვს.

რაც შეეხება ყოველდღიური ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის წყაროთა შორის პირველ ადგილზე სოციალური ქსელებია - 72,6%-ით, ტელევიზია მეორეზე - 62,5%-ით და ე.წ. ონლაინ-მედია მესამეზე - 53%-ით.

ზოგადი ინფორმაციის მიღების 4 ძირითადი წყაროდან წამყვანს როლს ტელევიზია ასრულებს, რომელსაც ინტერნეტი და სოციალური ქსელები მცირედით ჩამორჩება, მესამე ადგილზე რადიოა, ხოლო ბოლოზე ბეჭდური მედია.

2012 წლიდან, ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების მხრიდან ფასების შემცირებამ ბეჭდური მედიიდან ე.წ. ონლაინ-მედიაში მასობრივი გადასვლა გამოიწვია.

დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის ისტორიაში, 1991 წლიდან მოყოლებული, ქვეყანაში არსებული პრაქტიკულად ყველა მედია სხვადასხვა ძალების მიერ კონტროლდება. აქ საუბარია როგორც სახელმწიფოზე, ასევე პოლიტიკურ პარტიებზე და კერძო მეწარმეებზე. როგორ წესი, კონკრეტული მედიის „ბმის“ პოვნა კონკრეტულ მხარესთან საკმაოდ რთულია, რადგან ანონიმურია და ეს არცერთ ეროვნულ რეესტრში არის მითითებული.

Reporters Without Borders-ის 2020 წლის ანგარიშით, თავისუფალი მედია-საქმიანობის თვალსაზრისით სომხეთის რესპუბლიკა მე-60 ადგილს იკავებს.

ჟურნალისტური საქმიანობა შეისწავლება 4 წლიან საბაკალავრო და 2 წლიან სამაგისტრო პროგრამაზე და ამ პროფესიის ფაკულტეტები თითქმის ყველა მთავარ უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს. ყოველწლიურად უნივერსიტეტები, ადგილობრივი მედია-სივრცისთვის 400-მდე ჟურნალისტს უშვებენ.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტები ფუნქციონირებს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში (YSU), ხ. აზოვიანის სახ. სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში (ASPU), რუსულ-სომხურ უნივერსიტეტში (RAU), ერევნის სახელმწიფო ლინგვისტურ უნივერსიტეტში (YSLU) და ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერევნის ფილიალში.

დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის ისტორიაში, სახელმწიფოს მხრიდან მედიის საქმიანობაში ჩარევის პირველი შემთხვევა A1+ ტელეარხის დახურვა იყო.

1998 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ნათლად აჩვენა ადგილობრივი ტელევიზიის გაძლიერებული როლი იმ დროს არსებულ პოლიტიკურ დღისწესრიგში.

A1+ მიმდინარე მოვლენებს ყველა გადმოსახედიდან აშუქებდა და სომხეთის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მედიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე.

ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა 1999 წლის 27 ოქტომბერს, როდესაც ადგილობრივ პარლამენტში შეიარაღებული შეჭრა და საჯარო პირების მკვლელობები განხორციელდა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მედიისგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ ცუდად აშუქებდა მომხდარ ტრაგედიას, A1+ მომხდარი მოვლენების ყოვლისმომცველი ანალიზი წარმოადგინა და არ გამორიცხა მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და დამნაშავეებს შორის კავშირების ალბათობა.

მოვლენათა ამგვარი ინტერპრეტაცია არ მოეწონა სომხეთის ხელისუფლებას და შედეგად ზემოხსენებული არხი დაიხურა. მას შემდეგ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მედიასაშუალებებზე სრული კონტროლი დაემყარებინა. ცდილობდა ისეთი „ლიმიტებისა და წესების შემოღებას, რომელიც მედიას ულაპარაკოდ უნდა შეესრულებინა“ და ხორციელდებოდა ზეწოლა ჟურნალისტებზე.

სომხეთის რესპუბლიკის მედიაზე უდიდეს გავლენას ეკონომიკური ფაქტორი ახდენს. იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი სარეკლამო ბაზარი საკმაოდ მცირეა (დაახლოებით \$30-დან \$50 მლნ-მდე), მედიის არსებობა პირდაპირ არის დამოკიდებული რეკლამირებაზე. შესაბამისად, ამ ტიპის ბიზნესზე კონტროლის დასამყარებლად, სახელმწიფომ შესაძლოა დაბლოკოს სარეკლამო ბაზარზე მედიის შესვლის უფლება, რითაც რეალური მოგების მიღების შესაძლებლობას წაართმევს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენად ახდენს გავლენას (ან ცდილობს) ნიკოლ ფაშინიანის ხელისუფლება ადგილობრივ

მედიაზე, რადგან 2018 წლის „ხავერდოვანი რევოლუციიდან“ მცირე დრო არის გასული, მაგრამ ის ცნობილია, რომ სომხეთში არსებული მედია-ლანდშაფტი რევოლუციური განვითარების ეტაპს გადის.

ზოგადად აღნიშნავენ, რომ სომხეთის ახალ ხელისუფლებასა და ადგილობრივი ჟურნალისტური წრეების წარმომადგენლებს შორის უთანხმოება არსებობს. ოპოზიციურ მედიას, რომელიც ყოფილი მთავრობის მხარდამჭერია, აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ისინი იცავენ მათი მფლობელების ინტერესებს და ღიად (აქტიურად) აკრიტიკებენ ნიკოლ ფაშინიანის გუნდს.

ეს კრიტიკა რა თქმა უნდა აღიზიანებს მოქმედ ხელისუფლებას და თავად ნიკოლ ფაშინიანმა არაერთხელ გააკეთა ხმამაღალი განცხადება მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების კორუფციასთან კავშირებზე.

ზემოხსენებულმა დიდი რეზონანსი გამოიწვია ჟურნალისტებში და რამდენიმე ადგილობრივმა ორგანიზაციამ პრემიერ-მინისტრს „მისი ყოფილი კოლეგების შეფასებებზე უარის თქმისკენ და კორუმპირებული ჟურნალისტების ვინაობების დასახელებისკენ“ მოუწოდა.

ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მტკიცებით, მოქმედი ხელისუფლება აქტიურად იყენებს ე.წ. ბოტებისა და ტროლების კონტროლირებად ქსელს, „დაუმორჩილებელი“ სოციალური მედიის წინააღმდეგ. აქვე, სომხეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი რა თქმა უნდა ყოველთვის მთავრობის იდეებისა და ინიციატივების მხარდამჭერია.

ნიშანდობლივია სომხეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინტენსიური ჩართულობა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. უწყებამ „ომი გამოუცხადა ყალბ ამბებს“, განსაკუთრებით გლობალური კორონავირუსული პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე და შეიძლება ითქვას, რომ ამით ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადააჭარბა კიდეც. იყო კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სპეცსამსახურები, მოსახლეობაში პანიკის გავრცელების თავიდან არიდების მოტივით, ცნობილი ექიმებისა და კულტურის მოღვაწეებისგან კონკრეტული ე.წ. ფეისბუქ-პოსტების წაშლასაც მოითხოვდნენ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მედია-ლანდშაფტი

1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანი გახდა პირველი დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა ისლამურ სამყაროში, მაგრამ 1920 წლის 28 აპრილს ქვეყანა ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო. საბჭოთა მმართველობის პერიოდში აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

1991 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მიიღო, მან თავი აზერბაიჯანის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამართლებრივ მემკვიდრედ გამოაცხადა.

იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის მედია აღარ არის მოქცეული კომუნისტური იდეოლოგიისა და ცენზურის ქვეშ, მათი ქმედებები კვლავ საბჭოთა მიდგომების მსგავსია. ეს ყოველივე ხდება იმის გამო, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი მედიის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობს. ამ სფეროს განუვითარებლობა (განსაკუთრებით ბეჭდურ მედიას ეხება) დაბალმა მატერიალურმა შემოსავლებმა და კონკურენციის არარსებობის გამო გრძელვადიანი სტრატეგიის არქონამ გამოიწვია.

აქვე აღსანიშნავია, რომ არსებული პოლიტიკური ვითარების გაუარესება ქვეყნის სარეკლამო ბაზარზეც აისახა, რის შემდეგაც ზოგიერთმა გაზეთმა გამოცემა შეწყვიტა.

ადგილობრივი მედია-ლანდშაფტის კიდევ ერთი საკითხი მედია-მეწარმეებს უკავშირდება. მათ შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს და ამ კუთხით გამჭვირვალობა არ არის.

2019 წლის მდგომარეობით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორი სატელევიზიო არხი (AzTV და ITV) მასუწყებლობს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციულ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებენ. ისინი არ აწვდიან ადგილობრივებს პლურალისტულ ინფორმაციას, რადგან მთავრობის მიერ ფინანსდებიან. საინფორმაციო მასალა არ არის ობიექტური, არ არის გათვალისწინებული ალტერნატიული ხედვები, ეთერში არ იწვევენ ოპოზიციას და არ ისმის „დამოუკიდებელი ხმა“.

ტრადიციული ტიპის სამასუწყებლო მედიას სრულად მთავრობა აკონტროლებს და შესაბამისად ტელევიზიასა და რადიოში ალტერნატიული აზრის მოსმენის საშუალება რა თქმა უნდა არ არსებობს.

საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც კი, ოპოზიციონერ კანდიდატებს სამაუწყებლო მედიაზე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ.

ალტერნატიულ აზრს მეტი შესაძლებლობა აქვს გააკრიტიკოს სახელისუფლებლო მიდგომები სოციალური ქსელების გამოყენებით.

2000-იანი წლების დასაწყისიდან აზერბაიჯანული პრესა „პოლიტიკურ ინსტრუმენტად“ გამოიყენება. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ ყურადღებას ამახვილებს როგორც ახალი ამბების მომზადების პროცესზე, ასევე ზოგადად მედია-საშუალებებზე, რომელთა მიზანს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. ითვლება, რომ ადგილობრივი მედია ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დამცველია და თითოეული ჟურნალისტი შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებს, უფრო როგორც „ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების დამცველი“ და არა როგორც მისი პროფესიული საქმიანობის შემსრულებელი და „უბრალოდ სიმართლის მოქმედი“.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ბრძანებულებით დამტკიცდა სამთავრობო პროექტი, რომელიც ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის საცხოვრებელი სახლების უფასო გადაცემას გულისხმობს. 2013 წელს 156-მა, 2017 წელს 255-მა, ხოლო 2020 წელს ასევე 255-მა ჟურნალისტმა მიიღო ბინა. ეს ჟურნალისტები წარმოადგენენ როგორც ბეჭდურ მედიას, ასევე რადიოს, ტელევიზიას, ონლაინ-პლატფორმებს და ე.წ. Freelance-სეგმენტს.

შესაბამისად სულ მცირე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ამ ჟურნალისტების შემდგომი ობიექტურობა და პროფესიონალიზმი, რადგან სახელმწიფოსგან „ძვირფასი საჩუქრების“ მიღების შემდეგ ისინი კონკრეტული, დაინტერესებული ჯგუფების სპიკერებად იქცევიან.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების განათლება ძირითადად უფრო თეორიას ემყარება, ვიდრე პრაქტიკას და ისინი განათლებას უფრო ცალკეული სემინარებიდან და ტრენინგებიდან ეუფლებიან, ვიდრე უნივერსიტეტებიდან. შესაბამისად, ნაკლებად ხორციელდება ის, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული კვალიფიციურ კადრად ჩაითვალოს და რომელიმე მედია-საშუალებაში საკუთარი განათლებით დაიწყოს მან საქმიანობა.

დასკვნა

საერთო ჯამში რომ შეფასდეს, სომხეთის რესპუბლიკის მედია-ლანდშაფტი საკმაოდ პოლარიზებულია, სადაც წინა პლანზე წამოწეული სიძულვილის, ურთიერთ შეურაცხყოფისა და დაპირისპირებების მწვავე გარემო, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს სიტყვისა და გამოხატვის პრინციპებს.

აზერბაიჯანულ მედიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესები და დაყოფილია პრო-სახელისუფლებლო და ნაკლებად პრო-ოპოზიციურ ნაწილებად. პრო-სახელისუფლებლო მედია მმართველი პარტიის მიერ კონტროლდება და ამ მედია-საშუალებების ჟურნალისტებზე გავლენის მოხდენა, საბჭოთა სტილის პროპაგანდის მეთოდებით ხორციელდება.

ლიტერატურა:

1. Media-landscape in Armenia; Zhan Baghiyan; <https://medialandscapes.org/country/armenia>
2. Media-landscape in Azerbaijan; Seymur Kazimov; <https://medialandscapes.org/country/azerbaijan>
3. Media polarization rising in Armenia; Ani Mejlumyan; October 30, 2019; <https://eurasianet.org/media-polarization-rising-in-armenia>
4. Azerbaijan's First Newspaper; Rovshan Didavari; July-August, 2010; <http://www.visions.az/en/news/191/c4a8dbc8/>
5. The Protection of media freedom in Europe; Gvozden Srecko; June 18, 2014; http://www.cfom.org.uk/wp-content/uploads/2014/07/PACE-HORSLEY-FINAL-2014-REPORT-AAC-25_14-Flego-protection-of-media-freedom-18-June.pdf

Media Environment of Armenia and Azerbaijan

*Eristavi Rati, PhD student
Georgian Technical University*

Summary

It can be said that the South Caucasus media environment is changing rapidly. Local organizations operating in the modern era of digital themes are trying to establish innovative platforms of an innovative type, while existing business models and companies are actively working to attract and retain audiences. It should be noted that the media environment in the two countries of the South Caucasus - Armenia and Azerbaijan - it is still difficult to generalize and see the overall picture in this regard, because the media landscape of each of these countries is unique and needs to be considered separately.

სოციალურ-კულტურული ფაქტორები მუჰაჯირ ქართველებში

*ვარშანიძე როინ, დოქტორანტი
საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ერის რელიგიურ-ეთნიკური და სოციალურ-კულტურული მეხსიერებების საკითხების შესწავლა, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ანალიზი, მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში სწორი პოლიტიკური კურსის განსასაზღვრად. სიტყვა “მუჰაჯირი” (არ. muhajir) არაბულია და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდან წასულს. მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა.

კადნიერებად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო რუკაზე იშვიათია ქვეყანა, რომელსაც თვითმყოფადობის, გადარჩენისა და ერთიანობისათვის იმდენი ბრძოლა გადაეტანოს, რამდენიც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საყვარელ საქართველოს. ქართველი კაცისთვის შრომა და ბრძოლა განუყრელი ცნებებია, რადგან იგი შრომის დროსაც იბრძოდა და ბრძოლის დროსაც შრომობდა.

ვინ იცის, რამდენჯერ ააოხრა მტერმა საქართველო და სისხლის გუბებით მორწყო საქართველოს მიწა, რამდენჯერ გადაწვა საქართველოს გული – თბილის-ქალაქი, მიწასთან გაასწორა ეკლესია-მონასტრები, შერყვნა სიწმინდეები, აჩეხა ბალ-ვენახები, ტყვედ წაასხა ქართველი ქალ-ვაჟები, მაგრამ საქართველო ვერ დააჩოქა. თუმცა ყოფილა ისეთი დროებაც მამულის გადარჩენისათვის, მიწა-წყალის შენარჩუნებისათვის მტერს რომ დაუზავდა ქართველი.

სამი საუკუნე საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ ერი გადაგვარდეს, სხვა ჯიშა და სისხლში აღირიოს, ამიტომ გმირობის ტოლფასია სამშობლოს მოწყვეტილ იმ ქართველთა ერთგულება, რომლებმაც თურქეთში საშინელ დევნასა და ტერორში შეძლეს ქართული მეხსიერების, ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება. ჩვენმა ხალხმა უმძიმეს პერიოდში შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მათში არასდროს ჩამკვდარა

ქართული სიტყვა და საშინელი ტერორის პირობებში აქ შეიქმნა საიდუმლო დამწერლობა „დედაბრული“, რომლითაც უხდებოდათ ერთმანეთთან წერილობითი ურთიერთობის დამყარება.

მკვიდრმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოიხატა აქაურთა ქორწილში, სამეურნეო საქმიანობაში, მატერიალურ კულტურაში, ხალხურ სამზარეულოში, ჩაცმულობაში და ა.შ. ყოფის თითოეულ ელემენტს დაეკისრა ეროვნული ფუნქცია. ჭეშმარიტად ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა, ქართული ადათ-წესების იდუმალ პირობებში შესრულება იყო ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ემსახურებოდა ეროვნული მეობის დაცვის ინტერესებს.

შესავალი

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი და ომისშემდგომი მოვლენები ფართოდ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ობიექტური მიზნების გამო არ არის გათვალისწინებული მუჰაჯირობის, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის, ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, თურქეთის საისტორიოგრაფიო მასალები. არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია ომის შედეგად იძულებით გადასახლებულ ხალხს, როგორ განვითარდა მათი შემდგომი ცხოვრება, კონკრეტულად სად წავიდნენ, როგორი იყო მათი განსახლების არეალი ახალ საცხოვრისში.

ფრიად საინტერესოა სტამბულის ქართული სავანის არქივში შემონახული ისტორიული მასალები რომელიც მკაფიო სურათს გვიხატავს მაშინდელ ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით პროფესორ ქალბატონ შუმანა ფუტკარაძეს აქვს გამოცემული შესანიშნავი წიგნი „სტამბოლის ქართული სავანე“.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

წინა ისტორიულ ხანაში ამ მიმართულებით ნაღვაწი თითქმის დავიწყებას მიეცა, ჩვენს თვალსაწიერს მიეფარა საქართველოს

ისტორიის მეხსიერება წვდება მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურის სათავეებს . ყოველი ჩვენთაგანისათვის რაოდენ საამაყო იმის შეგნება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის შენებაში თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართველი ერის სახელოვან შვილებს. ბევრის ჩამოთვლა არცაა საჭირო, მარტოდენ პეტრე იბერის, რუსთაველისა და გიორგი მთაწმინდელის ღვაწლიც იკმარებს საამისოდ.

ძირითადი ნაწილი

ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში, მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე მსოფლიო ცივილიზაციის ოაზისებში მხოლოდ იმისთვის, რომ ქართული კულტურისა და განათლების კერები შეექმნათ, ქართული ეკლესია მონასტრები დაეფუძნებინათ, უცხო ქვეყნებისა და ხალხების კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა. ამ მხრივ ფასდაუდებელია ათონის ივერონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინასა და შავი მთის, პეტრიწონის - ქართული კულტურისა და განათლების ამ უმნიშვნელოვანესი ტაძრების ღვაწლი.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ შესასწავლია საზღვარგარეთ არსებული კიდევ რამდენიმე მსგავსი კერის ისტორია. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ ბეირუთთან ახლოს მდებარე ლიბანის მთის ქრისტიანული კერები. აქ ერთ-ერთ მონასტერში 1945 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი კათოლიკე მღვდელი შალვა ვარდიძე. სიცოცხლის ბოლო წლები მან აქ დაჰყო. იგი იყო ბეირუთის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორი . ფლობდა ბევრ ენას , მათ შორის არაბულსაც . ახლახან აღმოჩნდა სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში დაცული მის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი წიგნი „დიდი საქართველოს პატრონი“ , რომელიც ეძღვნება დავით აღმაშენებელს. შალვა ვარდიძის ამ წიგნით არაბული სამყარო გაეცნო საქართველოს

„ოქროს ხანას“. ვინ იცის, ლიბანის მთაზე შალვა ვარდიმესთან დაკავშირებული კიდევ რამდენი მასალა ინახება. შალვა ვარდიმე ჩვენ წინაშე წარმოჩინდა, როგორც შესანიშნავი მკვლევარი. სწორედ მისი ნაშრომებით ვეცნობით ლიბანის მთაზე ქართველ მამათა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კვალს.

ასევე, აღსანიშნავია იზმირში არსებული ქართული მონასტრის საქმიანობაც. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით, 1849 წლისათვის აქ მოღვაწეობდნენ სასულიერო პირები, მათ შორის იყვნენ აჭარიდან გადახვეწილნიც. ერთი მათგანი მონასტრის წინამძღვარიც კი გახლდათ მე-19-ე საუკუნის პირველ მეოთხედში, 1922 წელს ქრისტიანობისთვის წამებით რომ აღესრულა და 2002 წლის 17 ნოემბერს წმინდანად შეირაცხა. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით. ეს ბრძანდება წმინდა თეოდორე აჭარელი. ამავე ტაძარში მოღვაწეობდა წმინდანის ძმიშვილი - მამა ნეოფიტე, რომელიც შეხვდა პლატონ იოსელიანს და მოუთხრო თავისი ბიძის წამებით აღსრულების შესახებ. ნეოფიტე განათლებული პიროვნება, მწერალი ყოფილა. მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. დღემდე შეუსწავლია ქართული კულტურის ამ კერის ისტორიაც. საგულისხმოა და აღსანიშნავია ისიც, რომ ლიბანის მთისა და იზმირის ქართული სავანის შესახებ ცნობებს ინახავს მხოლოდ სტამბოლის ქართული სავანე, მისი მდიდარი არქივი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, აგრეთვე, გამოირჩეოდა მე-19-ე საუკუნოს ბოლო მეოთხედში მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ მონთობანში დაარსებული ეკლესია-მონასტერი სტამბით, ბიბლიოთეკითა და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური პროფილის სემინარიით. დასაწანი და თანაც გასაკვირია ის, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის თითქმის თვალწინ, პარიზიდან არცთუ ისე შორს, მონთობანში, ეს ცენტრი უკვალოდ გაქრა, დაიკარგა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს ქალაქ მონთობანის არქივშიც კი ვერ პოულობენ მკვლევარები ქართული კულტურის ამ ცენტრის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს. საკვლევი ობიექტის მისამართი შემორჩა მხოლოდ სტამბოლის ქართულ სავანეში მონთობანიდან გამოგზავნილ საფოსტო ბარათებს.

მეტად დასანანი და სამწუხაროა ის გარემოება, რომ ქართველმა

ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ საზღვარგარეთ ნაშენები ქართული კულტურის თითქმის ყველა კერა დაკარგა, გაიბნა, უმთავრესად განადგურდა ამ ტაძრებში შექმნილი ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი; ქართველებს ჩამოერთვათ ათონის ივერონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი; თითქმის წაიშალა ანტიოქიის ქართული კერების კვალი; ამასთანავე, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ერთი ნაწილი დღესაც ელოდება ქართველ მკვლევარს.

საიმედოდ დაცული და შენახულია მხოლოდ სტამბოლში არსებული ქართული კულტურის კერა. აქაური სავანის (ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონანტები) მოვლა შენახვის საქმეში ფასდაუდებელია ზაზაძეების ოჯახის, მამა შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ღვაწლი.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1861-1982 წწ). სტამბოლის სავანე იმედად ეგულებოდა სამშობლოდან გადახვეწილ, ოსმალეთის მთა-ბარს შეხიზნულ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის. პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვროშვილის, სტეფანე გიორგიძის, იოსებ მერაბიშვილის, შალვა ვარდიძის, პიო ბალიძის, პეტრე ტატალაშვილის დიდი მამულიშვილური საქმიანობით სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული. ამ ტაძარში დღესაც ნაღვერდალივით ღვივის ქართული სულის ნაპერწკალი და ქართველობას აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ ქართველებში.

აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართავთ იტალიელი დიპლომატისა და მწერლის ევგენი დალეჯიო დალესიოს მიერ 1920 წელს ფრანგულად დაწერილ ნაშრომს - „ქართველები კონსტანტინეპოლში“, რომელიც ქართულად თარგმნა მღვდელმა შალვა ვარდიძემ და დაბეჭდა მონასტრის სტამბაში 1921 წელს. იგი სტამბოლის ქართველთა სავანის საქმიანობას შემდეგნაირად გვიხასიათებს: „სტამბოლის სავანე არის არამარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ამასთან არის პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთიმეორეს შეკავშირებული არიან . ამ სავანის მღვდლები დასაწყისიდან დღემდე არ დაერიდნენ

თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და განმსჭვალულებმა დიდებული მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ...მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად ეს საზოგადოება ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ ... ამ საზოგადოების მიზანი დღესაც არის ქართველი ხალხის გამოღვიძება - აღორძინება სარწმუნეობრივად პოლიტიკურად და კულტურულად.

სტამბოლის ქართველთა სავანის დიდ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს აგრეთვე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ზალდასტანიშვილი 1970 წელს იგი ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა და მონასტრის საქმიანობას გაეცნო . ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში „ქართული აზრი იგი ასე წერდა : „ისტამბოლის მონასტერს - ჩვენი კულტურის სავანეს - საქართველოს მარადიულობისთვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიუღია ... თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება , თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა“ (გაზეთი „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი. N85, 1970 წ.)

ეს სავანე მე-19-ე საუკუნის ბოლოსა და მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და ძმობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად. პირველი მსოფლიო ომის დროს სამცხე ჯავახეთში, აჭარასა და ტაო-კლარჯეთში უმძიმესი პირობები შეიქმნა . მოსახლეობა ლტოლვილად იქმნა და დიდმა ნაწილმა თავშესაფრის ძებნა ოსმალეთში დაიწყო. ბევრი მათგანი მიაწყდა სტამბოლის ქართულ სავანეს. მაშინ აქაურმა მღვდელმა იოსებ მერაბიშვილმა საყდარში დაარსა საყდარში დაარსა ქართველთა ურთიერთდახმარების საზოგადოება. ამ საქმეში მას ფინანსურად ეხმარებოდა თავისი ძმა - აბისინიის (ეთიოპიის) იმპერატორის მენელიქ მეორის პირადი ექიმი პეტრე მერაბიშვილი (დოქტორი მერაბი). 1894 წელს აშენებული მონასტრის ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე მათ

გახსნეს სასტუმრო, სტამბოლში ჩასული უბინაო, ხელმოკლე ქართველებისათვის. დაარსეს ქართული წითელი ჯვრის სტამბოლის განყოფილება. ცნობილი ქველმოქმედის მაჰმუდ ფაშა თავდგირიძის სასახლეში, ქადიოქიში, მოაწყვეს ლტოლვილთა თავშესაფარი. ასეთი ქველმოქმედებით ერთხანს სარგებლობდა სტამბოლში თავშეფარებული ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ყაზბეგის ოჯახი. თვით გიორგი ყაზბეგი 1921 წლის გაზაფხულზე სტამბოლში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული.

დასკვნა

მუჰაჯირობა ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური ტრაგედია იყო, რომელიც ორი დიდი იმპერიის - რუსეთის და ოსმალეთის მზაკვრული გარიგების შედეგად მოხდა.

მიჩნეულია, რომ ამა თუ იმ ერის ეთნო-მენტალური ხასიათი გენეტიკური მახასიათებლების და ისტორიული პროცესების გავლენით ყალიბდება. მუჰაჯირთა შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტორებს ემატება უცხო ეთნიკურ გარემო პირობებში ცხოვრება, დატოვებული საქართველოს და ნათესავების ბედი, როგორ იღწვოდნენ სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები უცხო ქვეყნის ძლიერებისთვის და რას აკეთებდნენ ეროვნული თვითშეგნების შესანარჩუნებლად, მათი დაკარგული და აღდგენილი კავშირები ახლანდელ პერიოდში.

საქართველოს კუთხეებს შორის მტრის შემოსევებით ყველაზე მეტად მაინც კახეთი და აჭარა დაზარალდა, თუმცა აჭარას უფრო მეტად ტრაგიკული ბედი ერგო: საუკუნეების მანძილზე დედა-სამშობლოსგან მოწყვეტილი და ტრადიციებით, ენით, ზნე-ჩვეულებითა და რაც მთავარია, რელიგიურად განსხვავებული მტრის ბატონობის ქვეშ მოქცეული იბრძოდა, გმინავდა, კვნესოდა, მაგრამ ჩუმად, ფარულად მაინც ინახავდა ქართულ სიტყვას, ქართული ჯიშისა და სისხლისადმი პატივისცემას და ეს სიყვარული, სააუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დანარჩენი საქართველო არასოდეს ყოფილა გულხელდაკრეფილი - როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, ქართველი მეფეები თუ მთავრები ცდილობდნენ შებრძოლებოდნენ ოსმალებს და დაებრუნებინათ მამულს მოწყვეტილი კუთხე. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ამის ისტორიული შესაძლებლობა XIX

საუკუნის ბოლოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს შეიქმნა.

ქართველი ხალხის განდევნა სამშობლოდან, მათი მოღალატე მონათვლა, ქართული მიწის დაქუცმაცება და ერის გახლეჩა ეს გავს ბუნების საოცარ ქმნილებაზე დიდ ნადირობას სამყაროში არსებული ყველა ბოროტებით.

ლიტერატურა:

1. ხორავა 2012: ხორავა ბ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან 1878-1882წწ. საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები, კონფერენციის მასალები, თბილისი.
2. შუშანა ფუტკარაძე ბათუმი 1993 წელი. „ჩვენებურების ქართული“ .
3. ვარდმანიძე ჯ. 2013; მუჰაჯირობა სამხრეთ- დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30- 80-იანი წლები), ბათუმი.
4. ვარშანიძე 2005: ვარშანიძე ნ., ბათუმი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი), საისტორიო მაცნე, XIV, ბათუმი
5. დროება, 1878, № 41, 129, 189, 190, 247, 239, 253, 267. 1879, №14, 24, 32, 35, 40, 127, 145, 177, 208. 1880, № 4, 95, 118, 131, 151, 168, 196, 228, 234. 1882, №59 1883, № 245
6. ჭიჭინაძე 1914: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემიგრაცია, თბილისი. სიჭინავა 1958: სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.
7. გოგოლიშვილი 2009: გოგოლიშვილი ო., ბერლინის კონგრესი და მისი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი.
8. კარალიძე 2009: კარალიძე ჯ., აჭარა 1878-1903 წლებში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება), ბათუმი.
9. მეგრელიძე 1956: მეგრელიძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი.

Social – Cultural Factors for Muhajir Georgian People

*Roin Varshanidze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Studying religious-ethnic and social-cultural remembrance issues of a nation, analyzing any historical events, is very important to determine the right political course in a modern era. “Muhajir” is an Arabic word which means emigrant (someone who emigrated from the homeland) in Georgian. Muhajirism became one of the most tragical occasions of History of Georgia in the second half of the 19th century.

It wouldn't be too ambitious if we said that it is very difficult to find a country on the map, like our beloved Georgia, which fought so many times in order to survive and maintain identity and unity. Fighting and working are inseparable concepts for a Georgian man, who used to work while being at war and used to fight while working.

One wouldn't count how many times enemies attacked Georgia and flooded Georgian land with blood, burned the heart of our country - Tbilisi, destroyed churches, assaulted sanctuaries and damaged vineyards, captured so many young women and men, but could never bring Georgia to its knees. Though there were some hard times, when Georgian people entered into truce with enemies in order to save Georgian lands.

Three centuries are quite enough for a nation to degenerate, to get mixed with other nations and bloods. So it must be heroic for people who emigrated from Georgia but never lost their Georgian remembrances and traditions, despite the terror they went through in Turkey. Our people could keep national identity during those hard times, also could preserve a Georgian word and created secret script/writing “Dedabruli”, which enabled them to keep up written communication with each other.

Resident population preserved national and cultural features, which were best described in local weddings, agriculture, material culture, folk cuisine and wearing clothes, etc. Each of them carried a national function. Protecting national identity and performing Georgian traditions secretly, which also served to protect national interests, were the best ways to fight against Ottoman Empire.

Organizational loyalty as staff motivation Determining factor

*Maia Toidze PhD student,
Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

Summary

Motivated and committed employees are the most important resource for labor organizations. The higher the loyalty of the staff is, the more motivated they are and therefore the more effective the organization is. No special attention is paid to this issue in Georgia. There is a scarcity of researches in this direction in the scientific literature. Due to its practical value, companies should also be interested in this kind of studies. They are exactly, who should care about how motivated and loyal their employees are. But organizations do not pay proper attention to this issue.

The aim of our study is to examine the relationship between organizational commitment and professional motivation. The issue has been studied on the basis of empirical studies in the tourism sector, in particular in accommodation facilities. Empirical analysis of the data obtained from the conducted studies showed, that there is a statistically significant relationship between staff internal motivation and organizational loyalty. A positive correlation is confirmed between the internal motivation of the employed staff and the affective and normative commitment. The link between external motivation and organizational commitment is not statistically significant.

The relationship has been proven between the affective, continuous, and normative components of loyalty. Based on the obtained data, recommendations are offered to the companies' management regarding to organizational loyalty and professional motivation surveys. We consider it advisable to establish a culture of employee motivation and organizational loyalty research in the companies. This is possible by conducting periodic surveys. The companies should be interested in how motivated and loyal their employees are. Based on the results of the research, organizations should develop strategies that will help them to increase the organizational commitment and work motivation of its' employees.

Keywords: Organizational commitment, Affective commitment, Continuous commitment, Normative commitment, Professional Motivation.

Introduction

Organizational commitment is expressed in the employee's willingness to share the interests, core goals and values of the organization. According to one of the most well-known and accepted definitions of organizational loyalty, it is the individual's psychological attachment to the organization, which includes involvement in work, loyalty, and belief in organizational values.

In the field of organizational psychology, in the foreign scientific literature, special attention is paid to the study of organizational loyalty and motivation of employees. Only proper planning is not enough for an organization to be effective: setting goals and objectives, achievement indicators or specific correct actions. Qualified and loyal human resources are the main force on which the success of the company significantly depends.

Hired employees differ from each other with the degree of organizational loyalty and motivation. Accordingly, the managers of companies should pay attention to this issue and with proper management try to promote employees loyalty and increase of their motivation.

Main part

Modern studies of organizational loyalty were based on an article of the American sociologist H. Becker, which was dedicated to the analysis of this concept. He expressed the view that organizational loyalty arises when a person places a "side bet", when he or she connects external interests with his constant activities. "Side bets" are often the result of a person's involvement in the organization. People are chained with the organizations they are working for. The reason for this can be taking a loan to buy a house with the help of the existing income, a contribution to the pension fund, the prospect of promotion, a higher level of responsibility, etc. According to Becker, each of such independent decision is like a separate brick from which a wall is built. Gradually the wall becomes so high that one day, a person realizes that nothing can jump over it. An attachment towards the organization is formed, which is no easy to break. [2. 32 - 40].

As for one of the measures of organizational effectiveness, Bernard [Barnard, 1994] was the first to use the word agreement "organizational commitment". In recent years, foreign research has focused on developing organizational loyalty models and developing and improving appropriate measurement

tools. This has been facilitated by the growing worldwide interest in the development of Human Resources Management (HRM) technologies in recent years [6].

Among the tools of empirical study, the most popular are Models developed by I. Porter and his colleagues (Mowday, Porter, Steers), as well as, J. Meyer and N. Allen (Meyer, Allen).

According to the model of L. Porter, R. Mawdey and R. Steers, organizational commitment is defined as a psychological construct that reflects the connection between a person and an organization. Loyalty to the organization as a social attitude is often defined as following: 1) a strong desire (loyalty) for membership of the existing organization; 2) Desire for maximum effort (involvement) within the interests of the existing organization; 3) Strong belief in corporate values and acceptance (identification) to the organization's goals;

The authors distinguish three approaches, that explains the nature of the connection between the employee and the organization, which reduces the chance of the employee leaving the organization voluntarily: emotional attitude towards the organization, understanding the costs that are related with leaving the organization, and feeling of obligation towards the organization. To describe the components of the model, the authors used the terms affective, continuous, and normative commitment. Thus, the Affective Commitment Scale (ACS) measures the degree of employee identification, involvement, and emotional dependence on the organization; The Continuous Commitment Scale (CCS) measures an employee's degree of understanding of how the costs related to getting unemployed connects them to the organization; The Normative Commitment Scale (NCS) is the degree of obligation which an employee feels towards the organization [5].

However, it is argued that affective, continuous, and normative commitment are more like the components of loyalty to the organization rather than its individual types, so they can be discussed in terms of a loyalty profile.

The scientific literature distinguishes two main groups of factors influencing the organizational commitment: (Mathieu, Zajac, 1990, Magura,): 1) individual characteristics of employees and 2) situational characteristics (main characteristics of work and socio-psychological conditions of activity).

According to J. Meyer, the factors that are aiding to the formation of organizational loyalty are:

Work experience – has a strong influence and is closely correlated with the affective component;

Value chain - reflects the essence of the organization (business, product or service), the ways in which the product or service is delivered. Employees will be more loyal to organizations whose values are consistent with their own values;

Organizational Support - Employees' loyalty to the organization increases if the collaboration is valued by them as mutual and they feel the interest of the organization in their well-being. Perceptions of support are formed on the basis of daily experience.

Organizational justice: People have an expectation of a fair attitude towards them and value it. Important are the ways of distribution of valuable resources for employees (salary, promotion, etc.). Even decisions that have negative consequences (pay cuts, job losses) will have a minimal impact on loyalty level if they are fair (impartial).

Loyal employees are the most important assets for modern labor organizations. According to studies by Matthew and Zaek, there is a strong correlation between loyalty and job satisfaction. Satisfied employee is motivated and tries to contribute to the development of the organization [3. 171 - 194.].

The aim of our study is to examine the relationship between organizational commitment and staff motivation.

As research tools “Organizational Loyalty Scale” by J. Meyer and N. Allen's and “Methodology for the Study of Professional Motivation” by K. Zamfir (modified by A. Rean) are used.

Within the study staff employed in accommodation facilities were interviewed, in particular, medium-sized hotels (110 persons). During statistical processing and analysis of research materials

$P \leq 0,05$ -Statistically important.

According to K. Zamfir, staff activities are based on internal or external motivators. Internal motivation takes place when the employee's activity is determined by the work process itself, its' results and the possibility of self-realization in the field. External positive motivators include: pay, career advancement and social prestige, deserving the respect from others, while ex-

ternal negative motivators include: avoiding criticism, reprimand from a boss or colleagues, and avoiding possible harassment or punishment.

The survey of persons employed in accommodation facilities revealed the existence of an optimal motivational complex, which means that internal motivation > external positive motivation > external negative motivation.

Empirical analysis of research materials conducted using the J. Meyer and N. Allen "Organizational Loyalty Scale" methodology revealed that the average loyalty for employees in accommodation facilities is 4.8 points. An above-average rate was observed for the main component. Among them, the highest rate has affective commitment (5, 2), followed by normative commitment (5.1) and the relatively lowest rate has continuous commitment (4.2).

Empirical studies have also found that the correlation is positive between general organizational loyalty rate and loyalty components. The connection is statistically significant between the loyalty components.

Correlation analysis of the data obtained within the survey of staff motivation and organizational units in the accommodation facilities revealed a statistically significant relationship between staff internal motivation and general loyalty rate ($P \leq 0.05$). The association between internal motivation and affective loyalty is significant ($P \leq 0.01$), as well as between internal motivation and normative commitment ($P \leq 0.05$). The relationship between loyalty and internal motivation is not statistically significant [1. 285- 297].

Consequently, it has been found that when an employee identifies himself/herself with the company and associates with his or her company, the relationship between affective loyalty and internal motivation is statistically significant and very close ((on the level $P \leq 0.01$). With the increase in the degree of organizational commitment, increases the level of internal motivation of the staff and vice-versa.

Correlation analysis showed that the relationship between staff external motivation and organizational loyalty is not statistically significant. The correlation was not confirmed for the general loyalty rate as well as for each of its' components. This result indicates that when staff activities are based on factors such as income, career advancement and social prestige, respect for others or, on the other hand, avoidance of criticism and reprimand from a boss or colleagues, and avoidance of possible harassment or punishment. Their behavior is caused by external positive or external negative motivation and it has

nothing to do with commitment to staff organization.

The study confirmed the link between internal motivation and normative commitment. An employee who feels a certain obligation to the company based on moral or ethical principles cannot leave the job. However, this type of loyalty is related to internal motivation.

The positive correlation between staff internal motivation and affective loyalty is evidence that companies need to facilitate the process of identifying of the employees with the company in order to develop emotional loyalty, to make the employee feel like a full member of the team, to perceive the organization's problems as their own and have a sense of belonging to the organization.

Conclusion

Empirical analysis of the data obtained based on the studies showed the following:

- There is a statistically significant relationship between staff internal motivation and general organizational loyalty. A positive correlation was found between internal motivation and affective, as well as normative commitment.
- Correlation analysis showed that the relationship between staff external motivation and organizational loyalty is not statistically significant.

Based on the results of the research, we consider it expedient to establish a culture of employee motivation and organizational loyalty research in the companies. This is possible by conducting periodic surveys. The company should be interested in how motivated and loyal its employees are. Based on the results of the research, organizations should develop strategies that will help them to increase the organizational commitment and work motivation of its' employees.

Used literature

1. K. Kopaliani, M. Toidze, Peculiarities of professional motivation in tourist accommodation facilities; „Ganatileba”, Quarterly peer-reviewed scientific journal, Georgian Technical University, 3 (30), 2020
2. Becker H.S. Notes on the concept of commitment // American Journ. of Sociology. 1960. V. 66. N 1.
3. Mathieu J.E., Zajac D.M. A review and meta-analysis of the antecedents, correlates, and consequences of organizational commitment // Psychological Bulletin. 1990. V. 108. N 2.
4. Meyer J.P., Allen N.J. Testing the “side-bet theory” of organizational commitment: Somemethodological considerations //Journ. of Applied Psychology. 1984. V. 69. N 2.
5. Mowday R.T., Porter L.W., Steers R.M. Employee-organization linkages: The psychology of commitment, absenteeism, and turnover. N.Y.: Academic Press, 1982.
6. Wright B.E., Rohrbaugh J. Antecedents and correlates of organizational commitment: Testing the contributions of a four-tier conceptual model. Sixth National Public Management Research Conference Papers. November, 2001.

ორგანიზაციული ერთგულება, როგორც პერსონალის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორი

*მაია თოიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

მოტივირებული და ერთგული თანამშრომლები შრომითი ორგანიზაციებისათვის უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს. რაც უფრო მაღალია ერთგულება მით უფრო მოტივირებულია პერსონალი და შესაბამისად, მით უფრო ეფექტურია ორგანიზაცია.

სამწუხაროდ საქართველოში აღნიშნულ საკითხს არ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ამ მიმართულებით კვლევების სიმწირეა სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი პრაქტიკული ღირებულებიდან გამომდინარე, კვლევებით კომპანიებიც უნდა

იყოს დაინტერესებული. სწორედ მათ უნდა აინტერესებდეთ რამდენად მოტივირებული და ერთგულია მათი თანამშრომლები. მაგრამ ორგანიზაციები აღნიშნულ საკითხს არ უთმობენ სათანადო ყურადღებას.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციული ერთგულებისა და პროფესიული მოტივაციის ურთიერთკავშირის შესწავლა. საკითხი შესწავლილია ემპირიული კვლევების საფუძველზე ტურიზმის სექტორში, კერძოდ, განთავსების ობიექტებში.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული მონაცემების ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პერსონალის შიდა მოტივაციასა და ორგანიზაციულ ერთგულებას შორის სტატისტიკური მნიშვნელობის კავშირია. დასტურდება დადებითი კორელაცია დასაქმებული პერსონალის შიდა მოტივაციასა და აფექტურ და ნორმატიულ ერთგულებას შორის. გარე მოტივაციასა და ორგანიზაციულ ერთგულებას შორის კავშირი არ არის სტატისტიკური მნიშვნელობის. ურთიერთკავშირი დადასტურდა ერთგულების აფექტურ, განგრძობით და ნორმატიულ კომპონენტებს შორის.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები კომპანიათა მენეჯმენტის მიერ ორგანიზაციული ერთგულებისა და პროფესიული მოტივაციის კვლევებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ერთგულება, აფექტური ერთგულება, განგრძობითი ერთგულება, ნორმატიული ერთგულება, პროფესიული მოტივაცია

პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ და ერეკლე II

*კუპრაშვილი ჰენრი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ოდიშელიძე ნინო,
პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მენეჯერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის, ერეკლე II-ის მოღვაწეობა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ დარჩენილა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მიღმა. ფაკულტეტზე, პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ ფარგლებში, ორჯერ, როგორც საუნივერსიტეტო, ისე სასკოლო ფორმატში, როგორც სტუდენტებმა, ისე უფროსკლასელებმა გამოიჩინეს დიდი ინტერესი და ხალისით ჩაებნენ პროექტით გათვალისწინებულ სასწავლო სამეცნიერო-კვლევით პროცესში, რომელიც ითვალისწინებდა ერეკლე II-ის მიერ წარმოებული პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას. მათ გამოცდაზე ანუ სრულიად ახალი შინაარსისა და დატვირთვის მქონე იმიტირებულ სამსჯავროზე მიღებული ცოდნა გამოავლინეს საინტერესოდ, მრავალმხრივად და მრავალასპექტში, ასევე, თვალსაჩინოდ გამოამჟღავნეს მათ მიერ შექმნილი სასწავლო, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (წყაროების მოძიების, ანალიზის, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის, გუნდური მუშაობის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და სხვ.). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში სტუდენტებისა და უფროსკლასელების მიერ შესწავლილი და იმიტირებულ სამსჯავროებზე განხილული ცნობილი პოლიტიკური ფიგურების მიერ წარმოებული პოლიტიკის შესახებ მასალები წარმოადგენს ფასდაუდებელ სამეცნიერო კვლევით მასალას პოლიტოლოგების, ისტორიკოსების, სამართალმცოდნეების და სხვა

სპეციალობის მკველვართათვის, რადგანაც გამოვლინდა ახალი მასალები, ბევრი პოლიტიკური მოვლენა სრულიად ახლებურად იქნა გააზრებული. უკვე გამოიცა პირველი ტომი, ხოლო გამოსაცემად მზადდება დანარჩენი 21 ტომი.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მეორე, პოლიტიკა სამსჯავროზე, სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროცესი

ძირითადი ტექსტი

2020 წელი ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის, ერეკლე II-ის საიუბილეო წელია. მის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ დარჩენილა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის (დეკანი პროფ. ირაკლი გაბისონია) სასწავლო-სამეცნიერო პროცესების მიღმა.

მოგეხსენებათ, რომ სასწავლო პროცესში არსებული მოძველებული ფორმები და მეთოდები სათანადოდ ვეღარ უბამს მხარს ინფორმაციულ ეპოქას, რომელიც თანდათან ამკვიდრებს წინა ეპოქებისგან სრულიად განსხვავებული სწავლების, ცხოვრებისა და საქმიანობის წესს. ამან განაპირობა მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადების ხელშეწყობის მიზნით, ახალი იდეის ფონზე ორიგინალური პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (ავტორი პროფ. ჰენრი კუპრაშვილი) შექმნა და მისი ფაკულტეტზე დანერგვა დეკანის, პროფ. ირაკლი გაბისონიას ძალისხმევით: 1) მოიძებნა სტუდენტებისა და უფროსკლასელების დაინტერესებისა და მათი სასწავლო და სამეცნიერო პროცესში აქტიურად და ხალისით ჩაბმის სრულიად ახლებური და ეფექტური ფორმა; 2) პროექტში ჩართული სტუდენტებისა და უფროსკლასელების მიერ შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების სრულყოფილად შეფასებისათვის გამოყენებულია სრულიად ახალი შინაარსისა და დატვირთვის მქონე იმიტირებული სამსჯავრო (სასამართლო პროცესი), რითაც მოიძებნა გამოცდის ჩაბარებისა და მისი შეფასების თვალსაჩინო და ეფექტური ფორმა. ეს კი იძლევა საშუალებას სტუდენტებმა (უფროსკლასელებმა) ცოდნა და უნარები გამომაჟღავნონ უკეთ, ასევე, განუვითაროს მათ სხვადასხვა საჭირო

უნარ-ჩვევები. ამასთანავე, კვალიფიციურმა საგამოცდო კოლეგიამაც სრულყოფილად შეძლოს მისი შეფასება. 3) განხორციელდა სრულიად ახლებურად სასწავლო-სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკული მუშაობის პროცესში პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლისა და სხვა სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთკვეთა და ურთიერთშევესება, სინთეზი და უნივერსალიზაცია; 4) დაინერგა სწავლების სხვადასხვა საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტურანტურის), სხვადასხვა სპეციალობების (სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სხვ.) და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და სხვადასხვა სკოლების უფროსკლასელთა გუნდურად ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა.

პროექტი ხელსუწყობს სტუდენტებში (მოსწავლეებში) სამართლებრივი და პოლიტიკური კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვის, ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური არსის გაცნობიერების, საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების ცოდნის, ეროვნული ინტერესების კრიტერიუმების არგუმენტირების უნარის განვითარებასა და შექმნას.

პროექტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში: სტუდენტებისათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო). სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები, აგრეთვე სკოლებიდან უფროსკლასელები სწავლობენ და იკვლევენ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ წარმოებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს [1]. სამსჯავროზე უკვე განხილული პოლიტიკა შემდეგი პოლიტიკური ფიგურების (პოლიტიკური პარტიების): ბაგრატ V, ალექსანდრე ბატონიშვილი, ლავრენტი ბერია, გიორგი VII, ლევან II დადიანი, ერეკლე II, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ვასილ მჟავანაძე, ნოე ჟორდანიას, გიორგი სააკაძე, სოლომონ II, სტალინი, ედუარდ შევარდნაძე, ნიკიტა ხრუშჩოვი (რუსულენოვანი ფორმატში) და სხვ. მათ შორის, პოლიტიკური პარტიებიც:

საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვ.

პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. საგამოცდო კოლეგია არ აფასებს პოლიტიკოსს (პოლიტიკურ პარტიას) და მის პოლიტიკას, საგამოცდო კოლეგიის მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსკლასელების) მიერ: 1. გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და სხვ. საგამოცდო კოლეგია ავლენს გამარჯვებულ გუნდს, რომელმაც უკეთ შეძლო არგუმენტირებულად დაესაბუთებინა საკუთარი გაცხადებული პოზიცია, რომ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა.

საგამოცდო კოლეგია გუნდების მომზადების დონეს, მათ მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით (თითოეული კრიტერიუმს 5 ქულიანი სისტემით) ბრალდებისა და დაცვის მხარეთა: შესავალი სიტყვა; შეკითხვები; პასუხები მოწინააღმდეგე მხარის შეკითხვებზე; დასკვნითი სიტყვა; რეკლიკები; გუნდურობა; გუნდების მიერ გამოვლენილი კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...); გუნდების მიერ ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა; მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება; გუნდების მიერ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება; გუნდების მიერ გამოვლენილი სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა;

გუნდების მიერ გამოვლენილი საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; გუნდების მიერ ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის დაცვა; კოლეგია, ასევე დამატებით ითვალისწინებს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა გუნდებმა თუ გამოავლინა და რამდენად: 1) პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; 2) ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი; 3) პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა; 4) საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება.

ფაკულტეტზე პროექტის ფარგლებში კენჭისყრის შედეგად ორჯერ იქნა გატანილი სამსჯავროზე (საგამოცდო კოლეგიაზე) ერეკლე II-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა ქართველთა ეროვნულ ინტერესებს. პირველი სამსჯავრო გაიმართა 2019 წლის 6 მარტს. კენჭისყრით ბრალდების მხარედ მოგვევლინა გუნდი „ბლიცკრიგი“, რომელშიაც გაერთიანებული იყო სტუ-ს გარდა, თსუ-ს, ილიაუნის და საბაუნის სტუდენტები: ზაირა ბრეგვაძე, კაპიტანი - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი; ანა გაბეხაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ანა ელიაძე - სტუ; ელენე კალანდაძე - სტუ; ეთერი ნიკიფოროვა - სტუ; გიორგი პიტიურიშვილი - სტუ; დავით ქანთარია - თსუ. გუნდი მოამზადეს მენტორებმა: პროფესორმა ავთანდილ სონღულაშვილმა (პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით) და პროფესორმა მარიამ ჯიქიამ (სამართლის მიმართულებით). ხოლო ერეკლე II-ის მიერ განხორციელებული პოლიტიკის დაცვის ფუნქცია იკისრა გუნდმა „ავი მუსაიფი“: ნათია ჩილაჩავა, კაპიტანი, სტუ; ლევან აბესაძე, სტუ; ნათია ერგემლიძე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; სოფიკო უბილავა, სტუ; უშანგი ხატიაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; მადონა ჯგუნჯგია, სტუ; ქეთი ჯვარელია, სტუ. გუნდი მოამზადეს მენტორებმა: პროფესორმა ზურაბ კვეციანიძემ (პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით) და პროფესორმა გიორგი გორაძემ (სამართლის მიმართულებით).

საგამოცდო კოლეგიამ განიხილა საქმის მასალები, მოუსმინა მხარეებს, გაეცნო მტკიცებულებებს, იხელმძღვანელა პროექტის

დებულებით გათვალისწინებული შეფასებათა კრიტერიუმებით და ჩათვალა, რომ სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი პროცესში უკეთ გამოავლინა თავი გუნდმა „ბლიცკრიგმა“ და, შესაბამისად, იგი გადავიდა ნახევარფინალში. საგამოცდო კოლეგიაში იყვნენ ცნობილი მეცნიერები და პოლიტიკოსები: ირაკლი გაბისონია – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი, სამსჯავროს თავმჯდომარე; გიორგი ბარამიძე – პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი; ჯემალ გახოვიძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს სენატის თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი; იგორ კვესელავა – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; კახა კუკავა – პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე; ჰენრი კუპრაშვილი – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი; კობა ნარჩემაშვილი – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“. საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი; სერგო რატიანი - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“; დავით უსუფაშვილი – პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა“ ლიდერი. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

მეორე სამსჯავრო კი გაიმართა 2019 წლის 30 ნოემბერს, ამჯერად უფროსკლასელებისაგან დაკომპლექტებულ გუნდებს შორის. კენჭისყრის შედეგად ბრალდების მხარე წარმოადგინა გუნდმა „იბერიონმა“, რომელშიაც გაერთიანებული იყო ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის უფროსკლასელები: მარიამ გელაშვილი, კაპიტანი; ალექსი აფაქიძე; ლუკა გელაშვილი; ცოტნე გელაშვილი; ნიკოლოზ დავითაძე; ლუკა ფხიკიძე და გიორგი ჩაუჩიძე. გუნდი მოამზადეს მენტორებმა: პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ (პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით), პროფესორმა მაკა ტყეშუჩავამ (სამართლის მიმართულებით) და პოლიტსამსჯავროელმა სტუ-დენტმა მენტორმა მარიამ ნოზაძემ. სკოლიდან გუნდი წარმოადგინა

პედაგოგმა ლელა ხვედელიძემ.

დაცვის მხარე კი წარმოადგინა 51-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელების გუნდმა „რონდომ“: მარიამ ალავიძე, კაპიტანი; კესარია ბერძენიშვილი; აკაკი ბულია; ირაკლი ვეშაპიძე; ნიკოლოზ მამდარაშვილი; ლუკა ჩხაპელია; ნიკოლოზ მაგნიძე. გუნდი მოამზადეს მენტორებმა: პროფესორმა გიორგი ჩხიკვიშვილმა (პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით), პროფესორმა ხატია ვასაძემ (სამართლის მიმართულებით) და პოლიტსამსჯავროელმა სტუდენტმა მენტორმა ანა ნაკაშიამ. სკოლიდან გუნდი წარმოადგინა პედაგოგმა თამარ ჯავახიშვილმა.

საგამოცდო კოლეგიის გადაწყვეტილებით ერთი ქულის უპირატესობით ნახევარფინალში გადავიდა გუნდი „რონდო“. ამჯერად, საგამოცდო კოლეგიაში იყვნენ: ჯემალ გაბელია (სამსჯავროს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი; დავით აქუბარდია (ტელეკომპანიის „კავკასია“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი); ზურაბ გასიტაშვილი (სტუ-ს რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი); მანანა დარჩაშვილი (ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, პროფესორი); სოფო მიდელაშვილი (სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს სენატის სამდივნოს უფროსი); ნინო ოდიშელიძე (სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მენეჯერი); მარიამ ჯიქია (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი).

როგორც სტუდენტებმა, ისე უფროსკლასელებმა გამოიჩინეს დიდი ინტერესი და ხალისით ჩაებნენ პროექტით გათვალისწინებულ სასწავლო სამეცნიერო-კვლევით პროცესში, რომელიც ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის, ერეკლე II-ის მიერ წარმოებული პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას. მათ გამოცდაზე ანუ იმიტირებულ სამსჯავროზე ცოდნა გამოავლინეს საინტერესოდ, მრავალმხრივად და მრავალასპექტში, ასევე, თვალსაჩინოდ გამოამჟღავნეს მათ მიერ შეძენილი სასწავლო, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (წყაროების მოძიების, ანალიზის, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის,

გუნდური მუშაობის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და სხვ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები. პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები. ტ. I - ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ის პოლიტიკა იყოთუარაშესაბამისობაში ეროვნულ ინტერესებთან (საქმე #01ქ/001). რედაქტორები: ი.გაბისონია და ჰ.კუპრაშვილი, შემდგენელი ნ. ოდიშელიძე. სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, პოლიტიკის მცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2020, 120 გვ. ISBN 978-9941-20-763-1;
2. გურული ვახტანგ. მეფე ერეკლე მეორე. იხ., წიგნი „საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე)“. თბ., 2010.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ., 1973.

Project „Politics on trial“ and Erekle II

*Henri Kuprashvili, Professor
Georgian Technical University*

*Nino Odishelidze, Manager of the project
“Politics on Trial”*

Georgian Technical University

Summary

The activities of the famous King of Kartli and Kakheti, Erekle II and his policy did not remain beyond the educational scientific-research processes of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University. At the faculty, within the framework of the political science multi and interdisciplinary educational scientific-research project “Policy on Trial”, twice, both in the University and in the school format, both students and seniors showed great interest and were involved with pleasure in the educational

research process provided by the project, which provided for a scientific study of the policy produced by Erekle II. On the examination or on a simulated trial having a whole new content and load they demonstrated acquired knowledge interestingly, in many respect and aspect, as well as visually demonstrated the educational, research, creative, collaboration and communication skills (finding sources, analyzing, art of public speaking and debate, ethics of behavior and relationships, teamwork, participation in litigation, etc.) they have acquired. In general, it should be noted that materials on policies produced by well-known political figures, studied and reviewed on imitated trial by students and seniors within the project, are invaluable scientific research material for political scientists, historians, jurists and other researchers, as new materials were revealed, many political events were conceived in a completely new way. The first volume has already been published, and the remaining 21 volumes are being prepared for publication.

Keywords: Erekle II, politics on trial, educational scientific-research process.

სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე

*ნაცვალაძე მამუკა, დოქტორანტი
სოხუმის სახლმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

საქართველო და კავკასია ისტორიის ყველა ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული სამიზნე იყო. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამლიერდა XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს. ამ დროს ანტირუსულად განწყობილი კაპუცინელთა ორდენის წარმომადგენლები დაუახლოვდნენ ბაგრატიონთა სამეფო კარს, ამის პარალელურად ერეკლეს ევროპული განწყობების ჩასახშობად სანქტ-პეტერბურგმა თიფლისში მოავლინა გერმანელი ავანტიურისტი ექიმი იაკობ რაინესი.

ავსტრიული და რუსული სპეცსამსახურების დაპირისპირებამ მძაფრი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1781 წელს ერეკლემ პატრი დომენიკო გააგზავნა ავსტრიის იმპერატორთან.

სტატიაში შესწავლილია ერეკლეს ელჩობა ავსტრიის სამეფო კარზე. დადასტურებულია რომ ორი ელჩობა არის ერთი მთლიანი პროცესი, რამდენადაც ორივე ერთ მიზანს ისახავს. ამ ელჩობის საშუალებით ერეკლე ცდილობს ჩაერთოს ბერძნულ პროექტში, რომელიც ევროპის გადანაწილებას ითვალისწინებს. ბერძნული პროექტის სრულყოფისათვის ერეკლე იოზეფ მეორეს სთავაზობს ბერძნული პროექტი განიხილოს სპარსულ პროექტთან მიმართებაში, რაც კავკასიის უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტიაა.

კაპუცინელი ელჩი დომენიკო კონსტანტინოპოლში კვდება. პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, რომში დაცულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ერეკლეს წერილების ხელში ჩაგდება სურს ვიღაც ინკოგნიტოს.

1782 წლის დეკემბრის ეკატერინა მეორის რელაციავზე დაყრდნობით, ასევე საეჭვო ქრონოლოგიური დამთხვევით, რაც დაკავშირებულია სანქტ-პეტერბურგის აგენტის გერმანელი დოქტორი რაინესის საქართველოში მივლინებასთან, სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ინკოგნიტო რომელიც დაინტერესებულია

დომენიკეს სიკვდილის შემდეგ ხელში ჩაიგდოს ერეკლეს წერილები არის სანქტ-პეტერბურგის აგენტი, გერმანელი რაინგსი.

სტატიაში განხილულია ის ინტერნაციონალური მოდელი, რასაც რუსეთის საიმპერატორო კარი იყენებს საკუთარი იმპერიული მიზნების გახმოვანებისათვის კავასიაში. რუსეთის იმპერიულ სურვილებს რაინგსის გარდა ახმოვანებენ სომეხი პოლიტიკური და სასულიერო პირები.

ინტრიგებზე აგებულმა ამ ინტერნაციონალურმა სტრატეგიამ რუსეთი სასურველ რეალობამდე მიიყვანა. ერეკლე იძულებული გახდა დაედო გეორგიევსკის ტრაქტატი.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მეორე, რაინგსი, ბერძნული პროექტი, სპარსული პროექტი, მაურო ვერონელი, დომენიკე;

შესავალი

XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფო კარი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ბრძოლის არენად გადაიქცა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების ტრადიციული მოდელი კავასიაში სახეცვლილი ფორმით ტრანსფორმირდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დაპირისპირების სახით.

ერთი მხრივ იყვნენ კაპუცინელი ბერები, რომელთაც ერეკლე მოიაზრებდა როგორც ევროპასთან ურთიერთობის ხელშემწყობებად, ხოლო მეორე მხრივ სანქტ პეტერბურიდან გამოგზავნილი სხვადასხვა ჯურის აგენტები.

ამ დაპირისპირების ფონზე კავასიაში ვითარდება მრავალწახნაგოვანი დიპლომატიური თუ პოლიტიკური პროცესები, რასაც უნდა გადაეწყვიტა საით წავიდოდა საქართველო - გახდებოდა ევროპული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი, თუ ვერ გაუძლებდა რუსეთის იმპერიულ ხრიკებს, დაკარგავდა დამოუკიდებლობას და ერთმორწმუნის მარწუხებში აღმოჩნდებოდა.

კაპუცინელ ბერებსა და დასავლეთ ევროპას, ისევე როგორც რუსეთის იმპერიას კავასიაში თავიანთი კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები გააჩნდათ. ერეკლე მოქმედებს იმ ფორმულით, რაც შემდგომ ჩამოყალიბდა დიპლომატიური ურთიერთობის უმთავრეს პოსტულატად. პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, პოლიტიკაში არსებობს მუდმივი ინტერესები.

ის გეოსტრატეგიული პოლიტიკური ხედვა, რაც ერეკლეს მამას თეიმურაზს გააჩნდა, და რომელიც დასავლურ სამყაროსთან კონფრონტაციას გულისხმობდა მართლმადიდებელი რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ, წარუმატებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, ერეკლემ სულ სხვა კონცეფტუალური ხაზი აირჩია - ევროპასთან, უპირველესად კათოლიკურ სამყაროსთან დაახლოვება, რაც იმდროინდელი მწირი კომუნიკაციების პირობებში თბილისში მყოფ კაპუცინელ ბერებს უნდა უზრუნველყოთ.

წინამდებარე სტატიის მიზანია ვაჩვენოთ XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს ბაგრატიონთა სამეფო კარზე არსებული ის პოლიტიკური და მსოფლმხედველობითი დაპირისპირება, რამაც ერეკლეს ევროპული პერსპექტივები ჩაშალა და გეორგიევსკის ტრაქტატის დადება აიძულა.

აღნიშნული საკითხი ერეკლეს ევროპული დიპლომატიური მისიის ფონზე, სადაც მთავარ როლს კაპუცინელი ბერები ასრულებენ, ისტორიოგრაფიაში არავის განუხილავს.

ძირითადი ნაწილი

რუსული და ევროპული პოლიტიკური წინააღმდეგობის პიკი ერეკლეს ევროპული ელჩობებს უკავშირდება. 1781 წელს დომენიკეს აგზავნის ერეკლე ავსტრიის იმპერატორთან კონკრეტული დავალებით, გადასცეს „დაფარული აზრი“ პირადად [ტაბალუა 1979:100], ოფიციალურად ეს მისია შენიღბულია სულ სხვა მოტივით - ორი პოლკის ევროპულად გაწვრთნისთვის საჭირო ფინანსების მოძიებით [ტაბალუა 1979:104-112].

ერთი მხრივ პირველწყაროების, ხოლო მეორე მხრივ იმდროინდელი პოლიტიკური პროცესების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ელჩობის მთავარი მიზანი უკავშირდება ბერძნული პროექტს, რომელიც ეკატერინა მეორემ და ავსტრიის იმპერატორმა იოზეფ მეორემ შეიმუშავეს და რამაც საბოლოო სახე 1781 წლის სექტემბრისათვის მიიღო [Русский архив 1880:281-291; Arneth 1869:143-157]. ეს გახლდათ ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებისა და ევროპის გადანაწილების კონკრეტული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მარიონეტული სახელმწიფოების ბიზანტიის იმპერიისა და დაკიის სამეფოს აღდგენას [Русская старина 1892:1-4].

ბერძნული პროექტი იყო ქრისტიანული სამყაროს გლობალიზაციის ერთგვარი მოდელი, რომელსაც უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით ერეკლეს აქვს კონკრეტული გეგმა - „სპარსული პროექტი“, რომელიც დღის წესრიგში ჯერ კიდევ XVIII ს-ის 60-იან წლებში ჰქონდა მამამისს, თეიმურაზ მეორეს [მაჭარაძე 1968:453-455], რაც გულისხმობდა ირანის შაჰის ტახტზე რუსეთისათვის სასურველი პერსონის დასმას. ამ პროექტს შედეგად უნდა მოჰყოლოდა ირანის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა და ირანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების საქართველოსა და რუსეთისათვის სასურველი სცენარით მართვა.

ერეკლე ავსტრიის იმპერატორს სთავაზობს უსაფრთხოების პრევენციის თვალსაზრისით ბერძნული პროექტის უფრო დახვეწილ ფორმას და სანქტ-პეტერბურგისა და ვენის საიმპერატორო კარის მიერ შემუშავებული პროექტის განხილვას სპარსული პროექტთან ერთობლიობაში. ბერძნული პროექტის კორექტირება სპარსული პროექტით კავკასიის უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აბსოლუტური გარანტიაა.

XVIII ს-ის 50-90-იანი წლების პოლიტიკური პროცესები ცხადყოფს, რომ სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს არ აწყობს არც უსაფრთხო კავკასია და არც მისი დამოუკიდებლობა [დუ გრაი დე ფუა 1985:35-59]. შესაბამისად ის ელჩობა, რომელიც ავსტრიის იმპერატორთან უნდა ჩავიდეს, კონკრეტული წინადადებით ანტირუსული მოვლენად აღიქმება.

საგულისხმოა, რომ ერეკლეს ევროპული ხედვა აბსოლუტურად მიუღებელია რუსეთისათვის, რამდენადაც სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი არსებული კონფესიური და ეთნიკური კონგლომერატის გამო კავკასიას იოლად დასაპყრობ სივრცედ მოიპოვებდა. მას კავკასიაში არ სჭირდება არათუ ძლიერი, არამედ თუნდაც მცირედ გამოხატული სახელმწიფოებრივი ნიშნების მქონე რაიმე პოლიტიკური ერთეული.

ამ რუსული იმპერიული ხედვის პარალელურად კაპუცინელ ბერებსაც აქვთ თავიანთი პოლიტიკური მიზნები, თუმცა, ეს მიზნები ამ ეტაპზე მათი რელიგიისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებებს უკავშირდება და არ ეხება სახელმწიფოებრივ ინსტიტუციას.

აღნიშნული გარემოების გამო ერეკლეს დამოკიდებულება ცალსახა - ის კაპუცინელ ბერებს ევროპასთან ურთიერთობის დასამყარებლად საიმედო ძალად და მოკავშირედ მოიაზრებს. ამას თან ერთვის ავსტრიის იმპერატორის გეგმები საღვთო რომის იმპერიის გაძლიერებისა და მართლმადიდებელ სამყაროსთან პოლიტიკური ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმების თვალსაზრისით. აღნიშნული კონფესიურ-პოლიტიკური მოდელი ფაქტობრივად რომის იმპერიის აღდგენის ერთგვარი ფორმა და საინტერესო ვარიანტია, რაც თავის მხრივ ევროპის ყველა დროის ყველა მონარქის ოცნება გახლდათ.

რუსულ-ევროპული ამგვარი პოლიტიკური განსხვავებული ხედვა რეალურ დაპირისპირებაში უნდა ასახულიყო. საგულისხმო დეტალია - 1779 წელს ერეკლე მეორე დაბეჯითებით სთხოვს საქართველოში დარჩენას პატრ დომენიკეს, რომელსაც სამსახურის ვადა ამოეწურა და ევროპაში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი [დობორჯგინიძე 2019:182-183].

აშკარაა, ამგვარ დაჟინებულ თხოვნას მხოლოდ პირადი სიმპათიები არ უნდა განაპირობებდეს. ამ გარემოების ახსნისთვის უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ იმავე 1779 წელს ერეკლე მეორეს კარზე ჩამოდის სანქტ-პეტერბურგიდან გამოგზავნილი გერმანელი იაკობ რაინეგსი [გელაშვილი 2002:10-35], რუსეთის იმპერიის აგენტი, რომელსაც კონკრეტული დავალება აქვს - დაარწმუნოს და დაიყოლიოს ერეკლე დადოს ტრაქტატი რუსეთის იმპერიასთან.

შესაბამისად, დომენიკესათვის ერეკლეს თხოვნას გარკვეული პოლიტიკური მოტივაცია უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ დომენიკესა და კათოლიკური ეკლესიისთვისაც მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოში დამკვიდრება, ამიტომაც ერეკლეს თხოვნას თანხმდება პატრი არა მარტო ერეკლეს ხათრით, არამედ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ეს კიდევ ერთი დეტალია იმის დასამტკიცებლად, რომ ავსტრიის იმპერატორისა და ერეკლეს პოლიტიკური ინტერესები თანხვერდამია.

როგორც რომში, პროპაგანდა ფიდეს არქივში დაცული ქრთული მასალებით ირკვევა, 1781 წელს დომენიკეს მოულოდნელად მოუწია ევროპაში გამგზავრება [დობორჯგინიძე 2019:183]. ერეკლე მას მნიშვნელოვანი მისიით აგზავნის. ელჩობა დაიდრა ვენისკენ, თუმცა,

დომენიკე გზაში, კონსტანტინიპოლში 3 ივლისს გარდაიცვალა [დობორჯგინიძე 2019:185]. შესაბამისად ვერ შესრულდა ის დასახული მისია, რაც ერეკლეს გააჩნდა.

ქართლ-კახეთის მეფე სულ მალე კიდევ ერთ ელჩობას აგზავნის ევროპაში, ვენის საიმპერატორო კარზე. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ უმნიშვნელოვანესი დეტალი - ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ორ ელჩობად. მეორე ელჩობა ორგანული გაგრძელებაა პირველი ელჩობისა. მიხეილ თამარაშვილი ერეკლეს მიერ გაგზავნილი ელჩების შესახებ წერს: „მეფე (ერეკლე - მ.წ.) რომელიც მოუთმენლად ელოდა პატრ დომენიკოს მოგზაურობის შედეგებს, მისმა გარდაცვალებამ ძალიან დაამწყუბრა. რადგან საქმე სასწრაფო და გადაუდებელი იყო, ერეკლემ იგივე მისია პატრ მაურიო ვერონელს დააკისრა“ [თამარაშვილი 1995:698]. ის რომ ელჩობის შედეგები დროში გაწელვას არ ითმენს, აშკარაა თამარაშვილის შეფასებით: „საქმე სასწრაფო და გადაუდებელი იყო“.

ისიც საგულისხმო დეტალია, რომ მეორე ელჩად გაგზავნილი მაურო ვერონელი კარგად იცნობს პატრ დომენიკეს და აქტიურად იღებს მონაწილეობას ევროპული ვიზიტის მომზადებაში. შემდგომაც ზრუნავს, რომ ეს დიპლომატიური საქმიანობა წარმატებული იყოს [დობორჯგინიძე 2019:183-184].

შესაბამისად აშკარაა, რომ ვენის საიმპერატორო კარის საკმაოდ შეკრულ და ერთიან გუნდთან გვაქვს საქმე. ეს დეტალი ცხადად გვაჩვენებს, რომ დომენიკეს მხოლოდ წერილის წამლების, ფოსტალიონის როლი არ აკისრია. მან უმნიშვნელოვანესი დანაბარები უნდა გადასცეს პირადად იოზეფ მეორეს. ჩანს საკმაოდ აწყობილი მექანიზმი, სისტემური კავშირები, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსა და ავსტრიის საიმპერატორო კარის ორმხრივი ურთიერთობების სურვილის დასტურად უნდა მივიჩნიოთ.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ამ შეკრულ გუნდს ასევე სისტემურად უპირისპირდება რუსეთის საიმპერატორო კარი. ვფიქრობთ, ამ დაპირისპირებას შეეწირა სწორედ დომენიკე.

ჩვენ სპეციალურად გამოვიკვლიეთ ორივე ელჩის მკვლევლობის დეტალები და პირველწყაროებზე დაყრდნობითა და არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზიდან გამომდინარე მივედი იმ დასკვნამდე, რომ დომენიკე და მაურო ვერონელი მოკლეს¹. თუ

ვინ მოკლა ესეც იოლად დადგინდა. გამოვიკვლიეთ არსებული გარემოება, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული ერეკლესა და ავსტრიის იმპერატორის ურთიერთობის ჩაშლით. 1782 წლის დეკემბრის რელაციამ, რომელის ავტორიცაა იმპერატორის ეკატერინა მეორე და რომელიც ბეზზოროდკოს უნდა გადაეცა გრიგორი პოტიომკინისთვის [Грамоты 1902:30-31] ყველაფერს ნათელი მოჰფინა - ამ რელაციის მეოთხე პუნქტი პირდაპირ მიანიშნებს, რომ არაა სასურველი ქართველ მეფეს ჰქონდეს ურთიერთობა ავსტრიისა და საღვთო რომის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიან მეფეებთან [Грамоты 1902:30].

შესაბამისად, ეს უკვე ცალსახა ლუსტრაციაა იმისა, რომ დომენიკეს სიკვდილი კონსტანტინოპოლში და მაურო ვერონელის სიკვდილი ბერდიჩევოში რუსეთისთვის სასურველი რეალობაა.

კვლევისას ყურადღება მივაქციეთ იმასაც, რომ ერეკლე მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლი ქართველთათვის ევროპასთან ურთიერთობისათვის უმოკლესი და დიდი ხნის აპრობირებული გზაა, რატომღაც მაურო ვერონელს აგზავნის მოსკოვის გზით, რომელიც არ არის აპრობირებული და ამასთან, საკმაოდ შორი და არაკომფორტული მარშრუტია ევროპასთან კავშირისათვის.

ამ ფონზე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი აღმოჩნდა პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, რომლითაც დასტურდება, რომ ვიღაც ინკოგნიტო დაინტერესებულია ხელში ჩაიგდოს ერეკლე მეორის წერილები, რომელსაც ევროპელ მონარქებს უგზავნის.

აი რას წერს პადრე ფორტუნატ და ტრენტო კარდინალს: „მას შემდეგ რაც გარდაიცვალა ყოფილი პრეფექტი პადრე დომენიკო ტრიესტინო, ეს შევატყობინე ერთ პიროვნებას, რათა მოსულიყო პანაშვიდზე. ამასთან ვესაუბრე იმ წერილების შესახებ რომელიც პრეფექტს თან ჰქონდა. ორი-სამი დღის შემდეგ ზემოხსენებულმა პიროვნებამ ზედიზედ ორი წერილი გამომიგზავნა და მიბრძანა, რომ არ გამეგზავნა ზემოხსენებული წერილები ვიდრე არ მიიღებდი ერეკლე მეფის პასუხს. მე ვუპასუხე, რომ სრულებით არ იყო აუცილებელი ზემოხსენებული მეფის პასუხი და რომ მე ვალდებული ვიყავი ეს წერილი გამომეგზავნა თქვენს აღმატებულებასთან“ [დობორჯგინიძე 2019:184-185].

პადრე ფორტუნატ და ტრენტო რატომღაც არ თვლის საჭიროდ ინკოგნიტოს პერსონიფიცირებას დოკუმენტში, არადა ამჟამად ჩანს რომ მასთან ურთიერთობა აქვს ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან. ამჟამად ისიც, რომ ეს ინკოგნიტო იცნობს ერეკლე მეორეს და მასთან დაახლოებული პირია, შესაბამისად ამის შესახებ იცის თავად ფორტუნატომ .

საკითხავია, ვინ შეიძლება იყოს ეს ინკოგნიტო, რატომ დაინტერესდა ერეკლეს წერილების ხელში ჩაგდებათ, ეს თვალთვალის პირადი ინიციატივაა, თუ მის ზურგს უკან რომელიმე პოლიტიკური ძალა დგას?

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ სპეცსამსახურების როგორც რუსული, ასევე ევროპული გუნდის ერთიანობას ისიც განაპირობებს, რომ არც ერთი მათგანი მრავალრიცხოვანი არაა. პროფესორი ილია ტაბაღა მიაჩნის, რომ ვენასთან რაინეგსს აქვს კავშირები, ის დაკავშირებულია კონსტანტინოპოლში ვენის საკონსულოსთან: „დოკუმენტური მასალებიდან დასტურდება, რომ დოქტორ რაინეგსსა და გრაფ კოჰარს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, - წერს პროფესორი ილია ტაბაღა, - ავსტრიის სამეფო კართან. გრაფი იანოშ კოჰარი დაკავშირებული იყო ავსტრიის წარმომადგენელთან კონსტანტინოპოლში ბარონ ჰერბერტთან, შესაძლებელია მასთან კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა რაინეგსსაც. ასე ხორციელდებოდა კონტაქტები კონსტანტინოპოლზე გავლით თბილისისა და ვენას შორის“ [ტაბაღა 1979:61].

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ყველანაირი წინაპირობაა იმისა, რომ ვიფიქროთ, ის ინკოგნიტო, რომელიც ცდილობს ხელში ჩაიგდოს ერეკლეს წერილები, სავარაუდოდ, თავად რაინეგსი თუ არა, მისი გარემოცვიდან უნდა იყოს.

რაინეგსი, როგორც ტიპაჟი და ავანტიურისტი ბევრად დახვეწილი სახეა ტოტლებენისა. ის იმავე ავანტიურისტული მიზნით ჩამოდის საქართველოში, რა მიზანიც ტოტლებენს გააჩნდა, თუმცა, სულ სხვა ტაქტიკას და სხვა დამოკიდებულებებს იყენებს. საკმაოდ ახლო ურთიერთობას ამყარებს ქართლ-კახეთის სამეფო კართან, მისი საექიმო პრაქტიკა ერთგვარი სავიზიტო ბარათია იმისათვის, რომ მისდამი ნდობა გაიზარდოს. ამას გერმანელი მეტად ეფექტურად იყენებს.

საგულისხმოა მისი დამოკიდებულება 12 წლის ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმართებაში, მან კარგად იცის როგორ გამოიყენოს ახალგაზრდა ყმაწვილის პატრიოტული სულისკვეთება და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომისათვის განაწყობს ქართლ-კახეთის უფლისწულს [გელაშვილი 2002:20-21].

ეს ის თვითგანადგურების მოდელია, რომლის თავს მოხვევასა და დიდი გულისხმიერებით ცდილობდა XVIII ს-ის 60-იან წლებში თეიმურაზ მეორისათვის იოსებ ემინი სომეხი მოაზროვნე, რომელიც ასევე დაკავშირებული გახლდათ სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კართან [Маркова 1966:134; მაისურაძე 1982:260].

საკმაოდ სახასიათო დეტალია ის, რომ რუსეთი საკუთარი იმპერიული მიზნების მიღწევისათვის იყენებს განსხვავებული ეროვნების ადამიანებს - გერმანელებს, სომხებს.

რუსული აგენტურა აქტიურად იყენებს სომეხ მღვდელთმთავარს კაპიუცინელების წინააღმდეგ. თითქოს კაპუცინელთა და სომეხ მღვდელთმთავრის დაპირისპირებას მხოლოდ კონფესიური სარჩული უნდა ჰქონდეს, თუმცა, აშკარაა, რომ ეს ცალსახად პოლიტიკური დაპირისპირებაა, რაც სანქტ-პეტერბურგის დაკვეთით კონფესიურ საბურველშია გახვეული და კავკასიაში გავლენის სფეროების განაწილებას უკავშირდება.

ამრიგად, ის პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც კაპუცინელ ბერებსა და რუსეთის იმპერიის აგენტებს შორის იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, რამდენიმე წელში დასრულდა რუსეთის სპეცსამსახურებისათვის სასურველი სცენარით. ინტრიგებზე აგებულმა ინტერნაციონალურმა სტრატეგიამ რუსეთი სასურველ რეალობამდე მიიყვანა. ერეკლე იძულებული გახდა დაედო გეორგიევსკის ტრაქტატი. საგულისხმოა ერთი დეტალი - ის რომ რუსეთი არ აპირებდა ტრაქტატის პირობების შესრულებას, ამის შესახებ ავსტრიის საიმპერატორო კარი ტრაქტატის დადებიდან თვენახევარში, 1783 წლის სექტემბერშია ინფორმირებული.

როგორც ჩვენმა ბოლო პერიოდის კვლევებმა აჩვენა, ერეკლე მეორე ამ არასასურველმა პოლიტიკურმა პროცესებმა ვერ აიძულა ევროპასთან პოლიტიკურ კავშირზე უარი ეთქვა. ვენაში ავსტრიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი, ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილი ერეკლე მეორის წერილის

იტალიური თარგმანით [ტაბალუა 1979:105-107] დასტურდება, რომ ალა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ 1795 წელს, გვიან შემოდგომაზე ის კვლავ აგზავნის მორიგ ელჩობას ავსტრიის სამეფო კარზე [ნაცვალაძე 2020ა:79; ნაცვალაძე 2020ბ:7-8], ამჯერად ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით... თუმცა, პოლიტიკური სიტუაცია და დრო, განსხვავებით XVIII ს-ის 80-იანი წლებისა, არ იყო ერეკლეს მოკავშირე. ევროპა საფრანგეთის რევოლუციის კარნახით ცხოვრობდა...¹

წყაროები და ლიტერატურა:

1. გელაშვილი 2002 - მოგზაურობა საქართველოში იაკობ რაინეგსი; გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2002; 333 გვ
2. დე გრაი დე ფუა 1985 - დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, მეცნიერება თბილისი 1985, 109 გვ
3. დობორჯგინიძე 2019 - დობორჯგინიძე ნ. ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბილისი, ილიას სახელმწ. უნივერსიტეტი, 2019. გვ 166-218
4. თამარაშვილი 1995 - თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე თბ. : კანდელი,
5. მაისურაძე 1982 - მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. თბ. მეცნიერება, 1982. 331 გვ
6. მაჭარაძე 1968 - მაჭარაძე ვ. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. 2, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. თბილისი : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1968. 583 გვ.

¹შენიშვნა: აღნიშნული საკითხს დეტალურად ვიხილავთ ჩვენს სამეცნიერო სტატიაში „რამდენიმე საკითხი ერეკლეს ევროპელი ელჩების მკვლელობის კულუარული დეტალების განმარტებისთვის, რომელიც გამოქვეყნდება 2021 წელს სოხუმის უნივერსიტეტის შრომებში.

7. ნაცვალაძე 2020ა - ნაცვალაძე მ. 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები. 15th International Silk Road Virtual Conference. Book of Abstracts, October 09-10, 2020, Tbilisi, Georgia. 103 p
8. ნაცვალაძე 2020ბ - ნაცვალაძე მ. ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის უცნობი სენსაციური ეპიზოდები. „რეზონანსი“ 31.08.2020, გვ 7-8
9. ტაბაღლა 1979 - ტაბაღლა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი 1979 183 გვ
10. Arneht 1869 - Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneht, Wien, 1869 s 446
11. Грамоты 1902 - Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии / Под ред. А.А. Цагарели. Т. II. Вып. 2: С 1769 по 1801 год 1902. 330 с.
12. Маркова 1966 - Маркова О. П. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке М. Наука 1966г. 324 с.
13. Русский архив 1880 - Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790 Русский архив. Кн. 1. М., 1880. 210-335 с
14. Русская старина 1892- Собственноручная записка императрицы Екатерины о греческом проекте, Русская старина. 1892. Т. 76. №10. С.1-4.

Unknown Details of Confrontation of the Special Services in the Court of Erekle the Second

*Mamuka Natsvaladze, PhD student
Sokhumi State University*

Summary

Georgia and Caucasia have been one of the targets of the world politics that caught special attention at all stages of the human history. This tendency was especially intensified at the end of the 70-s of the XVIII century. At that time representatives of the Capuchin Order having an anti-Russian predisposition got close to the Bagrationi Court; at the same time, to suppress the Eu-

ropean predispositions of the King Erekle, Saint Petersburg sent to Tbilisi a German adventurist doctor Jacob Reineggs.

The confrontations of the Austrian and Russian special services acquired a very intensive character after the King Erekle sent a catholic priest Dominique to the Emperor of Austria in 1781.

The article provides information on the studies of Erekle's ambassadors sent to the Austrian Emperor. It has been confirmed that the two ambassadorial missions sent by him were parts of a single process as both these missions served one goal. Having sent these ambassadorial missions to the Emperor of Austria the King Erekle made an attempt of getting involved into the Greek Project implying division of Europe anew. Erekle the Second attempted to make the Greek Project complete too, for which he offered Joseph the Second to review the project in point of the Persian Project, this being a guarantee of creating a safe environment for Caucasia.

The Capuchin Ambassador Dominique died in Constantinople. The historical archive of Propaganda Fide in Rome maintains a document which confirms that some incognito person tried to get hold of the letters sent by Erekle.

Based upon the 1782 December communique by Catherine the Second, at the same time giving due consideration to the suspicious chronological coincidence of the fact of sending a German agent of Saint Petersburg - doctor Reineggs to Tbilisi, the article provides an opinion that the incognito person interested in getting hold of the King Erekle's letters after the death of his ambassador Dominique was the same Reineggs – the German agent of Saint Petersburg.

The article also provides a review of the international model that the Russian Emperor's court used for voicing its imperial goals in Caucasia. Besides Reineggs these imperial wishes of Russia were voiced by Armenian political and religious persons as well.

This international strategy which was built on the ground of intrigues brought Russia to the desired by it reality – the King Erekle was made to execute the Treaty of Georgievsk.

Key words: Erekle the Second, the Empire of Austria, the Russian Empire; the Kingdom of Kartli and Kakheti; Vienna, Maurus a Verona; Padre Domenico, Persian project; Greek project

ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურა და სტიმულირების მართვის პროცესი

ომანაბე ნინო

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურასა და სტიმულირების მართვის პროცესზე. აღნიშნულია, რომ ადამიანური რესურსების მართვა მოიცავს პერსონალის მართვის მიზნების, ფუნქციების და ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას. ავტორი წერს, რომ ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად მენეჯერის ერთ-ერთი მთავარი მისიაა შექმნას სტიმულირების ისეთი სისტემა, რომლის საშუალებითაც თითოეულ თანამშრომელს და ყველას ერთად აღუძრავს მთელი ენერგიით მუშაობის სურვილს.

ცალკეული ორგანიზაციის სტიმულირების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციის სტრატეგიას, ფინანსურ მდგომარეობას, მოგების მიღების ფორმებს. სტიმულირების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მატერიალურ და მორალური წახალისებას შორის სწორი თანაფარდობის გამოძებნა, რაც განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები: სტიმულირება, ადამიანური რესურსების მართვა, მართვის სტრუქტურა, მართვის პროცესი

შესავალი

ადამიანური რესურსების მართვაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ პერსონალის მართვის სტრუქტურა, რაც გულისხმობს თანამშრომელთა მართვის მიზნების, ფუნქციების და ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას.¹ ნებისმიერი ორგანიზაციის - ზომის მიუხედავად - მართვის პროცესი შედგება შემდეგი ფუნქციებისგან: დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კონტროლი, ლიდერობა.

ადამიანური რესურსების მართვა რთული და მნიშვნელოვანი

¹ ბერმნიშვილი ვ. (თ. გ.). კორპორატიული კულტურის სრულყოფა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. 2013, გვ. 38.

პროცესია, დაქირავებულ მომუშავეთა წარმატებული მართვა დამოკიდებულია მათ სწორ სტიმულირებაზე. მენეჯერები ცდილობენ მიიღონ მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით, ხოლო პერსონალი კი ცდილობს მიიღოს მეტი მატერიალური ანაზღაურება ნაკლები სამუშაოს შესრულების ხარჯზე.¹

ძირითადი ნაწილი

ადამიანური რესურსების სტიმულირების მართვის სისტემაში აუცილებელია განვიხილოთ: ანაზღაურების დონე, მასზე მოქმედი ფაქტორები და ანაზღაურების სტრუქტურა. სტიმულირების მართვის პროცესები განიხილავს მის დაგეგმვას, განხორციელებას და უზრუნველყოფას, რაც დამოკიდებულია ორგანიზაციული, ჯგუფური და ინდივიდუალური მწარმოებლურობის სრულყოფაზე.²

თანამედროვე პირობებში ბიზნესის მართვისას ძალიან რთულია ორგანიზაციაში აიძულო ადამიანური რესურსი, ძალით გააკეთოს ის სამუშაო, რაც მას არ უნდა. ი ადამიანების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების მიზნით საუკეთესო საშუალებაა სტიმულირების მექანიზმის გონივრული გამოყენება, რაშიც იგულისხმება პერსონალისათვის ისეთი სტიმულირების სისტემის შექმნა, რაც მათ აღუძრავს სურვილს იმუშაონ მაქსიმალური დატვირთვით და გავიდნენ მაქსიმალურ შედეგზე. მეცნიერთა კვლევის შედეგებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტიმულირებას ყოველთვის არ მოაქვს ის მოსალოდნელი შედეგი (მწარმოებლურობის და ეფექტიანობის ამაღლება) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც დამფუძნებლები და მენეჯერები მოელიან, რიგ შემთხვევაში ისეთი წვრილმანი ფაქტორები ახდენენ პერსონალის სტიმულირებას, როგორიცაა უნიფორმები, კომპანიის ახალი ლოგო, რებრენდინგი და სხვა.

ორგანიზაცია ფორმირების დღიდან მუდმივად ცდილობს შეძლოს წარმატებული მუშაობა და დასახული მიზნის მიღწევა, რისთვისაც მენეჯერებმა უნდა მოახდინონ მუშაობის კოორდინაცია და პერსონალის სწორი სტიმულირება. „მათ უნდა შეძლონ პერსონალში სწორი იმპულსების წარმოქმნა, რომელიც მათ საქმიანობისაკენ უბიძგებს. მოტივაცია ის შინაგანი პროცესია, რომელიც ადამიანს

¹ ჟორჟოლიანი ს. დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში. ეკონომიკა, 2 (135) 2009, გვ. 85.

² ლომია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2014, გვ.56

მიზნისკენ მიმავალ გზაზე ამხნევენ. ის არის შინაგანი და გარეგანი ძალების ამოქმედება.“¹ ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიღწიოს მიზანს და აჩვენოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, როცა „ის სათანადოდაა მოტივირებული, როცა მას საამისოდ რეალური სტიმული აქვს“.² მოტივაცია აუცილებელი დეტალია პიროვნების საქმიან და პირად ცხოვრებაში.

ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად მენეჯერის ერთ-ერთი მთავარი მისიაა შექმნას სტიმულირების ისეთი სისტემა, რომლის საშუალებითაც აღუძრავს სურვილს თოთოეულ თანამშრომელს და ყველას ერთად, იმუშაონ მთელი ენერგიით. ადამიანში დევს ორი ტიპის სტიმული: შინაგანი და გარეგანი. შინაგანია, როდესაც იგი თავისი პირადი მიზნის მისაღწევად აკეთებს შესაძლებლობის მაქსიმუმს, გარეგანია, როდესაც ის დამსაქმებლისგან მოელის გარკვეულ სტიმულს, მისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამის მატერიალურ ან არამატერიალურ ჯილდოს.


არსებობს სტიმულირების სხვადასხვა ფაქტორი, ესენია: საყვარელი საქმე, კარგი ანაზღაურება, მეგობრული ატმოსფერო, ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი, კარიერაში წინსვლა, შრომის შედეგებით სხვადასხვა ბონუსებით და პრემიებით სტიმულირება და სხვა.

დასაქმებულის სწორი სტიმულირებისათვის, რათა მას არ გაუნელდეს გამძაფრებული მუშაობის სურვილი მნიშვნელოვანია, მენეჯერის სწორი პოზიცია, მოქნილობა სიტუაციისადმი, რათა მან შეიმუშაოს სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც პერსონალის შრომითი საქმიანობისადმი მოტივაციის ხანგრძლივობას გაზრდის. სწორი მიდგომა იქნება, თუკი მენეჯერი ანახებს და აგრძობინებს თითოეულ თანამშრომელს მის წვლილსა და როლს კომპანიის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

სტიმულირება ხომ ადამიანის შინაგანი მახასიათებელია. სტიმულის ტრანსფერი მოტივაციაში დაკავშირებულია ადამიანის შინაგან მოთხოვნილებასთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ არსებობს სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც მოტივირებას გაუწევს კომპანიის ყველა თანამშრომელს ერთნაირად.

¹ ედიშერაშვილი გ. ადამიანური რესურსების მართვა საქართველოს შრომით ბაზარზე. თბ., 2017, გვ. 103.

² ბერმენიშვილი ვ. კორპორატიული კულტურის სრულყოფა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. 2013, გვ. 77.



ნახ. 1. სტიმულირების კლასიფიკაცია

წყარო: Макарова И.К. Управление персоналом. Москва Институт международного права и экономики имени А.С. Грибоедова. 2006, გვ.54

შრომის სტიმულირება შეიცავს ორ ასპექტს: მატერიალურს და მორალურს, რომლებიც კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული.

დასკვნა

თანამედროვე ეკონომიკაში სტიმულირება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურებით არ შემოიფარგლება, იგი მიმართულია მომუშავეს პიროვნული სრულყოფისა და კომპანიის მხრიდან მორალური თანადგომისაკენ. დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი გულისხმობს:

1. დასაქმებული მომუშავეს მაღალი შრომითი მაჩვენებლის სტიმულირებას;

2. მომუშავეს შრომითი ქცევის განსაზღვრული მიმართულების ფორმირებას, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზაციის განვითარებისაკენ;

3. მომუშავეს დარწმუნებას, რომ სრულად გამოიყენოს თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის.¹

ცალკეული ორგანიზაციის სტიმულირების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციის სტრატეგიას, ფინანსურ მდგომარეობას, მოგების მიღების ფორმებს.

პერსონალის სწორი სტიმულირება მხოლოდ რომელიმე ერთი ორგანიზაციის ამოცანას არ წარმოადგენს, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ამიტომ პერსონალის შრომითი საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფისა და თანამშრომელთა მოტივირების ქმედითი მეთოდების მოძიება-დანერგვა განსაკუთრებულ როლს იძენს, როგორც კონკრეტული ორგანიზაციების დონეზე, ისე სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე ეფექტიანი სოციალურ-შრომითი პოლიტიკის შესამუშავებლად. დაქირავებულ თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მიმართულ სტიმულირებას მეწარმე საკუთარი შემოსავლების ზრდასთან მიყავს.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას იძენს მატერიალურ და მორალურ წახალისებას შორის სწორი თანაფარდობის გამოძებნის საკითხი, რადგან ეს უკანასკნელი განაპირობებს სტიმულირების ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებას და საბოლოოდ ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას.²

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერმნიშვილი ვ. კორპორატიული კულტურის სრულყოფა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. 2013, გვ. 38.
2. ჟორჟოლიანი ს. დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში. ეკონომიკა, 2 (135) 2009, გვ. 85
3. ლომაია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2014, გვ.56

¹ ჟორჟოლიანი ს. დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში. ეკონომიკა, 2 (135) 2009, გვ. 85.

² ნაცვლიშვილი ე. შრომითი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების ზოგიერთი საკითხისათვის, „თეუსუ“, 1 (9), 2010, გვ. 37.

4. ედიშერაშვილი გ. ადამიანური რესურსების მართვა საქართველოს შრომით ბაზარზე. თბ., 2017, გვ. 103.
5. Макарова И.К. Управление персоналом. Москва Институт международного права и экономики имени А.С. Грибоедова. 2006, გვ.54

Human resource management structure and incentive management process

Nino Omanadze
Doctor of Business Administration

Summary

The article discusses the structure of human resource management and the incentive management process. It is noted that human resource management involves the formation of personnel management goals, functions and organizational structure. The author writes that one of the main missions of a manager to achieve the goal of the organization is to create a system of incentives that motivates each employee and everyone to work together with all their energy. An important place in the incentive system of an individual organization is occupied by the strategy of the organization, financial condition, forms of profit. For the effective functioning of the incentive system, it is important to find the right ratio between material and moral incentives, which determines the successful operation of the organization.

Keywords: stimulation, human resource management, management structure, management process.

ევროპული მიმართულების „პრინცი“ - ერეკლე II ბაგრატიონი და მისი კულტურულ-აღმშენებლობითი პოლიტიკა

*ოთარაშვილი ალექსანდრე, ასოცირებული პროფესორი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მიქელაძე ნუნუ, ისტორიის დოქტორი
იაკობ გოგებაშვილის
სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ერეკლე ჩართული იყო უამრავ ბრძოლებში ქვეყნის ინტერესებისათვის და იმავდროულად დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას და სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის აპარატის მუშაობის მოწესრიგებას. მისი მიზანი იყო, მართვა-გამგეობის გარდაქმნა ევროპულ და რუსულ ყაიდაზე, რათა ბოლო მოეღო უკვე მოძველებული შუასაუკუნეებრივი წეს წყობილებისათვის, რომელიც აბრკოლებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინსვლას. 1744 წლიდან ჯერ კახეთის, ხოლო 1762 წლიდან თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მართვას შეუდგა. ქვეყნის გასაძლიერებლად ერეკლემ ალაგმა თავნება თავადები, გააუქმა დაუმორჩილებელი სათავადოები, დაასახლა მტერთაგან ანაოხრებული რაიონები, გაამრავლა თავისუფალ მიწათმფლობელ მოლაშქრეთა ფენა, აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა. ამ ღონისძიებათა შორის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სამხედრო რეფორმა. 1774 წელს შეიქმნა მორიგი ჯარი, რამაც ბოლო მოუღო ლეკთა თარეშს. ერეკლემ შექმნა ფაბრიკა-ქარხნები, განავითარა სამთამადნო წარმოება, მოჭრა ფული, ამავდროს ააშენა ციხეები და ახალი შენობები. ერეკლე II-ის სახით ქართლ-კახეთს მოევლინა მეფე, რომელიც ზრუნავდა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს გაუმჯობესებაზე. სამხედრო საქმე, მეურნეობა, ვაჭრობა, უბრალო გლეხ-კაცის ცხოვრება, კულტურა. მას ყველაფერი აინტერესებდა და ყველა სფეროში თქვა თავისი სიტყვა. ყველაზე მეტად კი ერეკლეს უნდოდა თავისი სამეფოს დამოუკიდებლობა, მისი გათავისუფლება ირანელთა და ოსმალთა მარწუხებისგან. სწორედ ამ საკითხებს შეაღია მან მთელი თავისი ახალგაზრდული წლები.

შესავალი

ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი, თავისი დროის მოწინავე კაცი. ასე ახასიათებდნენ ერეკლე II-ეს ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია. ეს რაც შეეხება ჩვენს უდიდეს კორეფეებს, ქართული ეროვნული ისტორიის სულის ჩამდგმელებს, ხოლო ევროპის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში კი მრავალი საქებარი ამბები იბეჭდებოდა „პრინც“ ერეკლეზე, „მშვეულ ლომზე“, „ადმოსავლეთის ნაპოლეონზე“. ქართველმა ხალხმა კი მას საალერსო სახელი „პატარა კახი“ უწოდა და ამ ორ სიტყვაში დიდი შინარსი ჩადო. მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ძირითადი ნაწილი

ერეკლე ბატონიშვილი დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს ქალაქ თელავში, კახთ მეფეთა სასახლე რეზიდენციაში. იმხანად კახეთის მეფე იყო ერეკლე ბატონიშვილის ბიძა დავით II. თავად უფლისწულის მამა კი თეიმურაზ II ერეკლე I-ის ვაჟიშვილი იყო. დედა - ერეკლე ბატონიშვილისა იყო ქართლის მეფის ვახტანგ - ის ასული თამარ დედოფალი.

ერეკლე ბატონიშვილის დაბადების დროს კახეთის სამეფო იმყოფებოდა უმძიმეს პოლიტიკურ და სოციალურ სიდუხჭირეში. ლეკთა ურდოების თარეში, რასაც დაემატა ოსმალების მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობა. ამ სტიქიამ კი კახეთის ყოფა-ცხოვრების ყველა სფერო უფრო დაამძიმა და უკიდურესობამდე დააკნინა. საქართველო უკაცრიელ უდაბნოს დაემსგავსა, რამაც ქართლ-კახეთი ეროვნული და ფიზიკური მოსპობის ზღურბლთან მიიყვანა. ამ და კიდევ სხვა პრობლემების რკალში ხდებოდა მომავალი მეფის საკადრისი აღზრდა.

ქრისტიანმა მეფემ აზრი მისი გათათრების შესახებ ახლოსაც კი არ გაიკარა. ნადირ-შაჰთან ინდოეთში ლაშქრობისას ერეკლემ დიდი სკოლა გაიარა და ცბიერმა შაჰმა ერეკლეთი მოხიბლულმა იგი სამშობლოში სამშობლოსავე მისახედად დააბრუნა.

თეიმურაზი და ერეკლე სრულიად ჩაებნენ ირანელ მეომართა მხარდამხარ ქართლ-კახეთში შემოსულ ლეკთა ურდოებისა და ოსმალების გასაჟლეტად. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობით

გამოირჩეოდა ერეკლე ბატონიშვილი თავისი ტაქტიკითა და სტრატეგიით. ერეკლემ ამ ბრძოლაში მოკლა დადესტნის ბელადი მალაჩი. რის შედეგადაც, ნადირ-შაჰზე ერეკლეს ვაჟკაცობას განსაკუთრებული ზემოქმედება მოუხდენია. შაჰმა გამორჩეულად დაასაჩუქრა მამა-შვილი. თეიმურაზ II-ეს ქართლის მეფობა უბოძა, ერეკლე ბატონიშვილს კი კახეთის სამეფო ჩააბარა და 1744 წელს ქართლ-კახეთი მამა-შვილის ხელში გაერთიანდა.

ერეკლე მთელი გულითა და მონდომებით ჩაერთო კახეთის მართვაში. თავისი მოღვაწეობის დროს იგი ცდილობდა ქვეყნის გაძლიერებას, მის გამოყვანას იმ ჩიხიდან, რომელშიც საქართველო მოექცა XV-XVI საუკუნეებიდან. ერეკლეს შინ და გარეთ მტერი არ აკლდა და ურთულეს პერიოდში უხდებოდა ჯერ კახეთის, ხოლო 1762 წლიდან თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მართვა.

ქვეყანაში უდიდესი შიდა არეულობის პარალელურად, ერეკლე ჩართული იყო უამრავ ბრძოლებში ქვეყნის ინტერესებისათვის და იმავდროულად დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას და სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის აპარატის მუშაობის მოწესრიგებას. მისი მიზანი იყო, მართვა-გამგეობის გარდაქმნა ევროპულ და რუსულ ყაიდაზე, რათა ბოლო მოეღო უკვე მოძველებული შუასაუკუნეებრივი წეს წყობილებისათვის, რომელიც აბრკოლებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინსვლას. ერეკლემ სამხედრო და სამოქალაქო პირთათვის შემოიღო ევროპაში გავრცელებული სახელწოდებანი: კანცლერი, სენატორი, ოფიცერი, მაიორი.

ქვეყნის გასაძლიერებლად ერეკლემ ალაგმა თავნება თავადები, გააუქმა დაუმორჩილებელი სათავადოები, დაასახლა მტერთაგან ანაოხრებული რაიონები, გაამრავლა თავისუფალ მიწათმფლობელ მოლაშქრეთა ფენა, აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა. ამ ღონისძიებათა შორის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სამხედრო რეფორმა. 1774 წელს შეიქმნა მორიგი ჯარი, რამაც ბოლო მოუღო ლეკთა თარეშს.

ერეკლემ შექმნა ფაბრიკა-ქარხნები, განავითარა სამთამადნო წარმოება, მოჭრა ფული, ამავედროს ააშენა ციხეები და ახალი შენობები. ერეკლე II-ის სახით ქართლ-კახეთს მოველინა მეფე, რომელიც ზრუნავდა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს გაუმჯო-

ბესებაზე. სამხედრო საქმე, მეურნეობა, ვაჭრობა, უბრალო გლეხ-კაცის ცხოვრება, კულტურა. მას ყველაფერი აინტერესებდა და ყველა სფეროში თქვა თავისი სიტყვა. ყველაზე მეტად კი ერეკლეს უნდოდა თავისი სამეფოს დამოუკიდებლობა, მისი გათავისუფლება ირანელთა და ოსმალთა მარწუხებისგან. სწორედ ამ საკითხებს შეაღია მან მთელი თავისი ახალგაზრდული წლები. მას ხმალი მოხუცებულობამდე ხელიდან არ გაუგდია.

ერეკლე დიდ ყურადღებას იჩენდა ქალაქების აღდგენისა და მისი გალამაზებისათვის. მის დროს თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრად იქცა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქ თელავის აშენებას და გალამაზებას, ზღუდე გალავნებითა და ბურჯებით. განსაცვიფრებელი სიდიადით ააშენა სიღნაღის ციხე - ქალაქის კომპლექსი. საერთოდ ციხე - სიმაგრეები იცავდნენ მოსახლეობას, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობასთან ერთად თვალსაჩინოდ განვითარდა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება. ქართული კულტურა თანდათანობით აღწევდა თავს აღმოსავლური მაჰმადიანური კულტურის გავლენისაგან და იმ დროისათვის მოწინავე ევროპულ კულტურას ითვისებდა. კულტურული განვითარების ეს პროცესი ძირითადად ეროვნული ტრადიციების საფუძველზე მიმდინარეობდა.

ერეკლე II დიდად ზრუნავდა განათლებისა და კულტურის განვითარებაზე. 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარიები, სადაც ისწავლებოდა ფილოსოფია, ლოგიკა, ფიზიკა და მათემატიკა. სამეფო კარის მხარდაჭერით დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები: ანტონ I და ანტონ II. მათი მცდელობით აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ეპარქიასა და მონასტერში ამოქმედდა სამრევლო და სამონასტრო სკოლები. საჭირო ლიტერატურისათვის, სწავლების პროცესში ამოქმედდა და განახლდა სტამბა, ჯერ კიდევ ერეკლე II-ის პაპის ვახტანგ VI-ის დროს შექმნილი. თბილისში დაარსდა კერძო სკოლები, სადაც კათოლიკეები ასწავლიდნენ უცხო ენას. 1772 წელს თბილისში კერძო სკოლა დაარსდა გაიოზ არქიმანდრიტის ხელმძღვანელობით, სადაც

რუსულ ენასაც ასწავლიდნენ. გაიზარდა წიგნის ბეჭდვის დონე და რაოდენობა. ბიბლიოთეკები ჰქონდათ: დავით გარეჯის მონასტერს, თბილისის სიონს, მცხეთის და შიომღვიმის მონასტრებს.

განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა მეცნიერებამ მშობლიური ქვეყნის ისტორიის კვლევის დარგში. პაპუნა ორბელიანმა და ომან ხერხეულიძემ საინტერესო ისტორიული ნაწარმოებები შექმნეს.

იმდროინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული წარმომადგენლები: ერეკლე II, სოლომონ I, ანტონ I კათალიკოსი, დავით და გაიოზ რექტორები, დავით და იოანე ბატონიშვილები, სოლომონ ლიონიძე და სხვები დაუღალავად იღვწოდნენ რათა ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეთვისებისა და ქართველთა ევროპეიზაციის გზით მომხდარიყო „მოძველებული“ სახელმწიფო ცხოვრების განახლება და რეორგანიზაცია. ანტონი ევროპეიზმის მედროშე, ქვეყნის განახლების მთავარ პირობად თავისი ხალხის კულტურულ, გონებრივ დაწინაურებას თვლიდა. თავად ერეკლე II თვითონ იყო მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული და ყოველგვარ მნიშვნელოვან წამოწყებათა ინიციატორი.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ერეკლე II გრძნობდა იმ დიდ საჭიროებას, რასაც ახალი ეპოქა აყენებდა მეცნიერული ცოდნის წინაშე და იგი ყოველ ღონეს ხმარობდა მეცნიერების ცალკეულ დარგთა განვითარებისათვის. სამხედრო - ტექნიკურ მეცნიერებასა და საბუნებისმეტყველო დარგში შესანიშნავი თარგმანები და ორიგინალები გაჩნდა. ერეკლეს ინიციატივით ითარგმნა კრებული არტილერიის შესახებ.

მაღალ დონეზე აღმოჩნდა სამედიცინო აზროვნება და განათლება, გეოგრაფიული ცოდნა - მოგზაურობების შედაგად დაგროვილი და წიგნებად გამოცემული.

განვითარდა ფილოსოფიური და სამართლებრივი აზრი, რომლის მწვერვალად მიიჩნევა ანტონ I კათალიკოსი - ევროპული ორიენტაციის პიროვნება.

აღზევებას განიცდის მხატვრული ლიტერატურა, რომლის ვარსკვლავია დიდაქტიკოსი დავით გურამიშვილი - „დავითიანით“, ბესიკ გაბაშვილი - პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე.

აღმავლობას განიცდის ქართული თეატრი. ერეკლე II - ის

დროს სასახლის სამსახიობო დასს მეთაურობდა ცნობილი მსახიობი მაჩაბელი. გიორგი ავალიშვილის თაოსნობით დაარსებულა კლასიციტური მიმართულების ქართული თეატრი. იმ პერიოდში ქართულმა კულტურამ გარკვეულ აღორძინებას მიაღწია მიუხედავად ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობისა.

დასკვნა.

უკვე ორი საუკუნე გავიდა ერეკლე II - ის გარდაცვალებიდან. „რკინის კარად“ აღიარებული უდიდესი წინაპარი ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს ისტორიაში და მრავალსაუკუნოვან ბაგრატიონთა დინასტიაში დამკვიდრდა, როგორც დიდად საპატიო ბაგრატიონი და უბრწყინვალესი მეფე - რაინდი.

ლიტერატურა:

1. ვ. ელანიძე, „ქალაქი თელავი და ერეკლე მეორე“, თელავი, 2013
2. საქართველოს ისტორია ავტორთა კრებული, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, თბ. 1958
3. ზ. აბაშიძე, ო. ჯანელიძე, მ. ბახტაძე, „საქართველო და ქართველები“, თბ. 2013
4. ქ.ს.ე. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია) ტ. IV, თბ. 1979
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973
6. საქართველოს ისტორია ტ. III, უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, თბ. 2012
7. ავ. გელაშვილი, „ერეკლე II“, თბ. 2018

“Prince” of European direction - Erekle II Bagrationi and his cultural-reconstruction policy

*Aleksandre Otarashvili, Invited Associate Professor
Telavi State University*

*Nunu Mikeladze, doctor of history
Telavi State University*

Symmary

Erekle was involved in numerous battles for the interests of the country and at the same time paid great attention to establishing order in the country and regulating the work of the state, central and local government apparatus. His goal was to transform the governing board into a European and Russian cadre in order to put an end to the already outdated medieval rule that hindered the progress of the state and society. From 1744 he first ruled Kakheti, and from 1762 after the death of Teimuraz he ruled Kartli-Kakheti. To strengthen the country, Erekle Alag ousted the princes, abolished the disobedient nobility, settled the areas liberated from the enemies, multiplied the layer of free landowners, and banned the trade of captives. Among these measures, military reform was extremely important. In 1774 another army was formed, which put an end to the raids of the Leks. Erekle set up factories, developed mining, cut money, and at the same time built castles and new buildings. In the form of Erekle II, a king appeared in Kartli-Kakheti, who took care of the improvement of all spheres of the country's life. Military affairs, agriculture, trade, ordinary peasant life, culture. He cared about everything and said his word in every field. Most of all, Erekle wanted the independence of his kingdom, his liberation from the shackles of the Iranians and the Ottomans. These are the issues he has been involved with throughout his youth.

ტკვილის მართვის ფსიქოლოგიური გზები გუნდური სახეობების ქალთა სპორტში

*პაპიაშვილი მარიამ, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში „ტკვილის მართვის ფსიქოლოგიური გზები გუნდურისახეობებისქალთასპორტში“,საუბარიანიმფსიქოლოგიურ გზებზე და მეთოდებზე, რომელიც გამოიყენება სპორტსმენთა მიერ ტკვილის დასაძლევად. განხილულია გუნდური სახეობების წარმომადგენელ ქალ სპორტსმენებში არსებული გამოცდილება ტკვილის მართვის კუთხით და მათ მიერ ტკვილის დასაძლევად გამოყენებული ფსიქოლოგიური მეთოდები. გავლებულია პარალელები ტკვილის განცდასა და სპორტულ კარიერაში ტკვილის გავლენას შორის ათლეტის ფუნქციონირების ხარისხზე. შედეგების მიხედვით ქალბატონები ამ პრობლემით უფრო ხშირად მიმართავენ უშუალოდ ექიმს, ვიდრე ფსიქოლოგს. რესპოდენტთა 20% საერთოს არ ჰქონია ფსიქოლოგთან კონსულტაციის გამოცდილება უშუალოდ ტკვილის საკითხზე. მაშინ როდესაც ექიმის კონსულტაცია მუდმივად ან ძირითადად ეწეოდა რესპოდენტთა 90%. რესპოდენტთა ნახევარი მიიჩნევს, რომ ტკვილი მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა მათ სპორტული საქმიანობის განხორციელების პროცესში, 30% აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ მაინც ანხორციელებენ თავის საქმიანობას, ხოლო 20% სრულიად ადაპტირებადია გარემოსთან ტკვილის განცდის პროცესში. რესპოდენტთა უმრავლესობას 40% აქვს შექმნილი პრობლემები სპორტულ ფუნქციონირებაში ტკვილიდან გამომდინარე გამოწვეული დისკომფორტის გამო. გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალი სპორტსმენების ტკვილის მართვის გზები ძირითადად მედიკამენტურ მკურნალობას მოიცავდა, მათი უმრავლესობა 50% არ განუხორციელებელია ტკვილის აღმრიცხველი ჩანაწერები. ნაკლებად გამოიყენებოდა ასევე დიალექტიკური ქცევის თერაპია და კოგნიტურ-ქცევითი თერაპია, მაშინ როდესაც ყურადღების გადატანის, მოთმინების, ჰიპნოზისა და რელაქსაციურ ტექნიკებს თანაბრად იყენებდნენ ქალი სპორტსმენ-

ნები. ყოველივე ზემოთ ნახსენები, მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია სპორტში ფსიქოლოგის როლის გააქტიურება, რომელიც ათლეტებს შესთავაზებს ზუსტ მიდგომებს ტკივილის მართვის ფსიქოლოგიური გზების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ტკივილის ფსიქოლოგიური მართვის გზები, გუნდური სახეობები, ქალთა სპორტი.

შესავალი

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება, ისეთი უსიამოვნო განცდა, როგორცაა ტკივილი. ამ დროს პიროვნების ორგანიზმი პასუხობს გამღიზიანებელ სტიმულს. ტკივილი შეიძლება განვიხილოთ როგორც ხვადასხვა ფუნქციისა და ფორმის მქონე, რომელშიც ჩართულია კოგნიტური, ემოციური, ქცევითი ფაქტორები და მათი ერთობლიობით ქმნის საბოლოო განცდას პიროვნების ორგანიზმისათვის.

ტკივილი ხშირად ხდება ადამიანის ცხოვრების ძირეული ცვლილებების მიზეზი, ბევრი ადამიანი ტოვებს სამსახურს, უარს ამბობს ახალი მიზნების დასახვაზე, არ ერთვება სხვადასხვა სახის აქტივობაში. ხშირად ასეთ პირებს აქვთ ნაკლები სოციალური კავშირები და აქვთ ცუდი ხარისხის ძილი. (Currie, Wilson, & Curran, 2002) ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვნად აუარესებს პიროვნების ფუნქციონირების ხარისხს და გავლენას ახდენს მისი ცხოვრების ყველა სფეროზე.

განსაკუთრებით ხშირია ტკივილის შეგრძნება სპორტსმენებისათვის. სპორტულ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ტრამვა ხდება ასპარეზობის პირველ ეტაპზე, რის შემდეგაც უწევთ შეჯიბრის გაგრძელება და საშეჯიბრო სიტუაციებში საკუთარი უნარების გამოვლენა ტკივილის შეგრძნებასთან ერთად.

სპორტსმენებს მოეთხოვებათ მიუხედავად ძლიერი ტკივილისა შეძლონ საუკეთესო სპორტულ ფორმაში ყოფნა. მსგავსი სიტუაციები სპორტსმენისაგან მოითხოვს დაეუფლოს ტკივილის ფსიქოლოგიური მართვის გზებსა და აქტიურად გამოიყენოს ისინი საჭიროების შემთხვევაში.

სხვადასხვა ფსიქოლოგიური დაკვირვებებისა და კვლევების შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი ფსიქოლოგიური გზები, რომ-

ლითაც შესაძლებელია ტკივილის მართვა. მაგალითად ეფექტურ გზად მიჩნეულია პიროვნების მიერ დამატებითი ფიზიკური ქცევების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს ტკივილის მოხსნას. (Lousberg R, 2005) აქვე ერთიანდება რელაქსაციური ტექნიკები, ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობს ტკივილის სტიმულის უგულვებელყოფას. (Linton SJ, 1982), ტკივილის მართვის პროცესში აქტიურად გამოიყენება მოტივაციური საუბრები, რომელთა დახმარებითაც პიროვნება გამოდის ცუდად მყოფი პირის როლიდან და სწრაფად უბრუნდება ჩვეულ ფორმას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს პიროვნების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ტკივილის ფსიქოლოგიურ მართვაში აქტიურად გამოიყენებენ კოგნიტურ-ქცევით თერაპიას, რომელიც პაციენტს უდგება ინფრომირების კუთხით და აწვდის ვრცელ ინფორმაციას მისი მდგომარეობის შესახებ. ასევე ტკივილის მართვის პროცესში შესაძლოა აქტიურად იყოს ჩართული დიალექტიკური ქცევის **თერაპია (DBT)**. ეს თერაპია ძირითადად ფსიქო-სოციალურ ასპექტებს ეხება. ყველაზე გავრცელებული ტექნიკა კი არის ჰიპნოზი. იგი არის ერთ-ერთი ღირებულება, რომელზეც არ კამათობენ, და წარმოადგენს ტკივილის შემცირების უნარს (ჰიპნოტური ანალგეზია). ხშირად ჩვენი გონება წინასწარი განჭვრეტითა და შიშით აძლიერებს ტკივილის სტიმულს. ამ ფსიქოლოგიური ეფექტის შემცირება კი ჰიპნოზით არის შესაძლებელი (Chaves, 1999).

ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანი. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაედგინა, სპორტსმენ ქალებში ტკივილის აღქმა, ტკივილის ფსიქოლოგიური მართვის ზოგადი გზები და მისი გავლენა სპორტული საქმიანობის ხარისხზე.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:


გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალ სპორტსმენტა გამოცდილების შესწავლა ტკივილის მართვის კუთხით;

გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალ სპორტსმენტებზე ტკივილის გავლენა სპორტულ კარიერაში ფუნქციონირების ხარისხზე;

გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალი სპორტსმენების მიერ ტკივილის მართვის ფსიქოლოგიური გზები.

კვლევის მეთოდი და მონაწილეები. გამოკითხვაში ჩატარდა თბილისის მაშტაბით გუნდური სპორტის სახეობებში მოღვაწე ქალ სპორტსმენებში. ასაკობრივი კატეგორია 15 – 30 წლის ქალბატონები. სულ კვლევა ჩატარდა 40 რესპოდენტზე. კვლევის მეთოდში მონაწილე პირები შერჩეულნი იყვნენ თოვლის გუნდის პრინციპით. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით. კერძოდ თვითადმინისტრირებული კითხვარის მეშვეობით.


კვლევის შედეგების დამუშავება. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე 15-30 წლის ქალბატონები, რომელთაც აწუხებდათ ტკივილი. შედეგების მიხედვით ასაკობრივ კატეგორიებში გადანაწილდნენ შემდეგნაირად, 20% წარმოადგენდნენ 15-19 ასაკობრივ ჯგუფში მყოფი ქალბატონები, 25-30 წლის ასაკის ქალბატონების ოდენობამ შეადგინა 30%, ხოლო უმეტესი ნაწილი გადანაწილდა 20-24 ასაკობრივი კატეგორიის ქალბატონებზე - 60 %.



ცხრილი 1. სპორტსმენ ქალთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფში.


კითხვაზე თუ დროის რა ხანგრძლივობით აწუხებდათ ტკივილი 30% მოაგროვა 1 და 2 წელზე მეტმა კატეგორიებმა, ხოლო 20% მოაგროვა 1 წელზე ნაკლებმა და 3 წელზე მეტმა კატეგორიამ.

ცხრილი 2. რა არის ტკივილის დროითი ხანგრძლივობა მისი პირველი გამოვლენიდან?




კითხვაზე აწარმოებდით თუ არა ტკივილის განვითარების აღრიცხვას ანამნეზისთვის, ჩანს რომ 10% აწარმოებდა მსგავს ჩანაწერებს, რესპოდენტთა უმეტესობას 70% არ განუხორციელებელია მსგავსი ჩანაწერები, 15% ხანდახან ანხორციელებდა ტკივილის განვითარების აღრიცხვას ანამნეზისთვის.

ცხრილი 3. აწარმოებდით თუ არა ტკივილის განვითარების აღრიცხვას ანამნეზისთვის?




რესპოდენტთა ნახევარი 50% მიიჩნევს, რომ ტკივილი მნიშვნელოვანად უარყოფითი გავლენის მქონეა მათთვის სპორტული საქმიანობის განხორციელების პროცესში. 30% აღნიშნავს, რომ ტკივილის მიუხედავად ნაწილობრივ მაინც ანხორციელებს სპორტულ საქმიანობას, ხოლო 20% სრულიად ადაპტირებადია გარემოსთან ტკივილის განცდის პროცესში.

ცხრილი 4. რა გავლენას ახდენს ტკივილი თქვენს სპორტულ ფუნქციონირების დონეზე



რესპოდენტთა უმრავლესობას 40% აქვს შექმნილი დისკომფორტი, კომუნიკაციაში, სოციალურ ურთიერთობებში, ტკივილიდან გამომდინარე გამოწვეული დისკომფორტის გამო. თანაბრად ნაწილდება ხანდახან შექმნილი დისკომფორტისა და საერთოდ დისკომფორტის არ შექმნილი ოდენობები, თითოეული მათგანი იკავებს 30%.


ცხრილი 5. როგორ შეაფასებდით ტკივილის გავლენას თქვენს სოციალურ ურთიერთობებზე?



რესპოდენტთა 60% აღნიშნავს, რომ ტკივილმა შეცვალა მათი პიროვნული მახასიათებლები, 28% ფიქრობს, რომ შეიცვალა უმნიშვნელოდ, ხოლო 12% საერთოდ არ შეცვლილა ტკივილის


გავლენით მათი პიროვნული მახასიათებლები.

ცხრილი 6. რამდენად შეგცვალათ ტკივილმა პიროვნული მახასიათებლები?




კითხვაზე გაგეწიათ თუ არა ტკივილის მართვისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაცია რესპოდენტთა უმეტესობა 50% აღნიშნავს, რომ არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა, 30% ერთხელ მაინც ჰქონია მსგავსი გამოცდილება ხოლო 20% -ჯერ ან მეტჯერ ჰქონია ფსიქოლოგიური კონსულტაციის გამოცდილება ტკივილის მართვის კუთხით.

ცხრილი 7. გაგეწიათ თუ არა ფსიქოლოგიური კონსულტაცია ტკივილის მართვის პროცესში?




რესპოდენტთა 60% აღნიშნავს, რომ ყოველთვის ჰქონდათ ექიმთან კონსულტაცია ტკივილის განცდის დროს, 30% აღნიშნავს, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც არ ჰქონია ექიმთან კონსულტაცია, ხოლო 10% აღნიშნავს, რომ არასოდეს ჰქონია ექიმთან კონსულტაცია.

ცხრილი 8. გაგეწიათ თუ არა ექიმის დახმარება ტკივილის მართვის პროცესში?



გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალი სპორტსმენების ტკივილის მართვის გზები ძირითადად მედიკამენტურ მკურნალობას მოიცავდა, ნაკლებად გამოიყენებოდა ასევე დიალექტიკური ქცევის თერაპია და კოგნიტურ-ქცევითი თერაპია, მაშინ როდესაც ყურადღების გადატანის, მოთმინების, ჰიპნოზისა და რელაქსაციურ ტექნიკებს თანაბრად იყენებდნენ ქალი სპორტსმენები.


ცხრილი 7. რა გზებს იყენებთ ტკივილის შესამცირებლად?



რესპოდენტთა უმეტესობა 60% აღნიშნავს, რომ ტკივილის მართვის პროცესში გრძნობს ოჯახის მხარდაჭერს. დანარჩენი 40

პროცენტისათვის ოჯახის მხარდაჭერა ნეიტრალურია ან საერთოდ ვერ გრძნობს მას ტკივილის.

ცხრილი 8. როგორ შეაფასებდით ოჯახის მხარდაჭერას ტკივილის მართვაში?



დასკვნა

აღნიშნული კვლევის შედეგად, გამოვლენილ იქნა გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალ სპორტსმენთა გამოცდილება ტკივილის მართვის კუთხით.

შედეგების მიხედვით ქალბატონები ამ პრობლემით უფრო ხშირად მიმართავენ უშუალოდ ექიმს, ვიდრე ფსიქოლოგს. რესპოდენტთა 20% საერთოს არ ჰქონია ფსიქოლოგთან კონსულტაციის გამოცდილება უშუალოდ ტკივილის საკითხზე. მაშინ როდესაც ექიმის კონსულტაცია მუდმივად ან ძირითადად ეწეოდა რესპოდენტთა 90%, მხოლოდ 10% არ ჰქონია ექიმთან კონსულტაციის გამოცდილება.

გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალ სპორტსმენებზე ტკივილის გავლენა სპორტულ კარიერაში ფუნქციონირების ხარისხზე.

რესპოდენტთა 60% აღნიშნავს, რომ ტკივილმა შეცვალა მათი პიროვნული მახასიათებლები, 28% ფიქრობს, რომ შეიცვალა უმნიშვნელოდ, ხოლო 12% საერთოდ არ შეცვლილა ტკივილის გავლენით მათი პიროვნული მახასიათებლები. რესპოდენტთა ნახევარი

მიიჩნევს, რომ ტკივილი მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა მათ სპორტული საქმიანობის განხორციელებს პროცესში, 30% აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ მაინც ანხორციელებენ თავის საქმიანობას, ხოლო 20% სრულიად ადაპტირებადია გარემოსთან ტკივილის განცდის პროცესში. რესპოდენტთა უმრავლესობას 40% აქვს შექმნილი პრობლემები სპორტულ ფუნქციონირებაში ტკივილიდან გამომდინარე გამოწვეული დისკომფორტის გამო. თანაბრად ნაწილდება ხანდახან შექმნილი დისკომფორტისა და საერთოდ დისკომფორტის არ შექმნილი ოდენობები, თითოეული მათგანი იკავებს 30%.

გუნდურ სახეობებში მოღვაწე ახალგაზრდა ქალი სპორტსმენების ტკივილის მართვის გზები.

ტკივილის მართვის ფსიქოლოგიური გზები. ძირითადად მედიკამენტურ მკურნალობას მოიცავდა, მათი უმრავლესობა 70% არ განუხორციელებელია ტკივილის აღმრიცხველი ჩანაწერები ჩანაწერები, კითხვაზე გაგეწიათ თუ არა ტკივილის მართვისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაცია რესპოდენტთა უმეტესობა 50% აღნიშნავს, რომ არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა.

შედეგების მიხედვით გუნდურ სპორტის სახეობებში ქალ სპორტსმენები ძირითადად თავად იყენებენ ფსიქოლოგიური დამლევის სტრატეგიებს, მათ ნაკლებად აქვთ ფსიქოლოგებთან კონტაქტი, რომლებიც შესთავაზებენ პროფესიონალურ დახმარებას. ყოველივე ეს ნათელს ხდის ფსიქოლოგიური სამსახურის გააქტიურების აუცილებლობას სპორტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერიგი; ზიმზარდო (2009) ფსიქოლოგია და ცხოვრება. თსუ, თბილისი
2. Bee PE, Bower P, Lovell K, Gilbody S, Richards D, Gask L, Roach P. Psychotherapy mediated by remote communication technologies: a meta-analytic review. BMC Psychiatry 2008; 8:60.
3. Currie, S. R., Wilson, K. G., & Curran, D. (2002). Clinical significance and predictors of treatment response to cognitive-behavior therapy for insomnia secondary to chronic pain. Journal of Behavioral Medicine, 25, 135–153

4. Chaves, J. F. (1999). Deconstructing hypnosis: A generative approach to theory and research. *Contemporary Hypnosis*, 16(3), 139–143.
5. Lousberg R, Vuurman E, Lamers T, Van Breukelen G, Jongen E et al. (2005) Pain report and pain-related evoked operantly conditioned Clin J Pain 21: 262-271.)
6. Steven J. Linton, K. Gunnar Götestam, Applied Relaxation (Coping) in Control of Laboratory Pain: Effects of Signalled Pain and Instructions of When to Relax, *Psychological Reports*, 10.2466/pr0.1983.53.2.467, 53, 2, (467-476), (2016).

Psychological Ways of Pain Management in Team Sports for Women

*MariamPapiashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article “Psychological Ways to Manage Pain in Team Sports for Women” discusses the psychological ways and methods used by athletes to overcome pain. It discusses the experience of female athletes representing team sports throughout Tbilisi in terms of pain management, psychological methods used by them to get over the pain. The article draws parallels between pain sensation and the impact of pain in an athlete’s career on the quality of an athlete’s functioning. According to the results, women with this problem are more likely to consult a doctor directly than a psychologist. 20% of respondents had no experience of consulting a psychologist directly on the issue of pain. While 90% of the respondents were constantly or mainly consulted by a doctor. Half of the respondents believe that pain has a significant impact on the performance of their sports activities, 30% state that they are at least partially engaged in their activities, and 20% are fully adaptable to the environment in the process of feeling pain. 40% of respondents have problems in sports functioning due to discomfort caused by pain. Ways of managing pain in young female athletes working in team sports mainly included medical treatment;

70% of most of them do not have pain recordings, dialectical behavior therapy, and cognitive-behavioral therapy are the least commonly used methods while attention-grabbing, patience, hypnosis, and relaxation techniques are used equally by female athletes. All of the above mentioned, indicates that it is important to activate the role of a psychologist in sports, which will offer athletes accurate approaches to psychological ways of managing pain.

Keywords: Ways of psychological pain management, Team Sports, Women's sports,

მენეჯერის ფსიქოლოგია

*ქავთარაძე ნინო, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*იმნაიშვილი სალომე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ყველა მენეჯერი ცდილობს თავის თანამშრომლებისგან მაქსიმუმი მიიღოს. თუმცა ყველანაირი ცდის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ის შედეგი, რაც მას სურს არ დგება და ის მოლოდინები, რომელიც მას თანამშრომლებისგან აქვს, რეალურად, სრულიად განსხვავებულია მათი ქმედებებისგან.

მხოლოდ ძლიერი მენეჯერების მმართველობით იქმნება ისტორიული სახელები, სწორედ ისინი იკრებენ გვერდით საუკეთესო პროფესიონალებს და ქმნიან საუკეთესო შესაძლებლობებს საკუთარი კომპანიებისთვის. კარგი მენეჯერი არ ნიშნავს იყო საუკეთესო სპეციალისტი იმ დარგში, რომელშიც მოღვაწეობ, მთავარია გქონდეს უნარი შემოიკრიბო საკუთარი საქმის საუკეთესო მცოდნეები, მისცე მათ სწორი მიმართულებები და მათთან ერთად გაიზიარო პასუხისმგებლობა, ერთი, საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ასეთ აქტიურ ეპოქაშიც კი, როგორც დღეს არის მსოფლიოში, უმნიშვნელოვანესია. ხელმძღვანელობამ შესაძლოა შეადგინოს კომპანიის განვითარების საუკეთესო გეგმა, შეიძინოს თანამედროვე დანადგარები და გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგრამ მიღებული შედეგი მისთვის მაინც არ იქნება იდეალური, თუ კომპანიის თანამშრომლების და მისი ხელმძღვანელობის მიზანი არ იქნება საერთო.

შესაბამისად, კარგი მენეჯერი, პირველ რიგში კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, რათა მარტივად მოახერხოს თანამშრომლებთან კომუნიკაცია და ზუსტად იმ მოტივატორებზე გავლენით, რომელიც კონკრეტული თანამშრომლისთვის, კონკრეტულ მომენტში მნიშვნელოვანია, უბიძგოს საერთო მიზნის ყველაზე მარტივი და ეფექტიანი აღსრულებისკენ.

საკვანძო სიტყვები: მენეჯერი, ურთიერთობის ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსი, მართვის ფსიქოლოგია, თანამედროვე მენეჯერი.

შესავალი

კმაყოფილება = რეალობას - მოლოდინი. ამ ფორმულით განისაზღვრება კმაყოფილების შეგრძნება ადამიანში, იმ შემთხვევაში თუ რეალობა მეტია ან ტოლია იმ მოლოდინის, რომელიც მას აქვს - მაშინ ის კმაყოფილია. ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც მენეჯერები უშვებენ ამ დროს არის ის, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი აღქმის საფუძველზე აშენებენ, მათგან სრულიად განსხვავებული ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს მოლოდინს და ავიწყდებათ, რომ იმ მეორე ადამიანს შეიძლება კარგად შესრულებულ სამუშაოზე განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეს.

თანამედროვე მენეჯერი, სხვა ბევრ ცოდნასა და უნარებთან ერთად, კარგად უნდა იცნობდეს ადამიანების ფსიქოლოგიას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, დღეს, ციფრული ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარების ეპოქაშიც კი ადამიანია და ყველაზე რთული და ამავე დროს მნიშვნელოვანი მათი მართვაა.

ძირითადი ნაწილი

ზოგს ჰგონია, რომ მართვა თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც ადამიანს ან აქვს ან არა. მე კი ვთვლი, რომ მართვის უნარს ადამიანი დაბადებიდან გამოიმუშავებს. თავიდან მშობლების და ოჯახის წევრების მითითებით და ზეგავლენით (ყოველდღიური რეჟიმის აწყობით და მისი დაცვით, ოჯახში და უცხო პირებთან ქცევის წესების კონტროლით და ა.შ), შემდეგ სოციალურ ადაპტირების და მისი წესების დაცვით (ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი) და ა.შ. მართვის უნარების განვითარება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზეა შესაძლებელი, თავიდან სწავლობ და იცავ კონკრეტულ წესებს, რომლებიც შემდეგ, ბუნებრივად, უნარ-ჩვევებში გადადის, ისე რომ ვერც ხვდები, რომ ეს თანდაყოლილი ნიჭი კი არა, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გამომუშავებული ჩვევაა. იმ შემთხვევაში კი, თუ პროფესიითაც მენეჯერი ხარ ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე გაეცანი ზღვა ლიტერატურას და ფლობ კონკრეტულ ტექნიკებს, უნარებს

და გამოცდილებას თუ როგორ მართო პროცესები და ადამიანები სასურველი მიზნის მისაღწევად ისე, რომ ყველა მონაწილე მხარე კმაყოფილი დარჩეს შედეგით. მართვის ხელოვნების მეშვეობით შესაძლებელია, ერთი შეხედვით ქაოტური პროცესები კომპანიაში სულ რამდენიმე ეტაპიანი გეგმით ჩააყენო თავის კალაპოტში ისე, რომ ვერც ვერავინ წარმოიდგინოს მანამდე არსებული პრობლემების სიმძიმე.

შესაძლოა კომპანიამ, მთელი თავის რესურსი საუკეთესო კადრის მოძიებას მოახმაროს, თუმცა თუ დამქირავებელთან ან უშუალო უფროსთან კონტაქტის დამყარება შეუძლებელია ის ავტომატურად კარგავს საუკეთესო კადრის ყოლის შესაძლებლობას.

წარმატებული მენეჯერები თამაშობენ ჭადრაკს და არა შაშს. იმ დროს, როდესაც შაშის ყველა ფიგურა ერთნაირია, ურთიერთშემცვლელია და ყველა მოძრაობს იდენტურად, ჭადრაკში ყველა ფიგურას განსხვავებული შესაძლებლობები აქვს, რომლის შესახებაც მოთამაშემ თამაშის დაწყებამდე უნდა იცოდეს. რეალურად, ორგანიზაციის თანამშრომლები ჭადრაკის ფიგურებს ჰგვანან, ყველას თავის უნიკალური სისუსტე და ძლიერი მხარე აქვს. წარმატებული მენეჯერები ავითარებენ თანამშრომლების არა სუსტ, არამედ ძლიერ მხარეებს. ეძებენ თანამშრომლების ძლიერ მხარეებს და ფიქრობენ თუ როგორ გამოიყენონ ისინი კომპანიის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ნაყოფიერი და მეგობრული გარემო გუნდში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. არასოდეს აყვეთ ჭორებს.

შესაძლებელია ჩვენამდე მოსული ჭორებით ბევრი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავიგოთ იმის შესახებ, თუ რეალურად რა ხდება ჩვენს კომპანიაში, თუმცა ჭორების მოსმენა და მისთვის სისტემატიური ხასიათის მიცემა ძალიან საფრთხილოა, რადგან დროთა განმავლობაში გუნდში მტრული დამოკიდებულის კლიმატს შექმნის.

2. დავეხმაროთ თანამშრომლებს კონფლიქტების მოგვარებაში.

თუ გუნდში სამუშაო პროცესის დროს კონფლიქტის მიზეზი გაჩნდა- ეს საკითხი აუცილებლად საყურადღებოა, რადგან დიდი ალბათობით ეს შეიძლება საქმიანობის არასწორი ორგანიზების

ბრალი იყოს. მსგავსი გაუგებრობის მოგვარება საჭიროა დასაწყისშივე, რადგან შესაძლოა უფრო დიდი და ხანგრძლივი კონფლიქტის მიზეზი გახდეს. აუცილებელია ხელმძღვანელმა მოუსმინოს ორივე მხარეს და გააცნოს პრობლემის გადაჭრის გზები.

3. შევადგინოთ კონკრეტული თანამდებობრივი ინსტრუქციები.

ყველაზე გავრცელებული კონფლიქტის მთავარი მიზეზი სამსახურში გაურკვეველობაა. ვინ რა დავალება უნდა შეასრულოს, ვინ ვის ექვემდებარება და ვინ ვისი უშუალო უფროსია. ამიტომ, ორგანიზაციაში ყოველთვის უნდა არსებობდეს დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კონკრეტული პოზიციის მოვალეობები.

4. გამოვრიცხოთ ჯარიმები და დავაწესოთ პრემიები.

მატერიალური წახალისება ყველა თანამშრომლისთვის დიდი სტიმულია, თუმცა თუ მისი დასჯა გადავწყვიტეთ, ჯარიმების დაკისრება კარგი გამოსავალი არ არის. მატერიალური კეთილდღეობა ადამიანისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და მასზე ხელოვნურმა ზემოქმედებამ ხელფასის შემცირების სახით, რეალურად, შესაძლოა იმაზე უარესი შედეგი მოგვცეს, რის გამოც მოგვიწია მისი დასჯა. მითუმეტეს, როდესაც არსებობს თანამშრომლის დასჯის სხვა მექანიზმებიც, მაგალითად ისეთი, როგორიცაა „შენიშვნა პირად საქმეში“ და სხვა მრავალი, მთავარია ხელმძღვანელმა ზუსტად განსაზღვროს რა უფრო მეტად იქონიებს სამომავლოდ გავლენას კონკრეტული თანამშრომლის პროდუქტიულობის დადებით დინამიკაზე.

5. განსხვავებული მიდგომა გვქონდეს თითოეულ თანამშრომელთან.

როგორც ზევით არაერთხელ აღვნიშნე, ყველა ადამიანი განსხვავებულია და ყველა მათგანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება დავალებების განაწილების დროსაც. მენეჯერის მთავარი ამოცანაა კარგად შეისწავლოს თავის თანამშრომლები, ვის რა უფრო მოსწონს, ვისთვის რა არის მნიშვნელოვანი და მხოლოდ ამის შესაბამისად გადაანაწილოს მათზე დავალებები.

6. ვიზრუნოთ გუნდის ერთიანობაზე.

წარმატებული და ეფექტური გუნდი მაშინ არის, თუ მის ყველა წევრს ერთი მიზანი ამომრავებს. დღეს ბევრი საგანმანათლებლო თუ გასართობი ღონისძიება არსებობს იმისთვის, რომ თანამშრომლებს

კორპორატიული კულტურა განვუვითაროთ და ერთიანობის განცდა გავუჩინოთ. მეგობრული და ერთი მიზნისკენ მიმავალი გუნდი კომპანიის წარმატების ერთ-ერთი საფუძველია.

7. მოვახდინოთ სწორი კომუნიკაცია თანამშრომლებთან.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონფლიქტის მიზეზი სამსახურში არასწორი კომუნიკაციის პრობლემას უკავშირდება, მითუმეტეს თუ ეს ზეპირ კომუნიკაციას ეხება, რომელთანაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გვიწევს შეხება. წერილობითი კომუნიკაციის დროს ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად გვხვდება, თუმცა მაინც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ადამიანი თავის შეხედულებისამებრ აღიქვამს მოვლენებს. ამიტომ ხშირად ვხვდებით ისეთ სიტუაციაში, როდესაც თანამშრომელს კონკრეტულ დავალების შესრულებას ვთხოვთ, ხოლო შესრულებული სამუშაო არ პასუხობს ჩვენს კითხვებს. ზოგ ადამიანს ძალიან კარგი გადმოცემის და ახსნის უნარი აქვს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხშირად ვაწყდებით არასწორი აღქმის პრობლემას. ყველაზე კარგი გამოსავალი ამ დროს ბევრი კითხვის დასმაა და უნდა გავაცნობიეროთ, რომ კითხვების დასმა არასოდეს არის სირცხვილი. მთავარია დეტალურად გამოვკითხოთ მენეჯერს დავალების არსი და საწინააღმდეგობით საქმეს გადავამოწმოთ, დავალება რამდენად სწორად იქნა გაგებული ჩვენს მიერ. ამ უნარის გამომუშავება ძალიან სასარგებლოა, არა მარტო სამსახურში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რადგან მინიმუმამდე დაგვყავს ჩვენს მიერ არასწორად გაგებული ინფორმაციის შესაძლებლობა, შედეგად თავიდან ავიცილებთ ბევრ გაუგებრობასაც.

8. სწორად მოვახდინოთ თანამშრომლების მოტივაცია.

თანამშრომლების სწორად მოტივაციას, სასურველი შედეგის მიღწევაში, უდიდესი ადგილი უჭირავს. მათი შრომისუნარიანობის დაქვეითების პარალელურად, კომპანიის განვითარების შანსებიც იკლებს. ზოგს ჰგონია, რომ თანამშრომლის მოტივატორი მხოლოდ კარგი ხელფასია. ხელფასი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარია, თუმცა არასაკმარისი. მოტივაცია არსებობს ორი სახის: მატერიალური და არამატერიალური. პირველ მათგანს კომპანიები ყველაზე ხშირად მიმართავენ, თუ რა თქმა უნდა მათ ამის შესაძლებლობა აქვთ. საქმე ეხება მატერიალურ წახალისებებს, როგორც არის ხელფასის გაზრდა,

პრემიები, საგზურები და ასე შემდეგ. თუმცა, მხოლოდ მატერიალური სახის წახალისება მაინც ვერ მიიღწევა სამუშაო პროცესით თანამშრომლის სრული დაინტერესება. უფრო რთულია პერსონალის არამატერიალური სახით წახალისება. ხელმძღვანელმა კარგად უნდა შეისწავლოს თითოეული თანამშრომლის მოთხოვნილებები, რათა ზუსტად იმ კუთხით მოახდინოს მისი მოტივაცია, რაც მისთვის იმ კონკრეტულ ეტაპზეა მნიშვნელოვანი. არამატერიალური წახალისების შესაძლო ვარიანტების სიმრავლესთან ერთად, ბუნებრივია რთული ხდება არჩევანის გაკეთებაც. ამ შემთხვევაში, მენეჯერის საუკეთესო დამხმარე აბრაჰამ მასლოუს (1908-1970 წწ.) ცნობილი მოთხოვნილებათა პირამიდაა, სადაც ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები პირამიდის ძირშია მოქცეული. მასლოუს მიიჩნევდა, რომ თუ მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, იგი მოტივატორი უკვე აღარ არის და ყურადღება იერარქიის შემდეგ დონეზე გადაინაცვლებს. თუმცა ასევე აღიარებდა, რომ თანმიმდევრობა შეუცვლელი არ არის, განსაკუთრებით მაღალ დონეებზე. ადამიანების ინდივიდუალურობიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, ზოგი თვითშეფასებას სიყვარულის მოთხოვნილებაზე მაღლა აყენებს, სხვები კი თვითრეალიზაციისკენ საერთოდ არ მიისწრაფვიან.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უნართან ერთად, კარგი მმართველის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, თანამშრომლის თვალში, ზუსტად ის იყოს მენეჯერი, რომელსაც ისინი დაასახელებენ კითხვისას, რომელი უფროსისგან შეიძინეს ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები? მიიღეს ყველაზე კარგი გამოცდილება? ან ვინ იყო ყველაზე მისაბამი მაგალითი პროფესიული განვითარების გზაზე?

დასკვნა

ხშირად იმართება დისკუსიები იმის თაობაზე თუ რა განსხვავებაა ლიდერსა და მენეჯერს შორის. რა უნარები და ტექნიკები განასხვავებს მათ როლს კომპანიაში. რეალურად, მართლაც აღმოვაჩინებ განსხვავებას ლიდერისა და მენეჯერის მიდგომებს შორის სხვადასხვა საკითხების მიმართ, რაც ხშირად ერთმანეთზე პასუხისმგებლობის გადაბარების საფუძველია და სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ლიდერი და მენეჯერი აუცილებლად სხვადასხვა ადამიანი უნდა იყოს. ვფიქრობ, ასეთი დაყოფა გვაძლევს

მენეჯერებს ლიდერის უნარების გარეშე და ლიდერებს, რომელთაც მართვა არ შეუძლიათ. კარგ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ხედვაც და უნდა იყოს დეტალებზე ორიენტირებულიც, უნდა შეეძლოს შთაგონებაც და კონტროლიც, უნდა ხედავდეს მიზნებს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ჭრილში, უნდა იყოს კარგი მენეჯერიც და კარგი ლიდერიც.

კარგმა მენეჯერმა იცის, რომ წარმატების მისაღწევად, პირველ რიგში, უნდა შექმნას ძლიერი და ერთიანი, მეგობრული გუნდი, რომლის ყველა წევრიც მზად არის თავდაუზოგავი შრომისთვის საუკეთესო შედეგის მისაღებად. ცხადია, თუ მენეჯერი კარგად არ იცნობს საკუთარი თანამშრომლის ფსიქოლოგიას, არ იცის რა მოტივატორები მუშაობს კონკრეტულად ამ თანამშრომელზე, რომელიც მას უფრო მეტი პროდუქტიულობისკენ უბიძგებს, ვერ მიხვდება რომელი თანამშრომელი რომელ დავალებას შეასრულებს სხვებზე სწრაფად და ეფექტურად. თუ არ ეცოდინება რომელ სიტუაციაში როგორ მოძებნოს საუკეთესო გამოსავალი, როგორ იზრუნოს კომპანიის პერმანენტულ განვითარებაზე და როგორ შეუქმნას თანამშრომლებს საუკეთესო სამუშაო და მეგობრული გარემო, როგორ იყოს სულ ფორმაში- ვერ გახდება მათთვის სამაგალითო ხელმძღვანელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Psychology for Managers; Mani Parti, Priyanka Malhotra, Divya Jain; KMPR7037; 1 January 2016
2. Organizational Psychology for Managers (Management for Professionals); Stephen R. Balzac; September 5, 2013
3. Основы психологии управления персоналом; 06. 11. 2015 - ვებ. გვერდი <https://1popersonalu.ru/upravlenie/psixologiya-upravleniya-personalom.html>
4. HARVARD BUSINESS REVIEW РОССИЯ- Шесть типов руководителя; Мария Макарушкина; 16.10.2017- ვებ. გვერდი <https://hbr-russia.ru/liderstvo/psikhologiya/p23391/>
5. Things the Best Managers Do—and Don't Do; Victor Lipman; Sep 30, 2013- ვებ. გვერდი <https://www.psychologytoday.com/us/blog/mind-the-manager/201309/5-things-the-best-managers-do-and-dont-do>

Психология Менеджера

*Кавтарадзе Нино, Профессор
Грузинский технический университет*

*Имнашвили Саломе, докторант
Грузинский технический университет*

Резюме

Каждый руководитель старается получить от своих сотрудников максимум. Тем не менее, несмотря на все усилия, во многих случаях желаемый результат не достигается, и его ожидания от сотрудников фактически полностью отличаются от их действий.

Только под руководством сильных менеджеров создаются исторические имена, именно они собирают бок о бок лучших профессионалов и создают лучшие возможности для своих компаний. Хороший менеджер не означает быть лучшим специалистом в той области, в которой он работает, главное - иметь навыки собрать лучших специалистов в своей области, дать им правильные направления и разделить с ними обязанности на пути к общей цели.

Установление хороших отношений с сотрудниками даже в такую активную эпоху цифровых технологий, как сегодня, имеет решающее значение. Менеджмент может придумать лучший план развития компании, закупить современное оборудование и использовать современные технологии, но полученный результат все равно не будет для него идеальным, если цели сотрудников компании и его менеджмента не совпадают.

Соответственно, хороший менеджер должен в первую очередь быть хорошим психологом, чтобы иметь возможность легко общаться с сотрудниками и воздействуя именно на мотиваторы, которые важны для конкретного сотрудника в конкретный момент, подталкивать к наиболее простому и эффективному достижению общей цели.

Ключевые слова: менеджер, психология отношений, человеческие ресурсы, психология управления, современный менеджер.

ერეკლე მეორე, მუჟა მიწა და სამასი არაგველი

*ჭილაძე ლია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ერეკლე მეორის ფენომენმა არა მარტო თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქა, არამედ ყველა სხვა მომდევნო საუკუნეებშიც მოიცვა და დღესაც აქტუალურია. ყველა მეფეს როდი რგებია მშობელი ხალხის ესოდენი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ერგო „პატარა კახს“.

ბაგრატიონთა საგვარეულო დროშითა და გერბით გამოიარა საქართველომ რთული და ძნელი გზა. უთვალავი დაცემა და გამარჯვება უნახავს მას, ბევრჯერ მტერთა ისრებით დაფლეთილა და დაცხრილულა, ბევრჯერაც არნახული ტრიუმფი უგემია...ერეკლე მეორემდირსეულად და ერთგულად ატარა სამშობლოს დროშა, თავისი საქციელით ხალხს უჩვენებდა გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადების მაგალითებს, ამიტომ მისი სახელი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად და სიცოცხლეშივე აღიარა ქართველმა ხალხმა მისი ნიჭი, სიბრძნე და გამბედაობა. ის ნამდვილად იყო სახალხო მეფე და ამას მოწმობს ის სიყვარული და ერთგულება, გმირობა და თანადგომა, რასაც ქართველობა, რიგითი თანამემამულენი იჩენდნენ მის მიმართ. ამის მაგალითად კი მარტო სამასი არაგველის გმირობაც იკმარებდა.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მეფე, ჰერალდიკა, კრწანისის ომი, სამასი არაგველი, მუჟა მიწა

შესავალი

დროშა გორგასლიან-დავითიანი, თამარის დროშა, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი და დროშა... უძველეს, კულტურულ ქართველ ერს არასდროს დასჭირვებია სესხება სხვა ერებისაგან არც დროშის ფერის, არც გერბის გამოსახულების.

შავი ფერი არის ბაგრატიონთა საგვარეულო ფერი, რომელშიც არ არის ჩადებული არავითარი გლოვა და უიღბლობა. ესაა სიძველე და სიბრძნე, რომელიც მოდის ბიბლიიდან. ბაგრატიონები ხომ

თავს დავითის, სოლომონის შთამომავლებად თვლიან. დავით აღმაშენებელსაც თავის ფსალმუნებში არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ „შავი ვარ“, - ე.ი. აღსავსე ვარ სიბრძნით და უძველესი წარმოშობით. მუზეუმებში დაცულ ფერად გერბებზე, თვით ერეკლე მეფის გაცემულზეც, შავი ფერი დომინირებს.

შემდეგ, უკვე მოგვიანებით, ბაგრატივანთა გერბში ლურჯი ფერი რომ ჩნდება, ეს არის რუსული გავლენა. ისინი ამით, რაღაცნაირად, ცდილობენ დაამდაბლონ სიმბოლო. კარგად იციან, რომ შავი იმპერიული ფერია. სამაგიეროდ, თვითონ იღებენ შავს, ოქროსფერსა და ვერცხლისფერს. დროშას კი გვამლევენ ლურჯს და წითელს: ეს რანგის დაქვეითებას ნიშნავს - ლურჯს არავითარი საქმე არა აქვს საქართველოსთან. ერეკლეს გერბში, კახური შტოს გერბში წმიდა გიორგი შავ ცხენზე ზის , ქართლის შტოს კი თეთრ ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი ჰქონდა გერბად“ - ამბობდა აწ გარდაცვლილი მიხეილ მაყაშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოსთან არსებული ჰერალდიკისა და გენეალოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

გეორგიევსკის ტრაქტატამაც არ გაამართლა - ერეკლეს ჩრდილოელმა მოკავშირემ აყვავების ნაცვლად ქართლ-კახეთში (ასევე ოჯახშიც) შფოთი და არეულობა მოუტანა. მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატამდე გზა იყო მიმე და ეკლიანი.

ძირითადი ნაწილი

მეთვრამეტე საუკუნე საქართველოსთვის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ურთულესი გამოდგა. მრავალი ტრაგიკული ბედის მქონე მეფე ახსოვს საქართველოს ისტორიას და ერთ-ერთი მათგანი ერეკლეა, რადგან მთელი სიცოცხლე გარეშე მტრებთან და მოღალატე თავადებთან ბრძოლას შეაღია. სამაგიეროდ, მხნე, მართალი, გულადი და ბრძენი მეფე გაცნობისთანავე შეიყვარა ყველა კუთხის მცხოვრებმა, მისი სიყვარული მშობელი ხალხისადმი ბავშვისთვისაც კი გასაგები ხდებოდა.

ერეკლე მფარველობდა ყველა დაჩაგრულს და არ ერიდებოდა, ააშკარავებდა უღმობელ ბატონებს. როცა შეიტყო, რომ ყმას, ომგამოვლილ მეზარბაზნეს მებატონე ჩაგრავდა, მუქარით შეუთვალა: - დედას გიტირებ, მუხრან ბატონო, ჩემი გოგია-მეზარბაზნე

დაგიჩაგრია! - და როცა სიმართლის დამტკიცება სურთ, ერეკლეს ამ ფრაზას დღესაც ხშირად იმეორებენ ხოლმე ქართლში გულქართლი ქართველები.

მთიელებს და ფშავ-ხევსურებს ხომ საერთოდ, ერეკლე ღვთისნაბადთა თანამომედ მიაჩნდათ. იქნებ აქედანაც იწყება მათი უძირო ერთგულებისა და თავგანწირვის მიზეზი, თორემ თუ მეფეს ღვთის ხელდასმულად არ წარმოიდგენდნენ, ხმაღს საომრად როგორ აკურთხებინებდნენ: - „ხმაღო, ხევსურეთს ნაჭედო, ალვანში თუშმა გაგფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვარი დაგწერა“...

1795 წლის რვა სექტემბერს თბილისში, სოღანლულთან, 35 000 მებრძოლით დაბანაკდა ალა-მაჰმად- ხან ყაჯარი. ერეკლე მეორემ მხოლოდ 5 000 მეომრის შეკრება შეძლო. ამის

მიზეზი ის იყო, რომ დიდებულთა ნაწილი იმალებოდა, ხელსაც არ ანძრევდა სამშობლოს გადასარჩენად.

კრწანისის ომი ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში, რადგან ბევრი გადაგვარებული ქართველი აღმოჩნდა, რომელთაც აღარ ახსოვდათ მნიშვნელოვანი შეგონება „ქართლის ცხოვრებიდან, რომ „არა არს წესი, ჩვენ, ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შევაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“.(ქართლის ცხოვრება.მე-2. 263).

კრწანისის ომზე ბევრი თქმულა და დაწერილა.

როგორც ჟურნალისტმა, 2003 წლის 23 სექტემბერს თბილისში, ინტერვიუს დასრულების შემდეგ, საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა ჰერალდიკისა და გენეალოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელისგან, აწ გარდაცვლილი მიხეილ მაყაშვილისგან ეს თქმულება ჩავიწერე:

კრწანისის ომში მიმავალ სამას არაგველს, რომელთაც უკვე შეფიცული ჰქონდათ, რომ ამ ომში ან გაიმარჯვებდნენ, ან ყველა ერთად გმირულად დაიღუპებოდა, მცხეთასთან შიკრიკი შეეგება და ერეკლე მეფის ბრძანება გადასცა, რომ ვიდრე მოძღვარი არ აკურთხებდათ, თბილისში არ შემოსულიყვნენ და ომში არ ჩაბმულიყვნენ... მთიელნი დაემორჩილნენ მეფის მოთხოვნას. შეჩერდნენ. გაიარა ათმა წუთმა, ოცმა, ალბათ, ნახევარმა საათმა...არ ჩანდა მოძღვარი. ყალყზე შემართულ ბედაურებს ჰგავდნენ არაგველები, თითო წუთი თითო საუკუნედ ეჩვენებოდათ, საომრად დაჭიმული სულის სიმები ვეღარ

ითმენდნენ უმოქმედობას და ლოდინს...უეცრად, მოწინავე დაიხარა, ფხვიერი მიწა მუჭით აიღო, მერე ხელი მაღლა ასწია და ლაშქარს მიმართა: - ძმებო, ჩვენი წინაპრების მიერ სისხლით მორწყული ეს მიწა განა კურთხეული არ არის? ნუღარ დავაგვიანებთ, ყველამ შევკამოთ მუჭა მიწა და კურთხევაც ეს იქნება! და სამასივემ, როგორც ერთმა, პირჯვრისწერით იხმია ქართლის მიწა და აჩქარებით, უხმოდ დაეშვნენ თბილისისაკენ...

მართლაც, მოხალისეთა იმედზე დარჩენილ, ფაქტობრივად, განწირულ მეფე ერეკლეს დროზე მიეშველა სამასი მთიელი, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის მეთაურობით. მათ მოწინავე რაზმის ადგილი დაიკავეს და მტერს ვაჟაკცურად ევეთნენ. ყოველი მხრიდან, რკალად, ურყევ კედლად აღიმართნენ მტერსა და მამაც მეფეს შორის, თავგანწირული ბრძოლით ნელ-ნელა გაიყვანეს სამშვიდობოს უკვე ხანმოთეული ქართლ-კახეთის მეფე და ასე გადაარჩინეს გარდაუვალ სიკვდილს ან ტყვეობას.

მიმწუხრზე, სხვა მებრძოლთა შორის, მათ მიერ აჩეხილ მტრის გვამთა გროვაზე უსულოდ იწვა სამასი გმირი არაგველი, უთანასწორო ბრძოლაში დამპყრობთა ისრებით მკერდშელეწილი და თითოეულს, ზეციურ საქართველოში, საგზლად თითო მუჭა მშობლიური მიწა მიჰქონდა...

300 არაგველის გმირობა არაფრით ჩამოუვარდება 300 სპარტელის გმირობას.

არაგველებმა თავიდანვე მშვენივრად იცოდნენ, რომ უთანასწორო ომში გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ, მაგრამ ალბათ, საკუთარი სულიერი ღირებულებების და ღირსების დაცვა თუ აიძულებთ გმირებს, რომ მუდამ მზად იყვნენ სარისკო საქციელის ჩასადენად. სწორედ შიშის დაძლევის შედეგია, როცა ადამიანი არ ნებდება საფრთხეს და განაგრძობს ბრძოლას წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი. ან რა შიშზე შეიძლებოდა ფიქრი, როცა ომში თავად მეფე ტრიალებდა და ამით იძლეოდა სამშობლოს სიყვარულის, თავგანწირვისა და ერთგულების მაგალითს.

დიდი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერდა: „- ჩვენი რწმენა ომში სიკვდილს რაინდობად ასახავს. იგი ამბობს, რომ კერძო ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას

რომ სარჩულად უდევს. ამ თვალსაზრისით, ცხადია, სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნულებისთვის სულ ერთია, რომ ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს და ზოგჯერ - სიცოცხლეს“.

დასკვნა

ერეკლე მეორის სახელი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. ცხოვრების უდიდესი ნაწილი ბრძოლებში გაატარა და ხშირად რიგითი ჯარისკაცით ცხოვრობდა. ის ერთადერთ მხსნელად და იმედად მიაჩნდათ ქართველებს, მეფის სახელი სამშობლოს ცნებასთან გაიგივდა, ამიტომაც მისთვის დაუფიქრებლად გასწირავდნენ ყველაზე ძვირფასს - სიცოცხლეს. მას განსაკუთრებით ერთგულობდნენ მთიელნი, რაც დაადასტურეს კიდევ.

300 არაგველის ლეგენდარულ თავგანწირვას ხომ გმირი და ქარქაშში ხმალჩაუგები ბატონიშვილის ცხოვრების წესიც ასაზრდოვებდა, რამეთუ, იოსებ თბილელის თქმისა არ იყოს: „თვით ჯაბანს კაცსა გამხნობს კარგის კაცისა სარდლობა.“

ყველა ქართველ ხელმწიფეს როდი რგებია ხალხის ასეთი სიყვარული და პატივისცემა- ერეკლე მეორე ბაგრატიონი დამსახურებულად იყო სახალხო მეფე!

დიდ მამულიშვილთა მოღვაწეობის ზუსტი შემფასებელი კი ისევ მშობელი ხალხია. ამიტომაც ერეკლე მეორის ეპოქა და მისი მამაცური თავდადება ფართოდ არის ასახული ქართულ სიტყვიერებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება. მე-2. გვ.263
2. უზნაძე დიმიტრი - „განწყობის ფსიქოლოგია“, გაზეთი „სახალხო ფურცელი“, #148.1914
3. ჭილაძე ლია - „ფეხზე წამოვუდგეთ ჩვენს სიმბოლოებს“ - ინტერვიუ მიხეილ მაყაშვილთან . გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ #257.26.09. 2003წ.

Erekle II, a handful of land and three hundred Aragveli

*Lia Chighladze, Doctor of Social Sciences,
Georgian Technical University*

Summary

The phenomenon of Erekle II not only covered the epoch of his life and work, but also all the following centuries and is still relevant today. Not all kings are as loving and respectful to their parents as the little Kakhi was.

With the ancestral flag and coat of arms of the Bagrationi, Georgia has passed a difficult way. He has seen countless falls and victories, he has been shot many times by the arrows of the enemies, he has tasted an unprecedented triumph many times ... Erekle II carried the flag of the homeland with dignity and devotion, by his behavior he showed people examples of heroism and devotion to the homeland, so his name became a legend in his life and the Georgian people recognized his talent, wisdom and courage throughout his life. He really was the People's King and this is evidenced by the love and devotion, heroism and support that Georgians and ordinary compatriots showed towards him. For example, the heroism of three hundred Aragveli alone was enough.

Keywords: King Erekle, Heraldry, Krtsanisi War, Three Hundred Aragveli, a Handful of Land

საბჭოთა კავშირის ეთნიკური და რელიგიური პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

*ხეველიანი თამარ, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

მეოცე საუკუნის მიწურულს ბევრი ფიქრობდა, რომ რელიგია და ერი-სახელმწიფოს იდეა მსოფლიო პოლიტიკიდან გაქრებოდა. თუმცა საპირისპირო პროცესები ვიხილეთ და არც რელიგია და არც ერი-სახელმწიფოს იდეა გაქრა სცენიდან. სტატია მიზნად ისახავს გაანალიზოს ისლამის კომპლექსური ისტორია საქართველოში, ნაციონალიზმის განვითარების მიმდინარე ტენდენციები და რელიგიური კავშირების ზრდა ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის. შესაბამისად, ეს ნაშრომი იკვლევს არსებულ ნარატივებს ქართველი მუსლიმების შესახებ და წარმოაჩენს, რომ ცნება „ქართველობა“ უკავშირდება მართლმადიდებელ ქრისტიანობას და ამ აზრს დიდი ხნის ისტორია აქვს.

შეიძლება ვიკამათოთ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემატიკა ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან დღესდღეობით, სამყარო ნაციონალიზმის ზრდის შემსწრე ხდება არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მსოფლიო და მით უმეტეს, საქართველო არის ადგილი, სადაც „რელიგია გახდა პრივილეგირებული რესურსი სოციალური და კულტურული მშენებლობისთვის.“

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკა, ისლამი, მართლმადიდებელი ქრისტიანობა, რესურსი.

შესავალი

წარსული უზრუნველყოფს თანამედროვე პერიოდის მოვლენების ლეგიტიმურობას, ამიტომ ვფიქრობ მნიშვნელოვანია მისი შესწავლა. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოში ისლამის ისტორიის შესწავლას და ჩვენებას იმისა, თუ როგორ აყალიბებს წარსულის მემკვიდრეობები თანამედროვე სოციალურ-

პოლიტიკურ ვითარებას. საბჭოთა კავშირის ეთნიკური და ეროვნული პოლიტიკის ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც მეცნიერები რონალდ გრეგორ სანი, მათტიჯ პელქმანსი, ნატალი საბანაძე, როჯერს ბრუბიკერი აღნიშნავენ, სწორედ აქ არის ნაპოვნი ახსნა საბჭოთა რესპუბლიკებში ეთნიკური ნაციონალიზმის ზრდის შესახებ 1980-იან წლებში. 90-იანი წლების ნაციონალიზმი, ბრუბიკერმა ასე განმარტა: "ერი და ნაციონალიზმი ყვავის დღეს, რეჟიმის პოლიტიკის გამო. საბჭოთა კავშირში, ეთნიკური ეროვნება იყო "სავალდებულო და ძირითადად ასპექტური იურიდიული კატეგორია, ინდივიდუალური იურიდიული სტატუსის მნიშვნელოვანი ელემენტი". ინფორმაცია ეთნიკური ეროვნების შესახებ შეიტანეს პასპორტებში, დაბადების მოწმობებში და აღირიცხა თითქმის ყველა ბიუროკრატიულ და ოფიციალურ გარიგებაში.

ძირითადი ნაწილი

იმისდა მიუხედავად, რომ ბოლშევიკების წინამორბედი რიტორიკა თვითგამორკვევასა და ინტერნაციონალიზმს გულისხმობდა, ეს იდეები პრაქტიკაში არ იქნა გამოყენებული ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. საბჭოთა სახელმწიფო ემყარებოდა ეთნიკურ პოლიტიკურ ერთეულებს და, როგორც რონალდ სანი აღნიშნავს, "როგორც სადნობი ქვაბი, საბჭოთა კავშირი გახდა ახალი ერების ინკუბატორი". სოციალურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან ერთად, კორენიზაციის პოლიტიკა იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც გამოამჟღავნა ნაციონალიზმი. კორენიზაციის ეს პოლიტიკა პრაქტიკაში გამოიყენეს 1920-იანი წლების ბოლოს და მიზნად ისახავდა ეროვნების კონსოლიდაციას (1) მშობლიური ენის მხარდაჭერით; (2) ადგილობრივი პოლიტიკური ელიტისა და ეროვნული ინტელიგენციის შექმნას; (3) ეთნიკურობის ფორმალურად ინსტიტუციონალიზაციას. მოგვიანებით, იოსებ სტალინის უნდობლობის გამო, კორენიზაციის ამ პოლიტიკისადმი, და მისი რწმენის გამო, რომ იგი გააძლიერებდა ეროვნულ ელიტებს, რომლებიც მოგვიანებით შეეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვს, ეს პოლიტიკა შეწყდა 1930-იან წლებში.

საბჭოთა საზოგადოების როგორც კორენიზაციამ, ისე ეკონომიკურმა და სოციალურმა ტრანსფორმაციამ განსხვავებული გავლენა

სოციალური ჯგუფი მოსასმენად. ლოგიკურია, რომ ეს ვერბალური გამოხატულება არაერთ არავერბალურ გამომსახველობასაც ითავსებს, მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა ინტონაცია თუ ჟესტი-მიმიკა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამ ნაწილზე, რომელსაც შეიძლება სხვაგვარად მთქმელის არტისტიზმიც ვუწოდოთ, მსჯელობა არასწორი იქნებოდა. ჩანაწერის არარსებობა მარტივად გამორიცხავს ზუსტი მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას, ამიტომ ჩვენი დაკვირვების ფოკუსში მიმართვის მხოლოდ ვერბალური ნაწილი მოექცევა. მიმართვას სოციალურ ჯგუფში (/მსმენელში) ეფექტის გამოწვევა რომ შეუძლია, ეს ნათელია. მთავარია, მონოლოგის დიალოგში გადაყვანის მცდელობა არ დაზიანდეს, ამიტომ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენებისას ოსტატის ხელში განსაკუთრებული დაკვირვებულობით ირჩევა მიმართვის ფორმები. და მართლაც, ისინი, რაც ს. ლიონიდის სიტყვაში სწორუპოვარი გემოვნებითაა გამოძერწილი, მიმართვები და ორატორული კითხვებია. ერთი მეორეს ექსპრესიულად ენაცვლება, თუმცა არა ისე, რომ მიმართვის ფორმამ ორატორულ კითხვას გადააჭარბოს და ძირითადი ტექსტი გადაფაროს.

ახლა უფრო კონკრეტულად — სოლომონ ლიონიდისთვის ერეკლეს გარდაცვალება ქართული სატკივარია, რომელიც მნიშვნელოვნად ასცდენია პირად ტრაგედიას, ამიტომ ნათელი ხდება ისიც, თუ რატომ მიიმართება ორატორის სიტყვა ქართლოსიანთა მოდგმისაკენ. ტექსტში ვკითხულობთ: **„და თქვენ, მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მწედარნო! გიძლოდათ მეფე მოისებრ ისრაელთა, გესმოდათ ჳმაი პატრონისა თქვენისა, მახარებლად თქვენდა იყო ზიბლია“** (გვ.36). როგორც ვხედავთ, რიტორის სათქმელის შინაგანი პათოსის ამპლფიკულობა ქართველი ხალხის ისტორიულ-კულტურული საფუძვლითაა განპირობებული, ხოლო კულტურა ყოველთვის თვალნათელს ხდის ცოდნას, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოება საუკუნეთა განმავლობაში აგროვებს. საზოგადოების წევრთა თანაცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილება ერთ ბირთვად კრავს ეთნოკულტურულ ფენომენს, რომელშიც არასდროს წარმოიდგინება წყვეტის შესაძლებლობა. ზემოთ დასახელებულ მიმართვაში ქართული სახელმწიფოებრივი

კულტურის საწყის წერტილად ქართლოსია¹ დასახელებული, ანუ დასაბამი ქართველთა ერთ საზოგადოებად და სახელმწიფოდ ცხოვრებისა. შემდეგი ენობრივი სიგნალი მსაზღვრელ-საზღვრულის ენობრივ ფორმაში მოწოდებულ „უძლეველ მხედრებს“ მიემართება **[„უძლეველნი მკედარნი“]**, ხოლო სარკინოზთა დაუმორჩილებლობა აქ მხოლოდ განზოგადებული სემანტიკის მქონეა. მასში მომხდური მტრის, ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევის მოსურნეთა ზოგადი სახე კონცერტირდება, რომლის წინაშე უბრძოლველობა არასდროს დაუშვია ქართულ მხედრობას. და რადგან საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების, იდენტობის, იდეოლოგიისა და ძალაუფლების გამოხატვის გზები როგორც წერით, ისე ზეპირ დისკურსში არსებითად ენობრივ სპეციფიკას ეყრდნობა [ფერკლუ 2001], მაშინ ჩვენ მიერ საანალიზოდ გამოტანილ ტექსტში გასაგები ხდება, რა ენობრივ მახვილებსა და ლექსიკურ საყრდენებს იყენებს სოლომონ ლიონიძე ეროვნული ცნობიერების ასამაღლებლად.

„განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს, მიმართვა ჰქვია“-ო,— იტყვის ლ. კვაჭაძე თავის ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ [კვაჭაძე 1966: 293]. ეს დეფინიცია მიმართვის ფორმათა ზოგად სახეს, მის გრამატიკულ პოზიციას შეეხება, მათსავე განკერძოებულობასა თუ დამოუკიდებლობას ძირითადი სინტაქსური სტრუქტურებიდან, მაგრამ საქმე ის არის, რომ მიმართვა მაინც რჩება ტექსტის ორგანულ მდგენელად, რომელიც უცილობლად ებმის ხოლმე დანარჩენ აზრებს, რომლებსაც წინადადებებს ვუწოდებთ. მეტადრე ეს შესამჩნევი ხდება მაშინ, როცა საქმე მხატვრულ ან ორატორულ ტექსტთან გვაქვს. ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი ერთი ნიმუშიც ნათელი დადასტურებაა ამგვარი ორგანულობისა. ს. ლიონიძის მიერ გამოყენებული ორატორული მიმართვის არც დანარჩენი ნიმუშები ასცდება საერთო წესრიგს. წინადადების წევრად არჩათვლილი ენობრივი კომპონენტი ვერც ექსპრესიულ ფუნქციას შეეღვევა, ვერც - სტილისტურ შეფერილობას და ვერც აზრობრივ კავშირს გაწყვეტს

¹ როგორც „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, ნოეს ძემ — თარგამოსმა — კავკასიელთა ეთნარქმა — თავის ვაჟს, ქართლოსს, ქართლის ქვეყანაში განუწინა საზღვრები. ტექსტში ვკითხულობთ: „... და ჩრდილოთ საზღვარი დადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისგან და მოჰკიდავს წყური დასასრულსა დადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველ ქართლოსს“ (მროველი 1955:4-5)

დანარჩენ წინადადებებთან; ხოლო იქ, სადაც მეტი ექსპრესიაა, საქმე მხატვრულ მეტყველებასთან გვაქვს.

მიმართვა, რომელიც, ჩვეულებრივ, მოუბარ პირთა შორის კომუნიკაციის სეგმენტია, მეორე პირად, ანუ მიმართვის ადრესატად, ისევე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უნდა მოიაზრებდეს და მათკენ უნდა იყოს ვერსიფიცირებული, მაგრამ მხატვრულ სიტყვასა და ორატორულ ხელოვნებაში ეს წესი ირღვევა, რღვევას კი თავისი მიზეზი აქვს - ტექსტური ქსოვილის მეტაფორიზება ედება საფუძვლად სულიერი კომუნიკატორი პირის უსულო საგნად წარმოდგენას. ყველაზე რთულ ტროპის სახედ წოდებული მეტაფორა „პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს“ ხდის [ჭილაია 1984: 203] მხატვრულ ასოციაციებზე აიგოს სათქმელი, მიმართვის ადრესატი პირობითობით შეიმოსოს და უსულო საგნად წარმოდგეს. ერეკლე II-ის დაკრძალვაზე წარმოთქმულ ტექსტში ამის არაერთი ნიმუში დასტურდება. მაგალითისთვის მოვიყვანთ ფართო კონტექსტს, რათა შემდგომში გაადვილდეს ორატორული მიმართვების როგორც მხატვრული, ისე — ენობრივ-სემანტიკური ანალიზი.

„იგლოვდი, ქვეყანავ, რომელიც უმვირფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა — მეფე ერეკლე — შენს სიღრმეში დაჰვარე!

განჰკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცალ, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!

დაბნელდი, მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჭირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალეობას ვეღარ ჰხედავს!

ზეციერნო ძალნო! აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენი სამღთო სტუმარი — მეფე ერეკლე გესტუმრათ. თუმცა სამეფოს დიდებით ვეღარ ნახავთ, საფლავის ტუსადი გვედრებათ, მაგრამ თქვენ, როგორც თავისის ბების, ქეთევან დედოფლის სისხლი, ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ, როგორც დიდს კონსტანტინეს, ისე მოეგებენით.

მაღალო და ძლიერო ღმერთო!

დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა. ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ვტირით, და

მეფე ერეკლე: თავი — განმგებელი ერისა, ჯელი — ზრდელი ობოლთა, მკლავი — მომგერებელი მტერთა და გვამი — შრომისმოყვარე მისი საფლავში ირღვევა. შენ გევედრებით: იესოს სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს კაცთმოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოჰხედე! [მოთქმით ტირილი 1957: 41-42].

მოყვანილ ამონარიდში აზრობრივი დიაპაზონი მნიშვნელოვნად ფართოა და ის სცდება ოდენ მიმართვის ფორმებზე ორიენტირებას, მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, ამხელა მასშტაბში რიტორულ მოწოდება-მიმართვას თავისი წილი სიცხადე შეაქვს გამოსათქმელი აზრის დისტრიბუციისას. უპირველესად, რაც ზემოთ დასახელებულ ნაწყვეტში თვალშისაცემ მოცემულობას ქმნის, ეს ქვეყნისა და ცისადმი წარმოთქმული მიმართვებია. ქართული ენისათვის ბუნებრივი ანტონიმური წყვილი (ქვეყანა, ანუ მიწა, და ცა), თავის მხრივ, სამყაროს ერთიანობის იდეასაც მოიაზრებს და ამავე სამყაროს დუალისტურ დანაწევრებას წარმოგვიდგენს. ს. ლიონიდის რიტორულ სიტყვაში ქვეყნისა და ცის ოპოზიცია-წინააღმდეგობა მინიმუმამდე დავა, სანაცვლოდ, მათი ერთიან მატერიალ წარმოდგენა წამოიწევს წინა პლანზე, ამგვარი მატერია კი სამყაროა თავისი ხორციელი და სულიერი არსებობით. გაღვივდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ძირითადი კონცეპტები ადამიანის მარადიული არსებობისა თუ მიწისგან წარმომავლობის შესახებ, ამიტომ თითოეულ ამ მიმართვას სარეალიზაციო აზრი აედევნება. რა შეიძლება სთხოვოს ორატორმა, როგორც „საფლავის ტუსადმა“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიწას, თუ არა გარდაცვალებული სათაყვანო მეფე ერეკლეს „სიღრმეში დაფარვა“. საგულდაგულო მოვლა და პატრონობა სწორედ მიწას უნდა დაევალოს, ხოლო საქვეყნო უბედურებით შემკრთალ-გაკვირვებულ ცას მგლოვარება ერგება წილად, რადგან მეფის თვალების საუკუნოდ დაბნელება (**„მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!“**) არა მხოლოდ მიწიერი ქართველებისაგან მოითხოვს დატირებას, არამედ — ცისგანაც, რადგან საღვთო ცრემლის დაღვრა სულის განსპეტაკებისა და მისი სასუფეველში დამკვიდრების უცილობელი გარანტიაა.

მზე ცის მანათობელი ნაწილია, ამიტომ ორატორის მხატვრულ-ენობრივი წარმოსახვა ახლა მისკენ მიიქცევა. ს.ლიონიძე მას

დაბნელებისკენ მოუწოდებს [„დაბნელდი, მზეო“], მიზეზი კი ჭირისუფლობის ძაძაა, მუქი ფერი, ისეთივე მუქი, როგორც ერეკლეს მოკვდინებით გამოწვეული ქართლის დაღამებისა [„ღამიანის ქართლისა“]; და როცა ზეციური მზის ბრწყინვალეებას „მზე მიწიერი“ [//ერეკლე] ვერ ხედავს, ბინდში მოუწევს გზის გაკვლევა ქართლოსიანთა მოდგმას. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მხატვრული ინტერპრეტაციანი ნათელყოფს კონკრეტული მიმართვის ფორმის (ამ შემთხვევაში მზის) სელექტირებას, რადგან, მიუხედავად ლინგვისტური მიდგომისა, მიმართვა განკერძოებულ, ანუ განაპირებულ სიტყვად ან სიტყვათა წყობად შეფასდეს, მისი აზრობრივი შლეიფი საკმაოდ გრძელი და ტევადია.

იცვლება მიმართვის ობიექტი [„ზეციერნო ძალნო!“], მაგრამ არ წყდება სათქმელი. ორატორის თვალი ისევ ცასა და მის ძალებს დასტრიალებს. „საღვთო სტუმარი — მეფე ერეკლე გესტუმრათ“-ო, — შესძახებს და ქეთევან დედოფლისა თუ კონსტანტინეს სისხლზე ამოზრდილი ბაგრატივანი მეფის მიგებებას მოითხოვს მათგან.

დაბოლოს, უმაღლესი წერტილი აზრისაც და მიმართვისაც — უფალი [„მაღალო და ძლიერო ღმერთო!“], როგორც სასოება ერეკლეს გარდაცვალებით სასომიხდილი ერისა. ორატორის მიერ მკაფიოდ გამოხატული მეფის ღვაწლი ლაკონიური სისხარტით ჩამოითვლება მსმენელ-აღმქმელის თვალწინ — „განმგებელი ერისა“, „მზრდელი ობოლთა“, „მომგერებელი მტერთა“, „შრომისმოყვარე“ სხეული და გამთლიანდება ფერების გამა, მხატვრული ტილო კომპოზიციურად შეიკვრება. მიმართვამ, როგორც გრამატიკულმა კომპონენტმა, თავისი საკეთებელიც გააკეთა და აზრის წინამძღოლის ფუნქციაც შეასრულა. და რადგან ეს ორატორული ფორმა ტექსტს დაყურადებული კაცისგან პასუხს არასდროს მოითხოვს, ნაგრძნობ-გააზრებულმა ლოგოსმა მსმენელს იმის უფლება არ მისცა, რომ ემოციის თამასა ქვემოთ დაწია, მიმართვებით გამოაცოცხლა და აიძულა, უკან მიჰყოლოდა რიტორის აზრთა მდინარეს. იქ, სადაც უფალი წარმოიდგინება, ადამიანთა ლოცვა-ვედრებაც უპირობოდ არსებობს. ჯაჭვური ლოგიკა სწორ-ხაზოვნად მიემართება, მას კი თან ასდევნებია სიტყვიერი მასალა, რომელიც გრამატიკულ შეკავშირებებს მხოლოდ საფუძვლად გამოიყენებს, ეთნოკულტურულ საგანძურს დაეყრდნობა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იზოთეისტურ იდეას — ბაგრატიონთა იესოს

სისხლით ცხებულობასაც და ქრისტესადმი თავდადების ისტორიასაც, ამიტომ ღვთისადმი მიმართვას ქართველთა ვედრება დაურღვევლად შეუდუღაბდება. ტრაგიზმის განცდა, რომელიც დასახელებულ ტექსტში ძირითადად ორატორულ კითხვასა აქვს საკუთარ თავზე აღებული — „რად სტირი, სადავითოვ სახლო?!“ — და რომელიც გამეორების მხატვრული საშუალების სამოსს ირგებს, უფლის იმედმა უნდა ჩაანაცვლოს. ამიტომ გასაგები ხდება საანალიზოდ გამოტანილი ნაწყვეტის ბოლოს წარმოთქმული ვედრება და ნათელი ხდება ისიც, თუ რატომ მოგვეწოდება ის მრავლობითის ფორმით. სოლომონ ლიონიძე ერის შუაგულში დგას ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მგლოვიარე და მლოცველი ქართველი. ის იტყვის: „**შენ გვედრებით ... დაობლებულს საქართველოს მოჰხედე!**“

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ სოლომონ ლიონიძის მიერ წარმოთქმული სიტყვის ანალიზმაც ცხადყო, რომ ორატორულ მეტყველებაში მიმართვის გრამატიკული ფორმა, მისი განკერძოებულობა პირობითი ხასიათის მოვლენაა. ის ერთგვარი წინათქმაა, სათაური, რომელიც აუცილებლად მოითხოვს აზრის გავრცობას. და თუ ორატორი ამ კარიბჭეს არ გახსნის, მის გამომსახველობას ყურად არ იღებს და მიმართვის სტილისტურ რეზერვს საგანგებოდ არ მომართავს, ძნელად თუ ააგებს იმ რთულ და მახვილგონივრულ ნაგებობას, რომელსაც ორატორული სიტყვა ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თემისტიოსი 1961: თემისტიოსი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: გეორგიკა, ტ. I, გვ. 45-58, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
2. კანდელაკი 1957: კანდელაკი ნ., სოლომონ ლიონიძე და მისი მჭევრმეტყველება, ნარკვევი წიგნში: „სოლომონ ლიონიძე - სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე“, გვ. 9-31, თბილისი, 1957, გამომცემლობა „ხელოვნება“.
3. კვაჭაძე 1966: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
4. მროველი 1955: მროველი ლეონტი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, „ქართლის

- ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, სახელგამი.
5. მოთქმით ტირილი 1957: ლიონიძე ს., მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა, წიგნში: „სოლომონ ლიონიძე - სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე“, გვ. 33-45, თბილისი, 1957, გამომცემლობა „ხელოვნება“.
 6. ფერკლუ 2001: ფერკლუ ნ., ენა და ძალა, მე-2 გამოცემა, ლონდონი, 2001; [ინგლისურ ენაზე - Fairclough N., Language and Power, 2-nd edition, London, 2001].
 7. ყაუხჩიშვილი 1961: ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: გეორგიკა, ტ. I, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
 8. ჭილაია 1984: ჭილაია ს., ჭილაია რ., ლიტმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი, 1984, თსუ გამომცემლობა.

**Function and Analysis of Declamation according to Solomon Lionidze’s
Formal Speech
[“A Funeral Oration for King Erekle II”]**

*Inga Sanikidze, Associate Professor
Iv. Javakishvili Tbilisi State University*

summary

The funeral oration given on the occasion of the death of King Erekle II [1798], authored by Solomon Lionidze, the statesman of the time, should be identified as one of the classical examples of the 18th century Georgian art of oratory. The very oration [“Lament over the Blessed Heraclius the King of Georgia”], delivered during the King’s funeral clearly shows both the individual abilities of S. Lionidze educated at the Telavi Royal court school and the

oratorical techniques common to Georgian schools proceeding from thought in Antiquity.

We are focused on a declamation. It is identified as a stylistic device representing one of the devices that could be referred to as a key copula between the communicators. It is the address that performs the function of transforming a monologue text into a dialogue. Conventionality of the addressee or addressees of declamations requires that an orator shift his discourse to a wider social group. Declamatory forms of address alternate in an entire structure of the text, however, it seems that the enthusiasm inherent in the idea is inspired by the historical and cultural background of the Georgian people, and the culture always manifests the knowledge accumulated by any specific society over the course of centuries.

Declamatory forms of address of various nature are attested in the speech under consideration. In one particular case, we are dealing with an emphasis on the common Georgian culture („You those who lament, descendants of Kartlos, and horsemen unconquerable by the Saracens!"). Here, the accents and lexical structures in the hands of the orator serve to stimulate the national memory and raised awareness. Kartlos is referred to be a starting point for the Georgian state culture or the very beginning of the life of Georgians as a society.

Addresses with a considerably wider scope and an underlying metaphorical meaning appear in the text [“mourn, the earth ... tremble, be bewildered and weep, heaven ... the Sun, grow dark..."]. In the above-mentioned forms of address, the key concepts of the Christian perspective concerning an eternal life of a man or his emergence from the dust of the earth are brought into focus.

As the analysis of the oration given by Solomon Lionidze revealed, a grammatical form of address in oratory as well as its detachment is a conventional phenomenon. It is a kind of foreword, a title that necessarily requires further amplification of an idea and if an orator fails to employ the stylistic reserve of address in a particular manner, he will hardly be able to construct a complicated and ingenious structure that is referred to as an oration.

Peculiarities of forming foreign language communicative competence when training specialists in technology

Svetlana Khomenko

*Head of «English Language Department №1»,
PhD in Philology, Associate Professor,
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)*

Tatyana Vasilyeva

*Associate professor of «English Language Department №1»,
PhD in Philology, Associate Professor,
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)*

Abstract

The article analyzes integrated classes in special disciplines and a foreign language, which are based on the combination of linguistic and non-linguistic aspects in the process of foreign language education. By means of didactic integration (partial immersion), the study of individual modules of special discipline curriculum is carried out in English, which makes it possible to combine two disciplines within one curriculum. As a result of didactic integration, the cognitive abilities of students are activated, their research skills are developed, which leads to the formation of professionally significant competencies.

Key words: *didactic integration, integrated classes, curriculum, professional foreign language communicative competence, foreign language education, life-long learning.*

In the context of globalization, specialists of a technical and technological profile are most demanded on the labor market, which leads to an increase in the requirements for a set of technical specialists' competencies (for example, to reasonably justify their personal position, clearly express their own opinion, effectively interact with the interlocutor, etc.). One of the main competencies in this set is the professional foreign language communicative competence, which is considered as the basis for future professional activities of the above-mentioned specialists. The formation of this competence presupposes the ability to realize one's own communicative intentions in the context of a specific communication situation, as well as to be aware of the communicative

intentions of the addresser, to perceive, understand and interpret the represented information while reading and listening.

Let us dwell on some of the problems that lectures of technical universities face in the process of foreign language education. The main problem is that the discipline “Foreign language”, for which according to the curricula of almost all specialities 100-110 academic hours are given, is taught in the first (for some specialities - the second) years of study and, accordingly, graduating from a technical university, future specialists have insufficient knowledge to translate professional literature and communicate freely on professional topics. A significant problem is also the lack of differentiation in the level of basic knowledge when teaching students a foreign language in academic groups, which leads to a decrease in the effectiveness of foreign language education. In this regard, in the junior courses of the first stage of obtaining higher education, the goal of teaching a foreign language is reduced to the formation of general professional and general cultural competencies, or, according to new standards, universal competences. The formation of the designated competencies involves focusing on the personal development of students, i.e. on the development of skills to improve the acquired skills. Thus, the emphasis in the language training of technical specialists is transferred from direct teaching of a foreign language to the study of a foreign language, namely, the mastering of independent learning methods with a bias to the professionally oriented sphere of foreign language communication, which significantly increases the role of life-long learning, which is necessary to adapt to the changing qualification requirements of a specialist.

The Belarusian National Technical University (BNTU) has accumulated significant experience in the formation of skills necessary for the professional activities of technical specialists. A special role in the process of foreign language education of students of a technical university focuses on integration of a foreign language component into the structure of professional training of students. The combination of linguistic and non-linguistic aspects in the learning process is implemented in practice while teaching such disciplines as «Technical translation», «English (professional vocabulary)» to students of Mechanical Engineering, Automotive and Tractor, Instrumentation Engineering, Sports and Technical faculties, the Faculty of Information Technologies and Robotics, Mining Engineering and Engineering Ecology, as

well as by conducting integrated classes in a special discipline and a foreign language. The used model of didactic integration (partial immersion) makes it possible to study separate modules of curriculum in special disciplines in English and thus combines two disciplines within one curriculum. The integration of a foreign language and the content of a special subject makes it possible to carry out interrelated study of various phenomena and processes of objective reality.

Here is an example of an integrated English lesson conducted with students of Mechanical Engineering faculty, specializing in «Technological Equipment for Mechanical Engineering Production». The organization of integrated classes with students of the above mentioned speciality on the topic «The latest multi-axis machining centers and multifunctional CNC machines» is carried out as follows. The first class is an overview lecture in Russian given by a specialist of the technical department, the purpose of which is to introduce the topic and highlight topical issues for further discussion. The following three classes the aim of which is to improve different types of reading (viewing, studying, introductory) are taught by an English lecturer. Students are offered the tasks to analyze structural and compositional features of articles, identify the main idea of each structural and semantic component of the article, control the understanding of basic and detailed factual information, interpret pragmatic information, and translate the most linguistically complex text fragments. The development of listening skills is of particular importance. For this purpose, students are offered fragments of English-language lectures on relevant topics. Then, using material obtained from various sources, students fulfill tasks to improve their writing skills (make abstracts of articles, prepare short written speeches), and also work on the presentation of projects. The fifth (final) class on a specific topic is conducted jointly by lecturers of the English language and Technical departments. During this class, various communication-oriented technologies are used: presentation of projects prepared by students, business games, etc.

As a result of didactic integration, students not only gain knowledge in a specific professional field, but also acquire the cognitive ability to analyze, compare, generalize, establish causal relationships, differentiate intercultural differences of the processes / phenomena under consideration, i.e. there is actualization of students' research skills, which subsequently turn into

professionally significant competencies.

The format in which the development of the curriculum of the discipline and its teaching is carried out jointly by specialists in a foreign language and a special subject implies the use of innovative educational technologies aimed at developing a versatile personality capable of effective intercultural professional communication. The use of open educational resources with English-language content (visual and textual materials), is methodologically justified, since, being maximally adapted for perception by non-native speakers, it allows students to maintain the language environment.

The use of collaborative learning technology, the preparation of projects allows students to acquire certain knowledge in a specific professional field, cultural knowledge (understanding of intercultural similarities / differences of a professional plan), increase the level of proficiency in various types of speech activities, and develop discussion skills in a foreign language. The preparation of projects and their presentation both in writing and orally can be considered an effective means of controlling the formation of communicative, socio-cultural and intercultural competences.

It seems that by the end of training at the first stage of obtaining higher education, students should be prepared to study a professional language in a master's course, where the transformation of educational and cognitive professionally oriented activities into professional ones is carried out and the formation of professional foreign language communicative competence of students takes place. The latter can be defined as a complex of speech skills and abilities, mastering of which allows future specialists to interpret the information presented in scientific texts, as well as to make a professional foreign language speech depending on the main pragmatic factors – the author's pragmatic attitudes and the type of the addressee. In this regard, it is important, in our opinion, to choose scientific texts of different genres as an object of training and, accordingly, to identify their linguistic and extralinguistic characteristics in terms of genre specificity of linguistic expression of the main pragmatic factors in the text. Genre, coordinating the communicative activity of the addresser and the addressee, reveals the connection between the affecting text elements and the addresser's intentions – informing about a certain scientific and technical fact and forming the addressee's value orientation in relation to this fact.

Thus, the success of the formation of professional foreign language communicative competence depends on the correct selection of educational material, the combination of educational technologies used to consolidate the material, forms of interaction between the lecturer and students at all stages of obtaining higher education.

**Особенности формирования иноязычной коммуникативной
компетенции при подготовке специалистов т
ехнического профиля**

*Хоменко Светлана Анатольевна
зав. кафедрой «Английский язык №1»,
кандидат филологических наук, доцент,
Белорусский национальный технический университет, Беларусь (Минск)*

*Васильева Татьяна Иосифовна
доцент кафедры «Английский язык №1»,
кандидат филологических наук, доцент,
Белорусский национальный технический университет, Беларусь
(Минск)*

Резюме

В статье анализируется проведение интегрированных занятий по специальным дисциплинам и иностранному языку, основу которых составляет объединение лингвистических и внелингвистических аспектов в процессе иноязычного образования. Путем дидактической интеграции (*partial immersion*) осуществляется изучение отдельных модулей учебных программ по специальным дисциплинам на английском языке, что позволяет объединить две дисциплины в рамках одной учебной программы. В результате дидактической интеграции происходит активизация когнитивных способностей обучающихся, развитие их исследовательских умений, которые впоследствии переходят в профессионально значимые компетенции.

Ключевые слова: *дидактическая интеграция, интегрированные занятия, учебная программа, профессиональная коммуникативная компетенция по иностранному языку, обучение иностранному языку, непрерывное обучение.*

Using a discursive approach in the analysis of scientific-technical text

*Ekaterina Khomenko,
Associate professor of «Foreign Languages Department »,
PhD in Philology, Associate Professor,
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)*

Abstract

The article focuses on the specificity of discourse analysis of English scientific texts by technical university students. The author dwells on certain skills which are to be developed to effectively perceive and interpret professionally oriented information represented in texts.

Key words: *discourse analysis, scientific-technical text, linguistic interpretation of the text, discursive component, text addresser, text addressee, pragmatic attitude, factual information, pragmatic information.*

The Belarusian National Technical University (BNTU) has accumulated significant experience in the formation of skills necessary for the professional activities of technical specialists. The fundamental factor in the system of foreign language training of students of this university is early professionalization. Students get a general idea of the subject of their speciality, future professional activity in a foreign language, starting from the first year classes. In professionally oriented training, it is important to understand the specific character of the professional activity of students, due to their speciality. In accordance with this specificity, when teaching students of a particular speciality, it seems appropriate to single out sets of situations within which scientific and professional communication will be carried out. Depending on the selected sets of situations, linguistic means (lexical, grammatical, stylistic) that have a communicative value are determined. These means are included in the content of the curriculum (its linguistic component) for the discipline «Foreign language».

Since one of the goals of foreign language education at a technical university is the perception, understanding, interpretation and creation of a scientific text of a certain genre, we attach particular importance to the issues related to the analysis of English texts of scientific content. The consideration

of these issues contributes to the effective perception and understanding of the information represented in texts.

In this regard, it seems necessary to consider one of the main linguistic categories – textuality. Depending on the methodological approach to the definition of the text, the following most common understandings of this category are distinguished. So, E.A. Goncharova emphasizes that the differentiation of approaches to the description of the text depends on the basic features which serve the basis for the definition of textuality [1]. In particular, such criterion as cohesion is characteristic of a grammatically oriented text model; the criteria of information content (thematicity) and coherence represent a semantically oriented approach to the description of the text. Intentionality, addressing, situationality are associated with a pragmatic, or communicatively oriented model of textuality. In accordance with this approach, the researcher considers the text in the aspect of its functioning as syntactically, semantically and pragmatically related, a complete «linear sequence of linguistic signs», created in order to provide a certain impact on the addressee. The above criteria reflect various theoretical approaches to defining the essence of the text. Striving for a holistic view of a scientific text as a multi-aspect object of linguistic research led linguists to the need to use a multi-aspect approach represented by a number of research areas [2; 3]. Among these areas, the most relevant is cognitive-discursive, the cognitive component of which allows analyzing the types of knowledge verbalized in the text; discursive component helps to identify the communicative-pragmatic orientation of the text to the addressee, which determines the ways of representing information through the use and combination of certain linguistic means. The considered approach makes it possible to give an integral description of both cognitive and communicative features of the object under investigation.

The initial stage of discourse analysis involves the implementation of linguistic interpretation of the text, which includes: establishing the communicative function of the text, identifying the subject of the message, actualizing the addressee of the text and the strategies for thematic expansion of the text, etc. The actual discourse analysis is understood as the projection of national-cultural, pragmatic and some other factors onto the elements of the structural-semantic organization of the text. The key point is the establishment of specific conditions that determine a certain meaning of structural elements

of the text in the considered communicative situation. The transition to a discourse analysis of a text in this way presupposes its study not as the ultimate unit of verbal communication, but as a communicative process of interaction between subjects of communication who have different intellectual and value positions [4]. The natural consequence of the change in methodology was the development of extralinguistic parameters, which represent a «knot of invariant features», the complex of which, being a necessary condition for textuality, characterizes the text as a process and result of text generation, which is implemented differentially depending on the type of social practice [5]. The text, being a fundamental element in the communication system, acquires its social significance only in connection with one or another discursive practice. According to this, when analyzing the text of scientific content, the main attention should be paid not to the issues of the intra-text organization of linguistic units, but to the processes of text generation, perception and interpretation of the author's intention, i.e. displaying the process of cognitive activity of the addresser representing new knowledge.

Let us dwell on the skills that need to be developed in students so that in the future they can effectively perceive and interpret professionally oriented information represented in the texts. These skills include the following. 1. Ability to determine the semantic structure of a written text presented in a particular genre. This skill means the ability to highlight the structural and semantic components of the text, in which the author's purposeful cognitive actions are implemented, and to imagine the logic of their location. 2. Ability to establish the author's pragmatic attitudes, actualized in the structural and semantic components of the text, the combination of which forms a global thematic unity, creating the basis for the structural organization of the text. 3. Ability to highlight the two main types of information presented in the text, which differ in purpose and method of interpretation by the addresser: factual information, which has a zero degree of the author's interpretation, and irrelevant, or pragmatic information, which is the author's interpretation of the subject of the message. The first type of information includes conceptual knowledge about objects / phenomena of reality, characteristic of a specific scientific and professional sphere. The second type of information includes pragmatic information that focuses the addressee's attention on specific aspects of the problem under consideration, convinces him of the reliability of

the knowledge presented and, accordingly, implements the pragmatic function of influencing the addressee.

Taking cognitive and communicative aspects into consideration when analyzing a text involves considering two sides of its content – communicative-informational and pragmatic. The first side is manifested in the selection of text components that are semantic in nature, and the subtype of factual information presented in them (professional, general scientific, basic); the second side is manifested in expressing the views and beliefs of the author, in his orientation towards the addressee when representing the assessment of old and new knowledge, in using certain linguistic means and their interaction when presenting information.

Let's consider some relevant parameters that are essential for a comparative analysis of English-language scientific and technical texts that differ in genre. The discursive interaction of the addresser and the addressee seems to be dominant. At the same time, the addresser defines the communicative goal and implements certain pragmatic attitudes. The pragmatic attitudes of the subject of text generation are associated with the nature of the evaluative impact on the addressee in the process of distributing old and new knowledge in the structural and semantic components of the text, which correlate with the stages of the author's cognitive activity. The addresser's pragmatic attitudes are also associated with the interpretative side of the text, since the author not only forms the semantic structure of the text, but also guides the addressee in his interpretive activity.

The addressee, interpreting the text, experiences a certain character of evaluative influence (intellectual, emotional, etc.) and influences the semantic and structural organization of the text. Consequently, the addressee needs to take into account the general presupposition of the subject generating the text and the subject interpreting it, as well as the principles of the addressee's understanding of the development of thought when justifying the new knowledge being formed.

Thus, the analysis of the cognitive-discursive space of a scientific text, the study of its structural-semantic organization are directly related to the communicative-discursive activity of two subjects of communication – the addresser and the addressee. The discursive actions of these subjects are determined by their position in relation to the scientific-technical text. From

the position of the addresser, a scientific text is a product of processing and comprehending old knowledge in order to reveal the significance of the new knowledge contained in the text by means of linguistic means aimed at the addressee. From the position of the addressee, a scientific-technical text is a source of new knowledge being formed and a stimulus for creative processing and production of one's own research hypotheses.

References:

1. Гончарова, Е. А. Интерпретация текста: немецкий язык : учеб. пособие / Е. А. Гончарова, И. П. Шишкина. – М. : Высш. шк., 2005. – 368 с.
2. Кубрякова, Е. С. Язык и знание: На пути получения знания о языке: части речи с когнитивной точки зрения. Роль языка в познании мира / Е. С. Кубрякова ; Рос. акад. наук, ин-т языкознания. – М. : Яз. слав. культуры, 2004. – 555 с.
3. Хомутова, Т. Н. Научный текст: теоретические основы интегрального подхода : автореф. дис. ... д-ра филол. наук : 10.02.19 / Т. Н. Хомутова ; Воен. ун-т. – М., 2010. – 38 с.
4. Михайлова, Е. В. Интертекстуальность в научном дискурсе (на материале статей) : автореф. дис. ... канд. филол. наук : 10.02.19 / Е. В. Михайлова ; Волгогр. гос. ун-т. – Волгоград, 1999. – 19 с.
5. Чернявская, В. Е. Лингвистика текста. Лингвистика дискурса : учеб. пособие / В. Е. Чернявская. – М. : Флинта : Наука, 2013. – 208 с.

Использование дискурсивного подхода при анализе научно-технического текста

*Хоменко Екатерина Викторовна,
доцент кафедры «Иностранные языки»,
кандидат филологических наук, доцент,
Белорусский национальный технический
университет, Беларусь (Минск)*

Резюме

В статье рассматривается специфика дискурсивного анализа английских научных текстов студентами технических вузов. Автор анализирует определенные навыки, которые необходимо развивать для эффективного восприятия и интерпретации профессионально ориентированной информации, представленной в текстах.

Ключевые слова: дискурсивный анализ, научно-технический текст, лингвистическая интерпретация текста, дискурсивный компонент, адресант текста, адресат текста, прагматическая установка, фактическая информация, прагматическая информация.

სექცია IV
მასობრივი კომუნიკაცია,
ჟურნალისტიკა

იოსებ იმედაშვილი თანამედროვეთა თვალთახედვით

*დანელია ნინო, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე, იმ ქართველ მამულიშვილთა შორის, რომელთაც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იოსებ იმედაშვილს.

იოსებ იმედაშვილის მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პუბლიცისტიკაა, რომელიც მკაფიოდ ავლენს მწერლის განსწავლულობას, აზროვნების სიღრმეს, ფილოსოფიური მსჯელობის უნარს, მოვლენათა თეორიულ სიბრტყეზე განხილვის უნარს. მის სახელს უკავშირდება ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ დაარსება. ასე, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან.

იოსებ იმედაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იოსებ იმედაშვილი ბავშვობაში მწყემსი იყო, ჭაბუკობაში ზეინკალი, შემდეგ სცენისმოყვარეთა წრის ხელმძღვანელი, ხელნაწერი ჟურნალის რედაქტორი, საუბნო წარმოდგენების მონაწილე, ბუკინისტი, სცენისმოყვარეთა პირველი ოფიციალური სპექტაკლის რეჟისორი, მეფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოემების ავტორი, სოფელ ხაშმის მამასახლისი, მეტეხის ციხის პატიმარი, ქართული თეატრის მსახიობი, დრამატული საზოგადოების მდივანი, ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორი, გამომცემელი, უბადლო ორატორი.

როგორც ვხედავთ, იოსებ იმედაშვილი ენერგიულად იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვანი საჭირობოროტო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში.

იოსებ იმედაშვილი ჭაბუკობიდან დაკავშირებული იყო თეატრთან, როგორც რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი. წერდა რომანებს, ლექსებს, პოემებს, პუბლიცისტურ წერილებს. ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მძიმე ტვირთი იყო ამ სულით ძლიერი ადამიანისათვის.

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტი, რედაქტორი, გამომცემელი.

შესავალი

განსაკუთრებით მრავალმხრივია იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობა საკუთრივ პუბლიცისტიკის დარგში. ჩვენ წინაშე დგას საინტერესო შემოქმედი. იმდენად ერთიანი და განუყოფელია ი. იმედაშვილის პიროვნული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრების სტილი, იმდენადაა ურთიერთშერწყმული მისი ადამიანური ცხოვრების ეს ასპექტები, რომ ჭირს კიდევ მათი ურთიერთისგან განცალკევება.

იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტიკა უთუოდ თამაშობს დიდ როლს მე-20 საუკუნისთვის ნიშანდობლივი საუბრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ვლინდება და მქლავნდება მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ხასიათი. იგი ეფუძნება არა მხოლოდ პირად გამოცდილებას, არამედ მრავალი თაობის დაკვირვებასაც.

იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტიკაში მთელი რიგი პრობლემები ექვემდებარება ცხოვრებისეულ მოვლენათა არსს. როგორც დიდი აკაკი ბრძანებდა: „პუბლიცისტურ ნაწარმოებში ერთი ძირითადი სათქმელი პირადული თუ საზოგადო საქმესთან დამოკიდებულების საკითხის შეხებაა. იოსების მთელი შემოქმედებაც ამ მოთხოვნათა და იდეალთა ნათელი დადასტურებაა“. აი, რა იყო აკაკის აზრით, მწერლის მართლაც რომ წრეგადასული შრომისმოყვარეობის მიზეზი. (გ. იმედაშვილი, „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე“, გვ. 105)

სათეატრო ჟურნალისტიკაში იოსებ იმედაშვილი გამოირჩევა

ობიექტურობითა და გულწრფელობით, სალიტერატურო და სამწიგნობრო-საგამომცემლო მოღვაწეობით. იგი ათეული წლების მანძილზე სათავეში ედგა კულტურულ-საზოგადოებრივწამოწყებებს და ხელმძღვანელობდა პერიოდულ გამოცემებს. მარტო მის მიერ გამოცემული „თეატრი და ცხოვრება“ რომ დავგვსახელებინასაკმარისი იქნებოდა მისი უანგარო მამულიშვილობის დასაფასებლად.

ძირითადი ნაწილი

იოსებ იმედაშვილის მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის აღორძინების, ქართველი ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერებისათვის თავდადებული ზრუნვა იყო. მის პიროვნებაში ორგანულად შეირწყა კაცთმოყვარე ჰუმანისტისა და ბოროტების დასათრგუნავად ამხედრებული მკაცრი მებრძოლის თვისებები.

პუბლიცისტი მწერლის მიერ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემით გამოვლინდა იოსებ იმედაშვილის ღვაწლი კულტურის წინაშე. ჟურნალი გამოვიდა რეაქციის ხანაში, როდესაც ყოველი თავისუფალი სიტყვა სასტიკად იდევენებოდა, როცა ერის თავისუფლებაზე ზრუნვა დანაშაულად ითვლებოდა. ჟურნალი ხალხის ტკივილებს აშკარავებდა, აღრმავებდა ერის თვითშეგნებას.

იოსებ იმედაშვილი ჟურნალის საპროგრამო სტატიაში წერდა: „ქართული თეატრი მტკიცე ეროვნულ ნიადაგს უნდა დაადგეს, მელპომენის ქართულ ტამარში ქართულ სიტყვებთან ერთად სულიც ქართული უნდა ტრიალებდეს“. (იმედაშვილი გაიოზ, „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე“, გვ. 257)

იოსებ იმედაშვილი ხშირად ათავსებდა „თეატრი და ცხოვრებაში“ პუბლიცისტურ წერილებს ხელოვნების, მწერლობის, განათლების შესახებ.

იოსებ იმედაშვილი არა მხოლოდ პუბლიცისტი იყო, არამედ ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ მწერლობაშიც. იოსებ იმედაშვილის შემოქმედების ირგვლივ ინტერესი დღესაც არ განელებულა. მის შესახებ არა ერთი სტატია თუ მოგონება დაიწერა.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მიხეილ ყვარელაშვილი გვიამბობს: „ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში იოსებ იმედაშვილი ზღაპრულ დევმირად მესახებოდა. როდესაც ჩვენს ოჯახში თუ ხაშში ჩამოვარდებოდა საუბარი, მას მუდამ დევ-კაცად სახავდნენ, თუმცა

მისი ფიზიკური გარეგნობა ამ შედარებას არ ასახავდა. ჩვეულებრივი, საშუალო ტანის კაცი იყო, უფრო ხმელი აგებულებისა და დევის შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებდა, მაგრამ თანასოფლელებს, ხაშმელ გლეხკაცობას ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ მასზე, რადგან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „იგი იყო გონებით ღონიერი, დაუმრეტელი ენერჯის პატრონი, დაუდეგარი, შეუპოვარი მოღვაწე, ყოვლისშემძლე, რომლის ცხოვრების ყოველდღიურობა სავსე იყო ხალხზე ფიქრით, გლეხკაცობაზე ზრუნვით“. ამიტომაც იყო, რომ ერთი ხაშმელი ხალხური მთქმელი, ზედმეტ სახელად „ნალა“ (ნიკა ქოქრაშვილი) ასე ამღერდა ჩონგურზე:

„ნეტა როგორიც ხაშმია,

მაჩვენა იმის წყვილია,

ნეტავ დევ-კაცსა შემყარა

როგორიც იმედაშვილია...“ (გომართელი თამარ, „არასდროს დაიბინდება“, გვ.124)

ამ მოგონებებიდან ნათლად ჩანს, რომ სოფელ ხაშმის გლეხკაცობა წარსულშიც და დღესაც დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებენ იოსებს, როგორც გლეხობის გულშემატკივარს, სოფლის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მზრუნველს, საზოგადო მოღვაწეს.

ხაშმში მცხოვრები 95 წლის დავით ყვარელაშვილი, ჯერ კიდევ ნათელ გონებაზე მსჯელობდა, იგონებდა სოფლის წარსულ დუხჭირ ცხოვრებას, ადარებდა აწმყოსა და ფიქრობდა მომავალზე. არ ივიწყებდა იოსებ იმედაშვილის ზრუნვას სოფლისათვის, რომელსაც გლეხობის მხარდაჭერით სოფლის გზა გაუყვანია შვიდ კილომეტრზე კორძიანებში. დაუარსებია ბიბლიოთეკა. არ ივიწყებდა აგრეთვე, დავით ნახუცრიშვილის დიდ ამაგს, რომელსაც ხაშმში წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ახალგაზრდობისათვის საღამოს სკოლა ჩამოუყალიბებია. „ამ სკოლაში ჭრაქის შუქზე გვასწავლიდა ქართულ ანბანს. თუ არა იოსებ იმედაშვილი და დავით ნახუცრიშვილი, იმ დროს ვინ მიგვაკარებდა სკოლის კარებს. ამისთვის დიდი მადლობელი ვართ მათი, რომ ჩვენი სოფლის გლეხობაში განათლებისა და ცოდნის სხივი შემოიტანეს“, - ამბობდა 95 წლის მოხუცი, „თეატრიც მაგათ დააარსეს ხაშმში, შვილო. იოსები, დავითი, საშა ნათიშვილი, ნუცა ნახუცრიშვილი, ნუშო ლალიძე,

აბრამ გოგნიაშვილი და სხვები ისეთ წარმოდგენებს გვიჩვენებდნენ ხოლმე, რომ ხან აგვატირებდნენ, ხანაც გვაცინებდნენ“. (გომართელი თამარ, „არასდროს დაიბინდება“, გვ. 125)

ასევე საინტერესოა ოთხმოც წელს გადაცილებული ნუცა (ნინო) ნახუცრიშვილის მოგონება: „ჩვენს დროში, გარე კახეთში, არც ერთ სოფელს არ ჰქონდა თავისი სცენისმოყვარეთა წრე და არც საამისო შესაძლებლობა გააჩნდათ, რომ სახალხო თეატრი შეექმნათ. ბევრმა სოფელმა არც კი იცოდა თეატრის მნიშვნელობა. ჩვენში ხაშმში, სცენისმოყვარეთა წრის ჩამოყალიბებას სათავეში ჩაუდგნენ იოსებ იმედაშვილი, ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი, ჩემი ძმები ლუკა და დავით ნახუცრიშვილები. ახალგაზრდა კაცებს ამ საქმეში ქალებიც ამოვუდექით - ნუშო (ანა) ლალიძე, კეკე მამულაშვილი, ნუცა გარინდაშვილი, მედაჩემი და კატო. დიდი ხალისით შევუდექით წრის მუშაობას, ვაწყობდით გეგმებს, ვკითხულობდით და დასადგმელად ვარჩევდით პიესებს. ამ ყველაფერში იოსებ იმედაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღოდა. იდგებოდა სპექტაკლები ჭრაქის შუქზე. კვირა სადამოს ხორველობა გავითამაშეთ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. მაყურებელს მოსწონდა ჩვენი „ხორველობა“ (ხოლერა მძვინვარებდა). გულიანად ხარხარებდნენ. იოსებ იმედაშვილი ბაქოელ თათარს თამაშობდა. მან დიდი სიამოვნება მოგვარა ჯერ კიდევ გამოუცდელ მაყურებელს“. (გომართელი თამარ, „არასდროს დაიბინდება“, გვ. 127-128).

საინტერესო ფაქტია ხაშმის მაცხოვრებლების მოგონებები იოსებ იმედაშვილზე. ისინი იუმორით გვიხატავენ ჩვენი ერის ცხოვრებას და ჰქმნიან უკვდავ ტიპებს. ეხებიან იოსებ იმედაშვილის ღვაწლს. მჭიდროდ უკავშირებენ ერთმანეთს დიდ პიროვნებასა და სახალხო თეატრს. ხაზს უსვამენ იოსების დამსახურებას სახალხო თეატრის დაარსებაში.

მის მიერ დაწერილი თითოეული სცენარი ცხოვრების გულიდან არის ამოდებული, ცხოვრების სარკეა და შეიძლება ვთქვათ, რომ იოსებ იმედაშვილი იყო ყველასათვის საუკეთესო მაგალითის მიმცემი, რომელიც ყოველთვის ხელს უწყობდა უბრალო ხალხის განათლებასა და დასაქმებას.

1920 წელს იოსებ იმედაშვილმა თავის ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ ათი წლის იუბილე გადაუხადა. 1925 წელს კი - თხუთმეტი

წლისა. საიუბილეო კომისიას ცნობილი მოღვაწეები და მსახიობები შეადგენდნენ.

ამ კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე ვასილ ბარნოვმა აღნიშნა: „თეატრი და ცხოვრება“ და იოსებ იმედაშვილი ვის გაუყვიაო“. ასევე იქ დამსწრე საზოგადოებასაც ხოტბა შეუსხამთ ამ ჟურნალისთვის და მისი რედაქტორისთვისაც. („თეატრი და ცხოვრება“, 25-ე საიუბილეო გამოცემა)

ასე, რომ ჟურნალის იუბილე მისი გამომცემელ-რედაქტორის, იოსებ იმედაშვილის იუბილედ გადაიქცა.

წერილები მიუძღვნეს და მის ღვაწლზე ისაუბრეს ივ. გომართელმა, დ. ნახუცრიშვილმა, დ. ახვლედიანმა, ალ. მირიანაშვილმა, ევ. გაბაშვილმა, გ. ჯაბაურმა, კ. გერმესეძმა, ს. წერეთელმა. ამავე ნომერში დაიბეჭდა ლადო გუდიაშვილის ჩანახატი „იოსებ იმედაშვილი მუშაობის დროს“.

იოსებ იმედაშვილის, როგორც პუბლიცისტის, კრიტიკოსის, რედაქტორ-გამომცემლის ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეობა ნათლად სჩანს ზემოთ მოყვანილ წერილებში.

დასკვნა

იოსებ იმედაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ ამკარა გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ დაარსებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ამ ჟურნალმა დიდი როლი ითამაშა ქართული ჟურნალისტიკისა და მკითხველი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოცემული უამრავი მასალა რეალურად ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული შეგნების ამაღლებას, და ამასთან, მასში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებსაც ასახავდა.

იოსებ იმედაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელიც დაუსრულებლად იღვწოდა ქვეყნისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმედაშვილი იოსებ „ჩემი ცხოვრების წიგნი“, თბ., 1978
2. გომართელი თამარ, „არასდროს დაიბნდება“, თბ., „მერანი“, 1992

3. იმედაშვილი გაიოზ, „ოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე“, თბ., 1984
4. გომართელი თამარ „მოდით გავიხსენოთ!“ თბ., 1986

Ioseb Imedashvili from the Point of View of Contemporaries

*Nino Danelia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

At the turn of the XIX - XX centuries, Ioseb Imedashvili occupies a prominent place among the Georgian patriots who had to work in difficult socio-political conditions.

The content of Ioseb Imedashvili's civic beliefs is determined by the ideas of the national liberation movement. One of the most important parts of his literary heritage is current affairs journalism, which clearly reveals the writer's knowledge, depth of thinking, philosophical reasoning, the ability to discuss events on a theoretical level. His name is associated with the founding of the magazine 'Theater and Life'. So we are talking about a great creator.

Ioseb Imedashvili is one of the prominent representatives of the second half of the XIX century and the beginning of the XX century. Ioseb Imedashvili was a shepherd as a child, a locksmith in his youth, then the head of the stage circle, the editor of a manuscript magazine, a participant in local performances, a bookstore owner, the director of the first official stage play, the author of poems against the king's regime, the secretary of the drama society, the editor of the magazine 'Theater and Life', the publisher, the incomparable orator.

As we can see, Ioseb Imedashvili was actively involved in the public-literary race and took a direct part in raising and solving all the important problems of the time.

Ioseb Imedashvili was connected with the theater since his youth as a director, actor and playwright. He wrote novels, poems and publicist letters. We think it was all a heavy burden for such a spiritually strong person.

Key words: Publicist, editor, publisher.

„სიძულვილის ენა“ ქართულ ბეჭდურ მედიაში (ასავალ-დასავალი, ქრონიკა + , ალია, რეზონანსი)

*თავდგირიძე ვეფხვია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში უხვად გვხვდება სიძულვილის ენის გამოვლინებები. ისეთი უხეში დარღვევები, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს და პროფესიულ სტანდარტებს. სტატიაში წარმოდგენილი და გამოკვლეულია სიძულვილის ენის ტირაჟირების ფაქტები ბეჭდურ მედიაში, ის თუ რას ნიშნავს სიძულვილის ენა, როგორია მისი გავრცელების არეალი და რომელი ბეჭდური მედიასაშუალებები არღვევენ ყველაზე მეტად გამოხატვის თავისუფლებას. კვლევის მიზანია, დადგინდეს როგორ უნდა მოხდეს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა მედიაში კომპანიების ინფორმირებულობის, ამაღლების და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

შესავალი

მასმედია, როგორც ინფორმაციის გავრცელების საშუალება, ენას იყენებს არა მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციით, არამედ ზემოქმედების საშუალებადაც სადაც უხვადაა გამოყენებული ძალადობის სცენები, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოვლინება სიძულვილის ენაა. რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სამეტყველო ლექსიკაზე.

დღემდე საქართველოს კანონმდებლობაში სიძულვილის ენის განმარტება არ გვხვდება. ამასთან, სიძულვილის ენის დეფინიცია, არც ერთ სამართლებრივად მბოჭავ საერთაშორისო დოკუმენტში არ გვხვდება. სიძულვილის ენის განმარტებას ვხვდებით, მხოლოდ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებულ რეკომენდაციაში.¹ სადაც ხაზგასმით წერია, რომ: „სიძულვილის ენა არის გამოხატვის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით

¹ <https://www.dictionary.com/browse/hate-speech>

განსხვავებული ჯგუფების მიმართ”.¹

ჟურნალისტიკის, ამ შემთხვევაში კი ბეჭდური მედიის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ხელისუფლების კონტროლი წარმოადგენს. მედია საზოგადოების ადვოკატია, რომელიც ინფორმაციის სახით ძალიან ძლიერ ბერკეტს აძლევს ხალხს ხელისუფლების გასაკონტროლებლად. თუმცა რამდენადაც დიდია მედიის როლი იმდენად დიდია მისი პასუხისმგებლობა, ხალხის მკითხველის წინაშე, პასუხისმგებლობა სწორი ინფორმაციის გაშუქებისა, ობიექტურობისა, მიუკერძოებლობისა და ა.შ. ყოველი ჟურნალისტის ერთერთ უმთავრეს პრინციპს კი ეთიკა წარმოადგენს. ეთიკის დაცვის გარეშე შეუძლებელია ინფორმაციის გადმოცემა ობიექტურად, მიუკერძოებლად, ეთიკის დარღვევა უკვე გულისხმობს მიკერძოებულობას სხვისი უფლების დარღვევას და ასე შემდეგ.

ეთიკის დაცვის ტვირთი ყველა პროფესიის ადამიანს აწევს, თუმცა ჟურნალისტების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება, რადგან მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციასა და კონკრეტული მოვლენების ფორმულირებაზე დამოკიდებული თუ რა კუთხით შეხედავს და რა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება საზოგადოებას კონკრეტული მოვლენების, პირების თუ ჯგუფების მიმართ.

ქართულ ბეჭდურ მედიასაშუალებებში ხშირად ვაწყდებით ეთიკის დარღვევის ფაქტებს, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია „სიძულვილის ენა“, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ან თვითონ ჟურნალისტები იყენებენ კონკრეტული პირების ან ჯგუფების მიმართ, ან სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების გამოქვეყნებით პროპაგანდას უწევენ მას. მაგალითად, გაზეთი ასავალ-დასავალი“. მკითხველს ყოველ ნომერში სთავაზობს ექიმის რჩევებს. გაზეთის ოქტომბრის ნომერში ჯაბა ექიმი ნარკომანიაზე და აზარტულ თამაშებზე საუბრობს. ექიმი ნარკომანებს აზარტული თამაშების მოყვარულებს არანორმალურ ადამიანებად მოიხსენიებს და ამბობს, რომ ისინი სიამოვნებას არაადამიანური, არაბუნებრივი და ბუნების საწინააღმდეგო მეთოდებით იღებენ. ის ასევე სივარეტს უწევს პროპაგანდას და ამბობს, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ხარისხიანი პური იშვიათობას წარმოადგენს, თავი უნდა დაანებონ

² <https://www.merriam-webster.com/dictionary/hate%20speech>

სიგარეტის საწინააღმდეგო პროპაგანდას და ახალგაზრდებს სიგარეტის მოწევის უფლება მისცენ. ამავე გაზეთის 43 ნომერში კახა ექიმი პროპაგანდას უწევს გენდმოდინფიცირებულ საკვებს და ამბობს რომ “ „პარადოქსია მაგრამ ფაქტია, რომ გენდმოდინფიცირებული პროდუქტი კიბოს არ იწვევს და მისი მოხმარება აბსოლიტურად უსაფრთხოა “. ¹

გაზეთი „ასავალ-დასავალის“ 42-ე ნომერში გამოქვეყნებულია სტატია თემაზე: კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი? ჟურნალისტი საუბრობს კვერცხის სასარგებლო თვისებებზე და მისი გამოყენების წესებზე. რამდენად ვარგისიანია და რა ტემპერატურაზე უნდა შევინახოთ ის? ექიმთან ინტერვიუს დასრულების შემდეგ ჟურნალისტი წერს, რომ კვერცხი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. „ვინ მოთვლის, ბოლო ოცდაათწლეულის განმავლობაში რამდენი ქართველი პოლიტიკოსისა და პოლიტიკანისათვის დაუშენიათ ლაყე კვერცხების წვიმა და არა იცი, ზოგიერთს იქნებ სულ ახალი, დიეტური კვერცხიც კი მოხვედრია!. რაც ამწუთას მახსენდება, რამდენიმე წლის წინათ ზუგდიდში ჩასულ ნაცებს - ბოცო წიკლაურისა და აკუკი მინაშვილს ადგილობრივმა აქტივისტმა ქალბატონებმა ქათმის კვერცხები ბლოლმად ესროლეს და, რაც მთავარია, მოახვედრეს კიდეც. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში დღესაც ბევრი კვერცხია , რომლებსაც ვარგისიანობის ვადა დიდი ხნის წინათ გაუვიდათ და გალაცდნენ. ლაყე პოლიტიკოსების ქვეყანაში კი ახალი და, მითუმეტეს, დიეტური კვერცხის არჩევა მართლაც მთელი ფილოსოფიაა!“ ²

სააგენტოებზე Resonacedaily.ge და Alia.ge გამოქვეყნდა ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებლის სტატუსი, რომელშიც ის ისლამოფობიური მოტივით წერს, რომ ისლამური ლოცვის მოსმენით შეწყობდა.

“ვაკეში, არაყიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობს მოლაა თუ ვიღაც ჯანდაბაა არ ვიცი, ყოველ დღე ისე მოთქვამს და ბღავის, ეხლაც, აქვს კი ამის უფლება? გული გვაქვს დაწვრილებული მისი ხავილით. თანაც ისე ლოცულობს, თუ რას შვება არ ვიცი, მთელ ზემო ვაკეს ესმის. როგორ უნდა მოვიქცე? ჯერ ის ვინც შეუშვა სახლში,

¹ <https://asavali.ge/?v=f803729628ad>

² „ასავალ-დასავალი“ 19 – 25 ოქტომბერი. <https://asavali.ge/?v=f803729628ad>

იმას უნდა მივაგნო, რას უხდის ამისთანას იმ ვიღაც არაადამიანს, რომ შექმული ვართ ამდენი ხალხი. ეხლაც ბლავიის. თურქეთში ვცხოვრობ ასე მგონია!!! უნდა გავასახლო!”¹

აღნიშნული მასალა არანაირ დამატებით ინფორმაციას არ შეიცავს, არ ჩანს რეალურად დაირღვა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგი კონკრეტულ დასახლებაში, ამიტომ გაუგებარია რა საინფორმაციო ღირებულება აქვს ამ ტექსტს და რატომ გადაწყვიტეს რეზონანსმა და ალიამ მისი გამოქვეყნება.

სტატუსის გადაკოპირებით კი რეზონანსი და ალია ისლამოფობიის პლატფორმად იქცნენ და წაახალისეს დისკრიმინაცია, რადგან მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქართველოში მოლას ლოცვა მიუღებელი უნდა იყოს.

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და სიძულვილის ენა იგრძნობა „ასავალ-დასავალშიც“: „ვფიქრობ, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც უნდა მიიღონ კანონი და აიკრძალოს იედოველთა საქმიანობა... ესენი არიან სექტანტები და მათი კარდაკარ წოწილი უნდა დასრულდეს!“²

იმავე გაზეთში გამოქვეყნებულია სტატია „ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებზე და ნაციონალურ მოძრაობაზე. ჟურნალისტი წერს, რომ პრემიერ გახარიას გადადგომას ნაცები და „პიდარასტები“ ითხოვენ: „დაიხ, რუსთველის გამზირზე 20 ივნისის აქციიდან მოყოლებული პედერასტები და ნაცები გვერდიგვერდ დგანან და ერთად მოითხოვენ გიორგი გახარიას გადადგომას!... ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება საქართველოს გეი-პრაიდების საჯლიგინოდ გადაქცევას ნიშნავს! ეს ხომ ერთიანი ნაც-გეი-ანალური მოძრაობაა!“³

„ასავალ-დასავალის“ 2020 წლის 44-ე ნომერში მე-14 გვერდზე გამოქვეყნებულია პოლიტიკოსის თეიმურაზ შაშიაშვილის წინასაარჩევნო ინტერვიუ, სადაც ამბობს რომ: „კობახიძეც, ბოკერიაც, თალაკვაძეც, მდინარაძეც და მამუკა ხაზარაძეც თავის ბანკთან ერთად ყველანი ყაჩაღები და სოროსოსელები არიან.“⁴

¹ <https://www.mediachecker.ge/ka/siakhleebi/article/59784-islamofobiuri-teqsti-qrezonans-saq-da-galiashiq>

² http://mdfgeorgia.ge/uploads/library/183/file/Hate_Speech-Booklet-GEO-FINAL-compressed.pdf

³ „ასავალ-დასავალი“, 1-7 ივლისი.

⁴ „ასავალ-დასავალი“, 12-18 ოქტომბერი

მსგავსი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სტილით საუბრობს გაზეთ „ქრონიკა +“ - ში რესპოდენტი: „სალომე ზურაბიშვილი დარჯობილ ჯოხზე უარესია, რადგან ჯოხი ნულია, ეს - მინუსებშია, ხალხს სძულს“ რესპოდენტის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების შედეგებს „გაალამაზებს“, ჟურნალისტი პასუხობს შეკითხვით „რატომაც არ გაულამაზებს, აგერ აგვისტოში 20 ათასი ლარი აუღია ხელფასად. 20 ათას ლარ ხელფასად სალომე ზურაბიშვილს კი არა, ტუტანხამონს არ გაიყვანს პრეზიდენტად?!“¹ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ რესპოდენტთა მიერ გავრცელებულ მძიმე ბრალდებებს საზოგადოებისთვის ცნობილი პირებისა თუ სახელმწიფო უწყებების მიმართ. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ბრალდებები შეიცავს სიძულვილის ენასა და კანონდარღვევის ფაქტებს.

ქართულ ბეჭდურ მედიაში ხშირად ვხვდებით მსგავს სიტყვებს ფრაზებს: „გომბეშო“, „ფარისეველი“, „უნამუსო“, „კორუმპირებული“, „ჯალათების რეჟიმი“, „ნაც-ქოცური მმართველობა“ , „ნაცსალიბერასტეთი სოროსის ლეკვები“, „მოღალატე სააკაშვილი და მისი ხროვა“, „ჩვენებური ლიბერასტები საბოლოოდ დაემსგავსნენ პირუტყვებს“, „ჩვენი ერთმორწმუნე დედა ღრუსეთი“.

ჟურნალისტური ეთიკის ქართულის მე-7 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.²

ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული გაზეთების დიდ უმრავლესობაში შეინიშნება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების სხვადასხვა სახის დარღვევები. ყველაზე უხეში დარღვევები წარმოადგენს შეურაცხმყოფელ და დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას

¹ <https://www.qartia.ge/media/1000907/2018/12/13/1aac0569fdc1253cf61c54e4db128a2d.pdf>

² <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>

ჟურნალისტთა ტექსტებში, გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას, დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელებას, ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას, მოვლენების ცალმხრივ გაშუქებასა და რიგ შემთხვევებში, სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნას სარედაქციო მასალებისგან.

ჟურნალისტიკის ერთ-ერთ დანიშნულებას სიტუაციის განმუხტვა, დაბალანსება წარმოადგენს, მსგავსი პუბლიკაციების გამოქვეყნებით კი მედიასაშუალებები საზოგადოებას აქეზებენ ერთგვარად შუღლს უღვივებენ კონკრეტულ პირებს, ჯგუფების მიმართ, შესაბამისად, არ ქმნიან ობიექტურ და მიუკერძოებულ გარემოს იმისთვის, რომ საზოგადოებამ საფუძვლიანი, ობიექტური დასკვნები გამოიტანოს და გადაწყვიტოს ვინ გააკრიტიკოს, ვის დაუჭიროს მხარს და ასე შემდეგ.

კვლევის ფარგლებში, ჩვენ ჩავატარეთ მასობრივი ონლაინ სტატისტიკური შერჩევითი გამოხკითხვა. რომელშიც ასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა . დადგინდა, რომ ბეჭდურ მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე განსაკუთრებით კონკრეტულ ჯგუფების მიმართ და ხელს უწყობს სიძულვილის ენის ტირაჟირების პროცესს. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ბეჭდურ მედიიდან განსაკუთრებით “ასავალ-დასავალიდან“ დაუფარავად იგრძნობა, სიძულვილი, აგრესია, ცინიზმი და ცილისწამება. ბეჭდურ მედიაში ასევე ხშირად ზიზღის ენა, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მართ. სიძულვილის ენის ტირაჟირებას ბეჭდურ მედიაში ხშირად ეწევიან პოლიტიკოსებიც. გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ გაზეთ „ქრონიკა პლიუსიდან“ და „ალიადან“ ინტერვიუების დროს საჯარო პირების მხრიდან გაკეთებული კომენტარები საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მიმართ სიძულვილის წამაქეზებელ და შეურაცხმყოფელ ხასიათს ატარებს. კითხვა, თუ ვინ უნდა დაარეგულიროს მედიაში, არსებული პრობლემური მდგომარეობა გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სახელმწიფოს მხრიდან მეტ აქტიურობაზე მიუთითებს.

დადგინდა, რომ მაშინ როდესაც გაზეთ „ასავალ-დასავალში“ სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის შემცველ უხეშ ფაქტებს

ვაწყდებით ის საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობას. აქედან გამომდინარე, პრობლემა არა მარტო მედიასაშუალებებში, არამედ თვით საზოგადოებაშიცაა, თუმცა ჟურნალისტებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ მათს ერთერთ უპირველეს დანიშნულებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

კვლევა თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ არსებული საკანონმდებლო რესურსის სიმწირე სიძულვილის ენისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას შორის ზღვარის გავლება რთულია და მისი ერთგვაროვანი გაგება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება. მიუხედავდ იმისა, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი რეფორმა მაღალი საერთაშორისო სტანდარტითაა დაცული.

ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ერთ - ერთი ფუნდამენტური ფაქტორი, სხვა ფაქტორებთან ერთად მედიაში სიძულვილის ენის ტირაჟირების აღმოფხვრა, ამიტომ პირველ რიგში აუცილებელია, რომ შეიქმნას რეგულირების ისეთი ორგანო, რომელსაც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი არ ექნება და დაარეგულირებს ეთიკის საკითხებს არა მარტო ქართულ ბეჭდურ მედიასაშუალებებში, არამე მთლიანად ქართულ მედიასივრცეს.

ამასთანავე აუცილებელია, რომ მედია საშუალებებმა დაიცვან „ჟურნალისტური ეთიკური კოდექსი“ და განახორციელონ მათ მიერ დასაქმებული ადამიანების, ჟურნალისტებისა და სარედაქციო ჯგუფისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება პრობლემის არსებობის თაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარინე ვეკუა, ჟილ რუე, „ჟურნალისტიკა“
2. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია <https://qartia.ge/qartia>
3. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ: თბილისი. „რაიზი“ 2005
4. <https://www.merriam-webster.com/dictionary/hate%20speech>
5. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/105/file/media_da_informaci-uli_wignierebis_swavleba.pdf

6. <https://asavali.ge/?v=f803729628ad>
7. <http://qronikaplus.ge/?cat=19>

“Hate speech” in the Georgian print media

*Tavdgiridze Vepkhvia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Hate speech is often found in modern Georgian print media. Gross violations that violate human rights and professional standards. The article presents and investigates the facts of hate speech reproduction in print media, what hate speech means, what is its area of distribution and which print media violates the freedom of expression the most. The aim of the research is to determine how to fight hate speech Within the framework of companies' awareness, promotion and freedom of expression in the media.

უცხოელ პოლიტიკოსთა ბლოგების თავისებურებანი

*დიანა ლიპარტელიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში მიჩნეულია, რომ ბლოგინგი მოქალაქეების მხრიდან სამოქალაქო აქტივიზმის გამოსახატავად ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ბლოგების უდიდეს გავლენას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ადასტურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესებიც. პოლიტიკური ბლოგების ავტორები ძალიან ხშირად ხდებიან დაპატიმრების ან მათზე თავდასხმის მსხვერპლნი. არის ისეთ შემთხვევებაც, როდესაც პირიქით ხდება - ბლოგერები ახორციელებენ ზეწოლას მთავრობაზე და აიძულებენ მიიღონ კონკრეტული, ხელისუფლებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებები.

საზოგადოებაზე და ამომრჩეველზე ზემოქმედების მოსახდენად იყენებენ ბლოგინგს განვითარებული ქვეყნების პრეზიდენტები და მაღალი თანამდებობის პირებიც.

პოლიტიკური ბლოგების წერა პოლიტიკოსს აძლევს საშუალებას ამომრჩეველზე მოახდინოს ზემოქმედება და აქციოს საკუთად მხარდამჭერად, ხოლო სამოქალაქო აქტივისტებს ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ფიგურად აქციოს.

საკვანძო სიტყვები: ბლოგი, ბლოგოსფერო, პოლიტიკური ბლოგები, ბლოგერი პოლიტიკოსები

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან სწრაფი ტემპით ვრცელდება იდეები დემოკრატიასა ადამიანის უფლებების შესახებ, შესაბამისად იზრდება ახალი მედიის შესახებ მოთხოვნები. იმისათვის, რომ მოქალაქეებმა სრულყოფილად გამოხატონ თავიანთი სამოქალაქო აქტივიზმი, ბლოგინგი ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საკომუნიკაციო საშუალებადაა მიჩნეული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ, ისე ავტორიტარულ ქვეყნებში მცხოვრებ ბლოგერებს

ძირითადად ერთი და იგივე პრობლემები აქვთ და ერთსა და იმავე გამოწვევებს პასუხობენ. ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან მათი კულტურულ-სოციალური და პოლიტიკური მახასიათებლებით. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მაგალითზე სამოქალაქო აქტივისტები წერენ დემოკრატიის ხარისხზე, სოციალური უთანასწორობის პრობლემაზე, ეკოლოგიურ საკითხებზე. ასევე, ქალთა და და სხვა საკითხებზე, ხოლო პოლიტიკოსები აღნიშნულ ბერკეტს იყენებენ ამომრჩეველთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. [1]

ძირითადი ნაწილი

იმ ქვეყნებში, სადაც მედია ხელისუფლების მიერ კონტროლდება, ბლოგერებიც არ რჩებიან „ყურადღების“ მიღმა. ეს ფაქტორი კი მიუთითებს იმაზე, თუ რა დონის სერიოზული ეფექტი აქვს ბლოგებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ამას ადასტურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესებიც. როდესაც აშკარა ხდება, რომ ბლოგერის გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე იზრდება, იზრდება ხელისუფლების „ყურადღებაც“ ასეთ ბლოგერებზე და იწყებს რეაგირებას. ამ მხრივ გამორჩეულია ზერბაიჯანი, სადაც ძალიან ხშირად ყოფილა ბლოგერების დაპატიმრების ან მათზე თავდასხმის ფაქტები მსგავსი აქტიურობის გამო.

ჯაზარ სავალანი ერთ-ერთია, რომელიც იმის გამო დააპატიმრა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, რომ მკითხველთა საკმაოდ ფართო წრე უცხადებდა ნდობას და მისი მოწოდებების მიხედვით მოქმედებდა. აღანიშნავია ის დეტალიც, რომ ამ დროს ბლოგერი ჯაზარ სავალანი მხოლოდ 20 წლის იყო, მისი დაპატიმრების საფუძვლად კი იქცა ბლოგი, რომელიც სოციალურ ქსელში განათავსა, რომლის მეშვეობითაც თანამოაქრეებს მოუწოდებდა ანტისამთავრობო აქციაში ჩართვისკენ. სავალანი სამართალდამცავებმა დააკავეს და სასამართლომ „ნარკოტიკების შენახვის“ ბრალდებით სამ წლამდე თავისუფლების აღვეთა მიუსაჯა. მასთან ერთად დააკავეს მისი 17 თანამოაზრე. ჯაზარ სავალანის და მისი მეგობრების სისხმისსამართლის საქმეები იმდენად აშკარად ხელოვნურად იყო შედგენილი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ „amnesty internation-

ali”-მა ისინი „სინდისის პატიმრებად“ აღიარა, თუმცა არათუ “amnesty internationali”-ის, არამედ სხვა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის და დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლის საჯარო მოწოდებისა ახალგაზრდები პატუმრობაში დატოვეს. [2]

იგივენიარად, სოციალურ ქსელებში აქტიურობის გამო აზერბაიჯანელი ბლოგერის **ზაურ გურბანლის** თავისუფლებაც. გურბანლი, გარდა იმისა, რომ ბლოგებს წერდა, გახლდათ ოპოზიციური ახალგაზრდული ჯგუფის (NIDA) წევრიც. მისი საქმეც იგივენიარად ხელოვნურად იყო შედგენილი, რომლის საფუძველზეც მას 15 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

იგივე აზერბაიჯანის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ ბლოგერი **ემინ მილის** ამბავიც, რომელმაც 2009 წელს განათავსა ინტერნეტსივრცეში ცნობილი ვიდეომარჟი, სახელწოდებით „პრეს-კონფერენცია ვირთან“. აღნიშნულ ვიდეობლოგში მთავრი პერსონაჟი არის ვირი. “ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლება ისეთივე რთულია, როგორც რეალურ ცხოვრებაში.”- ამბობდა ვიდეობლოგის ავტორი. ვიდეობლოგი ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი უკმაყოფილების წყაროდ იქცა, მით უფრო, რომ ვიდეობლოგამდე ავტორი თანამოაზრეებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ახალ კანონს აკრიტიკებდნენ. გადაწყვიტეს ბლოგერი და მისი თანამოაზრეები კანონის ძალით გაეჩუმებინათ. ის რომ ბლოგებს სერიოზული გავლენა აქვს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ბლოგერები ხშირად წარმოადგენენ ხელისუფლებისთვის საფრთხეს, მოწმობს 2020 წლის ჩეჩნეთის მაგალითი. მიჩნეულია, რომ ჩეჩენი ბლოგერი **იმრან ალიევი** იმიტომ მოკლეს, რომ ღიად აკრიტიკებდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რამზან კადიროვს. რა თქმა უნდა, პოლიცია ღიად არ ასახელებდა დამკვეთებს, მაგრამ გამომსვლელები ღიად ამბობდნენ, რომ მკვლელობა პოლიტიკური მოტივით განხორციელდა. [3]

იმრან ალიევი, მას შემდეგ რაც ბელგიაში გადასახლდა, ძალიან ხშირად აქვეყნებდა საკუთარ „Youtube“ არხზე ვიდეობლოგებს, სადაც ჩეჩნეთის ხელისუფლება იყო გაკრიტიკებული.

ბლოგინგის ისტორია, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხელსუფლება ცდილობს ბლოგერებზე ზემოქმედების მოხდენას, იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც, პირიქით ხდება: ბლოგე-

რები ახორციელებენ ზეწოლას მთავრობაზე და აიძულებენ მიიღონ კონკრეტული, ხელისუფლებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებები. ასეთია რუსეთის მაგალითი, როდესაც 2013 წელს რუსი ბლოგერები გამოვიდნენ, მანიფესტაცია მოაწყვეს რუსეთის საგარეო უწყებასთან და მოითხოვს სამსახურებიდან გაეთავისუფლებიათ კავკასიური და მათ შორის ქართული წარმოშობის დიპლომატები. როგორც ცნობილია მოთხოვნას საფუძველად დაედო, მოსკოვში, ბირიულოვოს რაიონში მომხდარი მკვლელობა, როდესაც აზერბაიჯანელმა ორჰან ზეინალოვმა მოსკოველი იგორ შერბაკოვი მოკლა. “კავკასიელებით გადაივსო არა მხოლოდ რუსული ბაზრები, არამედ ბევრი სამინისტროც, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტრო” - აცხადებდნენ ბლოგერები. მაშინ, მართალია არ შეასრულა რუსეთის ხელისუფლებამ ბლოგერების მოთხოვნა, მაგრამ, ფაქტი, მათი მხრიდან ძალების ერთგვარი დემონსტრირება იყო. [5]

საზოგადოებაზე და ამომრჩეველზე ზემოქმედების მოსახდენად იყენებენ ბლოგინგს განვითარებული ქვეყნების პრეზიდენტებიც.

მაგალითად, ამერიკის პირველი აფროამერიკელ პრეზიდენტს (2009-2017 წლებში) **ბარაკ ობამას** ჰქონდა ვებგვერდი - „**ობამა ამერიკისთვის**“, რომლის ფუნქციონირებისათვის სპეციალურად ჰყავდა დაქირავებული ხალხი. ობამასთვის, ბლოგინგი მისი ისტორიული საარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმატების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. თავისი ბლოგების ვებგვერდის მეშვეობით ობამას შესახებ წერილები გვხვდებოდა ყველგან: facebook-ზე, myspace-ზე, youtube-ზე, twitter-ზე, Flickr-სა და სხვა სოციალურ ქსელებში და მილიონამდე მოხალისე დღე და ღამე პასუხობდა მისთვის დასმულ კითხვებს. ამერიკის ექსპრეზიდენტმა ძალიან წარმატებულად გამოიყენა ახალი მედიის შესაძლებლობები თავის წინასაარჩევნო თუ პრეზიდენტობის პერიოდში, რაზეც მისი წარმატებული წლები მოწმობს.

დიმიტრი მედვედევი რუსეთის პრეზიდენტი იყო 2008-2012 წლებში. ის ერთადერთი პრეზიდენტია რუსეთის ისტორიაში, რომელმაც ბლოგინგი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე აქტიურად გამოიყენა. მედვედევი ვირტუალურ სივრცეში გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში გამოჩნდა და თავის ბლოგების განთავსება დაიწყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე.

„ჩვენ უფრო მეტნი ვართ, ვიდრე დუმაში დეპუტატებიო, - მომწერა ერთ-ერთმა მომხმარებელმა ჩემს ბლოგზე და ვერც შევედავები. დუმაში 450 დეპუტატია, ჩემი ბლოგის მომხმარებელთა რიცხვმა კი ოცი ათასს გადააჭარბა“, - წერდა რუსეთის ექსპრეზიდენტი თავისი ბლოგის გახსნიდან 1 წლის თავზე. ის რეგულარულად ეცნობოდა ბლოგზე თავისი მიმდევრების კომენტარებს და ერთვებოდა ინტერაქციაში. მედვედევი ღიად საუბრობდა ბლოგინგის საჭიროებაზე. დაახლოებით ორ წლის შემდეგ ქვეყანაში ბლოგერთა რაოდენობა საგრძნობლად იყო გაზრდილი. როგორც თავად მედვედევი აცხადებდა ბლოგის შექმნის პირველ წელთან შედარებით, მომდევნო წელს ბლოგერთა რაოდენობა 7, 4 მილიონს აღწევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამდენივე მოქალაქესთან, ამომრჩეველთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს. მედვედევი ცდილობდა მოერგო ისეთი პრეზიდენტის იმიჯი, რომელსაც ძალიან ბევრი აქვს საერთო ახალგაზრდობასთან. წერდა ვიდეობლოგებს, სადაც მის მნახველებს უყვებოდა ამბებს პირადი ისტორიებიდან, იმასაც ამბობდა, რომ ბავშობაში ფოტოგრაფიით იყო გატაცებული. ხშირად წერდა ემოციურად და ასე ცდილობდა კავშირის დამყარებას საზოგადოებასთან. „ფოტოგრაფიის მთავარ არსს მე ვხედავ იმაში, რომ მას შეუძლია, დაიჭიროს წამი და მისი განუმეორებლობის სევდიანი განცდა მოგვგაროს“, - [6, 40-41]

დევიდ მილიბენდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო 2007-2010 წლებში. მილიბენდს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ჰქონდა სპეციალური განყოფილება ბლოგებისთვის, სადაც 37 ბლოგერი იყო თავმოყრილი. ესენი იყვნენ: მინისტრები, ელჩები, სხადასხვა მისიების წარმომადგენლები და ა.შ. მილიბენდისვის იმდენად დიდი და საპასუხიმგებლო საქმე იყო ბლოგერობა, რომ თუ გარკვეული პერიოდი ვერ ახერხებდა წერას, მის მიდევრებს აყენებდა საქმის კურსში ამის მიზეზის თაობაზე. „რადგან წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, ბლოგებს დროებით ვერ დავწერ. დიდი მადლობა თქვენი კომენტარებისთვის და ვიმედოვნებ, რომ მალე კვლავ განვაგრძობთ საუბარს“. - წერდა მინისტრი. გარდა პოლიტიკოსებისა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყენებს ახალი მედიის შესაძლებლობებს და აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანეთის

საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან აქტიურად იყენებს ახალ მედიას და საკუთარი გვერდი აქვს ყველგან: სოციალურ ქსელ Twitter-ზე, youtube-სა და Flickr-ზე. ოფიციალურ ვებგვერდზე კი გარკვევითაა აღნიშნული: „გვინდა, რომ ჩვენი ბლოგები იყოს პირადული, აწმყო დროში, გვსურს, ვწეროთ ისე, რომ გავითვალისწინოთ ბლოგის გამომხატურებები, შინაარსი კი მივაბათ ჩვენს საქმიანობას“. [6,40-41]

დასკვნა

პოლიტიკური ბლოგების წერა პოლიტიკოსს აძლევს საშუალებას ამომრჩეველზე მოახდინოს ზემოქმედება და აქციოს საკუთარ მხარდამჭერად, ხოლო სამოქალაქო აქტივისტებს ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ფიგურებად აქცევს, რომლებსაც საზოგადოება უსმენს და მოქმედებს მათი მითითებების შესაბამისად. ამას მოწმობს ყველა ის მაგალითი, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილეთ. ამის მიუხედავად, ძალიან ბევრ ქვეყანაში, არათუ ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები და აქტივისტებიც არ იყენებენ ახალი მედიის შესაძლებლობს, რაც შესაძლოა შეფასდეს მათი მხრიდან გარკვეული შანსების დაკარგვად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცხადაია გ. ინტერნეტ აქტივიზმი პოსტ-დასავლურ სამყაროში. ლიბერალი. თბილისი, 2011. 4-10 ივლისი, გვ.39-40, N83;
2. კაკაბაძე ი. ვინ მოკლა მწერალი. ლიბერალი. თბილისი, 2011. 8-14 დეკემბერი, N101, გვ.20-21;
3. „ცრუ მტკიცება აზერბაიჯანში ინტერნეტ თავისუფლების არსებობაზე“ <http://reporter.ge/azerbaijani-internet-tavisufleba/> / ბოლოს ნანახია 11.12.20/
4. „ჩეჩენი ბლოგერი, რომელიც ღიად აკრიტიკებდა კადიროვს, საფრანგეთში მოკლული იპოვეს“ <https://publika.ge/checheni-blogeri-romelic-ghiad-akritikebda-kadirovs-safrangetshi-mokluli-ipoves/> /ბოლოს ნანახია 11.12.20/

5. ბერიძემ. „პოლიტიკური უგუნურების ნიმუში - რუსი ბლოგერები ქართველი ელჩების წინააღმდეგ“. ვერსია. თბილისი, 2013. 28-29 ოქტომბერი, N112(868), გვ.8)
6. თვაური ა. ბლოგერი პოლიტიკოსები. ჟურნალი „ლიბერალი“, თბილისი, 2010. 26 აპრილი - 2 მაისი, N28;

Characteristics of Foreign Politicians' Blogs

*Diana Liparteliani, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Nowadays, blogging is considered to be one of the most effective means of expressing civic activism.

The ongoing political and legal processes in different countries of the world are clear examples of the strong influence of blogs on the public consciousness. The authors of political blogs are very often the victims of arrest or attack. Moreover, on the contrary, bloggers put pressure on the government and force them to make specific, undesirable decisions. Presidents and high-ranking officials of developed countries also use blogging to influence the public and the voters.

Writing political blog posts allows politicians to influence voters and turn them into their supporters while turning civil activists into accountable figures for the government.

Keywords: Blog, Blogosphere, Political Blogs, Politician Bloggers

მორდულობის პოლიტიკური ასპექტები

*ლორთქიფანიძე რუსუდან, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*შენგელია ქეთინო, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მორდუობა, როგორც პოლიტიკური პრაქტიკა და ინსტრუმენტი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში. წყაროთა თანახმად, მორდუობის, ძიძიშვილობის ინსტიტუტს საფუძველი სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში ჩაეყარა. ის იერარქიულ საფეხურზე მდგარ სხვადასხვა ფენას შორის დამოკიდებულების მოწესრიგებასა და ამ ფენათა ინტერესების დაახლოებას ემსახურებოდა. დროთა განმავლობაში აფხაზეთში „რძით დანათესავება“ ყველაფერზე ბევრად მაღლა დადგა. წყაროთა თანახმად, რუსეთის იმპერია კავკასიაში მხოლოდ იმ პირობით მოიკიდებდა ფეხს, თუკი აღმოფხვრიდა ხალხებს შორის ძიძაობას, მორდუობას, ბიძაშვილმამიდაშვილობას. ნაშრომი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს პასუხს კითხვებზე, თუ რა პოტენციალი აქვს ქართულ-აფხაზეთურ ურთიერთობებს, სახალხო და არაოფიციალურ დიპლომატიას, მაშინ, როცა ფორმალური ურთიერთბა კონფლიქტის მხარეებს შორის სულ უფრო რთულდება და არსებული ოფიციალური ფორმატების შეხვედრები კრიზისშია.

საკვანძო სიტყვები: მორდუობა, ტრადიცია, აფხაზეთი, სახალხო დიპლომატია.

შესავალი

ქართველებში მამამძუძეობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩვენი ერის დასაწყისიდან უძველეს ქართულ წყაროებშია დადასტურებული. „ქართლის ცხოვრების თანახმად“, იგი მაღალი წოდების საზოგადოებაში იყო გავრცელებული.

რაც უფრო მყარდებოდა ფეოდალური ურთიერთობები ბარში გადმონაცვლებასთან ერთად, მით უფრო გამოხატული და დატ-

ვირთული იყო ურთიერთვალდებულებებით მამამძუმეობის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის დამახასიათებელი ნიშნები კარგად შემოინახა სამეგრელოსა და აფხაზეთის ყოფამ.

აფხაზურად მამამძუმეს „აბამეი“, ხოლო დედამძუმეს - „ანამეი“ შეესიტყვებოდა. ფეოდალურ ხანაში პრივილეგირებული მაღალი წოდების ოჯახებიდან მშობლები ბავშვს, უმეტესად ვაჟს, დაბადებისთანავე აღსაზრდელად რამდენიმე წლით ან სრულწლოვანებამდე მათზე დაბალი წოდების ოჯახში გააძიძავებდნენ. აზნაურები და გლეხებიც სიხარულით იღებდნენ ბავშვს აღსაზრდელად, რადგან ამით ძლიერ მფარველს იძენდნენ. მამამძუმეს სახლის წევრებსა და ნამდვილ მშობლებს შორის რძით დანათესავების ურთიერთობის ჩამოყალიბების ნიადაგზე.

გამოჩენილ ქართველ მგოსანს, აკაკი წერეთელს მიხეილ შერვაშიძის ოჯახში ერთ-ერთი სტუმრობისას მოუსმენია აქ მომხდარი გამზრდელისა და მისი აღზრდილის ტრაგიკული ნამდვილი ამბავი. მგრძნობიარე მგოსანზე დიდად უმოქმედია გაგონილს. მასპინძლებთან ერთად საფუძვლიანად გაუანალიზებია მომხდარი ფაქტი, შემდეგ კი იგი პოემის ფაბულად გამოიყენა - მაღალმხატვრულად ასახა თავის დიდაქტიკურ პოემა „გამზრდელში“. ნაწარმოებში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ზნეობრივ ვალდებულებებზე მთავარი პერსონაჟების მოქმედებების მაგალითზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოემის მთავარი გმირი ბათუ აფხაზი ზნეობრივად სრულყოფილია. მან საფართან მმადნაფიცობა საკუთარ და ოჯახის ღირსებაზე წინ დააყენა, მიუხედავად იმისა, რომ საფარის დანაშაული უპატიებელი იყო.

აღნიშნულ შემთხვევაში ანალოგიური პარალელის გავლებაა შესაძლებელი ჰაკის სიტყვებთან, თავის ძიძიშვილს, უჯუშს რომ ეუბნება: მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავეთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა **მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეთ. სიცოცხლე დედაჩემმა ც გაიგონა ეს სიტყვები და შენი ძიძა დღესაც ცოცხალია.**“ აღნიშნული პარალელით ნათელია, რომ საფარი უბრალოდ მეგობარი არ არის, ის ძიძიშვილია და მასთან ყველაფერი სხვაგვარადაა. ყველაფერი ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერ ძმობასა თუ მეგობრობაში.

ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დაძაბვა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და ამაში ლომის წვლილი რუსეთის იმპერიას მიუძღვის. ის გამიზნულად ცდილობდა ქართული სამყაროსგან აფხაზეთისა და აფხაზების ჩამოშორებას.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის, დამიანე გოგობიასადმი მიძღვნილ წიგნში დაიბეჭდა ბაკურ გულუას მოგონებები, სადაც ვკითხულობთ: 1863 წლის ბოლოს, აფხაზეთის სამთავროს რუსეთთან მიერთების ბოლო ოპერაცია გუდაუთაში ჩაუტარებია. ჟანდარმერიის შტაბს-კაპიტანს მოუკლავს აფხაზთა წინააღმდეგობის ბოლო ხელმძღვანელი თავადი მანანი, მასთან ერთად მტერს თერთმეტმა ადამიანმა შეაკლა თავი. აღმოჩნდა, რომ თერთმეტივე ქართველი იყო.

ამ ფაქტის შესახებ რუსი შტაბს-კაპიტანი მოხსენებით ბარათში წერს რომ რუსეთის იმპერია მანამ ვერ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, სანამ აქ მცხოვრებ ხალხებს შორის არის ძიძაობა, მორღუობა, ყონალობა, ბიძაშვილმამიდაშვილობა და ა.შ. საჭიროა მათი ერთმანეთთან გადაკიდება, თორემ, ხომ დაინახეთ, ერთ აფხაზს თვალის დაუხამხამებლად თერთმეტი ქართველი როგორ შეეწირაო. აფხაზეთში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა პერსპექტიული ახალგაზრდების გადაბირება. ანალოგიური მუშაობა წარმოებდა აქ მცხოვრებ ქართველებს შორისაც. ქართველები იჟღინთებოდნენ ანტი აფხაზური სულისკვეთებით, ხოლო აფხაზები – პირიქით. შედეგმაც არ დააყოვნა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

დღევანდელ რეალობაში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ორგანიზაციები, პიროვნებები, რომელთაც შესწევთ ძალა და უნარი ქართველთადააფხაზთა ურთიერთობის დათბობისა. არასამთავრობო ორგანიზაცია “ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები” და მისი ხელმძღვანელი სოხუმელი რეზო ბენდელიანი 2003 წლიდან მოყოლებული, იღწვის იმულებით დანგრეული ქართულ-აფხაზური ოჯახის დასახლოებლად.

ურთიერთობის ძირითად მოტივად რჩება ნათესაური კავშირი, მაგრამ ჩნდება კითხვა, რა სახის რესურსი არსებობს დამატებით საიმისოდ, რომ ურთიერთობის თუნდაც პირველი ეტაპი დაიწყოს. ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რეზო ბენდელიანი ასახელებს ეკონომიკურ ურთიერთობებს. ასევე კულტურულ და საგანმანათ-

ლებლ ღონისძიებებს. მას შემუშავებული აქვს პროექტი აფხაზური ენის შემსწავლელ კურსებთან დაკავშირებით. როგორც თავად ამბობს, ამ პროექტის შექმნა არ იყო თვითმიზანი, ის უბრალოდ საჭირო გახდა იმ კატეგორიის ადამიანებისათვის, ვინც შერეული ოჯახის წარმომადგენელია და დღესაც კონტაქტობს აფხაზ ნათესავებთან.

ანალოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია “ქართულ-აფხაზური შერეული ქორწინებები” აფხაზეთშიც ფუნქციონირებდა და ეს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობდა ერთმანეთთან. ზუგდიდში გახსნილი იყო “შერიგების სახლი”, სადაც თავს იყრიდნენ აფხაზეთიდან გადმოსული აფხაზი ეროვნებისა და ზუგდიდელი მცირე თუ საშუალო მეწარმეები და ვაჭრობის სფეროთი დაკავებული ადამიანები. აქ ისინი რამდენიმე დღე რჩებოდნენ, ეცნობოდნენ სამეგრელოს ღირსშესანიშნაობებს და უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

ეს ყველაფერი ხდებოდა წარსულში. დღეს ეს ორგანიზაცია უმოქმედოდ და უფუნქციოდაა. თუ ადრე საერთაშორისო ორგანიზაციები ინტერესდებოდნენ და ხელისუფლებიდანაც არ იყო ხელის შეშლა, ამჟამად ამ საკითხის მიმართ რატომღაც საერთაშორისო ორგანიზაციები და ხელისუფლებაც სრულ იგნორირებას იჩენენ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ომამდე მცხოვრებთა 41% იყო შერეული (ქართულ-აფხაზური) ოჯახი. თუ შერეულ ოჯახში ცოლი იყო ქართველი, ის აფხაზეთის ტერიტორიაზე რჩებოდა აფხაზ მეღვინესთან ერთად, და პირიქით, აფხაზი ქალები, რომლებსაც ქართველი მეუღლეები ყავდათ, ომის შემდეგ გადმოვიდნენ აფხაზეთიდან.

ათეული წლების განმავლობაში აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები რუსეთის ხელშეწყობითა და წაქეზებით ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ აფხაზთა მეხსიერებიდან წაეშალათ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ისტორიული ერთობის იდეა, თუმცა, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, საუკუნეების მანძილზე სისხლითა და ხორციით, მორალითა და ზნეობით დანათესავებულების დაშორება არც თუ მარტივი საქმე აღმოჩნდა რუსეთის იმპერიისთვის. მიუხედავად პოლიტიკურად გაყინული ვითარებისა, ხალხთაშორისი ურთიერთობები მაინც მუდმივად იჩენს თავს და მანამ არ მინელდება, სანამ ქართველებსა და აფხაზებს ახსოვთ ერთმანეთი.

ლიტერატურა

1. ნ.მგელაძე მამამძეძეობა დასავლეთ საქართველოში. XVI, თბ.1989
2. მ. ლორთქიფანიძე „აფხაზეთი და აფხაზები“; თბ. 1990
3. ბ. ხორაბავა „ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა“ თბ. 1990
4. Intermedia.ge - აფხაზები და ქართველები - ერთი ხალხი 18 მარტი, 22:32
5. რადიო ათინათი კოლხური ეთნოგრაფიული ვარიაციები - მორდუობა - 27.08.2017
6. saunje.ge- სამეგრელოს ტრადიციები და წეს - ჩვეულებები - მანანა სოსელია
7. რადიო თავისუფლება - რადიცია და ღირებულება ავტორი: სოფიკო აბაშიძე, მარტი 03, 2015
8. droni.ge -ყაზარდო-ბალყარეთში მორდუობის ტრადიციის აღდგენა იწყება - ექსპერტთა კლუბი - 02.08.2011
9. geotimes.ge - 1963 წელს ლიბავასკენ მანქანით მიმავალ ნიკიტა ხრუშჩოვს - ფრიდონ დარჩია 2009.03.06

Political aspects of Mordecai

*Rusudan Lortkipanidze, associate professor
Georgian Technical University*

*Ketino Shengelia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The text discusses „morduoba”, as a political practice and a tool that was passed down from generation to generation over a period of time. According to researchers, the institute of „morduoba” was founded in a socially differentiated society. It served to regulate attitudes between different people, bringing interests closer together. Over time, “milk kinship” has become most important in Abkhazia. Russia abolished „Morduoba” in the Caucasus in order to dominate there. The article answers the questions about the potential of Georgian-Abkhazian relations, public and informal diplomacy. While formal relations between the parties to the conflict are becoming increasingly difficult. Existing official formats are in crisis.

განწყობებზე მედიის ტენდენციურობის ზეგავლენის მექანიზმები

*მალალურაძე თამარ, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ზოგიერთი თეორიის თანახმად, ტენდენციურობის ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღიქვამს აუდიტორია მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ძალიან ბევრი იმ კვლევის შედეგი, რომელიც ასეთი ზემოქმედების ხარისხს სწავლობდა, აჩვენებს, რომ ზემოქმედების ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მკვლევრებმა უკვე კარგა ხანია აღმოაჩინეს, რომ ადამიანი საკუთარი შეხედულების შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვის და გაურბის იმ შეტყობინებებს, რომლებსაც მისი შეცვლა შეუძლიათ. აშშ-ში ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მედია არსებით ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემაზე. ასეთი დასკვნის საფუძველი გახდა ის ემპირიული მონაცემები, რომლებიც Fox News-ის აუდიტორიის განწყობებზე დაკვირვებისას მოიპოვეს. დელა ვინიემ და კაპლანმა გამოკვეთეს მოდელი, რომლის თანახმადაც მკს ხმის მიცემაზე 2 გზით ზემოქმედებენ. პირველი გზა არის რაციონალური სწავლება, რომელიც გულისხმობს, რომ მედიის ინფორმაციას მრწამსსა და ხმის მიცემაზე მხოლოდ ხანმოკლე ასპექტით ზემოქმედება შეუძლია, ხოლო მეორე, პირიქით, წარმოადგენს ირაციონალურ რწმენას, რომელიც ვარაუდობს, რომ მკს-ს შეუძლიათ მოახდინონ გავლენა შეხედულებებსა და ხმის მიცემაზე ხანგრძლივი პერსპექტივით. ორივე თეორია - რაციონალური და ბიჰევიორული - ერთსა და იმავე პროგნოზს აკეთებს ხანმოკლე პერსპექტივის შესახებ, მაგრამ სხვადასხვას - გრძელვადიანით. მიღებული მონაცემების განმარტება ამგვარადაც შეიძლება - ადამიანები ინფორმაციის იმ წყაროს ირჩევენ, რომელიც მათს პოლიტიკურ შეხედულებებს შეესაბამება.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური მრწამსი, მკს, ტენდენციურობა, ინფორმაციის გაფილტვრა, გმელვადიანი და ხანმოკლე ეფექტები

შესავალი

დიდი ხანია აღიარებულია, რომ მმართველობის წარმომადგენლობითი სისტემის პირობებში პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამომრჩეველთა მრწამსი და ის, თუ რა არის მათთვის პრიორიტეტული. საკვანძო როლს კი ამ მრწამსისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ასრულებენ. სწორედ ისინი აგროვებენ, აზოგადებენ და ქმნიან ინფორმაციის შინაარსს, რომელსაც ეყრდნობიან ამომრჩეველები, როდესაც წყვეტენ, ვის მისცენ ხმა.

ძალიან ბევრი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ მკს-ს შეუძლია აუდიტორიის პოლიტიკური მრწამსით მანიპულირება და მიკერძობულ მედიასაშუალებას შეუძლია აუდიტორიას წინასწარ შეუქმნას ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაზე, პარტიასა თუ მოღვაწეზე უარყოფითი შეხედულება და ამით გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ეს პრობლემა აშშ-შიც აქტუალურია. ამერიკელების 70% თვლის, რომ მკს ახალ ამბებს უაღრესად მიკერძობულად აშუქებენ (Pew, 2004). იმ ქვეყნებში კი, სადაც მედია ისეთი თავისუფალი არაა, როგორც აშშ-ში, მკს-ის ტენდენციურობა კიდევ უფრო გავრცელებული მოვლენაა.

ძირითადი ნაწილი

მაგრამ ყოველთვის ქმნის კი მკს-ის ტენდენციურობა პრობლემას? ზოგიერთი თეორიის თანახმად, ტენდენციურობის ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღიქვამს აუდიტორია მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. თუკი ადამიანები იაზრებენ მკს-ის ტენდენციურობას და შეუძლიათ ინფორმაციის გაფილტვრა, მაშინ დამახინჯებული ინფორმაცია ვერ მოახდენს სერიოზულ გავლენას ამომრჩეველთა მრწამსზე (Bray and Kreps, 1987).

ალტერნატიული თეორიები კი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ მკს-ს შეუძლიათ ასეთი სერიოზული გავლენის მოხდენა, რადგანაც ამომრჩეველები სრულად ვერ აცნობიერებენ მათს ტენდენციურობას (De Marzo, Vayanos and Zwibel, 2003). ამასთან, ადამიანთა შეხედულებები და მრწამსი უშუალოდაა დამოკიდებული ახალი ამბების მიწოდების ფორმაზე (Lakoff, 1987).

საბოლოო ჯამში, მკს-ის ტენდენციურობის მრწამსსა და შეხედულებებზე ზეგავლენის დოზისა და ხარისხის დადგენა ემპირიული ხასიათის ამოცანაა. ძალიან ბევრი იმ კვლევების შედეგი, რომლებიც ასეთი ზემოქმედების ხარისხს სწავლობდნენ, აჩვენებს, რომ ზემოქმედების ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუმცა ზოგიერთი შედეგის ახსნა იმით შეიძლება, რომ ადამიანები თავად ირჩევენ იმ მკს-ს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ. მაგალითისათვის, მემარჯვენე შეხედულებების მქონე ამომრჩევლები მემარჯვენე მკს-ს ამჯობინებენ, რის გამოც ჰგონიათ, რომ მათ მრწამსს სწორედ ასეთი წყაროები აყალიბებენ. სინამდვილეში მკვლევრებმა უკვე კარგა ხანია აღმოაჩინეს, რომ ადამიანი საკუთარი შეხედულების შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვის და გაურბის იმ შეტყობინებებს, რომლებსაც მისი შეცვლა შეუძლიათ.¹

უკვე დიდი ხანია დადგენილია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის შეფასებებსა და მრწამსს, ფსიქოლოგიურ დისკომფორტს (დისონანსს) იწვევს, რომლისგანაც აუცილებელია განთავისუფლება. ჩვეულებრივ, ადამიანები ცდილობენ, არ შეიცვალონ წარმოდგენა საკუთარი თავისა და გარესამყაროს შესახებ. ამიტომ როდესაც ადამიანი ისეთ რამეს იგებს, რაც მის შეხედულებებსა და განწყობებს ეწინააღმდეგება, ცდილობს, სხვადასხვა საშუალებით მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში მოიყვანოს ისინი ერთმანეთთან.² მთლიანობაში ეს „საშუალებები“ სელექციურ პროცესებად იწოდება. ისინი მოქმედებენ, როგორც გაფილტვრის უაღრესად რთული მექანიზმები, რომლებიც გაცხრილავენ არასასურველ სენსორულ მონაცემებს და ამავდროულად მათ შორის გამოავლენენ ყველაზე საჭირო მოდელებს. კლაპერი წერდა: „ყველაზე ხშირად ადამიანები მიისწრაფვიან, საქმე ჰქონდეთ იმ მასობრივ კომუნიკაციებთან, რომლებიც ემთხვევიან მათს განწყობებსა და ინტერესებს. გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, ისინი თავის არიდებენ, გაურბიან საწინააღმდეგო შინაარსის შეტყობინებებს და თუკი ისინი მაინც გადააწყდებიან თავიანთთვის არა-სასიამოვნო მასალას, ან საერთოდ არ აღიქვამენ მას, ან ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებენ, რომ მათს განწყობებს შეესაბამებოდეს, ან უფრო სწრაფად ივიწყებენ, ვიდრე თავიანთთვის სასიამოვნო მასალას.“³

თუმცა აშშ-ში ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მედია არსებით ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემაზე. ასეთი დასკვნის საფუძველი გახდა ის ემპირიული მონაცემები, რომლებიც Fox News-ის აუდიტორიის განწყობებზე დაკვირვებისას მოიპოვეს. მაგრამ ამ არხის ინფორმაციამ გავლენა მოახდინა აუდიტორიის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც მხარს რესპუბლიკურ პარტიას უჭერს, რაც გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 24-საათიანი მაუწყებლობის ტელეარხი Fox News, რომელიც რუპერტ მერდოკმა 1996 წ. შექმნა, სხვა სატელევიზიო არხებზე (ABC, CBS, CNN და NBC) უფრო მემარჯვენეა. 2000 წლისათვის Fox News ფარავდა აშშ-ს ქალაქების 20% და მისი აუდიტორია მოსახლეობის 17%-ს შეადგენდა. ამ არხის ზემოქმედების შესწავლაზე არჩევანი ორი მიზეზის გამო შეაჩერეს: მისი ზემოქმედება საკმაოდ შესამჩნევი იყო და ამდენად ადვილად აღმოსაჩენი, მეორე მხრივ, შესაძლებელი იყო მისი ზემოქმედების გამოიჯვნა სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც ასევე ზემოქმედებენ არჩევნებზე. მონაცემთა ანალიზის შედეგად ზოგადი დასკვნა ასეთია: ეს არხი არსებით გავლენას ახდენს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ ხმის მიცემაზე, ანუ ამყარებს იმ განწყობებს, რომლებიც უკვე აქვთ ამ პარტიის მხარდამჭერებს და ვერ ცვლის დემოკრატიული პარტიის ელექტორატის განწყობებს. ერთადერთი, რაც უდავოა, ისაა, რომ მკს-ის ტენდენციურობა ნამდვილად აისახება ხმის მიცემაზე სამაუწყებლო ბადის გაფართოებისას, როგორც ეს Fox New-ის არხის შემთხვევაში მოხდა.

სხვათა შორის, ამ დასკვნების ჭეშმარიტებას საქართველოს სინამდვილეც ადასტურებს. ყველას მოეხსენება, რომ ქართული მედია მკვეთრად პოლარიზებულია და, რაც ყველაზე მთავარია, ზოგი არხი, მაგალითად „მთავარი არხი,“ არც მალავს, რომ თავის შეფასებებში მიკერძოებულია და „მხარეა.“ სხვა არხები თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიებს ასე საჯაროდ არ აცხადებენ, მაგრამ ინფორმაციის მიწოდების, ახალი ამბების კომპონირებისა და კომენტარების ხერხები საკმაოდ მკაფიოდ წარმოაჩენენ მათს პოზიციას. აუდიტორიაც ზუსტად ასეა პოლარიზებული. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მათი სატელიტი თუ პირმშო პარტიების მხარდამჭერები ინფორმაციის მისაღებად „მთავარი

არხითა“ და მსგავსი პოზიციის მქონე მედიით სარგებლობენ, ანუ მათზე გავლენას ახდენს მხოლოდ ის მედია, რომელიც მათ უკვე არსებულ განწყობებსა და თვალსაზრისებს შეესაბამება და არ იწვევს კოგნიტურ დისონანსს. რაც შეეხება დანარჩენ აუდიტორიას, მათს არჩევანსა და განწყობებზე აღნიშნული არხები არსებით გავლენას ვერ ახდენენ.

დელა ვინიემ და კაპლანმა (Della Vigna and Kaplan, 2007) გამოკვეთეს მოდელი, რომლის თანახმადაც მკვს ხმის მიცემაზე 2 გზით ზემოქმედებენ. პირველი გზა არის რაციონალური სწავლება, რომელიც გულისხმობს, რომ მედიის ინფორმაციას მრწამსსა და ხმის მიცემაზე მხოლოდ ხანმოკლე ასპექტით ზემოქმედება შეუძლია, ხოლო მეორე, პირიქით, წარმოადგენს ირაციონალურ რწმენას, რომელიც ვარაუდობს, რომ მკვს-ს შეუძლიათ მოახდინონ გავლენა შეხედულებებსა და ხმის მიცემაზე ხანგრძლივი პერსპექტივით.

ჯერ განვიხილოთ ინფორმაციის რაციონალური განახლება ისეთი ახალი მედიასაშუალებების გაჩენისას, რომლის მიკერძოებულობაც ცნობილია. ეს არაობიექტურობა აისახება გარკვეული პოლიტიკური კანდიდატის მოღვაწეობის გაშუქებისას. მაგალითად, იმ პარტიის კანდიდატს, რომელსაც მხარს უჭერს, მომგებიანი რაკურსით წარმოადგენს, უარყოფით მომენტებზე კი არაფერს ამბობს. რაციონალურად მოაზროვნე მაყურებლები, რომლებმაც ზუსტად იციან, რა დოზითაა მიკერძოებული ეს მედიასაშუალება, ხვდებიან, რომ უარყოფითი სიახლეების შესახებ არ იტყობინებიან, ხოლო დადებითი გაზვიადებულია. თუი აუდიტორია გრძნობს მოცემული წყაროს მიკერძოებულობას, ის ითვალისწინებს, რომ ინფორმაცია კონკრეტული კანდიდატის შესახებ დამახინჯებულია, შესაბამისად, საშუალოდ, ინფორმაციის ამ წყაროს მიკერძოებულობა ასეთ აუდიტორიაზე არ აისახება, გავლენას ვერ მოახდენს.

პროგნოზი სხვაგვარი იქნება, თუკი წყაროს მიკერძოებულობა არაა ცნობილი. ასეთი სიტუაცია იქმნება იმ ტელემაყურებლებთან, რომლებიც ახალ არხს პირველად უყურებენ. მაგალითად, ის ტელემაყურებლები, რომლებიც უყურებენ ინფორმაციის ახალ წყაროს, რომელიც Fox News Channel-ის მსგავსად უფრო დადებითადაა განყოფილი, ვთქვათ, რესპუბლიკური პარტიის მიმართ (აშშ), ვიდრე სხვა მკვს. მაყურებლები უყურებენ რეპორტაჟებს

რეპუბლიკური პარტიის კანდიდატების შესახებ და აღმოაჩინენ, რომ ისინი გაცილებით უფრო დადებითი პიროვნებები არიან, ვიდრე ელოდნენ. ისინი იცვლიან თავიანთ შეხედულებებს და თვლიან, რომ ეს კანდიდატები არჩევის ღირსნი არიან. თუმცა ამავე დროს ისინი ითვალისწინებენ, რომ ინფორმაციის ეს წყარო უპირატესობას მემარჯვენეებს ანიჭებს. უყურებენ რა სულ უფრო და უფრო მეტ სახოტბო რეპორტაჟს რესპუბლიკელი კანდიდატების შესახებ, მაყურებლები ხვდებიან, რომ ინფორმაციის ახალი წყარო გაცილებით მეტად მემარჯვენეა, ვიდრე მკს საშულოდ და კანდიდატის შეფასებისას ახლა უკვე მხედველობაში იღებენ ახალი არხის არაობიექტურობას. შესაბამისად, ხანმოკლე ასპექტით, ისინი, მართალია, ექცვიან ახალი წყაროს გავლენის ქვეშ, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში ისინი აცნობიერებენ მის მიკერძოებულობას და აღარ ემორჩილებიან მის ზემოქმედებას.

შესაძლებელია მოვლენების განვითარების კიდევ ერთი ვარიანტი. არარაციონალურად მოაზროვნე მაყურებლები სათანადოდ არ ფილტრავენ ინფორმაციას მკს-ის ტენდენციურობის გათვალისწინებით. მაგალითად, ისინი, შესაძლოა, აცნობიერებდნენ წყაროს არაობიექტურობას, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რა დოზით ახდენს ეს გავლენას მასალის მიწოდებაზე. ასეთი მაყურებლები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი ამბების გამოშვებების შინაარსს და სათანადოდ ვერ აფასებენ არაობიექტურობას მოვლენების გაშუქებისას. საბოლოოდ, ისინი ხვდებიან მკს-ის არაობიექტურობის ხარისხს, მაგრამ არ იცვლიან თავიანთ შეხედულებებს კანდიდატების შესახებ, რადგან ვერ ხვდებიან, რა დოზით აისახება წყაროს ტენდენციურობა ინფორმაციის მიწოდების ფორმასა და შინაარსზე. ასეთი სცენარის დროს მკს-ის ზეგავლენა მუდმივია და დროთა განმავლობაში არ იკლებს.

დასკვნა

ორივე თეორია - რაციონალური და ბიჰევიორიული - ერთსა და იმავე პროგნოზს აკეთებს ხანმოკლე პერსპექტივის შესახებ, მაგრამ სხვადასხვას - გრძელვადიანისა. პირველის თანახმად, Fox News Channel-ის ზეგავლენა წარმავალი იქნება, ხოლო მეორის თანახმად - უფრო ხანგრძლივი. ეს კვლევები თვალნათლივ აჩვენებს, რომ მკს-

ის აუდიტორია არაერთგვაროვანია პოლიტიკური შეხედულებების თვალსაზრისით და მედია ყოველთვის ვერ ახერხებს ამომრჩეველთა გადარწმუნებას. მიღებული მონაცემების განმარტება ამგვარადაც შეიძლება - ადამიანები ინფორმაციის იმ წყაროს ირჩევენ, რომელიც მათს პოლიტიკურ შეხედულებებს შეესაბამება. ასეთი გააზრება გვაიძულებს სხვა დასკვნები გამოვიტანოთ პოლიტიკის შესახებაც, რადგანაც ამ შემთხვევაში უკვე აღარ არსებობს საფუძველი, ჩავთვალოთ, რომ მკს-ის ტენდენციურობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას ანიჭებენ ამომრჩევლები უპირატესობას.

ლიტერატურა:

¹ Festinger L. Cognitive Dissonance // Scientific American. 1962. No 207. გვ. 93.

² Allport G. W., Postman L. J. The Basic Psychology of Rumor // Transactions of the New York Academy of Sciences. 1945. No 8. გვ. 61-81.

³ Klapper J. T. The Effects of Mass Communication. N.Y.. 1960. გვ. 18-19.

⁴ Стефано ДеллаВинье и Итан Каплан, Политический эффект предвзятости СМИ, წიგნში Информация и общественное мнение, От репортажа в СМИ к реальным переменам, редактор РуминИслам, Алпина Паблишерз, М.2010, გვ. 113-121

Mechanisms of Media Trend Influencing on Attitudes

*Tamar Malaghouradze, associate professor
Georgian Technical University*

Summary

According to some theories, the impact of MMC tendency depends on how the audience perceives the information provided by the media. The results of many researches, that have studied the degree of such exposure show that it is quite significant. Researchers have established that people tend to maintain their personal views and avoid messages that can change it. Recent studies in

USA have shown that the media has a significant influence on voter turnout. Conclusion was based on the empirical data obtained while observing attitudes of the Fox News audience. Della Vinnie and Kaplan have outlined a model, according to which MMC can affect voting in two ways. The first way is rational teaching, which implies that media information can influence belief and voting only in a short-term aspect, while the second, on the contrary, is irrational belief, which suggests that MMC can influence views and voting in the long run. Both theories - rational and behavioral - make the same prediction about the short-term perspectives, but differ in regards with long-term perspectives. The obtained information can also be interpreted in the following way - people choose that source of information which is in line with their political views.

Keywords: Political belief, MMC, Tendency, Information filtering, Long-term and short-term effects

რეგიონალური თრეველჟურნალისტიკის პერსპექტივები

*ქათამაძე ლია, ასოციებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

გლობალიზაციამ რეგიონალური მედიების პოზიციები შეასუსტა და გააძლიერა საკუთარ, ლოკალურ კულტურასთან გაუცხოების პროცესი. ამავ დროს განვითარდა ლოკალური კულტურული მრავალფეროვნებების გაცნობის ტენდენცია და ეს ტურიზმის დამსახურებაა.

აქტუალური გახდა მედიის ახალი კონტენტი - სამოგზაურო ბლოგინგი, მოგზაურობის ჩანაწერები, მედიატურიზმი და სამოგზაურო ჟურნალისტიკა. თრეველჟურნალისტიკის მიმართ იზრდება სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესი. მოგზაურობასთან დაკავშირებული დეფინიციები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მაგრამ უკვე ამ ეტაპზე გამოიკვეთა განსხვავება თრეველჟურნალისტიკასა და თრეველბლოგინგს შორის. თრეველბლოგების დამახასიათებელი არაფორმალური, პერსონალიზირებული შინაარსი თუმცა მიმზიდველი და პოპულარულია, მაგრამ თრეველჟურნალიზმისთვის დამახასიათებელი მთავარი თვისება - სიზუსტე და დოკუმენტალურობა იძლევა უფრო ობიექტურ და სანდო სურათს. თრეველჟურნალისტიკის რეგიონალური განვითარების პერსპექტივა კულტურის რეპრეზენტაციის, შიგნიდან გაშუქების შესაძლებლობას იძლევა. ეს ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: თრეველჟურნალისტიკა, თრეველბლოგი, თრეველმწერლობა, სამომხმარებლო კონტენტი, სიზუსტე, სანდოობა, რეგიონული.

შესავალი

გლობალიზაციის ფონზე მედიაში ერთდროულად ორი, ერთმანეთის საპირისპირო, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავი, ტენდენცია იკვეთება. პირველ რიგში, ეს არის კულტურული უნი-

ფორმულობა და გაერთვაროვნება. მისი თანმდევი პროცესია ცენტრალიზებულ მედიასაშუალებებზე მოთხოვნის გაზრდა და რეგიონული მედიების პოზიციების შესუსტება. შედეგად, გაძლიერდა საკუთარ, ლოკალურ კულტურასთან გაუცხოების პროცესი, მედიამ დაკარგა კულტურული უნიკალურობის რეპრეზენტაციის ფუნქცია. მეორე მხრივ, მსოფლიოში სწრაფი ტემპით განვითარდა ლოკალური კულტურული მრავალფეროვნებების გაცნობის, შესწავლის, გადაფასების ტენდენცია და ეს ტურიზმის დამსახურებაა. მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ, მომსახურების მრავალფეროვანი სფეროების გაჩენამ ტურიზმი ეკონომიკასთან გადააჯაჭვა. ტურიზმის წინამორბედს - მოგზაურობას განსაზღვრავდა ეპოქისთვის დამახასიათებელი მიზნები. ეს იყო სამეცნიერო-გეოგრაფიული, ახალი მიწების აღმოჩენის, მხარეთმცოდნეობითი თუ ეთნოგრაფიული სპეციფიკური შინაარსი. ტურიზმი კი მოგზაურობის მასობრივი ფორმა, რეკრეაციასა და გართობის ინდუსტრიასთან დაკავშირებული შინაარსია, აშკარად გამოკვეთილი ეკონომიკური მიზნებითა და მომხმარებლური ხასიათით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, აქტუალური ხდება მედიის ახალი კონტენტი - სამოგზაურო ბლოგინგი, მოგზაურობის ჩანაწერები (travel writing), მედიატურიზმი და სამოგზაურო ჟურნალისტიკა, რომელსაც დღეს მსოფლიოში თრეველჟურნალისტიკას უწოდებენ. სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესი ამ უკანასკნელის მიმართ იზრდება. მას აღიარებენ როგორც დამოუკიდებელ მიმართულებას, მაგრამ ჯერჯერობით შეთანხმებული, ერთიანი დეფინიცია თრეველჟურნალისტიკასა და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს არ გააჩნიათ. არსებობს აშკარა ტენდენციაც - ერთგვარი ცდუნება მოგზაურობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შინაარსი მონათლოს თრეველჟურნალისტიკად. უფრო მისაღებია მკაცრად განსაზღვრული სამეცნიერო მიდგომა, რომლის საფუძველზეც, პირველ რიგში, აუცილებელია მედიატურიზმისა და სამოგზაურო ჟურნალისტიკის გამიჯვნა.

ტურიზმის განვითარების, მოგზაურთა და დამსვენებელთა მიზიდვის ყველაზე კონკურენტუნარიანი საშუალება ინტერნეტია. რეალური მოგზაურობების დაგეგმვა სწორედ ვირტუალურ სამყაროში ხდება - ეს შეიძლება იყოს დაჯავშნის, ტურისტული საგზაუ-

რის შექმნისა და სხვა სერვისები და აქვე იშლება მომხმარებლისთვის ტურისტულ მარშრუტებთან დაკავშირებული არაფორმალური პროდუქტი - თრეველბლოგინგი. თრეველბლოგინგი არის სამომხმარებლო კონტენტი ე.წ. WEB 2.0. მას უცხოურ თეორიაში ასევე UGC (User Generated Content) ეწოდება. ასევე გაჩნდა ცნება თრეველ 2.0. (Travel 2.0.). ძალიან ხშირ, უფრო სწორად კი, უმეტეს შემთხვევაში ინტერნეტმომხმარებელი თავისთვის საჭირო ინფორმაციას აქ უფრო იპოვის, ვიდრე ტურისტული სააგენტოების სარეკლამო-საცნობარო ინფორმაციულ საცავებში. რამდენადაც ვირტუალურ სამყაროში გაძლიერებულია ყურადღება ყოველივე პირადულის მიმართ, თრეველბლოგების მიზნიდევლობას სწორედ ეს პერსონალურობა ქმნის. საქმე ის არ არის, რომ ამ ბლოგებს მეტი სარწმუნოება აქვთ. ვირტუალურ რეალობას სიზუსტის მოთხოვნა არც გააჩნია, რადგან მას პერფომანსულობა უფრო ახასიათებს - ყველა ცდილობს საკუთარს წარმოჩენას გაუმჯობესებული, უკეთესი რაკურსით. ამრიგად, აქ სანდოობისა და სარწმუნოების ხარისხზე არ არის საუბარი, არამედ ბლოგისთვის დამახასიათებელი სილაღე და არაფორმალურობა ქმნის რეალობასთან მაქსიმალური მიახლოების ილუზიას. და მაინც თრეველბლოგინგის წარმატებულობას გარკვეული ცოდნა ესაჭიროება. არსებობს სკოლები, რომლებიც თრეველტექსტებისა და ფოტო თუ ვიდეოგადაღებებს ასწავლიან. მაგრამ ამავე დროს ბლოგოსფერო იძლევა თავისუფლებას, რომ სამოყვარულო ან დილეტანტურ დონეზე აწარმოონ ბლოგი.

იმისთვის, რომ თრეველბლოგინგი ფუნქციონალურად გავმიჯნოთ თრეველჟურნალისტიკისგან, აუცილებელია ვისაუბროთ მათ კომუნიკაციურ მიზანდასახულებაზე. თრეველბლოგერი ინფორმაციას აწვდის ინტერნეტ აუდიტორიას საკუთარი გამოცდილების მიხედვით. ეს ინფორმაცია პერსონალურია და უპრეტენზიო. აუდიტორიის მხრიდან ეს მიმართულება მხოლოდ ნახვებსა და კომენტარებს ელის. თრეველჟურნალისტიკის მიზანდასახულება კი შემეცნებით-გასართობი ან დოკუმენტური ინფორმაციის შექმნაა მოგზაურობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. ის აცნობს ქვეყანას, ხალხს, კულტურას. მის ცენტრში დგას ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ფოკუსირებული მოგზაურობა. თრეველჟურნალისტიკის მთავარი განმასხვავებელი

ნიშანი პროფესიონალიზმია. აქვეა აღსანიშნავი, რომ ის ყოველთვის მედიის ორგანიზებულ ფორმებთან არის დაკავშირებული, რაც გამოიხატება რედაქციისა თუ ტელეკომპანიის მიზნებსა და გეგმებთან შესაბამისობაში.

ზოგიერთი მკვლევარი სამოგზაურო თემატიკასთან მიმართებაში მოიხმობს ჟურნალისტიკაში არსებულ სოფთ (soft) და ჰარდ (hard) მიმართულებებს და თრეველ ჟურნალისტიკას სოფთ კონტენტს მიაკუთვნებს. აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო და პერსონალური ხასიათის ვებ 2.0.-ის მნიშვნელობა უფრო მეტად არის წამოწეული, მით უმეტეს, რომ ამას მონეტიზაციაც კვებავს. კონსიუმერიზმი, როგორც თანამედროვე, კომერციულ საწყისებზე მომუშავე მასმედიის შინაარსის მთავარი ტონის მიმცემი, მონეტიზაციის პირობებშიც ანალოგიურად განსაზღვრავს მედიაპროდუქტის შინაარსსაც. კონსიუმერიზმი დღეს იმდენად არა მედიის, არამედ საზოგადოების თვისებად იქცა და სწორედ ნახვების, მოწონებებისა და კომენტარების რაოდენობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მედიააუდიტორიების მოთხოვნილებებზე. უტყუარ, დოკუმენტურ და პროფესიონალების მომზადებულ პროდუქტსა და პერსონალურ, გადაუმოწმებელ, მარტივი ინფორმაციის შემცველ ბლოგებს შორის პოპულარობა ამ უკანასკნელთ ერგებათ. უფრო მეტ ფასეულობას იძენს არაფორმალური, მაგრამ ემოციური შინაარსი. რაც მთავარია, ეს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებებზე დამყარებული ინტერესია. ეს არის დაფარული, ეთიკის გარეშე მდგომი შინაარსი. თანამედროვე მედიამ თანდათან გადალახა ზოგადი თუ პროფესიული ეთიკის ყველა ბარიერი. საზოგადოებაში არსებული შემაკავებელი ნორმები მედიის კომერციალიზაციის პირობებში მოიშალა. ის, რაც მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, არათუ საჯაროდ, არამედ ვიწრო წრეშიც არ ითქმოდა, გამოიშვლდა. აუდიტორიებისთვის პროფესიული მიდგომები უკვე მოსაწყენი გახდა. ღია, არაფორმალური კონტენტი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა თავისი უშუალოებითა და არაორგანიზებულობით, რომ სარწმუნოებისა და ობიექტურობის მოთხოვნა მასთან შედარებით გაფერმკრთალდა. ასეთ ვითარებაში პროფესიული ჟურნალისტიკის გამოწვევაა ისეთი შინაარსის შექმნა, რომელიც ამ პერსონალიზებულ ინფორმაციას კონკურენციას სწორედ სიზუსტით გაუწევს.

საერთაშორისო აკადემიური კვლევები თრეველჟურნალისტიკიდან ასევე განაცალკევებს ჩანაწერებს მოგზაურობების შესახებ. რეიჩელ მ.ტიედის თქმით, „თრეველ ჟურნალისტი უნდა გამოვიდეს ფესტივალების, მუზეუმებისა და ოტელების მიმოხილვების ჩარჩოებიდან - ეს სამოგზაურო ჩანაწერებია. თრეველ ჟურნალისტიკა უნდა ახსნას, რა მნიშვნელობისაა თითოეული მათგანი კულტურისთვის. სამოგზაურო ჩანაწერები იზიდავენ ტურისტებს, თრეველ ჟურნალისტიკა - მოგზაურებს - მათ, ვისაც დანამდვილებით სურს სხვა კულტურის გაცნობა. თრეველჟურნალისტიკა იწყება იქ, სადაც იწყება მისი მნიშვნელობა - ადამიანებმა გაიგონ სხვა კულტურების შესახებ ზუსტი წარმოდგენების მეშვეობით“. როგორც ვხედავთ, ეს არის მიდგომა, რომელიც განსაკუთრებით უსვამს ხაზს კულტურის მნიშვნელობის ჩვენებას, რაც მედიას უდიდეს განმანათლებლურ და კულტუროლოგიურ მისიას აკისრებს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომერციალიზაციის პირობებში თანამედროვე მედია მასობრივი საზოგადოების მომხმარებლურ მოთხოვნებს უფრო ემორჩილება. სწორედ ამ მოთხოვნებზე, ანუ მსუბუქ, მაქსიმალურად იოლად აღსაქმელ კონტენტზე არსებულმა სოციალურმა დაკვეთამ წარმოშვა სამოგზაურო ბლოგინგისა და ჩანაწერების ფორმები. სადემარკაციო საზღვრად მთელი რიგი ფაქტორები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორიცაა მათ შორის არსებული სამოყვარულო და პროფესიული, ასევე ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განსხვავებები, ლიტერატურული და ჟურნალისტური მიზანდასახულებები. ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ეს ახალი ფორმები თანამედროვეობას უპასუხებს და მათი უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ყველა ზემოქანმოთვლილ მედიაპროდუქტს აერთიანებს მოგზაურობა, ინფორმირება და რეპრეზენტაცია. ამიტომ მათ შორის არსებული განსხვავებები მხოლოდ ჟანრობრივად უნდა მივიჩნიოთ.

ქართულ მედიაკვლევებში ჯერჯერობით ამ მიმართულებით მსჯელობა არც კი დაწყებულა. მოგზაურობის ახალი ფორმები ბუნებრივი გზით იკვალავს გზას. ინტერნეტ პლატფორმებზე გაჩნდა სამოგზაურო ბლოგები, ძირითადად ტურისტების მიზიდვის კუთხით. სამიზნე აუდიტორიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჭარბობს რუსულენოვანი მასალა. ტრადიციულ მედიებში უკვე

ამკარად იკვეთება გასართობი ტელეშოუების ტურისტული მარშრუტებით, ღირშესანიშნაობებით, ეთნოგრაფიული მუზეუმების აღწერით გამდიდრების ტენდენციაც. ტურიზმის სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოცხადებამ მოგზაურობის ჟანრი შიდა ტურისტულ მიზნებს დაუქვემდებარა. ცალკეულ არხებს ფუნქციონალიზმის სახელმძღვანელო დებულებების შესაფერისი პოზიცია აქვთ, რაც გამოიხატება არსებული ხელისუფლებისა და ნორმების მხარდაჭერაში, სიახლეებისა და გარდაქმნების საზოგადოებისთვის სასარგებლო კუთხით კომენტირებაში. მედიისა და ხელისუფლების სწორედ ასეთი კოორდინირებული საქმიანობის მაგალითია ტელეკომპანია „იმედის“ მედიატურების მთელი სერია - „საიმედო ტური“, რომელიც გახდა საქართველოს სხვადასხვა მარშრუტების ამსახველი საინტერესო და ღირებული პროდუქტი. ტურისტულად გამართლებული მიზნების გვერდით, რაც ველური ბუნებისა თუ მოვლილი ნაკრძალების ულამაზესი რაკურსებით ჩვენებაში გამოიხატება, ეს მოგზაურობები დაიტვირთა მაღალპროფესიული ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასებებითა და ინტერპრეტაციით. უკანასკნელი პერიოდის თითქმის ყველა გასართობი გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაში პრიორიტეტული ადგილი თრეველჟურნალისტიკამ დაიჭირა. საქართველოს ღირშესანიშნაობების, ტურისტულად საინტერესო ადგილების პოპულარიზაციის მიზნით, თრეველ რეპორტაჟებმა გადაფარა თითქმის ყველა გასართობი და სოციალური თემა. ეს ითქმის „პრაიმ შოუზეც“. ყველაზე მეტად სწორედ ამ მედიაკონტენტს შეესაბამება რეიჩელ ტიედის ზემოთ მოყვანილი ციტატის მთავარი აქცენტი, რომ თრეველჟურნალისტიკის მნიშვნელობა უკავშირდება ადამიანებისთვის ამა თუ იმ კულტურის შესახებ ზუსტი წარმოდგენების შექმნას. ამ ზუსტ წარმოდგენას ქმნიან არა შემთხვევითი აღმწერები, არამედ პროფესიონალები. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ უამრავი სამოყვარულო ბლოგის გვერდით არსებობდეს პროფესიონალური თრეველჟურნალიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სიზუსტესა და უტყუარობას.

ყოველივე ზემოთქმული განსაკუთრებულ შესაძლებლობებს აძლევს რეგიონალურ მედიებს, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი კულტურის მიმართ გაუცხოებისა და

გლობალურ კულტურულ სივრცეში გათქვეფის ტენდენცია ახასიათებთ. თრეველჟურნალისტიკაში და საერთოდ, მოგზაურობის თემატიკაში, როგორც წესი, სხვა ქვეყნების, სხვა ქალაქების, კონტინენტების აღწერა იგულისხმებოდა, რამდენადაც თავად მოგზაურობა შეიცავს ამ შინაარსს. გლობალიზაციის თანმდევ მოვლენას, რომელსაც გლოკალიზაციას უწოდებენ და ლოკალური კულტურების მიმართ გლობალურ დაინტერესებას გულისხმობს, ასევე არა საკუთარი, არამედ სხვა ლოკალური კულტურები იზიდავს. გამოდის, რომ კულტურის რეპრეზენტაციას ახორციელებს არა ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ან სრულიად უცხო მედიები. თუ დავუკვირდებით, ეს არის პირველადმომჩინის განსხვავებული ხედვა, მოგზაურის თვალი, გაცნობა ჯერ კიდევ უცნობთან. ამ „გაცნობას“ უამრავი ბარიერი და სტერეოტიპი აძლევს ახალ შინაარსს. ასეთი იყო, მაგალითად, დამპყრობლის პრაგმატისტული რასიზმით შეფერილი კოლონიზატორული ხედვა, ასევე ძველი ელინების მიერ იმპერიალიზმის სპექტრში გარდატეხილი სამყარო. კაცობრიობა დღემდე დომინანტური კულტურის იქით მხოლოდ რასიზმის, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ფილტრში გატარებულ კულტურულ მნიშვნელობებს აღიქვამდა . თრეველჟურნალისტიკის რეგიონული განვითარების პერსპექტივა კი კულტურის პრეზენტაციის, შიგნიდან გაშუქების, ორიგინალთან მაქსიმალური მიახლოების შესაძლებლობას იძლევა. რეგიონალური თრეველმიზნები ნაკლებდანახარჯიანი სამოგზაურო პროგრამების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ეს ხელს შეუწყობს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარებას. რეგიონის ეფექტური იმიჯის შექმნა არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით არის შესაძლებელი, რაც უცხოენოვანი მედიატურების განვითარებას საჭიროებს.

Regional Perspectives of Travel Journalism

*Liana Katamadze, Associated Professor
Georgian Technical University*

Summary

Globalization has weakened the position of regional media and intensified the process of alienation from their own local culture. At the same time, there is a tendency to get acquainted with local cultural diversities and this is the merit of tourism.

It has become relevant new content of media – travel blogging, travel writing, media tourism and travel journalism. It is growing practical and scientific interest in travel journalism. Definitions related to travel journalism are still in the process of formation, but already was revealed at this stage difference between travel journalism and travel blogging.

Personalized and informal blog content although attractive and popular, but precision and documentary of travel journalism gives more objective and trustworthy picture. The regional perspective of journalism provides maximum opportunities for representation of a local culture from within. This will contribute to the development of the tourist and recreational potential of the region.

Key words: travel journalism, travel blogging, travel writing, consumer content, precision, trustworthy, regional.

ქართული ბეჭდური რეკლამის ერთი ასპექტი (XX ს. პირველი ოცწლეული)

*შეღეგია მამუკა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

გასული საუკუნის პირველი ოცწლეული დიდი სოციალ-პოლიტიკური ძვრების ეპოქა იყო, რომელთაც ბუნებრივია, ეკონომიკური ცვლილებები მოსდევდა. იცვლებოდა მისი თანმდევი კომპონენტი - რეკლამა. ერთი რამ რაც არ იცვლებოდა, ეს იყო ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი ქართულ თეატრსა და ლიტერატურულ-კულტურულ ღონისძიებებს ეჭირა, რომელთაც უდიდი როლი ითამაშეს საზოგადოების განათლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინება-გამლიერებაში. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ კულტურულ ღონისძიებათა სარეკლამო მასალებზე, რომლებშიც არეკლილია ამ პერიოდის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ვითარება და ქვეყნის კულტურული ვექტორი.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, რეკლამა, კულტურა, თეატრი, კინომატოგრაფია.

შესავალი

მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეული ეპოქალური მოვლენების პერიოდი იყო (პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის იმპერიის დანგრევა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მალევე მისი დაკარგვა). სოციალ-პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა ეკონომიკური მდგომარეობა და მისი აუცილებელი თანმდევი კომპონენტი - რეკლამა. რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაშიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიც შედიოდნენ, პირველ მსოფლიო ომამდე შედარებით სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა იყო. იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთებიც ამის დასტურია, რომელთა ფურცლებზეც სარეკლამო მასალა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა. მათში არეკლილია ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ვითარება, კარგად ჩანს

ის დიდი ცვლილებები, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რომ მოხდა.

ძირითადი ნაწილი

მართალია, საქართველოში ვახტანგ VI მეფობიდან მოყოლებული ბეჭდურ გამოცემათა მდიდარი ტრადიცია არსებობდა, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრამდე, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარებათა გამო, დაქუცმაცებულ, დაუძღვრებულ საქართველოში პერიოდულ გამოცემათა დასტამბვის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. ვითარება გარკვეულ წილად შეიცვალა ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში ჩადგომის შემდგომ, როდესაც მან ენერგიულად, მტკიცედ და საზრიანად მოკიდა ხელი ქვეყნის მართვას, მის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ერეკლე II დროს, ტფილისში დროგამოშვებით გამოდიოდა გაზეთისმაგვარი პერიოდული ორგანო, რომელსაც „ლეპორტი“ ერქვა. (1) რაც შეეხება პირველ გაზეთს („საქართველოს გაზეთი“) თავისუფლებადაკარგულ საქართველოში, ის რუსეთის მოხელეებმა 1819 წელს გამოსცეს, რომელიც რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ ქართული კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სწორედ აქ, „გამოცხადებანის“ რუბრიკაში გამოქვეყნებული მასალებით იწყება ქართული ბეჭდური რეკლამის ისტორია.

სუსტი ბატონყმური მეურნეობის პირობებში, რასაკვირველია, სარეკლამო მასალა მწირი იყო. მაგრამ ნელ-ნელა მკვიდრებოდა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობანი. გაუმჯობესდა მიმოსვლა, საფოსტო მომსახურება, დატრიალდა ფული. თბილისის და ქუთაისის გუბერნიები (დაპყრობის შემდეგ რაც საქართველოსაგან დარჩა), ვითარცა რუსული იმპერიის შემადგენელი, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესში ჩაებნენ. მაგალითად, ეკონომიკური აქტივობის ნიშანი იყო, თუნდაც „ტფილისის უწყებანში“ პერიოდულად გამოქვეყნებული „ფულის კურსი ტფილისსა შინა.“ თანდათან ჩნდებოდა ახალი მოთხოვნილებანი, ახალი საქონელი და მომსახურება, ბუნებრივია, იმატა სარეკლამო მასალამ, ის სულ უფრო დიფერენცირებული ხდებოდა, ბუნებრივია, იცვლებოდა განცხადებათა ფორმა და შინაარსი. XX საუკუნისათვის რეკლამა შეუდარებ-

ლად მრავალფეროვანი და უფრო დამარწმუნებელი გახდა. სწორედ რეკლამის საშუალებით ხდებოდა ცნობილი და ხელმისაწვდომი ახალი, ნაირგვარი საქონელი, თანამედროვე ტექნიკა თუ მომსახურება და არა მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმი, არამედ, უცხოურიც. ეკონომიკა და რეკლამა ერთმანეთს აძლიერებდნენ.

ვაჭართა და ხელოსანთა ფენებმა, უცხოელმა თუ ადგილობრივმა მეწარმეებმა თავიანთი საქონლის რეალიზაციისათვის გაზეთი მიიჩნიეს საჭირო და მოხერხებულ საშუალებად. რედაქციებიც, თავის მხრივ, მასში მზარდ ფინანსურ საშუალებას ხედავდნენ. გაჩნდა სპეციალიზირებული გამოცემებიც. მაგალითად, 1916 წ. ქუთაისში გამოდიოდა „კუტაისკი ვესტნიკ“-ი, სადაც მხოლოდ რეკლამები იბეჭდებოდა. რასაკვირველია, იმდროინდელ მასალათა უმრავლესობა ტიპური ობიექტების (საქონელი, გამყიდველი, მომსახურება) რეკლამას წარმოადგენდა. იბეჭდებოდა „ტრადიციული“ რეკლამები: სხვადასხვა პროდუქციის, კვების ობიექტების, სამედიცინო, სხვადასხვა სასწავლებლებისა თუ კერძო მასწავლებლებისა, შედარებით ახლად გამოჩენილი სადაზღვევო მომსახურების და ა.შ. XX საუკუნისთვის დასაწყისისთვის კიდევ უფრო დაიხვეწა რეკლამის ტექსტი. მისი შემქმნელები მყიდველის მოსაზიდად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, გულწრფელობით შეფუთულ, დამარწმუნებელ შეტყობინებას უგზავნიდნენ, სხვადასხვა ეკონომიკური მოტივით თუ ფსიქოლოგიური ხერხებით ცდილობდნენ მათ მოხიბლვას. მაგალითად, მეწარმე აქვეყნებს განცხადებას: „რა საჭიროა სოფელში ააშენო ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართო ჩვენს სავაჭროს ქუთაისში (პუშკინის ქუჩა). იყიდება ქურა (პლიტა) თუჯის ორი „კამფორკით“, „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხოზაც. დაჩქარებით იყიდეთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფერები ძალიან ცოტა არის მოსული.“ (1,1) სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა პროდუქტის ხარისხს და აქცენტი მომსახურების გაიაფებაზეც კეთდება: „ყოველ დღე: საუზმე, სადილები, ვახშმები. სურსათი უაღრესი ღირსებისაა. მზადდება მხოლოდ კარაქზე... ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის.

პროცენტები მსახურთა სასარგებლოთ არ ხდებათ სტუმრებს.

(2, 1). ამ პერიოდის რეკლამა მრავალფეროვანი იყო და ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროს ეხებოდა. მაგრამ, ამჯრად, ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენში სულ უფრო მზარდი კულტურულ ღონისძიებათა რეკლამებზე. რასაკვირველია, მანამდეც იყო მსგავსი სახის რეკლამები, მაგალითად, თეატრისა, რომელიც იმდროინდელ საქართველოში იმ იშვიათ ადგილად რჩებოდა, სადაც ქართული სიტყვა ისმოდა. 1879 წლიდან განახლებული ქართული მუდმივი დასი, სწორედ სარეკლამო განცხადებებით ეპატიჟებოდა თავის წარმოდგენებზე მშობლიურ ენას დანატრებულ საზოგადოებას. კერძოდ, გაზეთი „დროება“ (#180) იტყობინებოდა: „შაბათს, 1 ენკენისთვეს, ქართულ ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფი-ლისის თეატრში - „რას ვეძებდი და რა ვპოვე“, კომედია სამს მოქმედებად კნ. ბარბ. ჯორჯადისა.“ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში თეატრი კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. ამასთან, 900-იანი წლებიდან, ქართველი მსმენელი ლიტერატურულ-კულტურული ღონისძიებებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენში იზრდებოდა ინტერესი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი.

ილიასა და აკაკის მემკვიდრეები, ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი თაობა, ხედავდა ეროვნული სულის მოდუნებას, მწერლობის კრიზისს, გრძნობდა აქედან გამომდინარე ნეგატიურ შედეგებს და ცდილობდა ახალი გზები გაეკვალა, ხალხი პროვინციალიზმის ჭაობიდან ამოეყვანა, განათლება შეეტანა მასებში, გაემლიერებინა ეროვნული თვითშეგნება. ამ მიზნით ისინი იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდნენ წერილებს, ატარებდნენ საჯარო ლექციებს, სადაც საუბარი იყო მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ წარმომადგენლებზე, სხვადასხვა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე.

ამ ღონისძიებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ეროვნული თვითშეგნების, ქართული კულტურის გაღვივება-აღორძინებაში, საერთოდ, ქართული საზოგადოების განათლებაში. მაგალითად, 1911 წლის მაისში გაზეთი „თემი“ (# 19) იუწყებოდა: „ოთხშაბათს, 18 მაისს, გრ. რობაქიძე ქართულ თეატრში წაიკითხავს ლექციას: „ფრიდრიხ

ნიცმე“. აქვე გადმოცემული იყო ლექციის თეზისები. ეს იყო იმ დროის მეტად საყურადღებო კულტურული მოვლენა, რომელსაც აკაკი წერეთელიც გამოეხმაურა, ის აღნიშნავდა: „ამისრულდა წადილი. ვნახე ჩემის თვალით, რაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა: ქართველი ინტელიგენტი, თავისთავად მოაზრე და არა საუცხოო გრამაფონი! ცხადად იხედებოდა, რომ ყოველი მისი სიტყვა მისივე საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში გამობრძმედილი...“ სწორედ ასეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შედეგი იყო ის ცვლილებანი, ქართულ საზოგადოებაში რომ ხდებოდა და რომლის შესახებაც წერდა არჩილ ჯორჯაძე: „იყო დრო, როდესაც ქართულ საზოგადოებაში ყოველივეს - სულიერ შემოქმედებას ისე, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობას, ტლანქ სარგებლობის საზომით ზომავდნენ, როდესაც კარგად შეკერილ წაღას უფრო მნიშვნელოვან საგნათ სთვლიდნენ, ვიდრე შექსპირის ამათუ იმ ცნობილ დრამას. მაგრამ შემდეგ საზოგადოება იმდენად მომწიფდა, რომ მზად არის სამი და ოთხი საათის განმავლობაში უსმინოს ლექტორს.“ (3,16) იმ პერიოდის პრესაში ჩვეულებრივი გახდა ამგვარი სარეკლამო განცხადებები: „29 მაისს გაიმართება სალიტერატურო, დრამატულ-მუსაკალური საღამო, მგოსნის, აკაკი წერეთლის მონაწილეობით. აგრეთვე, მონაწილეობენ: ვ. რუხაძე, ი. ნიკოლაიშვილი, გ. ტაბიძე...“ ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918-1921 წწ.) ჩვენში კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნული სულისკვეთება, ეროვნული მუხტი, რომლის შესახებაც ზუსტად შენიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ: „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“. ეს კარგად ჩანს იმ პერიოდის სარეკლამო განცხადებებში, რომლებშიც ირეკლება იმდროინდელი საზოგადოების ინტერესი და სურვილი, მეტი გაეგო ახალი საქართველოს მომავლის შესახებ. ვითარება მოითხოვდა და ამგვარმა საღამოებმა კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა, რომელშიც ლიტერატურისა და კულტურის საკითხების გარდა, გახშირდა საუბრები პოლიტიკურ თემებზე: საერთაშორისო ვითარებაზე, ქართული სახელმწიფოს პერსპექტივებისა და მისი ადგილის შესახებ. მაგალითად, 1920 წლის გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა: „გიორგი ქუჩიშვილის საღამო.

ვახტანგ კოტეტიშვილი სიტყვა „მოწინავე სადარაჯოზე“.

შინაარსი: 1) ისტორიის გადაცეხვა, 2) ქვეყნის ტკივილები, 3) ევროპა ახალ საზღვართან, 4) აღმოსავლეთი, 5) საქართველოს პერსპექტივები. პოეტები: ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, გრ. ცეცხლაძე.“ (4,1).

მე-19 საუკუნის მიწურულს, მსოფლიო კულტურულ სივრცეს ხელოვნების ახალი დარგი – კინემატოგრაფია შეემატა. 1895 წლიდან, მილიონობით მაყურებლის გული მოინადირა ძმები ლიუმერების სინემატოგრაფმა, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ. ქართველები ამ საოცარ სანახაობას მალევე გაეცნენ, სულ რამდენიმე თვეში. მას შემდეგ, ქართული პრესის ფურცლებზე, გაჩნდა ამგვარი სარეკლამო განცხადებები: „სათავადაზნაურო თეატრი. ბავშვებისათვის. სინემატოგრაფი ლიუმერისა. დღეს, კვირას, 1897 წლის 4 მაისს. დასაწყისი 3 საათზე (მომრავი, ცოცხალი ფოტოგრაფია).“ ხელოვნების ამ ახალმა დარგმა მალევე დაიპყრო მოსახლეობის გული, გაიზარდა ინტერესი და 1904 წელს გოლოვინსკის პროსპექტზე გაიხსნა პირველი სტაციონალური კინოთეატრი და ამის შემდეგ, ჩვენში კინოქსელი გაფართოვდა და მალე საქართველოში ოცზე მეტი კინოთეატრი მოქმედებდა. საკმარისია ითქვას, თბილისში, მხოლოდ მიხეილის ქუჩაზე (დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტი), 1915 წელს შვიდი კინოთეატრი იყო, მათ შორის საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კინოთეატრი „აპოლო“, რომელიც 1909 წლის 12 აპრილს გაიხსნა (5).

თბილისის გარდა კინოთეატრები სხვა ქალაქებშიც იხსნებოდა, მაგალითად, ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი „რადიუმი“ ქუთაისში, რომელშიც სხვათა შორის, შედგა ვასილ ამაშუკელის პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ პრემიერა და რომელიც 15 დღის განმავლობაში სრული ანშლაგით გადიოდა. სინემატოგრაფს თავისი რეკლამა სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, მიზანი უცვლელი რჩებოდა, სხვადასხვა ხერხითა და საშუალებებით ფართო მასების ყურადღების მიპყრობა-დაინტერესება.

კინოფილმების საგაზეთო რეკლამის შემქმნელებმა ამისთვის გამოიყენეს ქართულ პრესაში უკვე ჩამოყალიბებული ტრადიცია, ტექსტში გამოყენებული იყო დარწმუნების ენობრივი ელემენტები და მანიპულირების ფსიქოლოგიური ხერხები, ტექსტის საყრდენი სიტყვები კი, იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენისთვის

დამინტრიგებელი იყო: „საშინელი“, „დრამატული“, „მოულოდნელი“ იყო. მაგალითად, ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმის“, რეკლამა იუწყებოდა: 21 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება - თვითმყრობელობის მუხრუჭებში. **პროვოკაცია, დალატი, სროლა.** საშინელი დრამა 5 ნაწილათ. **სულ ყველაფერში დამნაშავეა ქალი.**“ (6,1) . სარეკლამო განცხადებებში ყურადღება გამახვილებული იყო კინომატოგრაფიის სპეციფიკაზე, ხოლო თეზისებად გამოტანილი მასალა პუბლიკის გრძნობებზე თამაშობდა, მათ დიდ ინტერესს იწვევდა. ვნახოთ იგივე „რადიუმის“ სხვა რეკლამა: „ორშაბათიდან, ფრიად საყურადღებო პროგრამა: **„ავაზაკობის ქარიშხალში.“ ხუთშაბათიდან, „ექიმ მორელის საქმე“ - პსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. 1. მოულოდნელი და საიდუმლო სიკვდილი. 2. ცხოვრებამ ჩაითრია! 3. სიყვარულის უცნობი ძალა. 4. ტანჯული გული. 5. თუ ცხოვრება გულს ეამის, სიკვდილი უნდობელია.“** კინოთეატრი „ამპირი“: **4 მაისიდან „სენსაციური პროგრამა - სიკვდილის ცეკვა“** (7, 1) და ა. შ.

მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის კულტურულ გარემოზე როდესაც ვსაუბრობთ, უცილობლად უნდა ითქვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდზე. 1918 წელს, 117 წლის შემდეგ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა აღიდგინა. პოლიტიკურ პარტიებად და დასებად დაყოფილ ქვეყანაში, გარემე მტრის წინააღმდეგ, ყველა (ბოლშევიკების გარდა) ერთსულოვნად გაერთიანდა. მაგრამ უმძიმესი იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის საგარეო თუ საშინაო ვითარება (ომები დაშნაკურ სომხეთთან, თურქეთთან, წითელ რუსეთთან).

მიუხედავად სიმწელებისა, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ქართული სახელმწიფო სტრუქტურების გარდაქმნასა და გაძლიერებას, საკუთარი ფინანსური საშუალებების შექმნას. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. მთავრობის განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იყო ქართული ენისა და ეროვნული კულტურის განვითარებისკენ. დაარსდა უნივერსიტეტი, კონსერვატორია, პირველი დაწყებითი სკოლები და ხელოვნების მუზეუმი. აღსანიშნავია რესპუბლიკის ხელისუფლების ძალისხმევა კულტურის ახალი დარგის, კინომატოგრაფიის განვითარების საქმეში. შეიქმნა პირველი კინოატელიე

საქართველოში, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ კინოწარმოებას. პირველი ქართული მხატვრული ფილმიც („ქრისტინე“ რეჟ. ალ. წუწუნავა), ამ პერიოდში ეკრანებზე გამოვიდა აგრეთვე, დოკუმენტური ფილმებიც.

1919 წლის გაზეთი „ერთობა“ (№ 115) საზოგადოებას აუწყებდა: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამო, 26 მაისს, დემოკრატიის ამ დიდი კულტურული დღესასწაულის აღსანიშნავად თეატრ აპოლოში დადგმული იქნება შემდეგი სურათები: 1. სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედაქალაქში, 12 დეკემბერი 1918 წლისა. 2. დღესასწაული დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს. 3. „ქრისტინე“ დრამა 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან (სცენა რეჟისორ ალ. წუწუნავასი, გამოცემა გერმანე გოგიტიძისა).“ ამავე პერიოდს (1919 წ.) ეკუთვნის პირველი ქართული ოპერები: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რომელთაც განსაზღვრეს ქართული საოპერო ხელოვნების ეროვნული სახე. რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი მოვლენის შესახებ, საზოგადოებას სარეკლამო განცხადებებით ატყობინებდნენ. მაგალითად, გაზეთი „საქართველო“ 1919 წლის 5 თებერვალს იუწყებოდა: „დღეს სახელმწიფო თეატრში დიდი სამზადისის შემდეგ დადგმულ იქნება პირველად ქართული ოპერა კომპ. დიმ. არაყიშვილისა „თქმულება შოთა რუსთაველზე...“ საერთოდ, ამ პერიოდში კარგად ჩანს არა მხოლოდ ხელისუფლების განსაკუთრებული დამოკიდებულება, არამედ, საზოგადოების ფართო მასების გაზრდილი ინტერესი ეროვნული კულტურისადმი. საკმარისია თვალი გადავავლოთ გაზეთ „ახალი საქართველოს“ (1920 წ. 11 დეკემ.) მხოლოდ ერთი ნომრის ფურცლებს, სადაც სხვადასხვა პროდუქციისა და მომსახურების რეკლამათა გვერდით, არცთუ მცირე ადგილი უჭირვს კულტურულ ღონისძიებათა სარეკლამო განცხადებებს: „სახელმწიფო დრამის თეატრი. შაბათს, დეკემბრის 11-ს, **ბერდო -ზმანია** ალ. შანშიაშვილისა, მუს. დ. არაყიშვილის... რეჟ. ალ. ახმეტელი.“ „კვირას, დეკემბრის 12-ს, **გვარდიის საღამო.**“ „სახელმწიფო თეატრი. ოპერა. მუშებისათვის. საბალეტო სპექტაკლი მორიკონისა **კოპელია.**“ „კვირას, 12 დეკემბერს, ქართულ ენაზე **ღალატი.** ოპერის დასაწყისი 8 სთ.“ იქვე გამოქვეყნებულია კიდევ ერთი რეკლამა: „მეორე ქართული კლუბი. დღეს, შაბათს -

სინემატოგრაფი.“ დაბეჭდილია აგრეთვე, ინფორმაცია იმ დროის მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენის შესახებ. ახლად გახსნილი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა განცხადებას აქვეყნებს: „12 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათზე, გალერეის შენობაში, რუსთაველის პრ. 13, გაიხსნება ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა. გამოფენილი იქნება ძველი ქართული, სპარსული და ევროპული მხატვრობა, დაწყებული მე-16 საუკუნიდან, ვიდრე მე-19 საუკუნემდე.“ მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ქართულ საზოგადოებას გულთან მიჰქონდა საქვეყნო გასაჭირი, კერძოდ, გორის მიწისძვრით (1920 წ. 20 თებერვალი) დაზარალებულთა ტრაგედია და ცდილობდნენ გაჭირვებულებს დახმარებოდნენ. კერძოდ, თბილისის რუსულენოვანი გაზეთი; „ვოზროჟდენიე“ 1920 წლის 6 მარტს აქვეყნებს განცხადებას: „გორის გიმნაზიაში დაზარალებულთა დასახმარებლად ქართული კლუბის უზუცესთა საბჭო აწყობს გრანდიოზულ სადამოს თეატრში: 1. ქართული სპექტაკლი 2. რუსული დრამა „Тарто.“ ქართულ შემოქმედებით ინტელიგენცია ცდილობდა ხალხის დახმარებას. საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართულნი იყვნენ როგორც ქართველი შემოქმედნი, ისე რუსეთის სისხლიან სამოქალაქო ომს გამოქცეული რუსი ხელოვანები. მაგალითად, იგივე გაზეთი „ვოზროჟდენიე“ 1920 წლის 17 იანვარს, აქვეყნებს განცხადებას: „ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის უსახსრო მოწაფეთა სასარგებლოდ ეწყობა ბალ-კაბარე: 1) ლიტერატურული განყოფილება. მონაწილეობენ: პაოლო იაშვილი, ქუჩიშვილი, ჯაფარიძე, ტაბიძე გალაქტიონი და კამენსკი; 2) საკონცერტო განყოფილება. მონაწილეობენ მსახიობები: ვოლ-ლევიცკაია, აგასოვა-კალანდაძე, ბ-ნი ზელინსკი, ინაშვილი...“ ამგვარი სარეკლამო განცხადებები ხშირია იმდროინდელ პრესაში. მოკლედ თუ შევაჯამებთ ზევით მოტანილს, გასაკვირია, როგორ მოხერხა მტრებთან მუდმივად ბრძოლებში მყოფმა ქვეყანამ, ამდენი ეროვნული საქმის გაკეთება.

დასკვნა

ამგვარად, XX საუკუნის პირველი ოცწლეული უდიდესი კატაკ-ლიზმებით აღსავსე პერიოდი იყო, დამოუკიდებელი საქართველოს ბრძოლა ეროვნული კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის

შენარჩუნება-გამლიერებისაკენ. ეს კარგად ჩანს ამ პერიოდის ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სარეკლამო მასალებში, რომლებშიც ნათლად ირეკლება ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიკური ვითარება, მისი სოციალ-კულტურული ვექტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „იმერეთი“, 1913, #2, გვ.1,
2. გაზ. „ივერია“, 1919, #17, გვ. 2.
3. არჩ. ჯორჯაძე, წერილები, თბ, 1989, გვ. 16.
4. გაზ. „ერთობა“, 1920, #153, გვ. 1.
5. ლ. გელაშვილი, „ას წელზე მეტი ხნის კინოთეატრი „აპოლო“, www.evropean.ge,
6. გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, #428, გვ.1. 7. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, #25, გვ.1.

One aspect of Georgian print advertising (The first twenty years of the XX century)

*Mamuka Shelegia, Associated Professor
Georgian Technical University*

Summary

The first twenty years of the previous century was an era of great socio-political shifts that were naturally followed by economic changes. Its accompanying component - advertising - was also changing. One thing that did not change was the fight of the Georgian people for national freedom. A special place in this fight was held by the Georgian theatre and literary and cultural events that played an important role in strengthening of education of the society and of the national identity. The presented work focuses on advertising materials of these cultural events reflecting the situation in Georgia of this period and the direction of cultural interest. Keywords: national, advertising, culture, theatre, cinematography.